

K 148.035
3



ს ი კ მ ლ მ შ

ე ე ე თ ე ე ე ი ლ

თ ხ ზ უ ლ ე ჯ ე ნ ი



ნიკოლოზ ჯუანთაუჭილი



თხზულებანი



გაერთიანებული „საბჭოთა საქართველო“
თბილისი • 1972




ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა წინამდებარე გამოცემა თავისი აღნაგობითა და დანიშნულებით აკადემიური ხასიათისაა, შედგენილობით კი ყველა ადრინდელ კრებულზე სრული (მასში პირველად შევიდა პროზაული თარგმანები — „შესხმა აგრიკოლასი“ და „Плыв Шахро по Висн“, აგრეთვე ფრაგმენტი ლექსისა „კავკასი“). ტექსტები დადგენილია ყველა (მათ შორის დღემდე უცნობი) ავტოგრაფის, ძირითადი ნუსხებისა და პირველნაბეჭდთა კრიტიკული შესწავლის შედეგად; გათვალისწინებულია საბჭოთა პერიოდის აკადემიური (1922, 1939, 1945 და 1968 წლების) გამოცემები, პოეტის გარშემო არსებული სამეცნიერო ლიტერატურა და საარქივო მასალები.

ტექსტებს უძღვის ა. გაწერელიას ვარაიციები პოეტის თემებზე „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, სოლო ჟრთუხის ი. ლილაშვილის ფილოლოგიური ნარკვევი „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა“, რომელშიც განხილულია პოეტის თხზულებათა მეცნიერულ-კრიტიკულ გამოცემასთან დაკავშირებული ტექსტოლოგიური საკითხები, და სრული სამეცნიერო აპარატი — კომენტარები, ვარიანტები, თხზულებათა ქრონოლოგიური ნუსხა, საკუთარ სახელთა და არქაულ სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი. წერილების შენიშვნები ეკუთვნის ა. გაწერელიას.

ტექსტები ავტოგრაფებთან შედარებული და დადგენილია ი. ლილაშვილის მიერ.

560.81
3
K 148.035

აბაგი ბაჟმირელიას და ივანე ლოლაშვილის რედაქციით



ნიკოლოზ ბარათაშვილი

(ვარიაციები პოეტის თემებზე)

ორმოცამდე ლირიკული ლექსის, ერთი პოემის, რამდენიმე სახუმარო ეპიგრამის, თვრამეტამდე კერძო წერილისა და ორიოდე თარგმანის კრებული დევს ჩვენ წინაშე. შეგიძლიათ იგი ჯიბით ატაროთ. მაგრამ რაოდენ მნიშვნელოვანია რიცხობრივად ეს მცირე საჩუქარი ქართველი ხალხისათვის, კაცობრიობისათვის!

არც ერთ ქართველ ლირიკოსს არ გაუმდიდრებია თავისი ერის ხულიერი და გონებრივი სამყარო ისე უხვად, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილს.

* *

ნიკოლოზ ბარათაშვილი წერდა მხოლოდ აუცილებელი და სავალდებულო სიტყვებით. მის პოეტურ მონოლოგებში ნატამალიც არ მოიძებნება ლამაზი ან მყვირალა ფრაზისა. არც ერთი ტაეპი პოეტის ლექსისა არაა ნავარაუდები ტრიბუნიდან სათქმელად, მათი სიტყვიერი ფაქტურა შინაგანი ხილვებითაა აღვსილი და მოგიწოდებთ მგოსნის არსებაში ჩასახედად; მოკლედ — ბარათაშვილის ლექსი არაა განკუთვნილი აპლოდისმენტისათვის — ამ მერყევი, ეფემერული და ძალზე დარიბი საზღაურისათვის ცხოვრებასა და მწერლობაში.

ბარათაშვილის პოეზიის გაცნობა უმაღლვე არწმუნებს დაკვირვებულ მკითხველს, რომ მისი მთავარი გმირი თვითონ პოეტია.

* *

არა გრაციოზული ჟესტი ან მსუბუქი ფარფატი თემებზე, არამედ მუდმივი სერიოზულობა და მკაფიოდ გამოხატული სუბიექტივიზმი განმსჭვალავს ბარათაშვილის ლირიკას.

მოკვდავთა სახეიმო ფუსფუსს, შუშხუნებსა და ფეიერვერკებს, ბაზრის ან მეიდანის ხმაურს — მსგავს რასმე არ მიუზიდავს ბარათა-

შვილის გულისყური. სალონურ შეკრებებსა და წვეულებებში მისი მონაწილეობა არსებითად უბრალო გართობა იყო ყველასათვის „სტოლ-ნაჩაღნიკად“ ცნობილი, მაგრამ შინაგანად ღრმა ახალგაზრდისათვის.

და სკეპსისის აჩრდილი ყოველთვის ატუხული იდგა ბარათაშვილის გვერდით.

* *

საქართველოს ისტორიული ბედ-იღბლის საკითხი („ბედი ქართლისა“, „საფლავი მეფის ირაკლისა“, „სუმბული და მწირი...“); ინტიმური დიალოგი თავის დემონთან („ხმა იდუშალი“, „სულო ბოროტო“...); ტემპერამენტის სტიქიონური მოზღვავება („მერანი“) ან სულის წამლები ღიმილით თხრობა თავისსავე აჩრდილთან მოთამაშე საყურეზე („საყურე“),—ამგვარი მრავალფეროვნება და კონტრაპუნქტული ხასიათი ბარათაშვილის ლირიკისა ნაკლებად პოულობს ანალოგს ქართულ და მსოფლიო პოეზიაში.

დაბოლოს, ლოცვის შელოდიური პასაჟის რხევა ღუმილის მიჯნასთან, როცა თვითონ ღუმილის მიღმა ნელა იკეცება დაღლილი იალქნის აფრები („ჩემი ლოცვა“) — მგოსნის იშვიათ სულიერ სიმდიდრეზე შეტყველებს. ჩვენს დიდ ლირიკოსს არ ჰქონდა უფლება, მსგავსად *Silentium*-ის ავტორისა, კატეგორიული სახით ჩამოეყალიბებინა განთქმული პოეტური მაქსიმა იმაზე, თითქოს „მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობით გამოთქმა“ (შეადარეთ ტიუტჩევი: «Мысль изреченная есть ложь»).

გამოთქმის ინტენსივობის სფეროში ბარათაშვილის ნიჭიერება განუსაზღვრელია.

* *

წინამდებარე ვარიაციები ზემოთ ჩამოთვლილ ლეიტმოტივთა გადმოცემის ცდაა. მაგრამ ჩონჩხი არაა ორგანიზმი. ნებისმიერ განმარტებათაგან თავის დაღწევას ზოგჯერ არც უცდომელი გემოვნება შეეღის, არც ერუდიცია. ბარათაშვილის ლექსის სრულყოფილ გაგებასა და ათვისებას სჭირდება უფრო მეტი, ვიდრე აღტაცების უნარი ან განსწავლულობა.

ფიქრობთ, ბარათაშვილთან უხილავი კონტაქტის დამყარების ცდას შეუძლია გაუადვილოს მკითხველს ნაწილობრივ მაინც ეს რთული ამოცანა.



ბარათაშვილის პიროვნება უკვე თავისი არსებობის აქტივით წარმოადგენდა იშვიათ მოვლენას XIX საუკუნის პირველ ნახევარში. თდნავ ქვედახრილ-გუგებიანი თვალებით, მკვრივი აგებულების ეს ახალგაზრდა კაცი, სიკვდილამდე მხოლოდ ერთხელ რომ გამოსცადა რაღაც ავადმყოფობა, სრულიად ჯანსაღი ვახლდათ. ნაცნობ-მეგობართა შორის, ერთი შეხედვით, იგი ყველას ჰგავდა, მგონი იმ „ხახვის ფრანტებსაც“, სამხედრო კარიერაზე რომ ოცნებობდნენ და თეთროლობანდიანი იმამის დასამარცხებლად მიისწრაფოდნენ დაღესტნის მთებისა და ღრანტეებისაკენ. მაგრამ ბარათაშვილს არ აუსრულდა სამხედრო სამსახურში მოწყობის ოცნება. 30-იან და 40-იან წლებში, ამ „ყრუ წლების“ ხანაში, იგი თბილისში დარჩა ძალაუნებურად და თავისი კვიმატი ენით ხანგადასულ-კნეინებს აჯავრებდა ან შინაურებს (მაგალითად, თავის ბიძას ილიას) იწვევდა დუელში. და, თუ ოფიცრის მედლებს არ დაუმშვენებია მისი მკვრდი, სამაგიეროდ ბარათაშვილის შემოქმედებამ არ იცის ისეთი საბედისწერო პაუზა, როგორც გრიგოლ ორბელიანის პოეტურ ბიოგრაფიაშია ცნობილი.

თანამედროვეებს ნაკლებად ესმოდათ მისი. ნამდვილად იგი არავის ჰგავდა.

გიორგი ერისთავს მსუბუქ ადამიანად გამოჰყავს ტატო ერთ უმწეო კომედიაში („შეშლილი“); პუშკინსაც „თავქარიანს“ ეძახდნენ პეტერბურგის არისტოკრატიულ სალონებში, ხოლო ხლესტაკოვები ტრამახობდნენ, რომ ისინი ბრუდერ-შაფტს მიიერთმეგდნენ „ევეგენი ონეგინის“ ავტორთან ერთად. ხლესტაკოვებს, საერთოდ, ყველა დროში სჩვეოდათ დიდ ადამიანებთან ფამილარული ვატოლება.

ომის ასპარეზის გარდა, როგორც მისი სრული ანტითეზი, ბარათაშვილს მშვიდობიანი ცხოვრებაც იზიდავდა. თითქოს მის არსებაში აკვიატებულ და მშფოთვარე დემონს მფარველი ანგელოზი ებრძოდა და პოეტის ცხოვრების ნავს მყუდრო სადგურისაკენ ეზიდებოდა. ბრწყინვალე მარტობა, ბაირონის მიერ ნანატრი „სპლენდიდ იზოლეიშნ“, ბარათაშვილის ოცნების საგანიც იყო: „მომეცით მე დამოუკიდებელი არსებობა და უმაღლესი დეგუტეებდი ქვეყანასა და ადამიანებს მათი გაუმადლობით, და მშვიდად ვაგატარებდი პატრიარქალურ ცხოვრებას ბუნების წიაღში, ეგზომ დიადი და მშვენიერი რომ არის ჩვენს სამშობლოში“, — აცნობებდა იგი ბიძას, ზაქარია ორბელიანს, 1844 წელს.

ასე წერდა „მერანის“ ავტორი, რომელმაც ექსტატიური ყიჟინით

ამცნო თანამედროვეთ: „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემსა ნაცნობთ და ნათესავთ შორისო“.

ხომ არ გვაგონებს ყოველივე ეს „ნიუსტედტის სააბატოს“ მფლობელის, ბარათაშვილივით ფეხდაწიანებული და მეამბოხე ლორდის ლალადისს ამქვეყნად თავის მიუსაფრობასა და იმავე დროს მშვიდი ცხოვრების ოცნებაზე?

ნიკოლოზ ბარათაშვილის ხანმოკლე ცხოვრებაც მსგავს პოლარულ განცდათა შორისაა მოქცეული.

* *

ბარათაშვილის ლირიკა ჯერ საკუთარ მე-ზეა პროეცირებული, მერმე კი გარეშე სინამდვილეზე (როგორც ჰორაციუსის ოდები, მარკუს ავრელიუსის პროზა, შუბერტის „მერვე დაუმთავრებელი სიმფონია“...). „ჩაღრმავდი საკუთარ თავში!“ — ურჩევს პოეტი ბიძამისს ზემოთ ციტირებულ ბარათში.

ბარათაშვილის ლირიკა პოეტის მიერ მოკლედ გამოთქმული ამ პოსტულატის შეუდარებელი მხატვრული რეალიზაციაა.

* *

ღამითაც კარგად სჭვრეტს ბარათაშვილი თავისი გულის „პირველი საგნის“, ვინმე ნინოს „ბუდეშურ ფეფებს“ („ღამე ყაბახზე“). იგი გამოსახვის იშვიათი პლასტიკური ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. ღამის ის თვისება, როცა საგანთა მკაფიო კონტურები წაშლილია ან ბინდბუნდში გახვეული არემარე მთვარის დისკოს ნათელითაა მკრთალად გაშუქებული, მთაწმინდაზე ან სასაფლაოზე, — საოცრად აახლოებს მას ნოვალისთან, რომელსაც ასე სძაგდა „დღის უტიფარი ნათება“. „ღამისადმი ჰიმნების“ ავტორივით ქართველი პოეტისათვისაც ღამე ერთგვარი სტიმული იყო საკუთარ არსებაში აღმოცენებულ შეგრძნებათა საკვირველი მხატვრული ძალით გამოსახვისა. ამასთან, თუ ნოვალისის „ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენის“ ვმირს „ცისფერი ყვავილი“ ეზმანებოდა, ბარათაშვილსაც „ცისფერი“ ატყვევებდა.

შორეულად მონათესავე პოეტების ლექსებში ხშირად ერთნაირი სულიერი შეგრძნებანია ასახული მაშინაც, როცა პირდაპირი გავლენის მომენტი ნამდვილად გამორიცხებულია.

ამასთან — ბარათაშვილი, ნოვალისისაგან განსხვავებით, მზის ამოსვლას შესტრფოდა, რომელიც ბოლოს ყველა ბინდბუნდს გაანათებდა:

ნწუხრი გულისა, სვედა გულისა, ნუვეშა ამას შენგან მიიღებს
როს გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის გაანათებს.



ამიტომაა ბარათაშვილის თითქმის ყველა პესიმისტური ლექსი გამსჭვალული ბრძოლის აქტიური სულით.

უწინარეს ყოვლისა — ბარათაშვილი იყო თავისი ქვეყნის დიდი მოქალაქე, 1832 წლის შეთქმულთა რადიკალური ფრთის მოწინავე პოლიტიკური და საზოგადოებრივი მისწრაფებების გამწიარებელი, რაზნოჩინელ სოლომონ დოდაშვილის მოწაფე რესპუბლიკური იდეების სფეროში. თუ მასწავლებელი აცხადებდა ქართული მონარქიის მისამართით, რომ „ერთ კერძო განუჭვრეტელობამ და ერთ კერძო შეიწროვებამ ან ძლიერთა ერთამან, მიიყვანეს საყვარელი მამული ჩვენი ესე ვითარ ხარისხამდე დამდაბლებისა... მავიწყებელი მოქალაქეებისა თავის უფლებისა“ (1828), — ადებტიც ამასვე იმეორებდა სოლომონ ლეონიძის სიტყვებით მონარქიისა და თვით ხელმწიფის მისამართით („ბედი ქართლისა“, 1839):

მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას!
ერთს კაცს მოჰმადლებ ყოვლთა უფლებას.

მაგრამ შენ, მეფე, ვინ მოგცა ნება
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,
მისდევდო შენსა გულისკვეთებას
და უთრგუნვიდე თავის უფლებას?

ასეთი პროგრამული სიტყვები შეეძლო წარმოეთქვა რომელიმე რესპუბლიკელ კატონს და არა XVIII საუკუნის ქართველ მონარქისტს.

სავსებით გამჭვირვალეა აგრეთვე სოლომონისა და მისი მეუღლის პაექრობა პოემის ბოლოს, რაც არსებითად ეროვნული თავისუფლების ხოცბას წარმოადგენს. ამავე ხაზს აგრძელებს პოეტი ლექსში „სუმბული და მწირი“.

ისიც დამახასიათებელია, რომ ბარათაშვილი დიდი რომაელი ისტორიკოსის ტაციტუსის (დაიბ. დაახლ. 55 წ. — გარდ. დაახლ. 120 წ.) ისტორიული თხზულების „აგრიკოლას ცხოვრების“ ერთი ადგილის თარგმანში (რაც ამ ბოლო ხანებში გახდა ცნობილი) იმპერიის მოღვაწე აგრიკოლა (37—95 წწ.) ამხნევებს ბრიტანეთში მოქმედ რომაელთა მხედრობას და თავის მიმართვას ამთავრებს ასეთი შეძახილით: „შეგობარ-ამხანაგნო; კვალადცა ერთაი დღე დიდებისა და იყვის დასასრული ომსა რვაწლოვანსა და რესპუბლიკა კმაყოფილ იქმნების თქვენ მიერ“.

იმპერიის მხედართმთავარს არ შეეძლო სიტყვა „რესპუბლიკა“ წარმოეთქვა, რომის რესპუბლიკა მის დროს უკვე ისტორიის კუთვნილება იყო. მაგრამ იმპერიის სახელმწიფოებრივი წყობის მტერი ტაციტუსი სწორედ ამ სიტყვას წარმოათქმევინებს აგრიკოლას¹.

ასე აქციეს — ნ. ბარათაშვილმა ლეგიტიმისტი ს. ლეონიძე, ხოლო ტაციტუსმა იმპერიის სარდალი აგრიკოლა — რესპუბლიკელებად.

აქვე დაეუმატებთ, რომ ახალგაზრდა ბარათაშვილის დაინტერესება უდრემსი და ურთულესი რომაელი ისტორიკოსის შემოქმედებით პოეტის ვრცელ ინტელექტუალურ მასშტაბს მოწმობს.

* *

პოეზია შეუზღუდველი ავტონომიის სფერო იყო ბარათაშვილისათვის. ორ დემიურგს უთანხმებდა იგი თავის პოეტურ სიტყვას — შინაგან ხმასა და მიზეზთა მიზეზს ზეცის თაღს ზემოთ. ამიტომ არც ერთხელ არ მიუმართავს მორჩილების ან მადლიერების გამომწახველი შესტით ძლიერთადმი ამა ქვეყნისა.

საერთოდ: ბარათაშვილი წარმოუდგენელია სასიკვდილოდ მიმავალი გლადიატორის პოზაში. იგი არც კეისრის ლოჟისაკენ იცქირებოდა, არც ბრბოსაკენ. ბარათაშვილს არც ერთხელ არ აღმოხდომია შეძახილები: „აჲ ცეზარ!“ ან „სალვე პლემს“.

და, თუ მისი ცხოვრება სიდუხჭირეთა ერთი გაბმული მარტიროლოგია, სამაგიეროდ ჩვენ უყოყმანოდ ვუცხადებთ ნდობას მის ჭკუას, არაჩვეულებრივ ნიჭსა და სტოიკურ ვაჟკაცობას.

* *

ტრივიალურად იქცა ციტირება ბარათაშვილის სიტყვებისა:

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან...

ან:

ცულად ხომ მაინც არ ჩაივლის...

და ასე შემდეგ.

ბარათაშვილის, როგორც თავისი დროის კულტურტრეგერის, მთარგმნელის, მშობლიური ლიტერატურისა და თეატრის განვითარებისათვის მზრუნველის შესახებ ისედაც ბევრი დაწერილა. ასე თუ

¹ ქართულად მოტანილი ციტატის სათანადო ადგილს ვ. მოდესტოვი თარგმნის ასე: «...докажите государству...» (იხ. Соч. Корнелия Тацита, 1886 г., т. I, стр. 28), ლათინურ ტექსტში კი წერია: «...ad robat nei publice...» (ტაციტუსი. De vita et moribus Iulii Agricolae, 34). მაშასადამე, ძველი რუსული თარგმანის იმ ტექსტში, საიდანაც ბარათაშვილმა გადმოიღო ქართულად აგრიკოლას სიტყვა, აღნიშნული კონტექსტი სწორად ყოფილა თარგმნილი ლათინურიდან.

ისე გარკვეული ვართ მწერლის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ შეხედულებებში. მაგრამ ის, რაც აშკარად და თვალნათლივ ჩვენ წინაშე დევს, ჯერ კიდევ არ გულისხმობს ბარათაშვილის ამომწურავ გაგებასა და დაფასებას. ცხადია, მცირე მოცულობის ეტიუდში ყველაფრის აღნუსხვა შეუძლებელია. ჩვენი მიზანი მხოლოდ პოეტის ზოგიერთი ლექსის ესთეტიკურ ხარისხზე მითითებაა.

* *

სტილის მხრივ ბარათაშვილის ლირიკა დრამადაა დაკავშირებული ქართული სალიტერატურო ენის უძველეს პლასტებთან, კერძოდ ბიბლიის (ძველი და ახალი აღთქმის) წიგნებთან, ქართულ-ჰიმნოგრაფიასთან.

ბიბლია როდია მარტოოდენ საკულტო ძეგლი, იგი ამავე დროს უდიდესი მხატვრული ძეგლიცაა. მას კარგად იცნობდა ჩვენი ლირიკოსი.

უადრესად საგულისხმოა პოეტის დის ბარბარეს ცნობა — ნიკო საუცხოვოდ კითხულობდა საღვთო წერილსო. დავითის „ფსალმუნისა“ და ქართული ვულგატას შესწავლამ გარკვეული დიდი დაასვა ბარათაშვილის ლექსების ოდნავ არქაიზებულ სტილს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველი ბიბლიური გამოთქმა პოეტის მიერ გამოყენებულია გარკვეული მიზნით, ისინი მოდიფიცირებულია. ამიტომ მხედველობიდან არ უნდა გამოვგრჩეს უკვე ცნობილ სტილურ ფორმულათა ხასიათი საკუთრივ ბარათაშვილის ლექსის სიტყვიერ ქსოვილში, მათი შეფარდება ეპოქის გარკვეულ სტადიაზე მოქმედ ესთეტიკურ პრინციპებთან, რადგან ესა თუ ის სტილური გამოთქმა, როგორც პოეტური მეტყველების წევრი, გაქვავებული სახით არ მოგზაურობს ეპოქიდან ეპოქაში.

ბარათაშვილის ფრაზა არეკლავს ისტორიულ პერსპექტივას, სახეთა და გამოთქმების შერჩევის მომენტს და მასთან — მათს ავსებას ახალი აზრობრივი შინაარსით. ამიტომ ცალკეული შეხვედრების ან ფრაზობრივი დამთხვევების კატალოგიზაცია თავისთავად არაფერს ხსნის. ბარათაშვილის ლირიკაში შემავალი სტილური ინგრედიენტები სრულიად ახალი სამყაროს მოდელის შესაქმნელადაა გამოყენებული პოეტის მიერ.

ბარათაშვილისათვის ბიბლიურ ტექსტებს ისეთივე მნიშვნელობა ექვს, როგორც ჰქონდა მას სებასტიან ბასისათვის, როცა ეს უკანასკნელი თავის ქორალებს ან „პასიონებს“ (მათესა და იოანეს სახარების ტექსტებზე შექმნილ „ვენებებს“) კმნიდა.



ჩვენი მსჯელობა შეიძლება კონკრეტულად დასაბუთდეს. ინტელიგენციის იმ წრეს, რომელსაც ბარათაშვილი ეკუთვნოდა, ძველ და ახალი აღთქმის წიგნების ქართული თარგმანები მშობლიური ენის ყველაზე სრულყოფილ ძეგლებად მიაჩნდა. ასე, ევროპულად განათლებული პლატონ იოსელიანი წერდა ძველი ქართულის შესახებ:

„ენამან ამან დაბადა ენა რუსთაველისა, შავთელისა, ჩახრუნაძისა და ქართველთა წმინდათა მამათა ცხოვრებისა აღმწერელთა. ვითარცა მცოდნე, ვიტყვი გაბედვით, ლათინთა ენისა, ბერძულისა და რუსულისა, ვითარცა მთავართა ენათა, ერთთა დიდთა ეკკლესიათათვის შემწადებულთა, რომელ ენა ქართველთა მრავლით უმცირესი ბერძულისა, არის მრავლით უმაღლესი ორთა სხვათა მხოლოდ ეკკლესიურისა მწერლობისა გამო. სხვანი საერთონი წიგნნი იწერებოდენ არა ეგოდენ ძლიერითა და ტკბილითა ენითა“.

იმავე პ. იოსელიანს ბიბლიურ წიგნთა ქართულ თარგმანებს შორის ყველაზე სრულყოფილად მიაჩნდა იუდეველთა დიდი მეფისა და პოეტის დავითის „ფსალმუნთა“ თარგმანი (ითარგმნა ქართულად IV ან V ს-ში). იგი წერდა: «Ни славянский перевод, ни латинский Вулгата, ни немецкий Лютера, ни французский de Saci, ни итальянский Jovani Диодати псалмов, не могут оспаривать права превосходства и изящества у перевода грузинского. Это я говорю насчет тех мест, которые остались неизменными при издании псалмов в Москве 1743 году. Это торжество языка, торжество духа типического, отражающих на словах, столь ясных, величественных, вполне воплощающих великие мысли величайшего поэта. Искатели поэзии грузинского слова, как в псалмах, так и вообще в церковных книгах, найдут лучшие и богатые образцы выражений поэтических... язык массы, всегда и у всех народов, был и будет не литературным“.

პ. იოსელიანი ნამდვილი მეტრი იყო ენისა და სტილის საკითხებში გრივთვლი ორბელიანისათვის, რომელიც აგრეთვე ასეთად ჰყავდა მიჩნეული მის გენიალურ დისწულს. გრ. ორბელიანი წერდა „ახლანდელთა მწერალთა“ მისამართით: „მათ არა ჰქონიათ შემთხვევად ღრმად შესწავლებისათვის ქართულისა ენისა, და ამა მიზეზითვე არ არიან ჩვეულნიცა საღმრთოსა წერილისა, რომელიცა არის, მართლად, გამოუღვევლი საუნჯე ჩუენისა ენისა, და რომელშიცა მა“

ღალნი და ღრმანი ჰაზრნი არიან გამოთქმულნი ადვილადქ და მეტად მშუენიერის ფორმითა“.

საკუთრივ ფსალმუნთა შესახებ გრ. ორბელიანი ერთგან იმოწმებს ფ. შლეგელს: „ფსალმუნი არის თავისუფლებითი ამბოღება სულისა ღვთისადმი. ნახე ისტორია ლიტერატურისა შლეგელის მიერ“.

პოეტმა პრაქტიკულადაც განახორციელა ეს აზრი. მისი შესანიშნავი „ფსალმუნი“ ამის დადასტურებაა. ლექსის პირველი ტაეპი —

„ვინა ადვიდეს მაღალსა მას მთასა წმინდასა“ —

პირდაპირ აღებულია დავითის „ფსალმუნი“-დან (23, 2):

ვინ ადვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმინდისა მისსა?

გრ. ორბელიანის „ფსალმუნი“ არსებითად ამ ტაეპის პოეტურ მსჯელობად გაშლას წარმოადგენს. პოეტი უშუალოდ დავითის ფსალმუნებიდან ამოდის².

იმავე მეთოდს მიმართავს ბარათაშვილი ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ცალკეულ გამოთქმათა გამოყენებისას.

* *

ჯერ კიდევ 1933 წელს დაწერილ ნარკვევში „ნიკოლოზ ბარათაშვილის სტილი და თემა“ ჩვენ საგანგებოდ მივეუთითეთ „ჩემი ლოცვა“-ს ავტორის პოეტური მეტყველების კავშირზე ბიბლიასთან და ქართულ ჰიმნოგრაფიასთან. კერძოდ „დავითის ქნარი“ ნ. ბარათაშვილისათვის კარგად იყო ცნობილი, იგი მას პირდაპირ ახსენებს ლექსში „ეპპოვე ტაძარი“ („ანგელოსთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი“³), რომელიც მთლიანად დავითის „ფსალმუნთა“ ცალკეულ მუხლებში გამოთქმული სიმძიმითაა გამსჭვალული. ყველაზე

² 1843 წელს გრიგოლ ორბელიანი სთხოვდა აგარიიდან თავის ძმას ილიას: „ამას გარდა ერთი დავითნი გამომიგზავნე და ერთიც ეეფხისტყაოსანი პატარა დაბეჭდილი“ (წერილები, I, 80). როგორც ჩანს, ილიას შეუსრულებია თხოვნა მისთვის. გვიან (1846 წ. 18 თებერვალს) გ. ორბელიანი სწერდა მანანა ორბელიანს: „წინ მიძევს დავითნი და ყოველ დღით თითო კანონს ეპკითხულობ ცრემლებითა და შენანებითა, რომ ესოდენი წელიწადნი ჩემნი წასულან ამოდ“ (იქვე, I, 119—120).

³ ნ. ბარათაშვილს გულდასმით უკითხავს ჩახრუხაძე, რომელსაც აქვს ტაეპი: პლატონის ენა, დავითის ქნარი“ (II, 15).

მკაფიოდ კი „ფსალმუნთა“ ცალკეულ გამოთქმათა სახეცვლილი გამოყენება გვაქვს ლექსებში „ჩემი ლოცვა“ და „შევიშრობ ცრემლსა...“ მაგ., დავითის „ფსალმუნნი“ შეიცავს გამოთქმას (12, 3):

ვიდრე ვისთავს დავისნე ზრახვანი
სულსა ჩემსა და საღმთობანი გულსა
ჩემსა დღე და ღამე?

ეს მუხლი შემდეგნაირად გახშირდა ბარათაშვილის „ჩემს ლოცვაში“:

ღამინთქე მასში საღმთობანი გულისა სენთა.

საერთოდ სიტყვა „საღმობა“ ხშირადაა ნახმარი „ფსალმუნში“. შდრ.: „გარე-მომადგეს მე საღმობანი სიკუდილისანი“ (17, 5), „საღმობათა ჯოჯოხეთისათა მომიცვეს მე“ (17, 6), „...ჭირი და საღმობაჲ ვბოე“ (114, 3) და სხვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დავითის მიმართვანი უფლისადმი ბარათაშვილთან ტრანსპონირებულია სატრფოზე. მაგ., „ეპპოვე ტაძარში“ ნათქვამია უიღბლო სიყვარულის გამო:

ვერსად აღვანთე ღამთობილი მისი ღამპარი.

„ფსალმუნ“-ში კი დავითი მიმართავს იეპოვას (17, 29):

რამეთუ შენ აღმინთო სანთელი ჩემი,
უფალო, ღმერთო ჩემო, განმინათლო ბნელი ჩემი.

შესანიშნავადაა შენაცვლებული მიმართვის ადრესატები ბარათაშვილის შედევრშიაც „შევიშრობ ცრემლსა“... დავითის ფსალმუნებში უზუნაესს მიემართება ლოცვა (140, 2):

წარემართენ ლოცვაჲ ჩემი ვითარცა
საკუმევეელი შენ წინაშე...

ბარათაშვილს კი თავისი ლოცვა გადააქვს სატრფოზე:

შევიშრობ ცრემლსა ჭირთ მანელბელს,
გულსა დავიწვაჲ დასანაცრებელს
და მისსა ფერფლსა, ვითა საკმევეელს
შეესწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს.

ასე, ბიბლიური გამოთქმება ფუნქციურად სახეცვლილი ჯდებიან ჩვენი პოეტის ლირიკულ ღაღადისში.

დავითის შესახებ მეფეთა მეორე წიგნში (6, 5) ნათქვამია: „ხოლო დავით და ძენი ისრაელისანი ვიდოდეს წინაშე უფლისა მროკველნი თრღანთა შექ მობილითა ძლიერითა, და გალობითა, ებნითა, და წინწილითა, და ბობღნითა, და საყვრითა და სტჯრებითა“.

დავითი უფალს აღუვლენდა ლოცვას, ზემოთ მოყვანილ ფრაგმენტში კი (აგრეთვე მთელს ლექსში) ბარათაშვილს თავის სალოცავად მიაჩნია „სიტურფის ღმერთა, ყოვლნი კეთილნი რომ შეიერთა“.

ასევე იყენებს ნ. ბარათაშვილი ქართულ ვულგატასაც (ე. წ. „ოთხ-თავს“, სახარებას).

მაგ., ლექსში „ჩემს ვარსკვლავს“ პოეტი მიმართავს სატრფოს სახებას:

შენ არ იცი, რა საამეს მომაგებ,
როს მიბჟუტვით ნისლით-გამო მინათებ.

„ნისლით-გამო“ ნიშნავს ნისლიდან“-ს (თანდებული „გამო“ = დან-ს) და მთელი ტაეპი უბრწყინვალესი პოეტური ნიუანსის შემცველია: საყვარელი სახე, როგორც ვარსკვლავი, პოეტს ნისლიდან უნათებს მიბჟუტვით! ეს სახე მოდის ქართულ ვულგატადან: „და აჰა მამა იყო დ რ უ ბ ლ ი თ — გ ა მ ო და თქუა — ესე არს ძე ჩემი საყუარელი“ (მათე, 17, 5) და სსგ.⁴

ჩვენის მხრით დაეუმატებთ, რომ ძველ აღთქმაში, კერძოდ დავითის „ფსალმუნებში“, ანალოგიური გამოთქმები ხშირად გვხვდება. მაგ.:

მოავლინე შენდა შემწე წმინდით მისით და
სიონით გამო ჴელი ადგიჴარნ შენ (19, 3).

ან

აღადგინა ბღუარი ცით გამო და გამოავლინა
ძალთა თვისითა ჩრდილთა (77, 26).

ეს ფორმა გავრცელებულია გვიანდელ თარგმნილ ძეგლებშიაც. მაგ., პატერიკში:

... და სუეტსა მას დ რ უ ბ ლ ი ს ა ს ა, რომლისა გამო
მოსეს ღმერთი ეუბნებოდა⁵.

4 ნ. ბარათაშვილის ლექსის მოტიანილი ადგილის ასეთი, პირველი და შესანიშნავი, ახსნა ეკუთვნის ი. ვ. ლოლაშვილს (იხ. მისი „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1968, გვ. 40—41).

5 იხ. შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები. I, თბ., 1968, გვ. 96. „ძველ აღქმაში“ კი თანდებული „გამო“ ხშირად გვხვდება.

ნ. ბარათაშვილის დასახელებულ ლექსში გამოყენებული სიტყვები „ღრუბელი“, „ნისლი“ და „ნაბერწყალი“ (შდრ. ბარ. „ნაბერწყალნი ეშისა მომყარე“), თანდებულ „გამოსთან ერთად, ხშირად გვხვდება „ფსალმუნის“ შემდეგს ტაეპებში. მაგ.:

ბრწყინვალეობთა მისითა მის წინაშე ღრუბელნი წარვიდეს, სიტყუა და ნაბერწყალი ცეცხლისაჲ. და ქუხდა უფალი ციხით გამო და მალაღმან მოსცა ჯმა თვისი (17, 13 — 14).

ღრუბელი და ნისლი გარემო არს მისსა (96, 2) და სხვა.

თუ ძველ და ახალ აღთქმასა და დავითის ფსალმუნებში უფალი ნისლითა და ღრუბლითაა გარემოცული ან მრისხანედ მძვინვარებს, ბარათაშვილის სიტყურ ფის ღმერთა, იმავე ნისლიდან ვარსკვლავივით მონათებს. პოეტს უნდა ამ ვარსკვლავმა ღრუბელი და ნისლი გადიყაროს, მთელი ბრწყინვალეობით მოაფრქვიოს ნაბერწყალნი მიწაზე დარჩენილ მგოსანს. ამრიგად, ბარათაშვილის ღმერთას სახება ისევე იკავებს ადგილს ვარსკვლავების ხომლში, როგორც დანტეს ბეატრიჩე ან პეტრარკას ლაურა, რომელიც ანგელოზებს შორის იმყოფება და ციდან მიუხმობს თავის მიჯნურს.

* *

შესანიშნავად იყენებს ბარათაშვილი ქართული საერთო ლიტერატურის ძეგლების ცალკეულ გამოთქმებსაც. იგი შედარებით იცნობს არა მარტო რუსთაველს, არამედ ჩახრუხაძისა და შავთელის ოდებს (რომლებიც, სხვათა შორის, მის ღრთს უკვე ბეჭდური სახით გამოსცა პ. იოსელიანმა).

ჯერ კიდევ 1933 წელს აღვნიშნეთ, რომ ბარათაშვილის პოეტურ ლექსიკონში მხოლოდ ერთხელ გვხვდება სიტყვა, რომელიც პირველად და მხოლოდ და მხოლოდ ჩახრუხაძის I ოდაში მოიპოვება. შდრ.:

ჩახრუხაძე (I, 7):

შუქნი კრთებიან, ემუქმებიან
ზოალი ინებს დაქადებულად.

ნ. ბარათაშვილის „ნა... ფორტეპიანოზედ მომღერალი“:

თმანი ნაშალნი
მყერდზედ დაყრილნი
ემუქმებიან.

ხოლო „ჩემი ლოცვის“ უკანასკნელი ტაეპი არეკლავს შავთელის ოდების სულ ბოლო სტროფის დამამთავრებელი ტაეპის გავლენას.
შდრ.:

შავთელი:

გვედრებ თქვენ სულად, ქებისა წილად
ჩემგან დუმილი თვით მიითვალეთ (108).

ბარათაშვილი:

და ჩემთა ბაგეთ რაღა დაუშო შენდა სათქმელად,
მაშა დუმილი მიმითვალე შენდამი ლოცვად.
(„ჩემი ლოცვა“)⁶

ამრიგად, ბარათაშვილის სტილის ანალიზში ცხადყო, რომ პოეტი ხილს სდებს ბიბლიასა და ქართულ ჰიმნოგრაფიასთან, ერთის მხრივ, ხოლო ძველ ქართულ საერთო ლიტერატურის ძეგლებთან, მეორეს მხრივ. ამასთან აღსანიშნავია, რომ კერძოდ „ჩემს ლოცვაში“ იგი აღრესატს სცვლის შავთელთან შედარებით: ეს უკანასკნელი მიწიერ სიუჟეტურს აღუვლენს ლოცვას, ბარათაშვილი კი ღმერთს. ეს ღმერთი „ჩემი ლოცვის“ ავტორის დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. არა, — დიდი ილიას დროსაც (იხ. მისი შესანიშნავი „ლოცვა“).

ბარათაშვილის სტილის სხვა მხარეები განხილული გვაქვს სპეციალურ ნარკვევში „ბარათაშვილის სტილი და თემა“ (1933).

• *
ნ. ბარათაშვილს ეკუთვნის საკვირველი ტაეპები:

და კაცსა შორის ვით კერძოსა ღვთაებობისა
რად ვრწამს არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა.

ბარათაშვილი თვითონ იყო ღვთაების წილი, მისი „კერძო“, და „საუკუნო მადლს“ უძღვნა ჭეშმარიტად ღვთაებრივი სუნთქვით გამთბარი ტაეპები:

შევიშრობ ცრემლსა ჭირთ მანულებელს,
გულსა დავიწვავ დასანაცრებელს,

⁶ იხ. ჩვენი „ნიკოლოზ ბარათაშვილის სტილი და თემა“ (1933), („რჩ. ნაწ.“, I, 78).



და მისა ფერფლსა, ვითა საგმევლს,
 შევქსწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს!
 მის თვალთა ჰხარობს სამოთხე ჩემი,
 ჩემი წარმწყმედი, მაცხონებელი,
 განმამბრძნობელი, გამხელებელი.
 ვით არ ვადიდო სიტურფის ღმერთა!
 ყოვლნი კეთილნი მან შეიერთა,
 სულსა მოპებრა ცის ნიჭნი ქვეყნად
 და თავის მკობად ჰქმნა იგი მგონნად!

ეს ლექსი დაამშვენებდა გენიოსი ფლორენციელის „ახალ ცხოვრებას“ ან ავინიონის აბატიის განთქმულ „კანცონიერს“.

ზემოთ მოტანილი ჰიმნი კი ანჩისხატის უბანში მცხოვრებ ოქროპირს ეკუთვნის. მხროლდ „საუკუნო მადლის“ წინაშე იხვედა უკან ჩვენი პოეტის არსებაში სკეპსისის აჩრდილი.



ხშირად დიდი პოეტის მხატვრული მემკვიდრეობა მხოლოდ ნაწილობრივად ობიექტირებულ შესაძლებლობათა შთაბეჭდილებას სტოვებს. განსაკუთრებით ეს ითქმის ბარათაშვილზე. მისი ნაადრევი სიკვდილი ყველაზე დიდი კატასტროფაა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

და მაინც: რამდენად ჩამორჩენილნი ვიანვართ მასთან შედარებით! ყოფილი „სტოლნაჩალნიკი“, ბოლოს ცხენზე მჯდომი, მათრახით ხელში რომ დასდევდა განჯის მახლობელ ტყეებში ყაჩაღებს შესაპყრობად, — ქართული ლირიკის მწვერვალადაა აღმართული. ეს გაღარიბებული არისტოკრატი საქართველოს რუსეთთან შეერთებაში მშობლიური ქვეყნის კულტურულ ძალთა გამდიდრებისა და მომავალი ეროვნული გამოღვიძების საწინდარს ხედავდა. ბარათაშვილამდე სულ რამდენიმე ათეული წლის წინ ქართულ პოეზიას სპარსული ბაიათებისა და მუხამბაზების ხმები ავსებდა, ბარათაშვილს კი ამიერიდან რუსეთის მეშვეობით დასავლეთიდან მოზიდული „თესლი ძვირფასი“ ეზმანებოდა. ბარათაშვილს სწამდა, რომ:

ყველასა აქვს ჟამი და ბოლო...

ზამთრით ბუნება არა ჰკვდება...

და მყის ვითარის მვენებითა
 კვლავ შეიფურცელის,
 ოდეს მერცხალნი ახარებენ
 მოსვლას საყვარლის!

ბარათაშვილი ღრმად იყო დარწმუნებული მშობლიური ქვეყნის
დიად მომავალში.



* *

სალექსო რიტმის დიდი ხელოვანი იყო და, როგორც ყველა ჰემ-
მარიტი ლირიკოსი, ამ სფეროში მანამდე მიკვლეულ ფორმებს ეყრდ-
ნობოდა (ბესიკის 14-მარცვლიანი საზომი, შავთელური და სხვა). მი-
სი ლექსის სტრუქტურულ ელემენტებს გამოგონილი საზომები კი არ
შეადგენდა, არამედ უკვე ნაცნობი, მაგრამ ფუნქციურად სახე-
ცვლილი მეტრები. არც ერთი რიტმული სქემა პუშკინისა ახალი
არაა; რიტმის უდიდეს ჯადოქარს მუსიკაში, ბეთჰოვენს გამოგონილი
რიტმული ელემენტებისათვის არ მიუმართავს. ნოვატორთა მიგნებული ხერხები
უნდა გაცვდეს, რათა მათ ახალი სიცოცხლე გენიამ მიანიჭოს.

ამჟამად არავის მოუვა ფიქრად, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის
ტაეპი — „ოი საღამოვ, მყუდროთ, საამოვ...“ გენეტიკურად დაუკავ-
შიროს ბესიკის ტაეპს — „ტანო ტატანო, გულწამტანო...“ ნამდვილად
კი, ბარათაშვილის შესანიშნავი ტაეპის შორეულ ფერმენტს სწორედ
ბესიკის ზემოთ მოტანილი მუხამბაზური ტავტოლოგია წარმოად-
გენს.

საერთოდ, პოეზია ასეთი ფერმენტების შეუმჩნეველი ასიმილაცი-
ის მომენტებს შეიცავს. მათი გალხობა მხატვრულ მეტყველებაში
ღრმა აზრის უღმობელი ზეგავლენით მიმდინარეობს. პოეტურ სუბ-
სტრატში პირვანდელ ფერმენტთა დაჭერა ლიტერატურის, როგორც
სისტემის, ისტორიულ პერსპექტივაში შესწავლას მოითხოვს.


* *

ბოლოს და ბოლოს სანთელი უნდა დაიწვას. პოეტის მისიაც მუდ-
მივ შემოქმედებითს წვაშია.

ოდესღაც წარმართი და შემდეგ გაქრისტიანებული ნეტარი ავგუს-
ტინე წერს „აღსარებაში“ („კონფესიონ“), რომ ისტორიის პათოსს
დამწვარ სულთავან ავარდნილ ალთა ელვარება ქმნისო, ხოლო მუს-
ლიმანი ნიშამი „საიდუმლოთა საგანძურში“ ურჩევდა მგოსანს:

იქვე სანთლად და გაიხარე თავისივე თავის შთანქმით!

2. ნ. ბარათაშვილი



ნებას ვაძლევ ჩემს თავს აქვე მოვიტანო ამ ტაეპის რუსული,
ბერტელსისეული თარგმანი მეტი სიზუსტის მიზნით:

Стань свечой, будь радостен поеданием самого себя!

ბარათაშვილის სულიდან ამომავალი ნათელის ელვარება ისე დი-
დი და დამაბრმავებელია, რომ მას არ უწერია ჩაქრობა წელთა მა-
რადიულ სელაში.

აკაკი ზაფხიძის



ქ ვ ჯ ს ე ბ ი

1834 — 1845



ლექსების დედნები

- A — S 2516 (ავტოგრაფული კრებული 1843 წლისა).
- B — H 2033 (ავტოგრაფული კრებული 1843 წლისა).
- C — S 2701 (ავტოგრაფული კრებული 1841 წლისა).
- D — S 2484 (მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილი ლექსების ავტოგრაფები).
- E — H 1115 (ავტოგრაფული კრებული 1842 წლისა).
- F — G. ბარათაშვილის ლექსების 1876 წლის გამოცემა.
- G — პირველნაბეჭდი ლექსები („ივერია“, 1882, № V — V), რომლებიც გადმოღებულია ვკატერინე ჭავჭავაძის არქივში დაცული ავტოგრაფებიდან.
- H — H 2417 (ავტოგრაფი 1844 წლისა).
- H¹ — საქართველოს ლიტ. მუზეუმის ხელნაწერი № 16398 (ავტოგრაფი 1844 წლისა).
- H² — H 572 (ავტოგრაფი 1844 წლისა).
- I — პირველნაბეჭდი („ოფატრი“, 1886, № 30, გვ. 337).
- J — პირველნაბეჭდი („ცისკარი“, 1862, № 10, გვ. 144 — 145).
- წ — G. ბარათაშვილის პირველ წერილში ჩართული ლექსების ავტოგრაფები.

შენიშვნა: ზოგიერთ ლექსს ბოლოზე უწერია ორი თარიღი (მაგ.: „1835 [1843]“). პირველი თარიღი ვკუთვნის პოეტს და მიუთითებს დაწერის დროზე, მეორე კი აღდგენილია რედაქციის მიერ და აღნიშნავს ლექსის უკანასკნელი ვარიანტის შემუშავების დროს. ყველა ლექსს სქოლიოებში ურთვის ვარიანტები.

ბულბული ვარდზედ

ბულბული ვარდზედ მჯდარი, ეტყოდა მას მსტკინავი:
 «ვარდო, ვარდო, მტანჯ ჩემო, გვედრებ გულით მტკინავი;
 მადირსე, თუ როგორ არს გაშლა შენი მღინავი,
 4 მწუხრსა აქეთ აქ ვზივარ, ფურცლებზედა მკონავი!»

ასე ჰყეფდა ბულბული, ოდესცა ღამე ბნელი
 მოიცივამდა ჭალებსა, ჰჭრიდა ნიავი ნელი.
 და როს სდუმდა ბულბული, მაშინ აღმოჰსდა მთვარე,
 8 ვარდმანც მაშინ მოჰფინა სუნნელება მის არე.

მაგრამ მგოსანსა თურმე მოერია, გლახ, რული.
 აღმობრწყინდა მთიებიც და ფრთოსანთ მხიარული
 გალობა ჰყვეს ჰაერში, განალეძეს ბულბული;
 12 ნახა ვარდი ფურცვნილი და მყის მოუკვდა გული.

თვალნი ემოსა ცრემლით, გული — სევდის საცლმითა,
 ფრთა ფრთას ჰკრა და აღმალღდა, მსტკინავი ღმობის ხმითა.
 უხმო ყოველთა სირთა: «მოდით და შემოკრბითა,
 16 მისმინეთ, შემიბრალეთ, ვის მივმართო წყლულითა?»

«განთიადით ღამედმდე შევჰფრფინვიდი კოკრობას,
 არ ვზოგავდი სიცოცხლეს, უძილობას, გალობას;
 მქონდა მცირე წადილი, ვერ მივხვდი კი ძნელობას:
 20 მსურდა გაშლა ვარდისა, არ ვჰფიქრობდი დაქკნობას!».

წელსა 1834.

¹ ვარდზედ შეჯდა და ეტყოდა მსტკინავი C. 3 მღიმავი F. 7 ჰსდუმდა ABCEF. 17
 შევფრფინვიდი ABCF. 20 ვფიქრობდი EF.

ქ მ თ მ მ ა ნ

ზვირთები მოდუდუნებენ,
ქალები ბუჩქნარებენ,
ხშირნი ლამაზთა კიდეთა
4 მჩქეფრად მდინარის ქსნისათა.

მიმქრქალებული მთოვარე მოწყენით ჰნათობს მუნ ქალსა;
მდინარის პირზედ ზის იგი, ხელთა ჩონგურის მპყრობელი;
გიშრისა თმანი ნაშალნი ჰშვენიან სპეტაკს საცმელსა
8 და დამღერს იგი საკვდავად, ცხარეთა ცრემლთა მდენელი:

«აე-ენანო, ოდეს დასცხრეთ,
მოასვენოთ ეზდენ სული?
რა გარგოთ, რომ შეიშურეთ
12 უბიწოთ სიყვარული?»

«გულის-სწორო, ერთის ცილით
აგრე როგორ შეიცვალე,
რომე ტრფობა ჩვენი ამ ხნით
16 მას აგრე მსწრაფლ ანაცვალე?»

«თუ ვერ მცნობდი, რად მეტყოდი:
მე შენი ვარ საუკუნოდ?
სიყმაწვილეს რად მიღხენდი,
20 თუ მოჰკლავდი ასე უდროდ?»

«რად შემბჰყარ მე გლახ-გული,
უმანკო და უზრუნველი?
რად დამიქენე მე ყვავილი
24 ყმაწვილობის, ჯერ უშლელი?»

5 მიმქრქალებული F; ნათობს ACE. 6 მდინარის პირზედ ზის იგი] რომელიცა ზის ნაპირსა C; ჰის ABEF. 7 აე-ენანო ABCE; დასცხრეთ ABCEF. 12 გულის-სწორო ABCE. 16 მსწრაფლ ABCEF. 21 მე გლახ-გული] ჩემი გული C. 24 ყმაწვილობის C.

«ეს ნუგეშს მცემს, საყვარელო,
რომე არის სხვა სოფელი;
ოდეს სცნა, რომ ვარ უბრალო,
²⁸ მოვედ, მოვედ, მუნ მოგელი!»

სდუმდა და მეცა ვიცანი
ქეთევან ჰაეროვანი,
ქეთევან ნაქები გულით,
³² ნაქები მშვენიერებით.

ნეტა რა ქარმან დააზრო მისის სიტოცხლის ყვავილი?
მეც ამატირა მის მხვედრმან, მაგრამ ვერ ვეცი ნუგეში:
ქეთევან შუა ქსანშია მარად შეერთო ღელვილი;
³⁶ მხოლოდ ისმოდა სახელი ამილბარისა ზვირთებში.

1835 [1843]

²⁴ ამ ტაეპის შემდეგ CE ავტოგრაფებში იკითხება: საყვარელო ნეტა ოდეს / გეცნას ჩემი კვლავ სინათლე, | რომ მშვიდობით მე სამარეს | შთამესვენა გლახ სიტოცხლე (E-ში ეს სტროფი წაშლილია). ²⁵ ნუგეშ E. ²⁷ მსცნა ABCEF. ²⁹ მსდუმდა ABCEF. ³² მშვენიერებით C. ³⁶ ამილბარსა] ელიზბარსა CE (E-ში „ელიზბარსა“ წაშლილია და ზევიდან მიწერილია „ამილბარსა“).



შემოღობა მთაწმიდაზე

ჰოი მთაწმიდავ, მთაო წმიდავ, ადგილნი შენნი
დამაფიქრებლნი, ვერანანი და უდაბურნი
ვითარ ჰშვენიან, როს მონამენ ცვარნი ციურნი,
⁴ ოდეს საღამოს დაჰშთენ ამოს ციაგნი ნელნი!

ვითარი მაშინ იღუმელობა დაისადგურებს შენს არე-მარეს!
რა სანახავი წარუტყვევს თვალთა
მაშინ შენს ტურფას სერზედ მდგომარეს!
ძირს გაშლილს ლამაზს ველსა ყვავილნი
მოჰფენენ, ვითა ტაბლას წმიდასა,
⁸ და, ვით გუნდრუქსა სამადლობელსა,
შენდა აღკმევენ სუნნელებასა!

მასსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,
კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი
და წყნარს საღამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,
¹² რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!

ოჰ, ვით ყოველი, ბუნებაც მაშინ იყო ლამაზი, მინაზებული!
ჰე ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული!
აწცა რა თვალნი ლაქვარდს გინილვენ,
მეის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან,
¹⁶ მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!

მე, შენსა მკვრეტელს, მავიწყდების საწუთროება,
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,

¹ ახ, მთაწმიდაო, მთავ წმიდაო C (E-ში გასწორებულია არსებულთ C-ს წაკითხვა).
² დამაფიქრებლნი ABC. ³ შვენიან AE. ⁴ იღუმელობა CF (E-ში ეს წაკითხვა გასწორებულია არსებულთ). ⁷ ვითა] რეცა CBEF. ⁹ ნაღვლიანი | სევდიანი C (E-ში ეს სიტყვა წაშლილია და თავზე მიწერილია „ნაღვლიანი“). ¹³ ოჰ] ახ CE. ¹⁶ და მიუშვედარსა შენსა წიაღში მიმოობითა განიბნევიან CE (E-ში ტაეპი წაშლილია და გასწორებულია არსებულთ). ^{18,20} CE ავტოგრაფებში ეს ტაეპები იკითხება სხვა რედაქციით: გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ზესენელსა სადგურს / ეძიებს, რათა დაშთოს აქა ამოება... / მაგრამ



ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამოება...

²⁰ მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს!

დაფიქრებული ვიდევ სერზედა

და ცათა მიმართ მზირალს ტრფობითა შემომერტყმოდა მაისის მწუხრი, აღმსეები ნაპრალთ მდუმარებითა; ხანდისხან ნელად მქროლნი ნიაენი ღელეთა შორის აღმოკვნესოდენ ²⁴ და ზოგჯერ ჩუმნი შემოგარენი ამით ჩემს გულსა ეთანხმებოდენ!

მთათ ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო, ვინ მოგინილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება არა იპოვოს და არ დაჰხსნას გულსა ვაება;

²⁸ გულ-დახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!

სდუმდა ყოველი მუნ არე-მარე, ბინდი ვადეკრა ცისა კამარას. მოსდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მარტო მისა ამარა-გინახავთ სული ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მიქანცებული? ³² მას ჰგავდა მთვარე ნახად მოარე, დისკო-გადახრით შუქმიბინდული!

ამგვარი იყო მთაწმიდაზედ შემოღამება!
ჰოი ადგილნო, მახსოვს, მახსოვს, რასაც ვჰფიქრობდი მე თქვენთა შორის და ან რასაც აღმოვიტყოდი!

³⁶ მხოლოდ გული ჰგრძნობს, თუ ვითარი სძლევნით მას შვება!

ჰოი სადამოვ, მყულროვ, საამოვ, შენ დამშთი ჩემად სანუგეშებლად! როს მქმუნვარება შემომესევს, შენდა მოვილტვი განსაქარებლად! მწუხრი გულისა — სევდა გულისა — ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს, ⁴⁰ რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!

1836 [1843]

ჰერშივ განქარვდების, ვერ სცნობს უცნაურს CE (E-ში ტექსტი გასწორებულია არსებულთ). ¹⁹ სამყოფთ BF; დაშთოს B. ²⁰ სცნობენ ABEF. ²² აღმსეი C. ²³ მხოლოდ ნიაენი ნელიად მქროლნი CE (E-ში წაშლილია და გასწორებულია არსებულთ). ²⁴ და ზოგჯერ ჩუმნი] და მდუმარენი CE (E-ში წაშლ.). ²⁶ სდუმდა ABEF; სდუმენ ყოველნი არემარენი CE (E-ში გასწორებულია არსებულთ). ³⁰ მოჰსდევს BF; მისსა C. ^{31,32} C და E ავტოგრაფებში იკითხება სხვა რედაქციით: ვითა უბიწო და მშვენიერი სული ლოცვითა მიქანცება | და სახე მისი ამქვეყნიური, მით უფრო მშვენი ვაციურდება, მას ჰგავნდა მთვარე შუქმიბინდული | დისკო ვავსილი, მინაზებული CE (E-ში ეს ტექსტი წაშლილია და გასწორებული არსებულთ). ³² ნახად მოარე] სახე მოსრილი E (წაშლ.), ნახად მოვარე ABE; -მიბინდული E. ³⁴ ვფიქრობდი E. ³⁶ სძლევნით ABCEF. ³⁷ ჰოი სადამო, მყულრო, საამო C.



ხმა იღუმალი

ვისი ხმა არის ეს საკვირველი?
რად აქვს გულს ესე ჩუმი ნალველი?

რა ვცან პირველად წუთისოფელი,
⁴ დავშთე ადგილი, სადაცა წრფელი
რბიოდა ნათლად დრო ყმაწვილობის
სწორთა, თანზრდილთა, მეგობართ შორის, —
მას აქეთ ხმა რამ თან სდევს ყოველთა
⁸ ჩემთა ზრახვათა და საწადელთა!

ცხადად თუ სიზმრად, მე იგი მარად
სულ ერთსა მიწვრთნის გულისა ქირად:
«ესიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი,
¹² ვინძლო იპოვნო შენი საშვენი!»
მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვპპოვებ
და მით კაეშანს ვერღა ვიშორებ!

ნუთუ ხმა ესე არს ხმა დევნისა
¹⁶ შეუწყალისა სინიდისისა?
მაგრამ მე ჩემში ვერ ვპპოვებ აესა,
მისს საშფოთველოს და საქენჯნაესა.

ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი
²⁰ ან თუ ეშმაკი, მაცთური ჩემი?
ვინცა ხარ, მარქვი, რას მომისწაევბ,
სიცოცხლეს ჩემსა რას განუმზადებ?
როს ვცნა მე შენი საიდუმლობა,
²⁴ როს მხვედეს ამ სოფლად ჩემი წილობა?...

1836

1 საკურველი BE. 3 ვპსცან AB EF; ესე სოფელი E (წაშ.). 4 დავკშთე AB EF; 6 კსწორთა ABE, 7 კსდევს AB EF. 12 ვპპოვებ F. 20 ვპსცნა AB EF. 23-24-ე ტაეებები E-ში წერებულა: როს მივხედე შენსა იღუმალობას| როს ვპსცნა ამ სოფლად ჩემსა წილობას E.

ძია ბ...სთან

ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი,
წაგართო ავის ენისა გესლმან;
სატრფონი მისნი, შემოგარენი

- ⁴ გარდახვეწილსა დაგიხშო ეტლმან!
მაგრამ გაჩნს კიდევც გულში მის არე,
გიყვარს ყაბახის კარგიც და ავი,
თუმც უცხო-უცხო თემად იარე,
- ⁸ მრავალი კარგი ჰნახე ამბავი.
მაგრამ რას ჰხედავ აწ კრული ჩრდილოს?
აჰა, ის ღამე, ოდეს სატრფონი
ალამაზებდენ შენს ყაბახს ამოს,
- ¹² შენის სიყრმისა თან-ზრდილნი სწორნი.

[1836 წ., ზაფხული]

⁷ უცხო-უცხო] უცხო და შორს წ.; ⁸ ნახე C; ¹² სწორნი CG.



ღამე ყაბახზედ

მიყვარს ყაბახის არე-მარე თვალად საამო,
მაისის ღამე მიბუნდვილი, გრილი და ამო;
მაგრამ უმეტეს მიყვარს ღამე, როს მთვარე შუქით
⁴ მოჭფენს ყაბახსა და კოჯორი დაჰქრის ნიავეთ,
და მომდინარე ხან ზვირთთ-ცემით, ხან ნელად მტკვარი
მოოხრავს შორით, ვით მიჯნური, ჟამთ მოჩივარი!

ამგვარი იყო ის ღამეცა, ოდესცა გარე
⁸ ფიქრით მოცულმან ჩვეულებრივ ყაბახს ვიარე.
აქა გუნდ-გუნდად დარაზმულნი აქა-იქ ქალნი
პირად-პირადად ღვირთობდენ, კეკლუც-მოსილნი,
და მათ გარემო შეჭფრფინვიდენ ყრმაწვილნი კაცნი —

¹² ზოგნი ღამძნილნი, ზოგნი ტრფიალ და ზოგნი ანცნი.
თვითონ ცის მთვარეც მოწიწებით ღრუბელთ ეფარა,
როს ქ ვ ე ყ ნ ი ს მ თ ვ ა რ ე თ შეეტრფოდენ და მას კი არა.

«თქვი რამ», ეტყვიან ყაფლანს ზოგნი-ერთი ქალები,

¹⁶ «თუნდ თ ა ვ ს ა უ ფ ლ ა დ, ახლა პრანჭვას ნუ კი მოჰყვები!»
ყაფლანც სულდგმული აშიკობით დაილიდინებს
გულის საკვდავად და თან და თან ყელს მოიღერებს.
ვის არ ჰსმენია ლექსი ესე, რომ მყის სევდები

²⁰ არა აჰშლოდეს ჩვენსა ქალსა — ტრფობის ჭირები.

უეცრად მათში დავინახე თეთრკაბიანი
და მეყვსეულად მან მიმიღო ჩემნი ცნობანი.
არ ვიცი, ამ დროს რად აღვიგზენ უფროს ცეცხლისა?

²⁴ სად არს სილაღე, სად არს ძალი გრილის გულისა!
ენახე სადღაცა ქალთ კრებაში როდისღაც ე რ თ ი,
მას აქეთ თვალი ველარ მოვჰკარ და ახლა ერთი

⁹ აქა-იქ] აქ-იქ C. ¹⁵ ჰსთქვი CG. ²⁰ აშლოდეს CG. ²⁶ მოჰკვარ CG.



დგას აქა კრძალვით, ვით ქურციკი, ვეფხვთა შორისა;

²⁸ ყელი ყელყელობს, აღმგზნებელი გულთა.ჭირისა!
 თვალი შემასწრა მან ამ დროს მე და შემომცინა;
 ამან გამამხნო და გულს ძგერით წარვსდგევი წინა
 და ასე ვუთხარ: «ნეტარ მე, რომ მეღირსა კვალად
³² სანატრი ჩემთვის ნახვა თქვენი აწ მხიარულად!» —
 «გმადლობთ», მითხრა მან, «რომ თქვენ მაინც გახსოვართ კიდევ,
 ახლა მ ო დ ა ა, ვინც ვის იცნობს, ივიწყებს ისევ». —
 «დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოდები
³⁶ ვერ მომიშლიან თქვენსა ხსოვნას და ვერც დროები!»
 ამა სიტყვაზე ვარდი დაწვთხედ მყის აეფურცლა,
 ამ დროს ნიაემანც თეთრი კაბა მიმოუქროლა
 და ბუდეშური მის ფეფები ლამაზად მოჩნდა,
⁴⁰ რომელთ სიამით ცნობა ჩემი წარიდეს თვისდა.
 ამ დროს მთოვარემც შუქი თვისი მისტეხა ბროლსა,
 რომელმან შეება სილამაზით ჰფინა ჩემს გულსა;
 მაგრამ სხვა მუნით მიიხმობდა სატრფოსა ქალსა,
⁴⁴ რომელი მყისვე მიეფარა, ნათელი — თვალსა.

[1836—1841

²⁷ ჰსდგას CG. ³⁰ წარვსდგევი C, წარვდგევი G. ³³ კგმადლობთ C. ³⁶ მაიმიშლიან CG.



ფიქრნი მტკვრის პირას

წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად,
აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად;
აქ ლბილს მდებლოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით,
⁴ აქაც ყოველი არე-მარე იყო მოწყენით;
ნელად მოღელავს მოღუდუნე მტკვარი ანკარა
და მის ზვირთებში კრთის ლაყვარდი ცისა კამარა.

იდაყვ-დაყრდნობილ ყურს ვუგდებ მე მისსა ჩხრიალსა
⁸ და თვალნი რბიან შორად, შორად, ცის დასავალსა!
ვინ იცის, მტკვარო, რას ჰბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!..
არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
¹² რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?..
მანც რა არის ჩვენი ყოფა — წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღევსოს,
¹⁶ და, რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?

თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს
ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება,
ჰშფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან: «როდის იქნება,
²⁰ ის სამეფოცა ჩვენი იყოს?» და აღიძვრიან
იმავე მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან....

¹ წყლისა F. ⁴ აქაც] მუნცა C. ^{5,6} C და E ავტოგრაფებში იკითხება სხვა რედაქციით: „ლურჯად მოღელავს და დუდუნებს მტკვარი ანკარა | ფერ-მკრთლად მონათობს მისთა ზვირთთა ცისა კამარა“. E-ში ჯერ წაუშლია მე-ნ ტაეპი და გაუსწორებია ასე: „მშვენიერებით ჰკრთის ლაყვარდი ცისა კამარა“, მერმე ორივე (5-6-ე) ტაეპი წაუშლია და მარცხენა მხარეს მოუწერია არსებული წაკითხვა. ⁶ ჰკრთის ABF; ⁷ უგდებ ABCEF. ⁸ ჰრბიან ABF; ცისა C. ⁹ ბუტბუტებ ABCEF. ¹⁰ მრავალთა დროთა C. ¹⁵ თვისს C. ¹⁷ უძლეველნი] მეზბოლენი CE (E-ში წაშ.). ¹⁸ F-ში იკითხება: „არც ვინღა არის და წინაშე არც ვინ აღუდგეს, რომელთ ხელთ ეყრასთ უმაღლესი სოფლის დიდება“. ¹⁹ ჰშფოთვენ და დრტვინვენ] იგინიც დრტვინვენ C.

თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?
მისი სიცოცხლე — ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული;

²⁴ მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს
თავისს მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს
არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას!..

მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდ ბოლო მოედოს,
²⁸ მაშინ ვილამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?..

.
მაგრამ რადგანაც კაცნი გვქნიან — შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მიესდიოთ მას, გვესმას მშობლისა.

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
³² იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს.

1837 [1843]

²⁴ მისია ფიქრი C. ²⁵ თავის C. ²⁶ მისცეს C; შთამომავლობას ABCE. ²⁷ სოფელსც F; უნდა ABCEF. ²⁸ მსთქვას ABCEF. ³⁰ მიედლით ABCEF. ³¹ რომ] თუ F; ³² და სოფლისთვის არა იზრუნვოს] და სოფელს კი არაა არგოს F.



ჩ თ ნ ბ უ რ ს

შენნი მოთქმანი, კაეშნის ხმანი,
ხანცა ოხერანი, ხანცა ამოსკენანი
წარსრულთა დროთა მოგონებითა სულს აფიქრებენ!

⁴ ჰოი ჩონგურო, ნეტავი ოდეს
ხმა მხიარული შენგან მსმენოდეს,
რომ უკუმყროდეს მე სევდიანსა გულისა სენი!

მაგრამ სად ვნახო შენი ღიმილი,
⁸ სიხარულითა გამოჩენილი?
მე შენგან მესმის მოკლულის გულის ოდენ ჩივილი.



ჩემს ვარსკვლავს

რად მრისხანებ, ჩემის ბედის ვარსკვლავო?
მაინც გეტრფი, თუმცა ხშირად მკლავო:
შეეთვისა სული შენსა მოღრუბლვას,
4 შეეჩვია გული სევდითა კრთოლვას!

ნუ გგონია, ბედსა მით დამიმწარებ,
რომ უეცრად ბუჭით ნისლს მოიფარებ;
შენ არ იცი, რა სიამეს მომაგებ,
8 როს მიბუჭტვით ნისლით-გამო მონათებ.

რა სახითაც გინდა შენ მე მეჩვენო,
მაინც გიცნობ, მშვენიერის ცის მთენო:
ნათელი ხარ შენ ნათელის სულისა,
12 მალხინებელ დაბინდულის გულისა!

მოციმციმდი, მოდი, გამომეღარე,
შენგან ბნელი გული გამომიღარე;
კვლავ ციური ცეცხლი გარმოსიარე,
16 ნაბერწყალნი ეშხისა მომაყარე.

1837

⁸ ნისლით გამომინათებ F. ¹⁶ მაშაყარე F.



ნ ა პ ო ლ ე მ ე ნ

ნაპოლეონმა გარდმოავლო თვალი ფრანციას
 და თქვა: «აბაო, ხელმწიფებამ რა შემიძინა?»
 და რა იხილა თვისს დიდების მსხვერპლი თვის წინა,
⁴ მისს მოღრუბლულს შუბლს შუქი რალაც გარდაეფინა.

«ახლა კი კმარა», თქვა მან გულში, «სურვა აღმიხდა:
 სახელი ჩემი ვასახელე ქვეყნის საოცრად,
 შევმოსე ძალით საყვარელი ჩემი საშვენად
⁸ და დაეუმონე გულმტკიცენი მას სადიდებლად».

«მაგრამ მე გვამში სული ვერღა მომთავსებია!
 მითხზავს გვირგვინსა დიდებისას მე თვითონ ბედი,
 ხოლო მე უნდა მას მოვასხნა შარავანდედი;
¹² ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი!»

«მაგრამ ვინ იცის, იქნება, რომ ბელსაც მოვსწყინდე
 და სხვა მან ჩემის სახელითა დააგვირგვინოს!..
 არა, არა მრწამს, რომე ბედმა მე მიორგულოს:
¹⁶ მე მან გამზარდა და თვისს გაწვრთნილს რალა მიხერხოს!»

«ვერა გაუძლებს ნაპოლეონ მეტოქეებსა!
 რა გინდ ძლიერად, მეცნიერად ვინ ხელმწიფებდეს,
 მაინც მე იგი ვერ ვითვისო, ვერ ჩემოდნობდეს,
²⁰ თვითონ სამარეც მევიწროოს, თუ ტოლი მყვანდეს!»

ბევრი დღე გავა, რომ ჯერ ბევრი ვერ ვცნათ ჩვენ მისი!
 თვითონ სიკვდილიც მას უჭებოდ აღმოგვიჩინებს:
 დამქრალი ცეცხლი და ზღვის ღელვა წარმოგვიდგინებს
²⁴ მისს ცეცხლსა სულსა და ზღვა-გულსა განსაკვირველებს!

1838

1 ფრანციას AB EF. 2 მსოქვა ABCE F. 3 მსოქვა ABCE F. 4 დაუმონე ACE. 11 მოვასხა BF. 12 მოვსწყინდე AB EF. 14 სახელითა დიდებითა C. 21. ვმსცნათ BCF.

თავადის ჭ...ძის ასულს მკ...ნას

ხმით მშვენიერით,
ტკბილის სიმღერით,
ჰაეროვანო, სულს ელხინები!
4 თვალთ არონინებ,
გულს დააწყლულეზ
და ღიმილითა ესალბუნები!

სადც ხარ, იმ არეს
8 მოჰფენ სიამეს,
უშენოდ მოსცდეს მხიარულება!
შენის ენითა,
სავსე ღზენითა
12 ენ არა იგრძნოს გულკეთილობა!

მახსოვს სიამით,
ოდეს ტკბილის ხმით
ვარდსა და ბულბულს* მოელხინარე,
16 პირმცინარითა,
სინარნარითა
მგოსნის ყარიბს გულს ესხიმფენარე.

1839

* მოჰსცდეს ABEF.

* „ვარდი და ბულბული ლეკსია სამღერალო, რუსულიდამ ნათარგმნი თ-ის ჰავ-
პეაძისაგან“ (შენიშვნა ნ. ბარათაშვილისა).



ს ა ყ უ რ ე

ვითა პეპელა
 არხევს ნელნელა
 სწეტაკს შრომანას, ლამაზად ახრილს,
⁴ ასე საყურე,
 უცხბო საყურე,
 ეთამაშება თავისსა აჩრდილს.

⁸ ნეტავი იმას,
 ვინც თავისს სუნთქვას
 შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს!
 შენის შერხევით,
 სიო-მობერვით
¹² გულისა სიცხეს განიგრილებდეს!

ჰოჲ საყურეო,
 გრძნებით ამრეო,
¹⁶ ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს?
 მუნ უკვდავების
 შარბათი ვინ სვის?
 ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს?

1839

6 თავისა C. 9 მოიბრუნებდეს E. 12 გულის სიცხესა C. 14 ამრეო A.

ჩ ჩ ვ ი ლ ი

მიყვარს, მიყვარს მე ტიკტიკი ჩვილის ყრმის,
მიყვარს სმენა უცნაურისა მის ხმის,
ოდეს იგი ენითა სასუფეველის

⁴ უაღერსებს წიაღთა თავის მშობლის!

მის სოფელი უზრუნველობით შენობს,
გარდა დედის აღერსისას არრას ჰგრძნობს,
ნებივრობით და ღიმილით სულდგმულობს,

⁸ ყოველსავე შეუპოვრად მჭვრეტელობს.

არა ჰფიქრობს იგი თავისს ცხოვრებას,
არ განიცდის იგი საწუთროს ვნებას;
იგი თავის სანუკველითა შობით

¹² ამუნათებს თვისთა მშობელთ პირიქით!

იტიკტიკე ენითა უსუსურის,
იტიკტიკე, ვიდრე ჟამი დაგზარის,
ვიდრემდის ხარ, ყრმაო, თავისუფალი,

¹⁶ არ გიცვნია სოფელი მომღერალი.

1839

² უცნაურის C. ⁵ ჰშენობს ABCEF. ⁷ ჰსულდგმულობს C. ⁹ ფიქრობს ABCEF. ¹¹ სანუკველისა C. ¹⁶ მომღერალი] მომღერალი F.

სული ობოლი

ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
ნუ ვინ სჩივის თავისს უთვისტომობას!
საბრალოა მხოლოდ სულით ობოლი,
⁴ ძნელდა პოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი!

მეგობართა, ნათესავთ მოკლებული
ისევ ჩქარად ჰპოვებს სანაცვლოს გული,
მაგრამ ერთხელ დაობლებული სული
⁸ მარად ითმენს უნუგეშობას კრული!

არღარა აქვს მას ნდობა ამა სოფლის;
ემინიან, იკრძალვის, არღა იცის,
ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა,
¹² ეფიქრება ხელმეორედ მას ნდობა!

ძნელი არის მარტობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
¹⁶ ოხერა არის შვება უბედურისა!

1839

² სჩივის ABEF. ⁴ ჰპოვოს ABEF; დაკარგოს F. ¹⁵ სწორისა ABEF.

* * *

სატრფოვ, მახსოვს, თვალნი შენნი
მშვენიერნი ცრემლით კრთოდენ
და ბაგენი მღუმარენი
4 ხვაშიადსა მიმალვიდენ!

მაგრამ, სულო, იგი ცრემლი
არ სტიროდა ამ სოფელსა;
სახე შენი მოწყენილი
8 არა ჰგავდა ხორციელსა!

აწ მივხვდი მე, უბედური,
თვალთა შენთა მეტყველებას:
თურმე ცრემლი უცნაური
12 მოელოდა ჩემს ობლობას!

ახლაც, ოდეს ვნახავ სადმე
ცრემლსა თვალთა მშვენიერთა,
გულამოსკვნით ვიგონებ მე
16 დღეთა ჩემთა ბედნიერთა!

1840

² ჰკრთოდენ ABDEF. ⁶ სტიროდა ADDE.



ჩემი ლრცვა

ღმერთო მამაო, მომიხილე ძე შეცთომილი
 და განმასვენე ვნებათაგან ბოროტ-ღელვილი!
 ნუ თუ მამასა არღა ჰქონდეს გულის-ტკივილი,
⁴ ოდეს იხილოს განსაცდელში შემცოდე შვილი?

ჰოჲ სახიერო, რად წარვიკვეთ მე სასოებას?
 პირველ უმანკომ თვით აღამმაც სცოდა შენს მცნებას,
 უმსხვერპლა წადილს სამოთხისა მშვენიერება,
⁸ გარნა იხილა სასუფეველის მან ნეტარება.

ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა,
 დამინთქე მათში საღმობანი გულისა სენთა!
 არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,
¹² არამედ მოეც მას საღგური მყუდროებისა!

გულთა-მხილავო, ცხად არს შენდა გულისა სიღრმე:
 შენ უწინარეს ჩემსა უწყი, რაც ვიზრახო მე.
 და ჩემთა ბაგეთ რაღა დაუშთთ შენდა სათქმელად?
¹⁶ მაშა, ღუმილიც მიმითვალენ შენდამი ლოცვად!

1840

⁴ ჰსცოდა ABEF. ¹² -მხილავო F.

* * *

აღმოჰხდა მნათი აღმოსავალს, მზეებრ ცხოველი,
მცირითა შუქით გარდუყარა ცასა ღრუბელი,
დიდ-სამქუხარო, საავდარო, და მეც გლახ-გული
4 მსწრაფლ განმითენა, შავ-ბედისგან დაღამებული!

ნუ თუ აღმიჩნდი ცხოვრებისა ჩემის მნათობლად;
ნუ თუ შენ ჰფინო შეგების სხივი ჩემს გულსა კვალად;
კვლავ აღმიტეხო გულის ჭირნი მიყრუებულნი
8 და განმიახლო ნეტარების დღენი წარსრულნი?

მაშ, გამობრწყინდი, მფინე შუქი ეგ საოცარი
და განანათლე კვლავ ცა ჩემი, ესრეთ საზარი!
მეცა ხელი ვპყო დაეანგებულს ჩემსა სანთურსა
12 და შევავერთო ფიქრნი ჩემნი შენს ხმას ციურსა!

დავმღერდე მას დროს, როს ვარსკვლავი მშვენიერის ცით
მინეტარებდა სიცოცხლისა დღეთა სიამით;
მოვსთქვამდე, თუ ვით მიმეფარა იგი მსწრაფლ ღრუბელს,
16 ბოლოს ვუმღერდე შუქსა შენსა შეგების მომფენელს!

ვჰფუცავ ძლიერსა სხივსა შენსა, ჰოჲ მნათო ჩემო!
ოდეს ვიხილო მცირე ბინდი შენს შუქს გარემო,
მყის დამიღამდეს ამ სოფლისა სიამოვნება
20 და შენთვის დავთმო ტრფობის წინდად ყოვლი დიდება.

1840

2 მცირედის E (წაშ.). 4 მსწრაფლ ABEF. 15 მოვსთქვამდე ABE, მოვსთქვამდე P; მსწრაფლ ABEF.



ჩემი მემორარი

ჰაბუკნო, ვიდრე ცხოვრების დღეთ დილა გინათებთ
და სიყვარული გულის ჰირთაც გისიამოვნებთ,
არ დაიჩნით შავის ბედის მსწრაფლნი ლახვარნი
⁴ და შეუპოვრად წარისხოცეთ ცრემლნიცა მწარნი.

აჰყევით სოფელს, შეუჩინელს და მომღერალსა,
ნუ მოარიდებთ სიყმაწვილეს ტრფობისა აღსა!
სასაცილოა, ბერიკაცი რომ ყმაწვილობდეს,
⁸ და საბრალოა, როს ჰაბუკი ბერიკაცობდეს!

მას ვაქებ, ვინცა თვის სიცოცხლე ასე ატარა,
რომ ყოველი დრო შესაფერად მიმოიხმარა!
მაშინცა კმარა დადუმება გულის-ვნებათა,
¹² კისრად ტვირთება წუთის-სოფლის მძიმე ზრუნვათა,

ოდეს მზის სხივნი შეგვიცვლიან ჩვენ დილას მას ნელს
და ცრუ სოფელი სიყვარულსაც შეჰყრის სარგებელს!
მხოლოდ ერთს გირჩევთ და გახსოვდეთ ესე თათბირი —
¹⁶ მერწმუნეთ, ძმანო, ნაცადი აქვს ჩემს გულს ეს ჰირი:

«არ შეემსჭვალოთ მოკისკასეს, კეკელა ქალსა,
სულის დამტყვევნელს და გრძნობათა ცრუდ-მომღერალსა!
აშვიკის ენა მას ახარებს, მას ასულდგმარებს,
²⁰ ხოლო სიყვარულს გული მისი ვერ მიიკარებს!»

1841 [1843].

¹ გინათებთ F. ² გისიამოვნებთ F. ³ მსწრაფლნი ABE. ⁴ და შეუპოვრად წარ-
ხოცეთ] ლხინად და ტრფობად გარდიცვალე E (წაშლ.), და შეუპოვრად მოიწმინდე E
(წაშლ.). ¹¹ დადუმება გულის-ვნებათა] შეკავება გულისა თქმათა E (წაშლ.) BF. ¹⁵ E-ზე
წაშლილია „მხოლოდ გახსოვდეს ჩემგან, ძმაო, ერთი თათბირი, მე მისი ურჩი ვერ
აქამდინ ისევა ვტირი“ და მის მაგიერ იკითხება არსებული ტაეპი. ¹⁶ დაცულა ამ ტაეპის
სამი ვარიანტი: „მერწმუნეთ ჩემს გულს ნაცადი აქვს ეს გულის ჰირი“ E (წაშლ.) „მერ-
წმუნეთ, ძმანო, ნაცადი მაქვს ეს გულის ჰირი“ E (წაშლ.) BF და არსებულ
წაკითხვა A. ¹⁷ არ შეემსჭვალო ქალსა კეკელას მოკისკასესა E (წაშლ.), არ შეემსჭვალო
კეკელა ქალს მოკისკასესა E.

* * *

არ უკიჟინო, სატრფოო, შენსა მგოსანსა გულის-თქმა:
მოკვდავსა ენას არ ძალ-უძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა!

მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვაგლო,
⁴ საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო.

მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი.

მინდა შენ იყო, სატრფოო, მშვენიერისა ცის ცვარი,
⁸ რომ განაცოცხლო, შავარნო, მღელო, სიცხითა დამტკნარი,

რომ მხოლოდ მზისა ციაგი მას დილის ნამსა იშრობდეს
და ერთად შესხივებულნი შვებას მოჰყენდნენ სიცოცხლეს,

არეს ავსებდენ სიამით მცენარეთ განმაცხოვლებლად,
¹² იყვნენ მარადის, უხსნელად, სოფლისა განსათავებლად!

ნუ თუ ამ სულის წადილსაც ჰრქვეა სიყვარული სხვათაებრ?
მაშინ მზეც უსხივ-უცეცხლოდ შეიძლებს ნათვას ვარსკვლავებრ;

მაშინ ვარდიცა განთიადს ვერღარა გარდაიშალოს
¹⁵ და ცისა ცვარმან მღელოი არღარა გააბიბინოს.

მაშინ შენც სხვათა მოკვდავთა ბანოვანთ მიემსგავსები!
მაშ, რად ერჩევი მათ შორის და ციურთ დაედარები?...

მაგრამა მშვენიერება გაქვს, ცისიერო, უხრწნელი
²⁰ და ჩემთა გრძნობათ შენდამი ვერ დასდევან კაცთა სახელი.

1841

⁶ ელოდენ F. ⁸ სიცხითა] დამისა D. ¹² მარადის, უხსნელად] მარადის, მარადის DBEF; გასათავებლად B, გამობუნებულად F. ¹³ ჰრქო D. ¹⁴ ვარსკვლავებრ D. ¹⁵ ვარ-
დისა ვეღარა D. ¹⁶ მღელო ABDEF; აღარა D. ²⁰ დაჰსდევან ABEF.

* * *

ვპოვე ტაძარი შესაფარი, უდაბნოდ მდგარი;
მუნ ენთო მარად უქრობელი წმიდა ლამპარი.
ანგელოსთაგან იჯროდა მუნ დავითის ქნარი
⁴ და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი!

მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით,
მუნ ვეძიებდი განსვენებას წრფელითა ზრახვით;
გულსა, მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით,
⁸ ლამპარი წმიდა განმიტფობდა ციურის სხივით!

მუნ გუნდრუკის წილ შევსწირავდი წმიდას სიყვარულს,
რომლის საკურთხად დავსდებდი მე ჩემს გულსა და სულს;
ამა სიამით, ნეტარებით ესრეთ აღვსებულს
¹² მეგონა, ვპხედავ სასუფეველს აქ დაშენებულს!

მაგრამ საწუთო განა ვისმეს დიდხანს ახარებს?
განჰქრა ტაძარი და უდაბნო ჩემდა მდუმარებს;
მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს,
¹⁶ მის ნაცვლად სევდა და წყვდიადი დაისადგურებს!

მოისპო მსწრაფლად მისი ნაშთი და მისი კვალი!
განა თუ დრომან დაჰქრა თვისი მას ავი თვალი! —
არა! მოსძაგდა მას სოფელი ცრუ და მუხთალი!
²⁰ დამშთა მე მხოლოდ მის ლამპრისგან ცეცხლი დამქრალი!

ვერდა აღმივო სიყვარულმა კვალად ტაძარი!
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!
ესრეთ დამიხშო უკუღმართმა ნუგეშის კარი
²⁴ და დავალ თბლად ისევ მწირი მიუსაფარი!

1841 [ოქტომბერი]

¹ შესაფარი] შესაწყნარი წ. (E-ში ეს სიტყვა წაშლილია ფანქრით და თავზე მიწერილია „შესაფარი“). ⁷ სიავით] ბოროტით VDE. ⁹ შევსწირავდი ABDEFV. ¹⁰ საკურთხად] საკურთხედ წ D, საკურთხედ E, საკურთხად F; დავსდებდი BD. ¹² ვისივე D. ¹⁷ მსწრაფლად ABDE; მსწრაფლად მოისპო წ. ¹⁹ მოსძაგდა ABEF, მოჰქულდა D. ²⁰ დამშთა მე მისგან მხოლოდ ცეცხლი იგი დამქრალი წ D.

ნა... ფორტოკიანოვმდ
მომღერალი

ზმა საკრავისა
ნელ-ნარნარისა
სულს განახარებს
¹ და მშვენიერის
ენა ამიშლის
გულისა ჭირებს!

ვჭვრეტდი ლამაზსა,
⁸ სევდითა ნაზსა,
და შევეტრფოდი;
ყოველთ გრძნობათა,
ყოველთ გონებათა
¹² მას მივაპყრობდი.

ლაწვნი ნაცრემლნი,
ტრფიალთ დამწველნი,
უფროს შვენოდენ;
¹⁶ თმანი ნაშალნი,
მკერდზედ დაყრილნი,
ემუქმებოდენ.

უუუუნა თვალნი,
²⁰ გულთა მომკვლელნი,
მოცინარობენ;
პაწაწა ტუჩნი,
ვარდებრ ნაფურცლნი,
²⁴ ლხენას მოჰბერვენ.

[1841]

* * *

მიყვარს თვალები მიბნედილები,
 ეშხისა ცეცხლით დაქანცულები;
 მაგრამ როს ვუჭვრეტ, ზამბახ-ვარდთ ველად
 4 განეწონვიან მათი ისრები.
 მივხვდი, თვალებო, ჩემო მკვლევებო, მაგ თქვენსა ქცევას,
 მაგრამ ვით ელით თქვენგან კოდლის თქვენგან გაქცევას?

ვიცი, რომ ჰმტრობენ გულსა მგრძნობელსა,
 8 უწყალოდ სტანჯვენ უენო მსხვერპლსა,
 მაგრამ რა ისართ ზეცად აღმართვენ,
 მათშივე ჰპოვებს საკურნებელსა!
 თვალნო ლამაზნო, ვინ უძლოს თქვენსა ძლიერს ბასრობას,
 12 თუ არა სჭვრეტდეს თქვენგან სიკვდილში თვით უკვდავებას?

1842

7 მტრობენ ABF. 8 სტანჯვენ ABF. 12 სჭვრეტდეს ABF.

სუმბული და მწირი

მ წ ი რ ი

სუმბულო, სად არს ფეროვნება შენი საამო,
რომ შენსა მჭვრეტელს არ გააჩნდა დილა, სადამო?

მარქვი, სადა არს სუნი შენი, ამო და ნელი,

⁴ რომლით ათრობდა სიცოცხლის ქამთ ლამაზი ველი?

ს უ მ ბ უ ლ ი

მწირო, ხომ ჰხედავ, მოვჰკლებივარ ჩემს სამშობლოს გულს,
ჩემთ სწორთა ყვავილთ, მშვენიერს ცას და ჩემსა ბულბულს.
აგერ, მაისი აყვავებს ტურფად ბუნებას,

⁸ მოვა ბულბული და დაუშტვენს სიცოცხლისა ხმას,
ხოლო მე, ხშული ბნელსა სადგურს და სევდიანსა,
ველარ ვიხილავ ჩემსა ტურფას და ტკბილს მგოსანსა.

მ წ ი რ ი

ნუ თუ ვერ ჰპოვებ აქ სანაცვლოს, ვერც რას საამურს,

¹² სადაც ოქროთი და ვერცხლითა გიმკობენ სადგურს;

სადაცა კაცი შენს შვენებას ესრეთ ინახავს,

რომ მზე ვერ გიჰკნობს და სიცივე ვერა დაგაზრავს?

ს უ მ ბ უ ლ ი

მაგრამ მარქვ, რა არს ჩემთვის სახლი დიდ-მშვენიერი,

¹⁶ ვით გააღიმებს ჩემს შვენებას ხშული ჰაერი?

არღა მევლება გარე წყარო ცივი, კამკამი,

არღა მეცემის დილით გულსა სიცოცხლის ნამი;

გრილი ნიავე ჩემთა ფურცელთ არ უაღერსებს

²⁰ და მაყვლის ბუტკი მზისა სხივთა არღა მიჩრდილებს.

⁰¹ სუმბული ქელის ყვაილი D. ⁵ მოვკლებივარ DE. ⁶ სწორთა ABDEF. ⁸ სი-
ცოცხლისა] სიყვარულის BDEF. ¹⁰ ტკბილ D. ¹⁷ არღა] რომ არ D. ¹⁸ არ დამეცემის
D. ²⁰ უჩრდილებს BDEF.



მ წ ი რ ი

სუმბულო ტურთავ, მოიგონე მკაცრი ზამთარი,
მისგან შენ ახლა იქმნებოდი უწყალოდ მკვლარი;
ნახე, რა ძალ-უძს შენთვის მზრუნველს კაცისა ხელსა,
²⁴ რომ მისი სუსხი ვერ შეგირყევს ვერც თუ ფურცელსა.

ს უ მ ბ უ ლ ი

ჰე მწირო, სოფლად ყოველსა აქვს ეამი და ბოლო,
მაგრამ ამას ვწუხ, რომ უქამოდ მეღების ბოლო!
ზამთრით ბუნება არა კვდება, სევდით იმოსვის,
²⁸ რომ თავისს სატრფოს, გაზაფხულსა, განეშორების!

და მყის ვითარის შვენებითა კვლავ შეიფურცელის,
ოდეს მერცხალნი ახარებენ მოსვლას საყვარლის!
ახ, როდის ვნახო მეცა ველად ჩემი ბულბული,
³² რომ განვიშალო კვლავ სიტურფით მისი სუმბული!

მ წ ი რ ი

მშვიდობით, წავალ, მეც მოვძებნი ჩემსა ყვავილსა;
ისიც შენსავეით განაშორეს სამშობლო ველსა!
ვაი, თუ მასაც უდროდ აჰკნობს უწყალო ხელი,
³⁶ და არლა მომხვდეს სუნი მისი, ჰირთ უკუმყრელი!

²² მისგან შენ] რომლისგან DE; იქნებოდი BF. ²⁶ ეკწუხ D. ²⁷ ჰკვდება ABEF.
²⁸ თავის D. ²⁹ და მყის] მაგრამ DE (წაშლ.). ³⁴ შენებრივ DE; სამშობლოს D. ³⁵ ვაი
AEF. ³⁶ მომხვდეს D.

* * *

შენნი დალალნი ყრილობენ გველად
სპეტაკს მკერდზედა, ტრფობისა ველად,
და თვალთა ჩემთა ადავრიშებენ
1 ხან ნუგეშისთვის, ხან დასაწველად!

ოდეს ნიაფი ლამაზს დალალებს
მიგიშლ-მოგიშლის და სიამოვნებს,
მაშინ ჩემს თვალებს აღაგზნებს შური
8 და, გლახ, ჩემს გულსა ის ავალალებს!

1842

* * *

რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუმტიცობას?
 თუ ემდური შენ ტრფიალისა ცვალებადს გრძნობას,
 რომ არ გემსჭვალვის საუკუნო ტრფიალებითა?

⁴ ჰგავს, არ პასუხს სცემ შენ მას სულით მშვენიერითა.

სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების
 და, ვით ყვავილი, თავის დროზე მსწრაფლად დაქცნების,
 აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდა შენამსჭვალელები,

⁶ ცვალებადია, წარმავალი და უმტიციები!

მშვენიერება ნათელია ზეცით მოსული,
 რომლით ნათლდება ყოველი გრძნობა, გული და სული,
 და კაცსა შორის, ვით კერძოსა ღვთაებობისა,

¹² რად გრწამს არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა?

თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,

• მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს.

მხოლოდ კავშირი ესრეთთ სულთა ჰშობს სიყვარულსა,

¹⁶ ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტიციებულსა!

მხოლოდ მათ შორის არის გრძნობა, ესთ სანუკველი,

რომ მის უტკბილეს არც თუ არის სასუფეველი!

მას ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენიერება

²⁰ და უკვდავებით აგვირგვინებს ჰემმარტება!

1842

³ გემსჭვალვის ABF. ⁴ ასცემ ABEF. ⁵ მსწრაფლად ABEF. ⁷ შენამსჭვალელები ABF. ⁸ წარმავალი [უბოლოთ E (წაშლ.)]. ¹³ უკვდავება EF. ¹⁵ მხოლოდ კავშირი] და კავშირება E (წაშლ.).

* * *

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი
4 და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

გაპყვეთე ქარი, გააბე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,
გასწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი!
ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,
8 ნუ შემებრალე დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!

რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა!
ნულა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილ-მოუბარსა;
საც დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო,
12 მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო!

კენესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მიეცე ზღვის ღელვას
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი
16 და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ნუ დავიძარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის!
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მღელვითა შორის ტილის მინდვრის
20 და ქარისშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის!

სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა, ოხერსა
დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ სევანი მყივარნი!
გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი;
24 თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი.

01 თავგანწირული მხედარი E. 2. გასწი ABEFწ. 6 გასწი ABEFწ. 9 სწორთა ABEFწ. 15 გასწი ABEFწ. 17 ჩემსა მამულში მშობელს მიწაში წ. 18 ნუ დამიტირებს სატრფო სულისა, ნუ დამეცემის ცრემლი მწუხარის წ. 20 მაყარის ABEF. 23 გასწი ABEFწ.

დაე, მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!
 ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!
 გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი
²⁸ და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ცულად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს, განწირულის სულის-კვეთება
 და 'გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც' დარჩება;
 და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
³¹ და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
 უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!
 გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი
³⁶ და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

1842 [აპრილი]

²⁵ მოვკვდე ABFწ. ²⁷ გასწი ABEFწ. ²⁹ ცულად F; ჩემის სულისა ესე კვეთება F; ეს განწირულის] ესე განწირვა E (წაშლ.). ³¹ შეძმესა E. ³³ გასწი ABEFწ. „მისისა 9-სა, 1842“ EB.

კნიაზ ბარათაშვილის
ახარფეშახელ

ამავსებ ღვინით,
აგავსებ ლხინით.
შესვი? გაამოს!

1842

საფლავი მუჟის ირაკლისა

(კნიაზს მ... ბ... ძეს ბარატაევს)

მოვიდრეკ მუხლთა შენს საფლავს წინ, გმირო მხცოვანო,
და ცრემლთ დავანთხევე შენს სახელზე, მეფევე ხმოვანო!
ახ, რად არ ძალ-უძს განცოცხლება წმიდას აჩრდილსა,
⁴ რომ გარდმოჰხედო ახალს ქართლსა, შენს პირმშოს შვილსა!

თაყვანს ვსცემ შენსა ნაანდერძებს, წინასწარად თქმულს!
გახსოვს, სიკვდილის ჟამს რომ უთხარ ქართლს დაობლებულს?
აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აწ ჰაზრი შენი
⁸ და ვსქამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენნი ძენი!

ჟამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო.
მათი ცხოველი ტრფიალებით აღსავეს სული
¹² უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული.

და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,
მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად!
სადაც აქამდინ ხრმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
¹⁶ მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი!

აწ არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის დელევა,
ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყველვა;
შავის ზღვის ზვირთნი, ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა,
²⁰ აწ მოგვიგვრიან მრავალის მხრით ჩვენთა მოძმეთა!

მშვიდობა შენსა წმიდას აჩრდილს, გმირო განთქმულო,
უკანასკნელო ივერიის სიმტკიცის სულო!
აწ მიჰხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძ-ნამაგსა
²⁴ და თაყვანსა სცემს შენსა საფლავს, ცრემლით აღნაგსა!

1842

⁴ გარდმოხედო ABFწ. ⁵ ვსცემ წ. ⁷ აზრი F. ⁸ ქვეყანო A. ვსქამთ BFწ. ¹² ხელით
ABFწ. ²⁰ მიხვდა ABFწ. ²⁴ სცემს ABFწ.

* * *

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად?
მარტვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
4 რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?

ამას უქადლი ჩემს ცხოვრებას, ყმაწვილკაცობას?
თითქოს მაძლევდი ამა სოფლად თავისუფლებას,
ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი
6 და თვით ჯოჯოხეთს სამოთხელა გარდამიქცევდი!

მარტვი, რა იქმნენ საკვირველნი ესე აღთქმანი?
რად მომიხიბლე, აღმირიე წრფელნი ზრახვანი?
სად ხარ, აღმშფოთო, მიპასუხე, ნუ იმალები,
12 რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?

წყეულიმც იყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა
ბრმად ვუმსხვერპლიდი, მივანდობდი ჩემთ გულის-თქმათა!
მას აქეთ არის, დავუკარგე მშვიდობა სულსა
16 და ვერც ღელვანი ვნებათანი მიკვლენ წყურვილსა!

განვედი ჩემგან, ჰოჲ მაცთურო, სულო ბოროტო!
რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ, მარტო,
ჰკუთით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?
20 ვაი მას, ვისაც მოჰხვდეს ხელი შენი მსახვრალი!

1843 [აგვისტო]

³ აღმაშფოთრად] განსამწარად V. ¹⁴ მივანდობდი, ვუმსხვერპ-
ლიდი BF. ²⁰ ვაი A; ვისასა V.; მოხვდეს ABFV.

* * *

შევიშრობ ცრემლსა, ჳირთ მანელებელს,
გულსა დავიწვავ დასანაცრებელს
და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს,
⁴ შევსწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს!

მისთ თვალთა ხარობს სამოთხე ჩემი,
მისი ღიმია შვების მომცემი,
ჩემი წარმწყმედი, მაცხონებელი,
⁸ განმაბრძნობელი, გამხელებელი!

ვით არ ვადიდო სიტურფის ღმერთა!
ყოვლნი კეთილნი მან შეიერთა,
სულსა მოჰბერა ცის ნიჰნი ჳეეყნად
¹² და თავის მკობად ჳმნა იგი მგოსნად!

1843

⁴ შევსწირავ BF. 5 ჰხარობს BF. 12 ჳმნა F.

უმეოველი საქართველოს თავად-ახნაურ-გლახთა პირის-პირ
 დაღისტინისა და ჩიხნელთა, წელსა 1844-სა,
 მძვინვარეობასა
 ქვეშე ლუბერნიის მარშლის, თავადის
 დიმიტრი თავაჯის ძის ორბელიანისა

ძრწოდე, კავკასო! ახლო არს დღე შენის აღსასრულისა,
 შეთქმულან შენზედ ერთპირად ძენი ქართლისა სრულისა,
 აღებად შენგან სისხლისა, უბრალოდ დაქცეულისა,
⁴ და აღმორთმევედ უწყალოდ შენს შორის ბოროტ სულისა!

ქართლითგან მოვალს მარადის მამულის მონა ლაშქარი,
 წინ ერისთავი მოუძღვის, მიწასა გააქვს ზანზარი!
 კავკასო, ქართლოსს საფლავზედ არიან გაფიცებულნი
⁸ და მათ წინ ვერღა დაუდგნენ ვერც შენნი პირველ რჩეულნი!

სომხითით მოსქექს სასარდლო, ძველადგან სახელ-განთქმული,
 მის შორის ბრუნავს ცხოველად დავით სარდრისა კვლავ სული!
 ჰე დაღისტინელნო, სომხითის კედელნი თქვენგან ნგრეულნი
¹² მის ძეთა თქვენის თავებით ყონ ახლად აღშენებულნი!

კავკასო, აჰა კახნიცა შენზედ გულ-ამღვრეულები,
 მეფის ირაკლის გაწვრთნილნი, გმირებად დასახულები!
 ნუ ჰგონებ, აღხოცილ-იყვნენ მათ შორის ძველნი მამაცნი:
¹⁶ ყოველსა დაჰშთა შვილები, საშვილისშვილოდ ვაჟკაცნი!

ნაუნჯნი ყმანიც მეფისა, თუშები მოუღალაგნი
 სდევნიან მტერთა მძვინვარედ, ვით მგელნი, ცხვართა მლაღაგნი!
 თქვენი ჭირიმე, თუშებო, ბიჭობა თქვენი ქებულა,
²⁰ მახვილი თქვენი მარადის დაღისტინელთ ქედზედ ლესულა!

⁴ უწყალოდ] შეწყალოდ H (წაშლ.). ⁵ ქართლიდგან H²; მარ[.....] ლაშქარნი H²
⁸ დაუდგნენ H¹. ⁹ მოსქექს HH²H². ¹⁰ ჰბრუნავს HH¹H², ¹² ჰყონ HH¹H², ¹⁸ ჰსდევნიან HH¹H².



ამ გმირულს ჯარსა ერთობრივ ჰყავს ღირსი წინამძღომელი;
 მან თავი დასდვა სპათათვის, სახელითა ჰქმნა სახელი
 და საკადრისად გვარისა გამოჩნდა ნამდვილ ქართველად:

²⁴ მტერთ სიხარულით შეებმის მჭვრეტელთა საოცნებელად!

კავკასო, ძრწოდე! შეირყა ჩეჩენიც დასამხობელი!
 ვის არა აღეტაცების სული ამ ამბვის მცნობელი?

ჰე ძმანო, ნუ თუ არ გესმით მეფის ირაკლის ხმა მალლით?

²⁵ გიხმობთ: «ქართველნო, ჰეა შაბაშ! კურთხევა თქვენდაზე მადლით!»

ძმანო, თქვენ ჰქმენით საქმენი, ღირსნი თქვენთა წინაპართა!

მეფესა თავი შესწირეთ, ვაგლახი ეციოთ წარმართთა!

აჩრდილნი ჩვენთა მამათა იშვებენ საიქიოსა

³² და გიკურთხებენ სახელსა, მომავალთ მოსალხინოსა!

სექტემბრის 23-სა დღესა

1844 წელსა

ტფილისი

²² დასდვა HH¹H². ²⁴ „მტერთა შეებმის სიზღვრით“ H¹-ში შეცვლილია არსებული წაკითხვით. ²⁷ ჰეი HH². ³⁰ ეაჲ H¹; ტაეპი „მეფეთა თავი შესწირეთ, ვაგლახი ეციოთ წარმართთა“ H¹ ავტოგრაფში გასწორებულია პოეტის მიერ ასე: „იმპერატორსა ემსხვერპლეთ, ვაი დამართეთ წარმართთა“. ეს უკანასკნელი წაკითხვა დატულია H და H¹ ავტოგრაფებშიც.

ჩ ი ნ ა რ ი

განმარტოებულს ფრიალოს კლდეზე სდგას ალვის ხისა ნორჩი ახალი,
მრავალ-შტოვანი, მაგრილობელი, ჰაეროვანი, ტურფა, მაღალი.
საამო არის მის ჩრდილში ოცენა, და მისთა ფოთოლთ შრიალთა სმენა
⁴ და წყალთ ღუღუნზე უკულმართისა ამა სოფლისა ქირთა დათმენა!

მოქშუის მტკვარი, მოჰქრის ნიავი და შრიალითა არხევს ჩინარსა,
და გამოსცემენ სახიობასა, ტკბილის ოცნებით დამაძინარსა!
მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უსაკოთაც და უსულთ შორის
და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის!

ვითა მიჯნური სატრფოს ამაყსა,
მტკვარი მას ნორჩსა ფერხთა ევლებს
და აღმორხევს უფსკრულებიდან და აღელვილი კლდესა ეხლებს!
მაგრამ ჩინარი, მაღლად მჩინარი, დგას მედიდურად და სიამაყით
¹² და მხოლოდ თავსა გარდმო-გარდილებს სევდიანისა შერხვეის სახით.

რამდენჯერ ქარი შეარხევს საროს,
იმდენჯერ მტკვარი უმეტეს ოხრავს,
თითქოს სიშურიტ შეშფოთებული,
და კლდის პირებზე ზვირთთა შემუსრავს.
ესრედ იღუმალ, მაგრამ ძლიერად დაიბანჯების მარად მიჯნური,
¹⁶ თუ მას ნამდვილად ეგზნების გულსა ტრფიალებისა ცეცხლი ციური.

1844

¹ ხის J. ² ფოთელთ F. ³ გარდმოქსცემენ F. ⁴ უცხოველეს J.

* * *

მადლი შენს გამჩენს, ლამაზო, ქალო შეეთვალეზიანო,
დღისით მზევე, ღამე მთოვარევე, წყნარო და ამოდ ხმიანო!
შენის ლოდინით სულდგმულ ვარ, თაყვანს ვსცემ შენსა სახელსა;
4 დედის ერთა ვარ, ნუ მომკლავ, ნუ დამანანებ სოფელსა!

ღარიბი ვინმე მოვსულვარ, სოფლისა მუშა საწყალი,
ამხანაგად მყავს ნაბადი, ძმობილად — ბასრი ხანჯალი;
მე სხვა სიმღიდრე რად მინდა? მე შენი გულიც მეყოფის,
8 მის ფასი კიდე საუნჯე ცას ქვეშეთ განა იმყოფის?

10 იანვარს.

1845

* ვსულდგმულვარ F; ვსცემ F. * მოვსრულვარ F.

* * *

დამქროლა ქარმან სასტიკმან, თან წარმიტანა ყვავილი,
მაცხოვრებელი სიცოცხლის, სუნნელებითა აღვსილი.

იგი ნიადაგ ციურთა ცვართაგან იყო ნამილი;

⁴ დრომ უქამურმან აწ ცრემლით შესვარა მისი აღვილი.

აწცა თუ სადმე ვიხილავ მისს ფურცელს, მისსა დანაჰკნობს,
მოძულეებული სიცოცხლე მყისვე კვალადცა დამატკობს.

მაგრამ მსწრაფლადვე გახშირდნენ მწარენი ჭირნი გულისა,

⁵ რა ფიქრთა წარმოუდგებათ დაკარგვა სიხარულისა.

[1845 წლის იანვარ-თებერვალი].

* * *

როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა,
 ღიმილით გეგხარ მაისის ღღესა,
 მე შენს თვალეში ვსჭვრეტ სამოთხესა
⁴ და მათი მჭვრეტი ვიწვი ცეცხლითა!
 არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ,
 არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ,
 არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ!

როს უბედურ მყოფს მე მოშორება
⁸ გონება-მტაცის მშვენიერების,
 ესთვლი მოწყინებით ქამთ მჭმუნვარების
 და სევდა გლახ-გულს დამეფარება!
 არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ!

¹² ხან ძილსა იკრთობს, ხან სევდით ოხრავს,
 ხანცა ყოველს სულს ამხიარულებს,
 ხან სიკვდილს იწვევს, ხან შორით ოცნებს,
 ხან ჰყვება სოფელს, ხან ცად მიფრინავს!
¹⁶ არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ!

* * *

ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს
და არ ამ ქვეყნიერს,
⁴ სიყრმიდგან ვეტრფოდი.

და ახლაც, როს სისხლი
მაქვს გაცივებული,
ვფიცავ [მე], არ ვეტრფო
⁸ არ ოდეს ფერსა სხვას.

თვალეში მშვენიერს
ვეტრფი მე ცისა ფერს;
მოსრული იგი ცით
¹² გამოკრთის სიამით.

ფიქრი მე სანატრი
მიმიწევს ცისა ქედს,
რომ ეშხით დამდნარი
¹⁶ შევერთო ლურჯსა ფერს.

მოვკვდები, ვერ ვნახავ
კრემლსა მე მშობლიურს,
მის ნაცვლად ცა ლურჯი
²⁰ დამაფრქვევს ცვარს ციურს!

სამარეს ჩემსა როს
გარს ნისლი მოეცვას,
იგიცა შესწიროს
²⁴ ციაგმან ლურჯსა ცას!

⁶ გაცივებულ G. ⁷ მე — G. ¹² გამოკრთის G. ¹⁷ მოვკვდები G.

* * *

ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის, ბედნიერი ვარ მე, თასი:
სამღერალო ვარ ტურფა ხელთ და მოსალხინო მართასი!
მოვედით, სევდით მაშვერალნო, გასვათ სასმელი ღმერთასი
და მყის გიქარვოთ გულისა, ვით ერთი, ჭირი ათასი.

ბელი ქართლისა

თქვეული წელსა 1839-სა
ტფილისს



დედნები პოემისა

- A — 2517 (აგტოგრაფი, 1843 — 1844 წწ.)
- B — 2034 (აგტოგრაფი, 1843 — 1844 წწ.).
- C — ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1876 წლის გამოცემა.
- E — A 1258 (პირი, გადაწერილი XIX საუკ. 50 — 60-იან წლებში).
- F — Q 439 (პირი, გადაწერილი XIX საუკ. II ნახევარში; შემოსულია მ. თუმანიშვილის არქივიდან).
- G — Fr. 111 (პირი, გადაწერილი XIX საუკ. II ნახევარში).
- H — პირველნაბეჭდი ტექსტი („ცისკარი“, 1858, № 9, გვ. 1 — 14).

შენიშვნა: პირველი რედაქციის ხელნაწერთაგან (EFGH) ვარიანტებში მითითებულია მხოლოდ ლექსიგურად განსხვავებული წანაკითხები.

კახთა მიმართ

ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო, მოლხინე სულით,
 თქვენში აღზრდილა პატარა კახი მეფედ და გმირად;
 თქვენ გიყვართ მისთა დროთა ხსენება მხურვალეს გულით,
⁴ როს თქვენებრ მლხენი ევლინებოდა მტერსაც გამგმირად!

და რაც საყვარლის ჩვენის ირაკლის ჟამმან მეფობის
 მოუვლინა აწ გამოხატვასა ჩემს ყმაწვილობის, —
 მეც, ძმანო კახნო, თქვენ შემოგიძღვნით მას არმადანად,
⁸ ერთსულობისა, ვაჟკაცობისა, ლხინის საგანად.

როს თქვენებურად მამულის ღვინით გულს ახარებდეთ,
 ხელთ ჯამის მპყრობნი წარსრულსა დროებს მოიხსენებდეთ
 და მორიგისად სმიდეთ წინაპართ შესანდობარსა,
¹² მოიგონებდეთ ყარიბს მგოსანსაც, თქვენდა მბობარსა!

თ^ე ნ. ბ.

¹⁻¹² შესავალი „კახთა მიმართ“ არ არის EFGH ხელნაწერებში. ² მეფედ ABC.
³ წარსულსა C; მოიხსენებდეთ მოიგონებდეთ BC.

ბედი ქართლისა

ქ ა რ ი პ ი რ ვ ე ლ ი

«მწყემსო კეთილო, შენს წმიდას სამწყსოს
 შემოვავედრებ ჩემსა სამეფოს!
 გულთა-მხილავო, შენ უწყი, რაც დღეს
¹⁶ საქართველოსა ჭირნი მოადგეს!
 მრავალ არიან, უფალო, მტერნი
 და წარიტაცონ შენნი ცხოვარნი!
 გვესწრაფე, ჩვენო ხელთ-აღმპყრობელო,
²⁰ და აღადგინე დღეს საქართველო!» —

ასე ილოცდა მეფე ირაკლი
 ბანაკსა თვისსა გულით მხურვალი.
 ცათა წინაშე დიდია მსხვერპლი
²⁴ მამულისათვის მეფისა ცრემლი!
 ბატონს თვის ჯარი კრწანისის მიწდვრად
 დაებანაკა სპარსთთან საომრად!
 პატარა კახი აღა-მაჰმად-ხანს
²⁸ უპირებს შებმას ძლიერს, რისხვიანს.

ამ დროს გამოჩნდა სამხრეთით მტერი.
 ცა მოწმენდილი, ცა მშვენიერი
 ზე-დაჰნათლიდა ბრძოლისა ველსა,
³² და ირაკლიცა ჯარსა ქართველსა

¹⁸ შენი C, ¹⁹ გვესწრაფე B. ²⁵ ბატონს თვის ჯარი | ქართველთა ჯართა BC. ²⁶ და-
 ებანაკათ BC; სპარსთა B. ²⁷⁻²⁸ მუნ განრისხებულს აღა-მაჰმად-ხანს | პატარა კახი უპირებს
 შებმას EFGH; ²⁸ ძლიერ A. ²⁹ აღმოჩნდა A. ³¹ ზე-დანათლიდა ABC.

განამხნეებდა მამობრივის ხმით:
 «ჰხედავთ, ვითარის კაღნიერებით
 შეკრბების ჩვენზედ უსჯულობა!
³⁶ საქართველოს დღეს გარდაუწყდება
 თავისი ბედი და უბედობა!
 დღეს ეჭირება მამულს მხნეობა!
 დღეს მეცა თქვენში ვარ მეომარი,
⁴⁰ ვითა თქვენგანი ერთი მხედარი:
 დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული,
 ვის უფრო გვიყვარს, ძმანო, მამული!» —

«შენი გამჩენის ჭირიმე, შენი,
⁴⁴ რომ გაგვაგონე კვლავ ხმა სალხენის!»
 შეჰბლავლა მეფეს ჯარმა ერთის ხმით:
 «ჩვენ თუნდ სულ ერთს დღეს დავიხოცებით,
 ოღონდ შენ იყავ, მეფევე, დღეგრძელი!
⁴⁸ მტერი რა მტერი, ოღეს ქართველი
 ბატონს ირაკლის ნუგეშად ჰხედავს;
 მისთვის სიცოცხლეს ვინღა დაზოგავს!»

ნეტარ მეფისა გულს მამობრიულს,
⁵² ოღეს მოყმენი, ვით მამას შვილნი,
 განუცხადებენ თავისს სიყვარულს!

დაჰკრეს ნალარა, გულნი შეზარა
 და მტერთ საომრად ჯარნი შეჰყარა.
⁵⁶ ხმა ნალარისა, ხმა ეს ბრძოლისა
 ვით არ აღვანთებს, გმირო ქართლისა!
 მხდალსა განამხნევს, მხნეს განაღვიძებს
 და მიჯნურსაცა სულს შეუშფოთებს!

⁶⁰ შეექმნათ მწარე, ძლიერი ომი:
 ვითა ნადირსა მშიერი ლომი,
 ეკვეთნენ სპარსთა ივერთ მხედარნი
 და მტკვარსა შეპრთეს სისხლისა ღვარნი!

³⁶ განამხნეებდა AB. ³⁵ უსჯულება BC, უსჯულება A. 44. ხმა — A; ⁴⁵ შებლავლა ABC; ⁴⁶ ჰხედავს | ჰყავდეს EFGH; ⁵⁷ ჰოი გმირნი ქართლის EFGH; ^{58,59} განაღვიძებს, მხნე, მხდალო, განამხნევს | და შენც, მიჯნურო, სულს შეგიშფოთებს EFGH. მხდალო, განამხნევს, მხნე, განაღვიძებს | და შენ, მიჯნურო, სულს შეგიშფოთებს BC. ⁶² ეკვეთნეს EFGH; ⁶³ და მტკვარს ერთვიან EFGH; შერთეს ABCEFGH.

- 64 ორნივე იბრძვიან გამწარებულნი,
ორნივე ომებში გაქეზებულნი.
თამაზ, ენისენთ მოურავის ძე,
და იოანე, კახთ აბაშიძე,
- 68 განუმტკიცებდენ მკლავთა ქართველთა;
მეფის ირაკლის ღვაწლი ყოველთა
შთაუდგამს სულსა ვაჟკაცობისას, —
მიანც ვერ ჰხედდენ ბოლოს ბრძოლისას.
- 72 რა ნახეს ქართველთ, გაჰირდა საქმე,
მყის ჩაიკეცეს ქუდები თურმე,
ხრმალს ხელი იკრეს მამაპაპურად
და დაერივნენ თავისებურად!
- 76 ბინდმა განჰყარა მებრძოლნი მტერნი,
გამარჯვებულნი დარჩნენ ივერნი;
მაგრამ რა მეფე ჯარსა უყურებს,
მას გამარჯვება არღა ახარებს:
- 80 ძვირად დაუჯდა იგი ირაკლის!
მრავალთ ყმაწვილთ-კაცთ, ნუგეშთა ქართლის,
დასდევს აქ თავი მამულისათვის!
აწ საფლავიცა არსად ჩანს მათთვის;
- 84 ჰაერში განჰქრა მათი სახელი
და არსად ჟამთა მოწამე ძეგლი
არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა:
ღუმილნი ჰფარვენ ერთგულთა ძეთა!..
- 88 მაგრამ, ჰოჲ გმირნო, ნუ შეშფოთლებით,
თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით:
რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,
სამვილიშვილოდ გარდაეცემის;
- 92 ქართლი თქვენს ღვაწლსაც ვერ დაიდუმებს,
ალა-მაჰმად-ხანს ვიდრე ახსენებს!

მეფემ უბრძანა თვისთა მოხელეთ:
«გვიჯობს, რომ ახლავ ქალაქს მივიქცეთ
96 და ციხე ჩვენი მსწრაფლ გავამაგროთ,
თვარემ ხვალ სიმხნით ვერა გავაწყოთ,

66, 67 თამაზ... კახთ აბაშიძე | სომხეთის გმირნი, ყაფლანისშვილინი | და მათ მომარ-
ცხნელ ბარათაშვილინი BC. 76 გაჰყარა BC. 82 დასდევს B, დასდეს C. 83 ქსიანს A; ჩანს |
არს BC. 85 და... ძეგლი | და ჟამთ მოწამე საღამე ძეგლი BC. 91 გარდაეცემის BC.
96 მსწრაფლ ABC. 97 თორემ სიმხნითა ვერა გავაწყოთ EFGH.

აღა-მაჰმად-ხან რა აქა გენახავს!
 ხომ იცით, ჯარი დიდ-ძალი ახლავს
 100 და იქნება, რომ ციხეში დავხვდეთ,
 ჩვენის ძალისა ფიქრი მიეცეთ».
 ყველა ეთანხმა ამაზედ მეფეს;
 ქალაქს მოიქცნენ იმავე ღამეს
 104 და მსწრაფლ ზღუდენი ნარიყალისა
 ექმნათ საჭურედ ჯართა ქართლისა!

გათენდა დილა მზისა აღმოსვლად,
 მაგრამ მნათობმან შუქისა ნაცვლად
 108 ბნელი მოჰფინა ტფილისის არეს:
 აღა-მაჰმად-ხან მოადგა ციხეს,
 სამი დღე და ღამ ადგა მას ჯარით,
 მაგრამ ვერარა ავნო ვერსაით. —
 112 დაღონდა სპარსთა მეფე ბორგენილი
 და თურმე ყოვლით იმედმიხდილი
 ქართლითგან წასვლას დააპირებდა;
 მაგრამ იუდა ჟამს ეძიებდა!
 116 აჰა, მან იგი აწ მოიხელთა
 და მუხთალისა ანგართა ხელთა
 აჰყარეს მამულს სიმტკიცის ბქენი!
 მან მტერთ უმსხვერპლა თვისნი მოძმენი!
 120 სცნა რა ირაკლიმ ესე მუხთლობა,
 მოყმეთა თვისთა ეზღენ დამცრობა,
 მყისვე აღენთო ხელმწიფე-გული,
 მტერზედ ამაყად გამზადებული!
 124 მაგრამ ცუდ იყო ყოველი ღონე:
 აღა-მაჰმად-ხან კვლავ თავმომწონე
 შემოეპარა ციხისა კართა
 და მოეგლინა მსწრაფლ ქართველთ ჯართა.
 128 გაფოთებული ეძიებდა მას,
 ვინცა ჰერანის ტახტს, ხელმწიფეებს

101-ე სტროფის შემდეგ: ხამს, ვერაგობაც სარდარსა ჰქონდეს, | დროზე იგიცა არასა
 წარუხდენს (წარუხედეს) EFGH; ძველთაგან ასრე ნაამბობია, | რომ ზოგჯერ ხერხი ღო-
 ნეს სჯობია BC. 104 მსწრაფლ ABC. 120 სცნა ABC; ესე სიმუხთლე BC. 121 ეზღენ სიმ-
 დაბლე BC. 127 მსწრაფლ A; მსწრაფლ ქართველთ ჯართა | ქართველთა ჯართა BC, ქარ-
 თლისა ჯართა EFGH. 128 გაფოთებული EFGH. 129 თერანის A.



ქართველთა შორის წაართვა ძალა.

მაგრამ ირაკლიმ უკვე გაქუსლა

132 მთიულეთისკენ თავისი ცხენი
და შეუმცირა სპარსთ ტკბილნი დღენი!

კ ა რ ი მ ე თ რ ე

მორბის არაგვი არაგვიანი,
თან მოსძახიან მთანი ტყიანნი,

136 და შეუპოვრად მოუთამაშებს
გარემო თვისსა ატეხილს ქალებს.
ჰოი ნაპირნო, არაგვის პირნო,
მობიბინენო, შვეებით მომზირნო,

140 ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,
ოდეს შვენება თქვენი იხილოს,
რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს,
რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს,

144 როგორ იქნება არ განისვენოს?
სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ღვინოს!
ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს,
გამოიღვიძებს — შუბლს განიგრილებს,

148 ერთს ქართველურად კიდევ შესძახებს:
«არაგვო, მაგ შენს გამწვანებულს მთებს!» —
და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს,
იგი იმისთვის აღარ დალონდეს!

152 მზე დამავალი მოჰფენს სიამეს
მთიულეთისა ხეობის არეს,
და ამ მშვენიერს არაგვის პირებს
ძველი ჩარდახი ზედ გარდმოჰყურებს.

156 მუნ ბრძანდებოდა მეფე ირაკლი,
მოწყენის თვალით გარდმომზირალი;
დაფიქრებული თვისთა ზრახვათა
გა-ცა-ართობდა ქარვის მარცვალთა.

160 თან ახლდა მეფეს თავის მსაჯული,
ნიჭთა კეთილთა უხვად მორჭმული.

135 მოჰსძახიან ABC. 138 ნაპირნო] ადგილნო BC. 146-147 თვალს მოატყუებს, ცხენს მოაძოვებს] და ნამძინარევს შუბლს განიგრილებს EFGH. 148 შესძახებს ABC. 149 გამწვანებულ ABC. 159 გა-ცა-ართობდა ქარვის მარცვალთა] კრიელესონის ართობს ქარვთა BC.

ვის არა გახსოვთ სოლომონ ქველი,
მეფის შინაყმა, ყმათ საყვარელი!

164 სადღა არიან აწ ესე კაცნი,
რომ არ გვალხენენ თათბირნი მათნი?

დიდხანს უჭვრეტდა მეფე მღუმარედ
არაგვის წყალთა, მდენთა მჩქეფარედ.

165 ბოლოს მახერალმან უბრძანა მსაჯულს:
«შენ იცნობ კარგად, სოლომონ, ჩემს გულს,
შენ უწყი ქართლის აწ ვითარება,
მისი აწ ძალა, ყოფა-ცხოვრება.

172 ბევრჯერ რჩევანი შენნი, ვითა წყლულს,
მსალბუნებიან მე შეწუხებულს;
აწც ჩემს სულის ტვირთს, ჩემს გულის წადილს,
შენ გაგიძღავენებ, ვით საყვარელს შვილს!

176 არ მითვისებდა ქართველთა გული,
რომ ვიყავ მათი მეფე ეული;
ჩემი მეფობა, ზე დავასრულე,
რომ ძლივს იგინი გავიერთგულე!

180 და ახლა, ოდეს ჩემს ხელმწიფობას
განვუმზადებდი ჟამ-კეთილობას,
აი, მის ნაცვლად რაი მომაპყრეს
მე ჩემთა ძეთა და ვინ ახარეს!..

184 ამიერითგან გაქეზებული
მაჰმად-ხანისა მოსისხლე გული
არ დაგვაწყნარებს სიამაყითა:
მას ჟამი შესწევს ყოვლის ღონითა;

188 ეს ხმა ლეკთაჲა აგვიყაყანებს;
ოსმალი მხოლოდ დროსა უყურებს,
და მტერნი ძლიერ მაშინ მოგვატყდნენ,
როს ყმანი ჩემნი ურთიერთს ჰბძარვენ!

192 მე თუმც კიდევე ვჭვრძნობ სულის სიმტკიცეს,
გარნა ღონენი წელთ წარმიტაცეს;
შენი ირაკლი ის აღარა ვარ,
პატარა კახად რომ გინახვივარ!

165 თათბირნი მათნი] სულით მამაცნი BC. 176 ზე]ზედ BC. 181 განუმზადებდი ABC.
182 მე რა მამაპყრეს BC. 183 მე ჩემთა ძეთა] ჩემმა შვილებმა BC. 186 გული] სული BC.
186 ამაყობითა BC. 187 მას ჟამი შესწევს ყოვლის ღონითა] იგი სარგებლობს კარგის ჟამითა EFGH; 189 დროს შემოპყურებს BC; 191 ყმანი] ძენი EFGH; ურთიერთს ჰბძარვენ] ერთმანეთსა ჰყვლენ BC; ბძარვენ AEFHG; 194 არღარა BC; 195 რომ] რაც BC.



196 აბა, რომელს შვილს ვხედავ ღირსეულს,
რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს?..
ჰოა ღმერთო, ღმერთო, ამაზედ მეტად
ნულარ განსწირავ ქართველთა ტანჯვად!

200 აბა, რას მირჩევ, ჩემო მსაჯულო?..
კარგად იფიქრე, შვილო ერთგულო!
აწ განთქმულია რუსთა სახელი,
ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი,

204 დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,
მტკიცე კავშირი, სარწმუნოება,
მას, მსურს, რომ მივცე შემკვიდროება,
და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა!

208 ამის გამგონი ჩვენი მსაჯული
უჭვრეტდა მეფეს განცვიფრებული:
მას არ სჯეროდა, რომ ირაკლის გულს
ჰხედვიდა იგი ესთ შეცვალებულს.

212 «რასა მიბრძანებ», ჰკადრა მან მეფეს,
«ბატონო, ღმერთი გადღეგრძელებდეს,
ნუ გააგონებ მაგ ხმას ქართველთა,
ეზღენ შენზედა მსასობელთა!

216 ჯერ სამაგისო რა გვემართება,
რომ განვისყიდოთ თავისუფლება?

იცი, მეფეო, რომე ივერნი
იქმნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?

220 სახელმწიფოსა ერთობა სჯულის
არარას არგებს, ოდეს მის შორის
თვისება ერთა სხვადასხვაობდეს.
ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს

224 რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი:
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,
ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,
რაც მოისურვოს ქართველობამა?

196 აბა | მარჯვი BC; ჰხედავ BC. 198-199 ჰოი... ტანჯვად | ჰოა ღმერთო, ემაღლობ შენა სამართალსა, | ჰგავს, ღირსად შევხვდი ამა სასჯელსა EFGH; ღმერთო ამაზედ მეტათა ს ტანჯველთ | ნულარ მოუვლენ საწყალთა ქართველთ BC. 199 განსწირავ A. 206 მას, მსურს რომ | მას შინა მივცე BC; 207 მოსცეს BC; 216 სჯეროდა ABC. 211 ჰხედვიდა იგი ესთ შეცვალებულს | ნახევდა ესრეთ ის შემოფოთებულს EFGH. 220 სჯულის A. 220-222 სახელმწიფოსა... სხვადასხვაობდეს | სახელმწიფოსა სჯულის ერთობა | არარას არგებს, ოდესთვისება | ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს BC.

- 228 მაშინ, მეფეო, რაედენტ კაცთ მართალთ
 მოუკლან გულნი ტანჯვათ იღუმალთ!
 მაშინ ირაკლის სახსენებელი
 ვინღა ახსენოს, აწ საქებელი?
- 232 ნუ, ხელმწიფეო, მას ნუ ინებებ,
 შენგან კი მაგას ნუ გაგვაგონებ
 და, მერმე ვინც ვერ განაგოს ქართლი,
 მაშინ მან უწყის, რაც ჰყოს კეთილი,
- 236 ხოლო ირაკლი ვიდრე ჰყავთ ქართველთ,
 უბედურებაც ბედნიერ აქვნდეთ!»

«ჩემო სოლომონ», მეფემ უბრძანა,
 «მე ეგ ყოველივ არ ვიცი, განა?

- 240 მაგრამ კეთილთა დღეთათვის ქართლის
 რა მოვაგვარო უმჯობეს ამის?
 მე არა ვფიქრობ, ვითარცა მეფე,
 თვისს დიდებისთვის სისხლთა აღმჩქეფე,
- 244 არამედ ვითა მამა კეთილი,
 რომელსა ჰსურს, რომ თავისი შვილი
 თვისს სიცოცხლეშივ დაასახლკაროს.
 ძნელ-არს ცხოვრება სამეფოსი, როს
- 248 უქვერეტდეს იგი ომსა დღე-დღითი!
 აი, ხომ ნახე აწ მაგალითი,
 რა ჰქმნა ამ ერთმან დამარცხებამან!
 კარგი, რომ კიდევ აღა-მაჰმად-ხან
- 252 ქალაქს დასჯერდა განძვინებული,
 სხვით არ აღივსო მან საწყაული!

ახლა კი დროა, სოლომონ, რომა
 მშვიდობა ნახოს საქართველომა.

- 250 მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის
 ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის;
 და მხოლოდ მაშინ უეჭვოდ გერწამდეს,
 რომ ქრისტეანთ ხმა მარად ისმოდეს

234-236 და მერმე... კეთილი] და მერმე ქართლი ვინც ვერ განაგოს, | მაშინ მან უწყის,
 რაც მოაგვაროს BC. 242 ვფიქრობ ABC. 252 დასჯერდა ABC. 250 რომ ქრისტეანთ ხმა
 მარად ისმოდეს — EFGH.

260 საფლავთ ზედ ჩვენთა მამა-პაპათა,
და განისვენონ აჩრდილთა მათთა!»

ველარ გაუძლო მსაჯულსა გულმან
და ჰკადრა მეფეს აღშფოთებულმან:

264 «განზრახვა შენი, მეფევე, მაკვირვებს!
ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს
არად მიაჩნით უბედურება,
თუ აქეთ თვისთ ჰერთ ქვეშ თავისუფლება!» —

268 «სულ მართალია, ჩემო სოლომონ,
მაგრამ, აბა, თქვეი, ქართველთა რა ჰყონ
ამ უბედობის და დარღვევის დროს?
აბა, ირაკლიმ რა მოაგვაროს

272 მშვიდობისათვის საყვარელთ ყმათა?..
აი, მივიღებ მე შენთ რჩევათა
და დავიდუმებ ჩემსა გულის-თქმას,
ნუ დაივიწყებ მაგრამ ჩემს სიტყვას,

276 რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება,
ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება!»

ასე ირაკლი და მის მსაჯული,
მამულისათვის გულ-მტკივნეული,

280 ქართლისა ბედსა განსამართლებდენ.

ამ დროს აღმოჰხდა ბადრი მთოვარე
და სიამითა მოჰფინა არე.

ცამ მოჭედლიმან ვარსკვლავებითა,

284 მთისა ჰაერმან, საესემ შვეებითა,
და მთვარის შუქზედ არაგვის წყალთა,
თავისუფლებით ჩამომჩხრიალთა,
გულს აუშალეს დარდები ბატონს,

288 ოხვრა დაჰმართეს, ვით კაცსა ლიტონს.
მას მოაგონდა დრო ყრმაწვილობის,
განტარებული თვისთა კახთ შორის,

269 მსტქეი ABC. 274 ჩემსა] მე ჩემს BC; ჩემთ გულისთქმათა EF GH. 280-ე ტაეპის შემდეგ: ხოლო ქართველნი მამულს ჰგლოვობდნენ BC (ეს ტაეპი არ არის EFGH ნუსხეში). 281 აღმოჰხდა] აღმოჩნდა H. 285 შუქზე A; 286 ყმაწვილობის BC.

რთს ჯერ არ ელო ტვირთი მეფობის,
 292 რთს ჰქონდა უამი უზრუნველობის
 და საყვარელი კახეთის გმირი
 იყო ნიადაგ-მტერთა გამგმირი!

დიდხანს დაჰყოფდა ბატონი ჩუმად,
 300 დაფიქრებული მწუხარედ და ღრმად.
 შემდეგ უბრძანა სოლომონ მსაჯულს:
 «ახლა კი ღრთა ჩვენს გაოხრებულს
 ქალაქს ჩავხედოთ; მაგრამ ჯერ ერთი
 300 მინდა ვიხილო კიდევ კახეთი,
 შევიტყო კახთა საჭიროება,
 ვსცნა ჰაზრთა მათთა აწ ვითარება;
 შენ კი აქედგან ქალაქში ჩადი
 304 და დამახვედრე ჩემი სამზადი».

დილაზე ადრე მოვალს მსაჯული
 ქსნის ხეობაში, დაფიქრებული.
 ვიდრემდის იყო შიშინაობა,
 308 მას აქ ესახლა თავის სახლობა.
 მეფის ჰაზრთაგან სულით დეღვილი,
 ზრახვიდა გულში მამულის-შვილი:
 «მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას!
 312 ერთს კაცს მოჰმადლებ ყოვლთა უფლებას
 და მისს ერთს სიტყვას ჰმონებენ ერნი,
 განურჩევლად სულელნი, ბრძენნი,
 და იგი მათს ბედს ისე განაგებს,
 316 ვითა ამღერდეს იგი კამათლებს!
 მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება
 სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,
 მისდევდე შენსა გულისკვეთებას
 320 და უთრგუნვიდე თავისუფლებას?
 შენ ერმან მოგცა პირველ ღირსება,
 რათა დაუცვა ყოფა-ცხოვრება,

291 ელო] ეღვა EFGH. 300 მინდა ვიხილო] მინდა რომ ენახო EFGH; კიდევ] კვა-
 ლად BC. 302 ეპსენა ABC. 308-ე ტაეპის შემდეგ BC უმატებს: „და მომავალმან აწ ქალა-
 ქისკენ [გამთიარა თავის სახლისკენ“. 312 მომადლებ A. 313 მონებენ ABC. 315 ისე] ასე
 BC. 316 კამათლებითა ვითა იმღერდეს EFG.



- და რად ივიწყებ, რომე მარადის
 324 ერსა ეკუთვნის გულის-თქმა მეფის!..
 იქნება მეფე ციხის გატეხას
 აბრალებს მოყმეთ მუხანათობას?
 იქნება ამან აპყარა გული
- 328 ბატონს ქართლზედა, შეუთრგული?..
 მაგრამ ირაკლიმ უკეთეს უწყის,
 თუ ვით საყვარელ არს ქართველთ შორის—
 მაშ, რამ შეჰშფოთა მას გული მყარი,
- 332 ქართველებისთვის ესთ თანამკვდარი?..
 მაგრამ ვინ იცის! იგი იქნება
 უკეთ ჰფიქრობდეს, რაც გვეჭირება? —
 ბევრ-ჯერ ღვთიურსა ზრუნვასა მეფის
- 336 გონება ყმათა ვერა მიჰხვდების!»

- ამ ფიქრში იყო მსაჯული, ოდეს
 მოადგა თავის სახლისა არეს.
 წინ მოეგება მას თავის ცოლი,
- 340 სათნო სოფიო, სულისა ტოლი;
 ახლაც ბევრს ახსოვს მისი ზრდილობა,
 შვენიერება, გულკეთილობა.
 რა დაინახა მან თავის ქმარი
- 344 სახეშეცვლილი, მონაწყინარი,
 ამბავი ჰკითხა მყის ირაკლისა, —
 ასე საყვარელ იყო ყოვლისა!

- ვევქობ, სოფიო, რომე ირაკლი
 348 ქართველებზედა იყოს გულნაკლი;
 მას ზედ ეტყობა, რომ მისი სული
 ძლიერად არის აღელვებული!
 მწარედ უპირებს ბატონი დასჯას.
- 352 თავის შვილების ამა ურჩებას.
 ვევქობ, რომ იგი სამეფოს ქართლის
 აძლევს საფარს ქვეშ რუსთა ხელმწიფის.
 მაშინ უყურე ჩვენს დედაკაცებს,
- 356 როს საცხოვრებლად დიდკაცთა ცოლებს

324 მეფის გულისთქმა ერსა ეკუთვნის BC. 331 შეჰშფოთა| უცვალა BC, შეშფოთანა
 336 მიხვდეს ABC. 351 დამსჯის BC.

პეტრეს ქალაქში გარდასახლვენ!
 მაშინ, სოფიო, რაღა გინდათ თქვენ?
 ხელმწიფეს ჰპოვებთ მამად კეთილად
³⁶⁰ და დედოფალსა დედისა ნაცვლად;
 არ მოგაკლდებათ თავისუფლება,
 განცხრომილება, ფუფუნეულება
 მათთა სიმდიდრის პალატთა შორის!
³⁶⁴ ვერ გაიგონებთ მუნ ხმასა მტერის.
 მრავალთ სიამეთ იხილავთ კვალად
 ბანოვანთათვის გულგასართობლად.
 მაშინ ვისალა მოესურვება,
³⁶⁸ ნახოს ქართლისა კვლავ ამბოხება!» —

«უწინამც დღე კი დამელევა მე!
 უცხოობაში რაა სიამე,
 სადაცა ვერ ვის იკარებს სული
³⁷² და არს უთვისო, დაობლებული?
 რა ხელ-პყრის პატივს ნაზი ბულბული,
 გალიაშია დატყვევებული
 და ველად იგი ამხანავთ შორის
³⁷⁶ ქირსაც, ვით ლხინსა, ერთგვარ დამღერის?
 ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
 თუ მოაკლდება თავისუფლება?
 თავის მამულში მას გაჭირება
³⁸⁰ სხვადასხვა რიგად ენუგეშება:
 მუნ სულსა სული თვისად მიაჩნის
 და გულსა გულის-პასუხი ესმის!
 რად დაგვრჩომია სხვაზედა თვალი,
³⁸⁴ ოდეს მეფეცა და დედოფალი
 გვევანან კეთილნი და ღირსეულნი
 და ვართ მათთანა შვილებრ ჩვეულნი?
 ჩვენის დედოფლის გულისა ნაცვლად
³⁸⁸ მწუხარებათა სანუგეშებლად
 რასა ვიპოვით ჩვენს სიცოცხლეში?
 »

³⁷⁴ დატყვევებული AB. ³⁸⁸ და ვსევეართ შვილებრ ზედ შეჩვეულნი EFG. ³⁸⁸ მწუ-
 ხარებათა სანუგეშებლად] მის მშობლიურის ზრუნვის სანაცვლოდ EFG.

მსაჯულს ეგონა, რომე იგი გულს
 დედაკაცთაცა ჰპოვებს ცვალებულს,
 392 და, აწ რა ნახა ცოლი ამ ჰაზრით,
 გარდაეხვია მას მხურვალებით.

ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,
 კურთხევა თქვენდა, ტკბილ-სახსოვარნო!
 396 რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
 სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ?
 ვინღა ჰყავს გულის შემატყვივარი
 მამულს ასული ახლა თქვენგვარი?
 400 ქარმან ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ
 გარდაუცვალა მათ გული ცხოველ! —
 «ჯანი გაჰვარდეს აწ შვილსაც, მამულს,
 ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარს გულს.
 404 რის ქართველობა, რა ქართველობა,
 მითომ რას გვავენებს უცხო ტომობა?»

რა მოახლოვდა ქალაქსა მეფე,
 დიდხანს უქვერეტდა ცრემლთა აღმჩქეფე!
 408 პალატნი მისნი გარდმონგრეულან,
 სახლნი — სამშობლო დანაცრებულან!
 მიდამო ჰხედავს უპატრონობას,
 აღოხრებასა და ნატამლობას!
 412 დუმილი სუფევს მის არემარე!
 მხოლოდ ბუტბუტებს მტკვარი მწუხარე,
 შემრთველი მრავალთ სისხლთა ქართველთა:
 იგი გადაჰჩა მხოლოდ სპარსელთა!

416 აღავსო კვალად ერმან ტფილისი,
 რა მობრძანება სცნა ირაკლისი;
 ქალაქი ისევ ჩქარად აშენდა,
 თუმცა აღრინდელს მრავალი აკლდა.

420 წარვიდენ წელნი მოსვენებისა
 და კვლავ ირაკლიმ ზრმალი ბრძოლისა

402 გავარდეს ABC. 412 დუმილსა ჰხედავს EFG. მსუფევს ABC. 415 გადარჩა ABC.
 417 მსცნა A, მსცნეს BC.

აღიღო ლექთა შესამუსვრელად!
არც სპარსნი მორჩნენ დაუმარცხებლად;
424 სიბერის ჟამსა მოიცა ძალი
და შეაძრწუნა კვლად ოსმალი;
კვლავ ასახელა თავის სახელი,
მაგრამ ამო იყო ყოველი:
428 დიდი ხანია, რომ ბედი ქართლის
გარდაიწყვიდა გულმან ირაკლის!

დასასრული

428—429 დიდი ხანია გულს ირაკლისა | გარდაიწყვიტა ბედი ქართლისა BC.
6. ნ. ბატიაშვილი

V A R I A



პატივსაცემი და ყრმობისდროინდელი
ნაწიბრების დედნები

- K — S 5190 (გადაწერილი XIX საუკ. შორე ნახევარში).
- L — H 2684 (გადაწერილი მ. თუმანიშვილის მიერ 1833 — 1834 წწ.).
- M — H 3157 (ბეტიოგრაფი).
- N — მის. თუმანიშვილის არქივიდან, ხელნაწერი № 34 (ძველი № 572).

სახუმარო ეპიგრამა

ელენეს და მარიამს

მე რად მაყვედრით ფედოროვს? თქვენვე მოგხვდებათ სიძედა,
არც იმაზედ ხართ უმცროსი, რაღას დასცინით ხანზედა?

თუნდა კნეინა სოფიოს ჰკითხეთ: რამდენის წლისაც ხართ?

⁴ მაგას რომ ქმარი შეურთავს, დაბადებული ყოფილხართ!

თვარემ მეც გატყობთ სიბერეს, წელიწადებსა ნუ იკლებთ;

გაგთეთრებიან თმებიცა, ტყუილად ზეთებს აბრალებთ;

პაპუნაშვილი თქვენი ყმა თქვენი ლალაცა ყოფილა,

⁸ იმისი თქმითა მარიამ ოცდაათისა ყოფილა!

ვარდი და ია

უტყვისა მინდორსა, მწვანოვანსა ნაზარდი,
 ნაზად შეხრილი, გაფურჩქენილი მუნ ვარდი
 ხანცა ილიმვის, ხანცა ნაზობს წყნარადი,
⁴ სტქერს რხევით წყაროს მოწანწკარეს ტანადი.

«ზეფირო, მქროლე, განმაგრილე მღელვარე!» —
 მსუბუქად ჰქროდა ყვავილთ ამეღვარე.
 იაც სოსნადა, ნარნარადა მღგომარე
⁶ ვარდის ახლოსა უკლებლობსა მარადი.

ვარდი ამაყი იტყვის, წყნარი, მცინარი:
 «იავ წვრილძირავ, ნახე, შენთან ვინ არი,
 ვით თავისუფლობ, ვითა ლაღობ აქ მდგარი?
¹² რად არ იცი, მეტრფის კაცად-კაცადი?»

იამან თმენა, სრულ მოსმენა ინება.
 ვარდი ქართთა ბორბალითა იძრცვენება;
 მაშინ შიშველი, გაფლიდული იხრება.ა.
¹⁶ ეტყვის იასა: «აწ ვგრძენ ჩემი ნაბადი».

[1833 წ.]

⁴ სტქერს L.

ნარგიზი და ყაყაჩო

ველსა ტურფასა, საამურსა ხმა ისმის
ხანცა ბულბულთა, ხანცა სირთა; ხანც ისმის
ბუჩქთ ზედ ნიაგი მომფრინავი და ისმის

⁴ წყარო მგზავრთაგან მაშვრალთაგან მტკბარადა.

ყვავილი ორი მუნ მდგომარი დაქდაუებს:
ყაყაჩო ნაზად, აღისფერად ბიბინებს,
[.]*

⁸ ნარგიზსაც ჰრწყამს წყარო, ჰქრის ზეფირი ანცადა.

ნარგიზმან შლილმან, ყვითლად მოსმან ფურცელი
გარდაიშალა, განაყვითლა მან ველი;

ჰრქვა ყაყაჩოსა აღისფერსა: «ხარ ჰრელი,

¹² მითაც არ-მშეენი, ხარ მოხრილი ავადა».

ყაყაჩო შეჰხდა, განიფურჩქნა სუნნელად,

ჰრქვა ნარგიზსა მოკამათესა ნელ-ნელად;

«შეენიერება გარეგანი არს მართლად

¹⁶ უშინაგანოდ ფუჭი ყოვლგან მარადა».

[1833 წ.]

* გადამწერს აქ ერთი სტრიქონი გამოჩენია.

პავსანიური მოთხრობა

ბადრი მთვარე [შუქს] კავკასსა მოჰფენს;
აულ და სტანცი მყუდრობს მთის დამრეცს;
მხოლოდ ვაქეაცი ყაზახი ზისა

⁴ მარტოდ უძილო ტალავარს თვისსა. —

«ამაოდ ზიხარ, ყაზახო, ფიქრით,
ჟამთა მიმოსთვლი გულისა ძგერით;
ამაოდ უჭვრეტ სარკმლით ნაკადსა,

⁸ იღუმაღ ელი სატრფოს ნახვასა».

დადგა ჟამიცა ნახვის საწადი.
უკაბარდლოდ არს ისევ ნაკადი,
სადაც ბედნიერ ჰქმნა პირველ ნახვითა

¹² მის მტანჯველ ქალმან სიყვარულითა;

სადაც ბრმად-ქმნილმან ქალისა ნდომით
ჰფიცა, რომ განდგეს სარწმუნოებით,
მაჰპადიანთა სჯული მიიღოს,

¹⁶ რომ ტურფა ფათი ჩქარად შეირთოს.

სკვრეტს იგი ნაკადს, სარკმელს მდგომარე;
ჰხედავს მყის, რომე ტალავარის არეს
დგას კაბარდელი მკმუხი, ფერ-ნაკლულ,

²⁰ ფაჩვნიერ ღართით, ყაბალახ-ჩაცემულ.

იგი ძმა იყო კაბარდინკის მის;
ადრითვე ყუნაქ, მცნობარ ყაზახის,
იგი მისწვდა მათს ფარულს სიყვარულს:

²⁴ გლახ კამარდინკას ჰურის ცთუნებულს.

³ ჰზისა L. ⁹ დამსდგა L. ¹⁴ განსდგეს L. ¹⁵ მსჯული L. ¹⁶ ფათი L. ²³ მიმსწვდა L.

«ჩემს დასა ელი?» უთხრა ყაზახსა:
 «იგ ვერღა მოვა წყლისთვის ნაკადსა;
 მაგრამ შენ მიეც შერთვის ფიცი მას:
 25 აბა, რას იტყვი?... აღსრულდეს, დრო არს».

«ცან, რომელ ასულს მოგიცდით სამს დღეს;
 თუ დაივიწყებ, ყაზახო, სჯულს შენს,
 მინდა გაცნობო — მოვედი შენთან —
 32 რომელ თვით ფათი იქმნება შენთან».

მსწრაფლ განჰქრა იგი, რა ჰრქვა ყაზახს ეს,
 ვის სინიღისი ჰქვეჩნიდა სამს დღეს,
 თუ: ვით უმუხთლოს სჯულსა წმიდასა,
 36 ან ვით მოაკლდეს მშვენიერს ფათსა?

უკვე სამიან დღემ განვლო ესია,
 რომ მას დატანჯულს სევდა ესია;
 შუაღამისას სწყვევიდა თვისს მხვედრს;
 40 დაცემულია მარტოდ სარეცელს.

დაჰკრეს მის კართა და მანც გაალო;
 კაბარდინელი პარკითურთ იყო;
 ვით ღამე ბნელი, მხეცებრ საზარი,
 44 ბუტბუტებს ჩუმად თვალთ-მაელღვარი:

«სამსახურს ახლავს ყუნაქს ჩემი და».
 თქვა და სარეცლის პირდაპირ დადგა;
 მოჰხსნა პარკს პირი, ყაზახის ფეხთან
 48 აღმოიღო მყის ფათის თავი მან. —

«ქალს უბატივოდ არ აქვს სიცოცხლე,
 შენ პატივი და სიცოცხლე სტაცე...
 აწ ჰკოცნე მასა, თუნდა ყოვლს ჟამსა;
 52 მშვიდობით, ღმერთმან მაგიერ გყოსა!»

მღუმრად დასცქერდა ყაზახი თავსა,
 აბრიალებდა მხეცებრ თვალეზსა;

29 მსცან L. 30 სჯულს (კონიექტ.) | შეც L. 32 ფათი L. 35 მსჯულსა L. 36 ფათს
 L. 39 მსწყვევიდა L. 40 დამსდგა L. 48 ფათის L. 50 მსტაცე L. 52 დამსცქერდა L.

დაეცა მის წინ მუხლთა მოდრეკით,
⁵⁶ მკვდარსა ცოცხალი შეეხო ზაგით...

ბრწყინვენ კენწერნი სრულ კავკასისა.
დღეს, როს წინაშე ქოვშის სახლისა
შეკრბენ ყაზახნი და ნახეს, აკლდა
⁶⁰ ყაზახი ერთი, იგ ახალგაზრდა.

[1833 წ.]

⁶⁰ ახალგაზრდა L.

შესხმა აგრიკოლასი

სპასპეტისა რუმაელთაჲსა მხედართაღმე
თვისთა უწინარეს ბრიტანთა თანა

მეგობარ-ამხანაგწნო.

რვა უკვე არს წელი, რომელ იპყრობთ თქვენ ბრიტანიისა ყოვლის შემძლებელის ჰრომისათვის და საქმენი თქვენნი სათნო ეყვან მორწმუნეთა ძეთა მისთა. არა თუ მხოლოდ ჯერ იყო თქვენდაძლევად მტერთა მრავალთა, არამედ თვით ბუნებისაცა!

ჰოჲ ღვაწლნო აღურაცხველნო!

ჰოჲ სასწაულებრო მოთმინებაო!

კმაყოფილ არიან სპასპეტი და მხედრობაჲ მისი ურთიერთარს. არა ყოფილან აქა არცა ჩემნი და არცა თქვენნი წინაპარნი. არა სიტყვითა სმენისაჲთა მხოლოდ ვემთავრეთ ჩვენ სრულსა ბრიტანიისა, გარნა ნამდვილად ვსდევით მახვილითა ხელთა შინა ჩვენთა უკანასკნელ ზღუდეთა ზედა მისთა. პოვნილ არს დაძლეულ არს ახალი მარად! როს განჰვლიდით კლდეთა მაღალთა და მდინარეთა ღრმათა, მხნენი თქვენგანნი ეკითხოდენ ურთიერთას: «როს ვიომებთ? სადა არნ მტერნი?» — აჰა, იგინი... მოვიდნენ იღუმალთა სახლთაგან თვისთა და ემზადვიან, რათა ემსხვერპლონ გმირობასა თქვენსა. კვალაც ერთი ძლევა და მერმედ შესრულდების ყოველი!

ჰოჲ, საქებელ არს ესე, რომელ ჩვენ ვუწყოდით სვლა ბნელთა ტყეთა შორის და საშიშართა ჭაობთა შორის! გარნა უკეთუ ვივლტოდეთ ჩვენ, მაშინ წარგვეწყმედს ჩვენ თვით იგი, რაჲთაცა აწ ვიქებთ თავთა ჩვენთა.

ბრიტანთა უკეთეს ჩვენთა იციან ადგილნი თვისნი, აქვსთ უმეტესთა კამადი, გარნა ჩვენ გვაქვს ხელი და მახვილი. მაშასადამე, ჩვენს ყოველს ამა ლტოლვასა შინა არა არს დახსნაჲ. აჰა, ჩემი წესი: რომაელისათვის პატივი უსიყვარულე არს სიცოცხლისა, გარნა აწ იგინი განუყრელ არიან. ხოლო უკეთუ სათანადო არს ჩვენდა სიკვდილი, მაშა, უსაქებელეს ყოვლისა არს მოკვდომა მუნ, სადაცა არს დასასრული ბუნებისა.

უკეთუ თქვენ გქონოდათ საქმე ერთა თანა უცნაურთა და მტერთა თანა ახალთა, მაშინ გითხრობდით მე მაგალითად სხვათა მხედართა რომაელთათა, გარნა აწ საჭირო არს მოვიხსენოთ მხოლოდ საკუთარნი საქ-

მენი თქვენნი. ვის ჰხედავთ წინაშე თქვენსა? — მათ რომელთაცა იმას
წინა წელსა, დროსა ოდენ ღამისასა ენებათ იღუმალ გარე-მოზღლუდვად
ერთისა ჩვენთაგანისა ლეგიონისა და განიბნივნენ მეყსეულად, რა უკვე
ესმათ ხმანი გმირთა რომისათანი. მსწრაფლმან ლტოლვამან იხსნა იგინი
სიკვდილისაგან. ძლიერნი მხეცნი ეომვიან მონადირეთა, ხოლო მხეცნი
მხდალნი ივლტიან მათგან, შეესმისთ რა ტყეში ხმაჲ მათი. ესრეთ მხნენი
ძენი ბრიტანიისანი აღრე უკვე დაეცნენ ცემათა ქვეშე თქვენთა, ხოლო აწ
დამთენილ არიან მოშიშნი და სულმოკლენი. იგინი არა გელოდენ თქვენ
მუნ, არამედ თქვენ სძებნეთ იგინი განქირვებულნი დიდითა შიშითა და
მზანი მოწყვეტად ხელთაგან თქვენთა და წარწყმედითა თვისითა მოაქცი-
ონ ყურადღებაჲ სოფლისა ჰრომაელთა გმირთა ზედა!

მეგობარ-ამხანაგნო! კვალადცა ერთაჲ დღე დიდებისა და იყვის და-
სასრული ომსა რვაწლოვანსა და რესპუბლიკა კმაყოფილ იქმნების თქვენ
მიერ.

ПЛАЧ ШАХРО ПО ВИСИ

Отрывок из грузинского романа
«Висрамиани», соч. С. Тmogвели

Шах Моабад приехал из замка, но с ним не было уже солнцеобразной Виси. Шахро, мать ее, узнав это, вышла к нему навстречу. Она воскликнула, обливаясь слезами:

«Ах! Душа матери своей и все горести радостями заменяющая, от чего с собою не привез тебя Моабад, тебя непобеждаемую? Какая судьба постигла тебя?... А ты какую причину поведаешь мне тому, что не привез с собой Виси?» — возопила она, обратившись к Моабаду: «Где девал ты мое солнце? Зачем обезлунил небо?... Немедленно превращу в развалины дарбаз твой и рай твой в ад, если не возвратишь мне душу мою без всякого замедления. Вопию так, что и скалы станут сожалеть обо мне и смертные будут удивляться. Пролью из глаз моих водопад кровавый. Огорчу твое государство, если сию минуту-же не покажешь мне моей Виси. Сам бог отступится от тебя за кровь невинной Виси, и друзья твои станут твоими врагами». С воплем и плачем говорила она эти слова и Моабад заплакал, произнеся сквозь слезы:

«Как ни плач, как ни проклинай меня и не умоляй меня, а что сделано, то и сделано. О, еслиб этого не случилось со мною и бог не грозил бы мне!.. Я сам нарушил радость и честь свою. Ты не увидишь уже в лице твоей Виси. Ты узнаешь ее покрытою землею, ты увидишь ниспавший кипарис — увидишь горюющую над ним молодость, увидишь блестящий вид ее помраченным, измененным ржавчиною застывшей крови, увидишь и волосы развешанные».

Услыша эту весть, Шахро упала без памяти и начала бить челом о землю. Дарбаз наполнился благовонным испарением кровавого озера, образованного ее слезами. Ядовитая стрела пронзила сердце Шахро, и она так молвила:

«О, тщетный, обманчивый мир! Ты ли похитил у меня драгоцен-

ное сокровище? Как я, так и ты любил ее как золото. Неужто поза-
видовал ты кипарису и пересадишь его в вечный сад? Зачем, судь-
ба, украсила ты его молодость и помрачила прелесть его? О, зем-
ля, ты до сих пор пожирала только людей, а теперь и солнце и лу-
ну поглощаешь. Разве не довольно тебе, разве ты не насытилась
еще? От чего сокрушила ты солнце мое?.. Она помрачила свет мой, —
помрачила день мой. Луна лишилась блеска. Заботьтесь обо мне,
небо и земля! Затем-ли столпились звезды, чтобы со мною разде-
лять плач о Виси моей? О, свет матери своей, стройная пальма,
солнцеобразная, яхонтоланитая, светловласая, будь истребитель-
ницей моих горестей! Будь богинею и радостию моею. Тебя не ста-
ла и чем же мне успокоиться, чем увеселиться? Кто о моей скорби
сожалеет? У кого искать опоры?... Соберу всех греков с Гре-
ции, индейцев с Индии, кто-нибудь из них поможет мне...

Ах, моя Виси, райская царица!

Ах, моя Виси, Хатуни Туркистана!

Ах Виси — Хорасанское солнце!.. Луна Армении... надежда
царей!..

Ах, Виси, зачем родила я тебя?..

ვარდი და ბულბული *

ბულბული ვარდს შეაჯდა და ეტყოდა მსტვინავი:
«ვარდო, ვარდო, მტანჯ ჩემო, გვედრებ გულით მტვინავი:
მიხმენ აჯა, მიჩვენე გაშლა ამოდ მღინავი!

⁴ მწუხრსა აქეთ აქა ვზი, ფურცელთ ზედა მკონავი».

ესრეთ ჰყეფდა ბულბული, ოდეს ღამეცა ბნელი
მოიცვავდა წალკოტსა, ჰქროდა ნიავიც ნელი.
მაისმანც მალ-ფრთოსანმან მიმოჰფინა სუნნელი,

⁸ აღმოსვენდა მქრქლად მთვარე, დაღუმდა ხმაც ყოველი.

ბულბულსაც მაშვრალს ყეფით ეწია მწარე რული.

აღმობრწყინდა მთიებაც, ფრთოსანთაც მხიარული
გალობა ჰყვეს ჰაერში; განაღვიძეს ბულბული,

¹² ვინ დაჰხედა გაშლილს ვარდს, და, ვაჲ, დასევა გული!

თვალნი ემოსა ცრემლით, გული — სეედის სახმლითა,

ფრთა ფრთას ჰკრა და აღმალდა მსტვინავი ღმობის ხმითა,

უხმო ყოველთა სირთა: ღმოდით და შემოკრბითა,

¹⁶ მისმინეთ, შემიბრაღეთ, ვის მივმართო წყლულითა?

განთიადით ღამემდე შევჰფრფინვიდი კოკრობას,

არ ვზოგავდი სიცოცხლეს, არცა სტვინვას, გალობას;

მაქვენდა მცირე წადილი, ვერ მივჰხვდი კი ძნელობას;

²⁰ ესთ გაწბილდეს, ვინც იწყებს თვისგან შეუძლებლობას»

[1833 წ., 18 ივნისი]

* იბეჭდება L ხელნაწერის მიხედვით.



დაფიქრებული ვიდექ სერზედა

და ცათა მიმართ მზირალს ტრფობითა

შემომერტყმოდა მაისის მწუხრი, აღმვსები ნაპრალთ მდუმარებითა;
ანცნი ნიაენი, ნელიად მქროლნი, ღელეთა შორის აღმოკვნესოდნენ
²⁴ და მდუმარენი შემოგარენი მით ჩემსა გულსა ეთანხმებოდნენ.

მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო!
ვინ მოგხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება
არა იპოვოს, არ ნუგემ-ჰყოს გულთა ვაება,
²⁵ გულდახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!

სდუმენ ყოველნი არე-მარენი; ბინდი გადევრა მთისა კამარას;
მქრქალთ ღრუბელთ შორის სრიალებს მთვარე, მოსდევს ვით ნუკრო
მისი ამარას
ვარსკვლავი მარტო, მოციმციმარე; მისი ლიბრი არს მინაზებული,
²⁶ მაგრამ მით უფრო უსატრფოე არს, ვით დამაშვრალი ლოცვით
ქალწული.

ამგვარი იყო მთაწმიდაზედ შემოლამება!
ჰოა ადგილნო, მახსოვს, რასაც ვჰფიქრობდი
მე თქვენთა შორის და ან რასაც აღმოვიტყოდი;
²⁸ მხოლოდ გული ჰგრძნობს, თუ ვითარ სძლევნით მას შვება.

ჰოა მიმწუხროთ სატრფიალო,
შენ დამშთი მხოლოდ გულში საშვებლად!
როს კმუნვარება მომესევისა, შენდა მოვილტვი განსაქარებლად;
როს უტყვნე ჩემნი აღმოთხერანი შემომახვევენ ფიქრიანობას,
³⁰ მაშინ მზირალნი შენზედან თვალნი
ითხოვენ შენგან მისთვის მისნობას!

[1833 წ.]

²² აღმსები; ²⁴ ეთანხმობდნენ. ²⁹ მსდუმენ. ³² ქალწული. ³⁶ გრძნობს; მსძლევნით.

ღამე ყაბახზედ *

მიყვარს, ყაბახო, მყუდროება ღამისა შენის,
თალხად ბნელისა მაისის დროს წყნარის და ტფილის.
ბევრჯერ მინახავს სახე შენი შეენიერებით —

⁴ ძველის ახალთან, ახლის ძველთან შენობაებით;
მაგრამ უმეტეს მიყვარს ღამე, როს მთვარე შუქით
მოპფენს შენს არეს, თვით ბუნებით სავსეს სიამფით,
და მომდინარე მქველებითა ხუვილით მტკვარი

⁸ ზვირთთა აღატყვევლს შორით სმენად დასამტკობობარი!

ამგვარი იყო ის ღამეცა, ოდესცა გარე
ფიქრით მოცულმან ჩვეულებრივ ყაბახს ვიარე,
სადაცა მწყობრად დარაზმულნი აქა-იქ ქალნი

¹² პირად-პირადად სეირნობდენ კვკლუც-მოსილნი
და მათ გარემო შეჭტოფინვიდენ ყრმაწვილნი კაცნი,
ზოგნი დამძნილნი, ზოგნი ტრფიალ და ზოგნი ანცნი.
თვითონ ცის მთვარეც მოწიწებით დრუბელთ ეფაბა,

¹⁶ რომ ქვეყნის მთვარეთ შეეტრფოდენ და მას კი არა.

«თქვი რამ», იტყვიან, «ყაფლან, ყაფლან», ზოგნი ქაღები,
«თუნდ თავსა უფლად! ახლა პრანჭვის ნუ კი მოჰყევი».

ყაფლანც მორჩილი სატრფოთა მათ დაიდილინებს

²⁰ გულის საკვდავად და თან და თან ყელს მოიღერებს.
ვის არ გსმენიათ მის ლმობით თქმა, რომ მყის სევედები,
კვკლუცნო ქალნო, არ აგშლიათ გულად მკვიდრები?
კილოს და კილოს ხორხში ამოდ დაირაკრაკებს

²⁴ და მას ნიავი არე-მარეს შეამუსიკებს.

* პირველი რედაქცია, რომელიც ჩართულია II წერილში, იბეჭდება იონა მეუნბერგის პუბლიკაციის მიხედვით («დროება», 1885, № 114). მას უძღვის უმნიშვნელო ურჩიანტული სხვაობით მიმართვა «ძია გ...სთან», რომელიც დაბეჭდილია აქვე II წერიალთან ერთად (გვ. 106—107).

უეცრად მარჯვნივ დავინახე თეთრ-კაბიანი,
მათ შორის მდგომი, ვინ მიმხადა მსწრაფლად ცნობანი.

არ ვიცი, ამ დროს რად აღვიგზენ უფროს ცეცხლისა?

²⁸ სად არს გაბედვა, სად არს ძალი გრილის გულისა?

ენახე სადღაცა ქალთ კრებაში როდისღაც ერთი,
მას აქეთ თვალი ვეღარ მოვჰკარ, და ახლა ერთი
დგას აქა მწყაზრად, ვით ქურციკი, ვეფხვეთა შორისა.

³² ყელი ყელყელობს, დამფანტველი მსწრაფლ გონებისა.

თვალი შემასწრო მან ამ დროს მე და შემომღინა.

ამან გამამხნო, და გულს-ძგერით წარვსდევდი წინა

და ასე ვუთხარ: «ნეტარ, რომ მე მეღირსა კვალად

³⁸ სანატრი ჩემთვის ნახეა თქვენი აწ მხიარულად». —

«გმადლობთ», მითხრა მან, «რომ თქვენ მაინც გახსოვვართ კიდევ;

ახლა მოდაა — ვინც ვის იცნობს, ივიწყებს ისევ». —

«ღარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოდები

⁴⁰ ვერ მომიშლიან თქვენსა ხსოვნას და ვერც დროები».

ამა სიტყვაზე ვარდი ღაწვთზედ მყის აეფურცლა;

ამ დროს ნიავმანც თეთრი კაბა მიმოუქროლა

და ბუდეშური მის ფეფები ღამაზად მოჩნდა,

⁴⁴ რომელთ სიამით ცნობა ჩემი მიმხადეს თვისდა.

ამ დროს მთოვარემც შუქს მის ხალი აღუგზნობინა,

რომელმან ჩემს გულს სანდომობით შვება მოჰფინა;

მაგრამ სხვა მუნით მიიხმობდა სატრფოსა ქალსა,

⁴⁸ რომელი მყისვე მიეფარა, ნათელი — თვალსა!

ჩემს მემობარს *

ჭაბუკო, ვიდრე დილა გინათებს ცხოვრების დღეთა
და სიყვარულის მტანჯსა ჭირებსაც ჰფენს სიამეთა,

არ დაიჩნიო შავის ბედისა გულზედ ლახვარნი,
4 ლხინსა და ტრფობას გაატანიე ცრემლნიცა მწარნი.

არ მოარიდო გული მღერალი ცეცხლს სიყვარულის,
არ ათაკილო სიყმაწვილეს აყოლა სოფლის!

სასაცილოა, რომ ბერიკაცი კვლავ ყმაწვილობდეს,
8 გაუძლებელ არს, ოდეს ჭაბუკი ბერიკაცობდეს.

მას ვაქებ ვინცა, თავისს სიცოცხლე ესთ განატარა,
რომ ყოვლი ჟამი ხანის მიხედვით მიმოიხმარა!

მაშინცა კმარა შეაღვირება გულისა თქმათა,
12 კისრად ტვირთება ამა სოფლისა მძიმე ზრუნვათა,

ოდეს მზის სხივნი შეგვიცვლიან ჩვენ დილასა მას ნელს
და ცრუ სოფელი თვით სიყვარულსაც შეჰყრის სარგებელს!

მხოლოდ გირჩევ მას და დაიხსოვე ესე თათბირი,
16 თუმცა ჯერეთ მეც ამ საწუთროსი ვარ მცოდნე მცირი,

მაგრამ მერწმუნე, გამოცდილი აქვს ეს ჩემსა გულსა:
არ შეემსჭვალო, ძმაო, უეცრად კეკელა ქალსა.

აშკის ენა მას განახარებს, მას ასულდგმარებს,
20 ხოლო სიყვარულს მის გული ცვლადი ვერ მიიკარებს.

[1843 წ.]

* იბეჭდება E ავტოგრაფის მიხედვით. დედანში წაშლილია სათაური და ლექსის ადრინდელი წანაერთებები: 7 რომ ბერი კაცი] ოდესცა ბერი; 12 სოფლისა] ცხოვრების; 14 შეჰყრის] შეჰქლენის; 16 დაიხსოვე] გახსოვდესო. ტექსტი ნასწორებია პოეტის მიერ მოგვიანებით (დაახლოებით 1843 წელს).



ფრაგმენტი ლექსისა
„კავკასი“ *

მოახლებულა აღსასრული შენიც, კავკასო,
თვალხარბო გმირო, გულ-უშაძღროვ, ბერო კაპასო.

[1842—1844 წწ.]

* იხეკლება E ავტოგრაფის მიხედვით.



მიმღვნა *

დაო მაიკო!

ეს ლექსები იქონიე ჩემეულად. ვიცი, რომ წარმკითხველი მათო მოგონებ ბევრთა საამოთა დღეთა ყრმაწვილობისათა და შემებრალებ შესს ყარიბსა ძმასა.

თის ნ. ბარათოვისაგან

1841 წ.

* იბეჭდება C ავტოგრაფის მიხედვით (უძღვის 1841 წელს გადაწერილ ლექსთა კრებულს. პ. ინგოროვეამ იგი პირად წერილებში მოაქცია. ნ. ბარათაშვილი, თბილისი, 1968, გვ. 173. აქვეა დაბეჭდილი მისი ფოტოპირიც).



ნ ე რ ი ლ ე ბ ი

1831—1845

წიგნილების აღწერები

1. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივის განსაკუთრებულ საქმეთა ფონდი № 171 (ფ. 79—80), ავტოგრაფი I წერილისა.
2. იმავე არქივის ძველქართულ ხელნაწერთა კოლექცია (ფონდი 1446), ხელნაწერი № 736 (ფ. 3r—9v), ავტოგრაფები V, VI, VIII და XVIII წერილებისა.
3. S 2484 (ფ. 10r—18v), ავტოგრაფები III, VII, XIII—XV წერილებისა.
4. Q 419 (ყოფ. A 1718), ავტოგრაფები XVI—XVII წერილებისა.
5. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერები № № 16399—16402 (ყოფ. № № 9222/2 — 9225/2), ავტოგრაფები IV, IX—X და XII წერილებისა.
6. გაზ. „დროება“, 1885, № 114, პირველნაბეჭდი II და XI წერილებისა (ავტოგრაფები დაკარგულია).



I. გრიგოლ ორბელიანისადმი *

Дражайший дядя!

Я получил ваше пис[ь]мо, с которым я очень обрадовался, и желаю вам всякаго благополучия, чтоб вас видет[ь] здоровым. Но что о своих успехах писать, когда вы самы знаете; а [и]нструменты¹ ежели пришлете, очень благодарен буду. Чтож дальше писать, дражайший дядя! только что желать вас благополучным с частливым и проч.

Имею честь, прибыть любящий вас племянник Н. Баратов.

(მისამართი, დაწერილი მეოთხე გვერდზე):

Его Сиятельству Милостивому государю Григорию Орбелянову,**

[1931, 3 სექტემბერი]

* ეს წერილი 1968 წლის გამოცემაში არ არის დაბეჭდილი (იგი ნ. ბარათაშვილის თხზულებათაგან ამოიღო პ. ინგოროყვამ).

** ძვირფასო ძია!

მე მივიღე თქვენი წერილი, რომელმაც ძალზე გამახარა, ვისურვებთ თქვენ ყოველივე ბედნიერებას და ჯანმრთელობას. ჩემს წარმატებებზე რაღა მოგწეროთ, როდესაც თქვენ ავითონ იცით; თუ ხელსაწყოებს გამომიგზავნით, დიდად მაძლობელი დაგრატიბით. მეტი რაღა მოგწეროთ, ძვირფასო ძია! ვისურვებ თქვენს კარგად ყოფნას და ბედნიერებას და სხვ.

დავუთება პატივისცემით თქვენი დისწული ნ. ბარათოვი. [მისამართი]: მის ბრწყინვალეებს, მოწყალე ხელმწიფეს გრიგოლ ორბელიანოვს.

II. მ ა ს ვ ე

ტფილისი. გარეთუბანი.
1837-სა წელსა თებერვლის...

საყვარელო ძიავ!

გთხოვთ მომიტევოთ ესდენს ხანს ჩემგან მოუწერელობა; ეს გარე-
შობის ბრალია: ხან არ ვიცოდი აღგილი, თუ სად იმყოფებოდით, ხან
საქმეებში გავერთოდი სამსახურისა გამო (я чиновник экспедиции
суда и расправы*) და ამობაში ორშაბათი გამომეპარებოდა ხვალმე,
როდესაც მანდაური ფოჩტა მოდის. ასე, ძიავ, ვიცი მომიტევებ.

აგერ წელიწად-ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე
და ვიმყოფები სუდაირასპრავაში¹. წარდგენილი ვარ ჩინზედ და ჩქ-
რაც მოველი. მაგრამ უნდა აღვიარო, რომ არც პანციონში ყოფნის
დროს, когда будущность моя представлялась мне в радужных
мечтаниях,** და არც მერმე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ
მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ქა-
რის-კაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ
შთამომეპარება ხვალმე გულში. მაშ, რაღამ დამიშალა, თუ კი ჩემი
სურვილი იყო? აი, რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომი-
დეს, რომ კოჭლი ხარო, და, თუ არ ინვალიდის კომანდაში, სხვაგან არ
მიგიღებენო, მაშინ როდესაც ფერხი უკეთ მქონდა და კარგადაც მაქვს.
ასე რომ, ჩემებურად კიდევ ვჰხტი და კიდევ ვტანცაობ. მაგრამ რად-
განაც შევიტყე უარი მათი და მით უამოვნობა, ვსთხოვე უნივერსი-
ტეტში მაინც გავზავნა, რომ, თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შე-
მისრულეს. უბედურებისა გამო მამაც ამ დროს ავად შეიქნა და ავად-
მყოფი ჩემს თხოვნაზე ასე მეტყოდა: «შვილო, ხომ ჰხედავ შენს
სახლის გარემობასაო, იქნება მე ველარც კი გავაწიო ამ სნეულებასაო,
შენს სახელს არ უპატრონებო?» ამის შემდეგ გული აღარ ძყო, რომ

* მე ვარ მოხელე სასამართლოსა და განჩინების ექსპედიციისა.
** როდესაც ჩემი მომავალი წარმტაც ოცნებებში წარმომიდგებოდა.

¹ უკელ. ² ეკსთხოვე.

კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში, განწესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმც ხანდისხან ჯავრით დაეაპირებ ხვალმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება! რადგანაც ასე მოხდა, მაშ, აქ ექსპედიციასზე კარგს აღგილს ვერ ვიპოვნიდი. უნდა მართალი ითქვას, რომ ეს აღგილი ყრმაწვილის კაცისათვის, ვისაც კი სამოქალაქო სამსახური უნდა, პირველი შკოლაა; ეს არის, რომ круг чиновников не выгоден для образования нравственности*, მაგრამ ეს თავიზედ არის დამოკიდებული.

ამისთვის გაცნობებთ ჩემს ვითარებას, რომ ჩემი აქ დარჩომა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ. ღმერთმა დამიფაროს! ეგ თვისება სხვისაა მეჯავრება. ქეშმარიტად არა, ზარმაცი არა ვარ, მაგრამ რა ვქნა, რა გაეწყობა სოფლის ბრუნვას... მახლას!..

ამ წარსულს ზაფხულში, ერთს შევნიერს, მთვარიანს ღამეში ყაბახზედ დავიარებოდი, სადაც მისმან შევენებამ, ს ა ტ რ ფ ო თ მარაქამ, მათმან უწინდელებრ კიდევ დარდიმანდობამ სრულიად განატკბეს სახედველი, აღმიტაცეს ფიქრნი, წარმიდეს გონება! კოჯრის ნიავის ქროლაზე, ძიავ, მერწმუნებით, თქვენ მომაგონდით, მაშინ მომაგონდა: «განცეცხლებულთა ღვინისგან შუბლთა კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს»², და მაშინვე განვიზრახე, რომ ამ ღამეს უთუოდ აღწერ და გავუგზავნი ძია გრიგორის-მეთქი, და კიდევ აღვასრულე; შით უფრო ჩქარად, რომ ერთმა საგანმა პირველ დამასო გულს კეუშანი.

შენი არს ყაბახი, ძიავ, შენ გიყვარს იგი და ამისათვის მასზედ წარმოებული შემთხვევაც შენ მოგეძღვნის. აი:

ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი
 წავართო ა ვ ი ს ე ნ ი ს ა გესლმან;
 სატრფონი მისნი, შემოგარენი
 გ ა რ დ ა ხ ვ ე წ ი ლ ს ა დავიხმო ეტლმან!
 მაგრამ გამნს კიდევ გულში მის არე;
 გიყვარს ყაბახის კარგიც და ავი,
 თუმც უცხო და შორს თემად იარე,
 მრავალი კარგი მნახე აშხაუი.
 მაგრამ რას მხელავ აწ კრული ჩრდილოს?
 აჰა, ის ღამე, ოდეს სატრფონი
 აღამაზებდენ შ ე ნ ს ყაბახს ამოს,
 შენის სიყრმისა თან-ზრდილნი სწორნი!

* მოხელეთა წრე არაა ხელსაყრელი ზნეობრივი განვითარებისათვის.

² განეპსწესდი. დაუმორჩილდი. ³ გაუგზავნი, ⁴ ქსწორნი.

მიყვარს, ყაბახო, მყუდროება ღამისა შენის...

(იხ. აქვე, გვ. 98—99)

ძიავ! ეს ლექსები დიდი ხანია დაწერილი მქონდა, მაგრამ ფოჩტას ვერ ვანდე კიდევ, რა ვიცი, როგორ მომხდარიყო? იქნება დაკარგულიყო და მერმე პ...

„არ ვინ იცის, რა გამოვა რისაგან“³.

სხვებრ, გთხოვთ, თქვენის წიგნით მასიამოვნოთ რაიმე, იგი ჩემთვის ძვირფასია. მშვიდობით! ღმერთმა ინებოს, რომ კვალად მამულში გიხილოთ.

თქვენი უმორჩილესი ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი.



III. მისწერლ თუმაწიშვილისადმი 1

6-го августа 1838
г. Тифлис.

Милый друг! Не пеняй меня за молчание. Право, в нашем скучном от жаров, душном от пыли городе нет ничего любопытного. Я оживляюсь только по вечерам лунным, так прекрасным в Тифлисе! Вчера в один из этих вечеров пошел я бродить к Московской заставе; вдруг я очутился на кладбище. Признаюсь, немного смутился, когда я взглянул на это онемение: 11-ть часов ночи. Ни души! Кругом пустота вечная; луна тускло освещает могилы, как догорающая лампада усопшего. Тихо и медленно протекает Кура, как будто боясь нарушить покой в этом унылом мире... Ты теперь в раздолье, и я не хочу смущать тебя мрачными думами, которые навело мне на душу это зрелище небесно-земное! Но скажу, что прекрасное изобретение кладбище, а это необходимо, чтоб смертный порой читывал бы по нему свою жизнь: утешение несчастного — конец счастью!

Ну, обратимся к тебе.

Спасибо, брат, за письма, за удовольствие. Последнее из них читали мы с Захарием Орбелиановым². Это была критика или лучше послание к сочинителю „ასტრა“. Прекрасно! Только, кажется, оно не достигнет цели, то есть, ты не узнаешь, кто это неведомое ასტრა. Это тайна сочинителя. Он писал ни для тебя, ни для света; писал для нее одной; он а его понимает и он этим доволен. Что же ему больше? Нужды нет, понял ли ты его или нет? Мы все знаем только, что предмет украшает стихи. А если хочешь знать одно только значение слова „ასტრა“, то это очень просто: оно взято с французского *astre*, которое по нашему, ძმათ თავყახა, значит: „მთიები“. — ასე, ჩემო ბატონო!

Скажу тебе новость, თუ არ გაჯავრდები. Я еду сегодня вечером в. д. Мцкнети. — Зачем? — А затем, что она там. Мать ее

² ამ წერილს ზვევიდან მ. თუმანიშვილის ხელით მიწერილი აქვს მიღების თარიღი: „10 ავგუსტა. Цар. Колодцы [10 აგვისტო, დედოფლის წყარო]“.

просила меня [провести с вами несколько дней. Каковы должны быть эти дни? Ах? მაშ, მოკვდი, ბზ!

Однакож кончим беседу, а то прозеваю на почту. Ты знаешь, я не люблю заготавливать заранее письма.

Прощай, пустынный Алазанской долины! Поведай мне чтонибудь о деве твоей долины.

Весь твой Н. Баратов.

P. S. Не успел написать особо к Варламову³. Если увидишь-ся с ним, скажи ему, что дело его обработано, как он хотел, и представлен к чину. Пусть теперь примирится с светом.*

* საყვარელო მეგობარო! ნუ გამიჯავრდები დუმილისათვის. მართალი გითხრა, ჩვენს ქალაქში, რომელიც სიცხეებისაგან მოსაწყენია და მტერისაგან — სულის შემსუთველი, საყურადღებო არაფერია. მხოლოდ გამოვცოცხლდები ხოლმე შოვარიან საღამოს, რომელიც ასე მშვენიერია თბილისში. გუშინ ერთ-ერთ ასეთ საღამოს წავედი სახეტიალოდ მოსკოვის ადარაჯოსაკენ და მოულოდნელად თავი სასაფლაოზე ამოვყავი. უნდა გამოვიტყუდე. ცოტა შევშფოთდი, როდესაც თვალს მიმოვაველე ამ მყუდროებას; დამის 11 საათია, არც ერთი სული! გარშემო მარადიული სივალეირე; მთვარე მკრთალად ანათებს საფლავებს, როგორც მიცვალებულის მიმქრალი ბაზმა. ჩუმი და ნელად მოდებავს მტკვარი, თითქოს ვმინია დაარღვიოს ამ სევდიანი ქვეყნის მყუდროება... შენ ახლა არხეინადა ხარ და მე არ მინდა შეგამფოთო მტემუნვარე ფიქრებით, რომლებიც ვანოიწვია ჩემში ამ ზეციურ-ქვეყნიურმა სანახაობამ! გეტყვი კი, რომ სასაფლაო მშვენიერი გამოგონებაა; ის აუცილებელია რათა მოკვდავი დროგამოსწვებით იმაში თავის ცხოვრებას კითხულობდეს! შედარების ნუგეშინისცემა — დასასრული ბედნიერებისა!

აბა, ახლა შენ მოგმართავ.

გმადლობ, ძმობილო, წერილისა და საამოვნებისათვის. უკანასკნელი წერილი ჩვენ ზაქარია თრებლიანთან ერთად წავიკითხეთ. ეს იყო კრიტიკა ანუ, უკეთ, ეპისტოლე „ასტრას“ ავტორისადმი. ჩინებულია! მხოლოდ, მგონია, მიზანი მიღწეული არ იქნება, ესე იგი, შენ ვერ გაიგებ, ვინაა ეს უცნობი ასტრა. ეს ავტორის საიდუმლოებაა. იმას არც შენთვის წერდა, არც ქვეყნისათვის; მხოლოდ იმისთვის, ერთისთვის, წერდა, იმას ესმის მისი და ის ამით კმაყოფილია. სხვა რაღა უნდა მას? საჭირო არაა, გაუგე თუ არა მას. ჩვენ ყველამ მხოლოდ ის ვიცით, რომ საგანი ლექსებს ამშვენებს და, თუ გინდა იცოდე მნიშვნელობა თავით სიტყვისა „ასტრა“, ეს სულ ადვილია: ესაა ფრანგული astre, რაც ჩვენებურად, ძმობილო თაყვანა, ნიშნავს: „მთიები“. — ასე, ჩემო ბატონო!

ერთს ახალ ამბავს გეტყვი, თუ არ გაჯავრდები. ამ საღამოს მივდივარ წყნეთში. რისთვის? იმიტომ, რომ ის იქ არის. დედამისმა მოხოვა, გავატარო მათთან რამდენიმე დღე როგორი იქნება ეს დღეები? ოპ? მაშ, მოკვდი, ბზ!

დროა საუბარი გავათავო, თორემ ფოსტა გამასწრებს. შენ იცი, რომ არ მიყვარს წინასწარ წერილების დამზადება.

მშვიდობით, ალაზნის ველის მეუდაბნოვე! მიახმე რამე შენი ველის ქალწულის შესახებ. მთლიანად შენი ნ. ბარათოვი.

P. S. ვერ მოვასწარი საგანგებოდ მიმწერა ვარლამოვისთვის. თუ ნახო, უთხარი, რომ მისი საქმე მოგვარებულია ისე, როგორც თავად სურდა, და ჩინზე წარდგენილია. ახლა მაინც შეურიგდეს ქვეყანას.

IV. გრიგოლ ორბელიანისადმი

საყვარელო ძმავო გრიგოლ, დამნაშავე ვარ შენთან დიდი, მაგრამ შენ რომ ჩემს ადგილს იყო, აღარ გამამტყუნებ. დიმიტრიევსკის ლექსები¹ გეთხოვნა, მთელი ქალაქი სულ შევაჯერე და ვერსად ვერ ვიშოვნე. ნოტები ხომ თავის დღეშიაც არ ყოფილა! შევიტყუეთ, რამე თურმე ფრანციკულს სწავლობ. ერთმა ქალმა შემოგითვალა: «სპარსულად ნათქვამიაო: ოც და ათ წელიწადს უკან რომ კაცი ჩონგურს ისწავლის, საიქიოს დაუკრავსო». «რაზლოვორს» და «დრამმატიკას» დამპირდა ერთი ჩემი ნაცნობი, ჯერ არ მოუტანია, ამას ვუცდი, თვარემ აქამდისინ გამოგვიგზავნიდი. თუ ქალაქის ამბავი გინდა, სწორე გითხრა, ბევრი ქორიანობაა და ჭირიანობა. ორივე ერთია, მაგრამ ჭირი [ტყუილია ამ |ხელად და ქორი კი მართალი. დიდი დაძვერებაები ქალებისა, დიდი აყალმაყალი, დიდი ტირილი, დიდი ღამის-თევები, დიდი წვეულებები ერთმანერთის ჯავრით. დაწვლილებით მოგწერდი ყოველს-ფერს, მაგრამ კვლავ იყოს, როცა მოცლით ვიქნები. ამ ამბავს დიდი აწერა უნდა. ამ წიგნსაც საჩქაროდა ვწერ პალატაში. ჩვენც ჩახალს სახლებში გადავედით, ანჩისხატის უბანში, უწინ რომ აფხაზი² იღვა.

ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: ყიფიანმა³ გადმოთარგმნა *Ромео и Джулиетта** — შექსპირის⁴ ტრადედია, და მე ვთარგმნე *Юлий тарентский*** — ტრადედია ლეიზევიცისა⁵, თუ წავიკითხავს, „ბიბლიოტეკაში“⁶ იყო დაბეჭდილი; მე ძალიან მომეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე ვასინჯე, იტირეს.

* რომეო და ჯულიეტა.
** იულიუს ტარენტელი.

¹ სსწავლობ. ² უცდი. ³ სსწორე. ⁴ საჩქაროთა. ⁵ აფხაზი. ⁶ კიბიანმა. ⁷ მამე-წონა. ⁸ გაშინჯე.

მაიკო⁷ ძალიან გწყევლის. არ ვიცი, რა მოგიწერია. ბაღამთვეს⁸
სიკვდილს აქ ასე გლოვობენ, რომ ეს არის შავები არ აცვიათ
თორემ სხვა აღარა აკლიათ რა.

სხვა? — სხვა ამ ხელად ეს იყოს, ნუ კი შემომწყრები!

შენი მარად და მარად და მარადის იქითაც
ნიკოლაოზ.

წელსა 1841-სა.

მაისის 28-სა დღესა.

ქ. ტფილისი

[მისამართი, დაწერილი მეოთხე გვერდზე]:

Его Сиятельству, Милостивому Государю Григорию Дмитриевичу, Князю
Орбелиану, Г-ну Капитану Грузинского гренадерского полка и Кавалеру,
В Горни *.

* მის ბრწყინვალეებას, მოწყალე ხელმწიფეს გრიგოლ დიმიტრის ძეს, თავად ორბელიანს,
ქართველ გრენადერთა პოლკის ბ-ნს კაპიტანსა და კავალერს. გორში.



V. მ ა ს მ ე

საყვარელო ძმაო გრიგოლ, შენი წიგნი მომიტანა დიმიტრი ჯორჯაძემ¹. დიდად მაამა ამ წიგნმა, მეტადრე ქართველების ქებაჲ. მაინთ თქვენ და იქით ანდრონიკოვი² მილიციამ, როგორც იტყვიან, ასახელა თავისი სახელი და ზღაპრული გმირობის ხმა დაიგდო მრთელს მხედრობაში³, თვარემ შენ თვითონ შეიტყობ დაწვლილებით. მითამ როდის და რაში არა ვყოფილ-ვართ კარგნი, მაგრამ ჩ ი მ ი ქ უ ნ ი მ!

მჯერა ს ა რ დ ლ ო ბ ა არღუთინსკისა⁴, საგინოვისა⁵ და გურამოვისა⁶, რადგანც შენ აქებ, მაგრამ მინდა ერთი ჩაგინხველოთ. შენი დიბლომატობა ხომ ადრევე ვიცოდდი! ხუმრობა არ არის, რომ ქართველმა კაცმა გურულებს შეაგონოს ყოველივე უ ბ ე დ უ რ ე ბ ა, რომელიც შეუდგების აღშფოთებას. შაბაშ, მკლავთა და განკარგულებათა თქვენთა!

ძმაო გრიგოლ, ტფილისის ამბავი მაგთენი არაფერია. ცოტას ხანს დაჰყვეს აქ ადღერბერდის⁷ შვილებმა და, რაღა განგიმარტო, შენ მიჰხედები, რაც ადღერბერდის შვილები აქ იქნებოდნენ. პოლკის კამანდერი გამოგიცვალეს⁸, მაგრამ ეს განკარგულება მოხდა უწინარეს, ვიდრე გამოიძიებდნენ ჩილაევის⁹ სიმართლეს, რომელიც ვჰგონებ არ დადუმდეს. ყაფლანს¹⁰ ვაჟი ჰყავს, დიდს ნათლობას აპირებს ხანურად, თუმცა ხანებმა ნათლობა არ იციან. ჩვენს დ ი დ ს პლატონს¹¹ ძილში კატა დასწოლოდა ბაკენბარღზედ და ასე გათელა, რომ ვეღარას გზით ვერ გაუსწორებია. ეს ერთი ბაკენბარღი ასე გათელილი დარჩა. ვურჩევთ, რომ მოიპარსოს, მაგრამ არ გვიჩერებს. ეს აკლდა ამის ფილოსოფოსურს სახეს! სხვა ტფილისი ისევ ის ქალაქია, უსარგებლო გონებისა და გულისათვის. ერთი ნუგეში ეს არის, რომ მშვენიერი დარებია.

ლიტერატურა ჩვენი ღვთით დღე და დღე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურითგან,

⁶ ვყოფილ-ვართ. ⁷ სარდლობა]—სარდლობა (მეორე სიტყვა წაშლილია). ¹¹ მიხედები. ²⁰ დაჰსწოლოდა.

8. ნ. ბარათაშვილი

მყუდროებაში და მარტობაში შეეწევიან მამეულს ენას, რაოდენი-
ცა ძალ-უძთ. ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებსა
ყმაწვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არა სძინავთ
გონებით!

ამ მცირეს ხანში ერთი ლექსი დავწერე, რომელსაც ამასთანავე
გიგზავნი. შენი ჰაზრი ჩემთვის მარადის სასიამოვნოა.

[აქ მოყვანილია ლექსი „ვ პ ო ვ ე ტ ა ძ ა რ ი“]

გიორგი¹² მომიკითხე, ვასილ¹³ და სხვანი ჩვენი ნაცნობნი. მამა
ეგნატიმ¹⁴ შემოგიტვალა: «ქრისტემ გა-ყურ-თხოს!» ჩვენიანებმა ყვე-
ლამ მოგიკითხეს. მშვიდობით. ძალიან მინდა შენი ნახვა.

შენი ნ. ბ ა რ ა თ ო ვ ი

წელსა 1841

ოკტომბრის 18-სა

ქ. ტფილისით.

³ სძინავთ.

VI. მ ა ს ვ მ

საყვარელო ძმაო გრიგოლ! ილია¹ მართლა ტყვედ არის შამილთან² ეს ამბავი ადრევე მინდა მომეწერა შენთვის, მაგრამ ჯერ კიდევ ყველას იმედი გვქონდა, რომ ან ეს ხმა ტყუილი იქნებოდა, ან ყაზიყუმბეგები³ შეინახავდნენ დამშვიდებამდე. По официальному донесению Фезе⁴ известно только то, что адъютант его, князь Орбелиани, 20-го марта был послан в Андалал⁵ с поручением и что его взяли там в плен*. ხოლო ლეკმა, რომელმანც ეს ამბავი მოიტანა და რომელიც დამსწრე ყოფილა ილიას დაჭერაში, აი რა ილაპარაკა: ილიკო რომ დაუჭერიათ, სინაქსაროვი⁶ და ყაზიყუმბეგის ხანი⁷ დაჭერილები ყოფილან. მეორეს დღეს შემოსულა ანდალალში თვითონ შამილ. ტყვეები წარუდგენიათ. ილიკოს თანა ჰყოლია ოცი, სულ დაწკებილი ყმაწვილი ბიჭები, ავარელები⁸, ახმეტ ხანისგან⁹ გამოტანებულები; შამილს ოცისავესთვის ილიას თვალთ წინ თავები დაუყრევინებია; ახტელელები¹⁰ კი, რომელნიც სინაქსაროვს მოჰყოლიან, დაუშვივლებია და ისე გამოუყრია. შამილ ახმეტ ხანზედ ძალიან გაბრაზებული თურმეა და ასე უწყალოდ იმიტომ მოჰქცევია ავარელებს. აი, ილიკოს რა უთქვამს შამილისათვის: «შამილ! როგორ ეკადრება შენს სახელს მაგისტანა უწყალოება! თუ გინდა მაგით შეაშინო ვინმე, ვინ უნდა შეაშინო? ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ჭეშმარიტად ახლა მეც სიკვდილი მიჩვენია შენს ხელში ყოფნას!» ვითომც შამილს სდომნებია ილიას გამოშვება, მაგრამ, ესე ყოჩაღად რომ უნახავს და ამის გვარის შვილობაც შეუტყვია, უფიქრია, რომ ეს კარგი ოფიცერი უნდა იყოსო და იქნება რუსებმა ჩემს შვილში¹¹ გამიცვალონო. მაშინ შამილს უთქვამს ტყვეებისათვის — ილიასა და სინაქსაროვისათვის, რომ თქვენ ნუ რა გეფიქრებათო, მაგრამ თქვენს მამულს ვერა ნახავთ,

* ფეზეს ოფიციალური მოხსენებიდან ცნობილია მხოლოდ ის, რომ მისი ადიუტანტი, თავადი ორბელიანი, 20 მარტს გაგზავნილი იყო მინდობილობით ანდალალში და ის იქ ტყვედ ჩაიგდეს.

¹ ტყვეთ. ¹⁶ მოქცევია. ²⁹ ჰსდომნებია. ²³ აფიცერი.

ვიდრე ხელმწიფე ჩემს შვილს არ მომცემსო. ახლა ილიკო დაბრუნდა¹², სადაც შამილის ცოლ-შვილია და სიმაგრე, და კარგადაც თურმე ინახავს. ასე გასინჯე, გოლოვინის ცოლმაც¹³ კი თქვა, რომ მე ყოველთვის იმედი მქონდა, რომ ქართველი მაგისტანა პასუსს მისცემდაო, ვითომც ილიას რომ უთქვამს სიკვდილი მიჩვენებო შენს ხელში ყოფნასაო. მახლას, ილიკო¹⁴ ყოჩაღად ყოფილა. Он теперь предметом разных анекдотов.* ზოგჯერ ამისთანა შემთხვევაც კარგია კაცის სიცოცხლეში. ეს არის, რომ იქნება ჩვენ დაგვიგვიანდეს ილიას ნახვა, თვარემ იმას ამ ტყვეობით არა უშავს რა.

* ის ახლა ნაირნაირ ანეკდოტთა საგანია (წამლილია პოეტის მიერ: „всёобщих толков и рассказов“ და მის მაგიერ წერია ზვევიდან „разных анекдотов“).
 ** ოთხი სტრიქონი პოეტის მიერ წამლილია ამგვარად:

ვაჟი ილიკო...
 ილიკო...
 ილიკო...
 ილიკო...

Handwritten text, mostly crossed out with heavy black ink. Some legible words include "ილიკო", "მეტი", "და", "არა".

ამისი მთლიანად წაკითხვა ვერ ხერხდება, მაგრამ ტექსტის შინაარსის გათვალისწინება შეიძლება. აი, ამოშიფრული ნაწილი:
 „დაბრუნდება, თუ ჭკუა მოიხმარა.) მამ მხნედ (?) არის, თუკი ტყვეობა გაუგრძელდა), მამინ, ვინ იცის, ე...ც უ... .. ბა გაშვებაც (?) გ... უ... ?“
 პოეტს ილიას დაბრუნების იმედი აქვს, მაგრამ თან შიშობს — ვაი თუ ტყვეობა გაუგრძელდეს და დაიღუბოს, ან თვით შამილმა საერთოდ არ მოისურვოს მისი განთავისუფლება. მას უნდა, თავისი შიში და ეჭვები გრიგოლ ორბელიანს გააგებინოს, მაგრამ მერმე, ჩანს. მორიდებია ბიძამისის ზედმეტად გაღიზიანებას და 21 სიტყვისაგან შემდგარი ტექსტი საგულდაგულოდ წაუშლია (გრცლად ის. ი. ლოლაშვილი, დამატებანი და გასწორებანი... მნათობი, 1969, № 7, გვ. 156 — 157).

¹ მამცემსო. ³ გაშინჯე, გალაკინის.

Вот, что поэт думает за Илико:*



მირზის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი!

[მოყვანილია მთელი ლექსი]

არ ვიცი, ეს ლექსები როგორ მოგეწონება. აქ კი ბევრი ცრემლი, ტყუილი და მართალი, დაინთხა ამის წაკითხვაზე, რასაკვირველია იმით, რომ ამას ამბობს ილია ტყვეობაში და არა მე. ილიას დაჭერა რომ შევიტყუე, სწორე ვითხრა, ძალიან შევწუხდი, ასე, რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და, რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა **.

ბოლოს მესამეს დღეს ეს ლექსები დავეწერე და თითქოს ამან რაღაც შეება მომცაო. ვცდილობ, რომ ილიკოს როგორმე მივაწოდო. ვიცი, გულში ჩაიცინებს და არ იქნება, მით არა ენუგეშოს რა. ზაქარია¹⁵ ახტას არის, სინაქსაროვის ადგილს; იასეც¹⁶ იქ არის ელისოს¹⁷ მილიციით და იმედებს იწერებიან ილიას გამოყვანისას, მაგრამ მე ჯერ ასე ჩქარა ვერა მგონია, მეტადრე ახლა, როდესაც შამილ ჯერ არსად ომობს და ილიაც თავის სახლში ჰყავს. ძმაო გრიგოლ, ყოველივე სოფელში ღვთის ნებაა და მწუხარებით, თვითონ იცი, ვერას ვუშველით ილიკოს. ჩვენი საფიქრებელი ეს არის, რომ ვიღონოთ რამ იმის გამოხსნისათვის.

ძლივს საქართველოს მოუვიდა რუსი, რომელსაც ეყურება აქაურობისა. იმედია, რომ პოზინი¹⁸ კეთილად წარმართავს ჩვენ გარემოებს. მინისტრს¹⁹ შვიდს მაისს მოველით ერევანზედ. სხვებრ ჩვენინები ყველანი კარგად არიან, მხოლოდ ფეფოს²⁰ მწუხარება გვაწუხებს ყველას. ხომ იცი, ტყვეობა და სიკვდილი ჩვენს ღელაკაცებს ერთი ჰგონიათ, მეტადრე ლეკის ტყვეობა.

მარად შენი ერთგული ნ. ბ ა რ ა თ ვ ი ც ი.

მაისის 2-სა დღესა
1842 წელსა.

ელიზბარს²¹ ვმადლობ მოკითხვისათვის, მაგრამ ვწუხვარ, რომ მაგის საქმეს ყოველთვის ნავსი სდევს, ჯერ კიდევ არ უქნია მაგისკენ პირი ბედსა. ოცენკა დააბრუნეს для исправления некоторых недостатков против формы. * * * ვიცი, როგორც გაჯავრდები! მაგრამ მაგ გაჯავრებულს გულზე, გთხოვ, მიიღო მოკითხვა შენი ტერ-მოყვარე ქალებისაგან.

* აი, რას ფიქრობს პოეტი ილიკოს მაგივრად.

** აქედან წერილს ტექსტი გრძელდება ოთხივე გვერდის აშეიბზე

*** ფორმალური ხასიათის ზოგიერთი ნაკლის გამოსასწორებლად.

⁵ რასაკვირველია. ⁷ სწორე. ¹⁸ უშველით. ²⁰ კარგათ. ²¹ სდევს.



VII. მაიკო ორბელიანისადმი

წელსა 1842-სა
ოქტომბრის 31-სა
ქ. ტფილისით.

საყვარელო დაო მაიკო¹, მადლობელი ვარ, რომ რახაელს² წიგნი დაჰსტყუე, გუშინ იასემ³ მომიტანა. ამიტომ უფრო მიამა, რომ წინა-დღეს ამ წიგნზედ ლაპარაკი იყო და მეორეს დღეს უნდა მიმეტანა მანა-ნასთვის⁴. ასე ეგონა, რომ მე მაქვს. მაშ, რადგანაც ეს პირობა აღას-რულე, იმედი მაქვს ახლა, რომ მეორეც არ დაგავიწყდება.

გოლოვინის ცოლი წავიდა და დარჩნენ ჩვენი ქალები მოწყენილ-ნი. ხანდისხან ოხვრით მოიგონებენ იმის სახლში განტარებულს დრო-ებს, თუმცა ოხვრის მიზეზი ყველასი ერთი არ არის. მხოლოდ გუ-შინსწინ იყო ვეჩერი შინაური, მაგრამ ძალიან მზიარული. ტასო⁵ დღეობა იყო და ელენეს⁶ სახლში გარდაიხადეს. მე, სწორე ვითხრა, მეტად გავმზიარულდი, სრულიად ჭუმბიზეზოდ, უანგარიშოდ, ისე, მეც არ მოველოდი. ბევრჯერ მოგიგონე, დიდად მინდოდი, რომ იმ დროს აქ ყოფილიყავ...

მაგრამ სულ ამაოა ჩემთვის. ეს ლამეც წავიდა, ვითარცა სიზმარი. კიდევ მომნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყენებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმისი სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდხანია ობოლი ვარ. არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მომძულეობია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდ-გინე მაიკო სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაც ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერ-ვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელ-ში! ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვი-სიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია; ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვი-

⁵ მამიტანა. ⁹ გალაიინის. ¹¹ გუშინსწინ. ¹³ სწორე. ¹⁴ უმიზელოდ. ¹⁸ მანახა.
²¹ მამძულეობა. ²⁷ განსჯა.

სიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრაულლისა, გამომეტყვე-
ლად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანი ცბიერებისა,
წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდ-
რიკო თავი? ვიცი, გაიცინებ, ასე გეგონება, დამწვარი ვლამბარაკობ.
ქეშმარიტად, მაიკო, ასე გულცივად ჯერ განსჯა არა მქონია. ასეთი
თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ სამოცი
წლის მოხუციც ვერ იქნება ჩემისთანა უსყიდელი მსაჯული. მოიგონე
ცოტახანს დრონი წარსრულნი და მაშინ შემობრალე. ყმაწვილობი-
თვე შეჩვეული რაზედმე სული ძნელადღა გარდაიცვლის ჩვეულებას
და, ვიდრემდის სრულიად გარდაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა
მისი.

ძნელი არის მარტობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შვება უმედურისა!

შენი ავადმყოფობა შევიტყე, რა დაგემართა? თუ ფიქრობ, ასეთს
რას იფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რომ არ
დაკარგო? მიჩვენე კაცი, რომ მადლიერი იყოს ამ წუთის-სოფლისა.
დიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკობა გულისა! აი, ქეშმარიტი
ბედნიერება, უმალლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფ-
ლისაგან. სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად,
ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან! თუმცა აქიმ-
ბაში არა ვარ, მაგრამ ეს წამალი სიზმარში მაქვს ნასწავლი და, თუ
დამიჯერებ, იმედი მაქვს, რომ გარგოს.

გემდურები, რომ წიგნს არა მწერ; ხომ იცი, მიაშება, თუ მეტადრე
ბევრ ამბებსაც მომწერ. თუ ნინუცას² ანუ (რადგანაც ჯავრობენ ზო-
გიერთი ქალები) ანნა ივანოვნას³ წიგნი მისწერო ან შენ თითონ ნახო,
ჩემ მაგიერ მოიკითხე და უთხარ: დიდად ვწუხვარ, რომ აღარ გაცი-
ებს-თქო. ილიას მალე ვნახავთ.

შენი მარად ერთგული ძმა ნ ი კ ო ლ ო ზ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი
[პირველი გვერდის აშიაზე მიწერილია]:

შენ გაზრდას, მაიკო, თუ გლუხარიჩი⁴ ნახო, ჩემ მაგიერ მოიკი-
თხე და უთხარ: რა ღმერთი გავიწყრა, რომ აგრე ფეხი აიკვეთე ქა-
ლაქისაკენ-თქო? როგორ აღარა აგონდება რა სასიამოვნო შენს პო-
ეტურს სულსა-თქო?

² მცბიერებისა. ³ განსჯა. ⁴ სწორისა. ⁵ მადრიელი. ⁶ მამწერ. ⁷ გაზდას.

VIII. გრიგოლ ორბელიანისადმი

საყვარელო ძმაო გრიგოლ, არა, უკაცრავად, მთავარო ავარისაო, ემირ-ავარო, ატტილას¹ ტახტზედ მჯდომარეო!²

ქეშმარიტად, არ ვიცი, მე ვარ დამნაშავე შენთან მოუწერლობისა თუ არა? ვისთანაც შენგან მოწერილი წიგნი წავიკითხე, ყველასთან ხუმრობისა და ლანძღვის მეტი არა იყო რა; ჩემთან რომ ფარატინი გამოგეგზავნა, ისიც დაპირების მეტი არა იყო რა, მე ბინიანად მინდა შენთან ლაპარაკი და ხომ იცი, რომ საწყინოა ამისთანა ლაპარაკის გაცრუება. საკვირველია, რომ ქართველს კაცს, რაოდენიც დიდებული და ძლიერი უნდა შეიქმნეს, არა აქვს ეს შორსმხედველობა, რომ, როდესაც დაატყოს თავის თავს ვბერდებო, ჰპოვოს თავის მემკვიდრედ ვინმე, მოამზადოს, მისცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად და, როდესაც თვითონ დაეცეს (საბოლოო არა არის რა ამ საწუთოში), მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შემძლებლობა და ხმა ერსა შორის თავის მემკვიდრის შუამავლობით! ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შენაგან ხმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარებისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამოიყვანოს და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსა! ჩემი ფიქრი მანდეთ მოჰქრის, ეცადე, რომა რენენკამფთან³ დამანიშვინო. ხომ ამ პირობით წახველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის? ვიცო დაგავიწყდა, მაგრამ არა, არ დაგვიწყებია. ეს იმ სნეულების ბრალია, რომლისა გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება..... მე ახლავ მიტყობს გული, რომ ამ ჩემს მხურვალეს განსჯას გამიტრიზავებ: ემირობა მასხარად აიგდე და მომავალის დიდების ფიქრს რას უზავ? სხვებრ შენ იცი.

ახლა ქალაქის ამბავს მოგწერ.

¹ საკურველია. ¹¹ მიჰსცეს. ²⁰ რეეკამფთან. ²⁴ განმსჯას.

გუშინ შაპის ელჩი შემოვიდა, თუ გახსოვს, მირზა-სალი⁴, ევროპის ენებზედ მოლაპარაკე, განვითარებული კაცი. მაზეგ რომ სამ-შაბათია, დიდს ბალს უკეთებს მთავარმმართველი⁵. მაგრამ ვინც შენ გეგულება, არც ერთი ჩვენი ქართველი ქალი აქ არ არის და გაიხარე, რომ ბალში არ იქნებიან. Но и тут оне выигривают; будь вместо Мирза-Сали граф Чичероне,⁶ оне тотчас бы приехали на бал.* ბალის ამბავს შეგატყობინებ.

ჩვენი ლევან⁷ ქუთაისში გააგდეს პორუჩენით. მე და შენში დარჩენ (ისე კი არა, ბაკლანას⁸ რომ ზომალდი დაეღუპა)... გრიგოლ წერეთელი⁹ ინაზებოდა, არ უნდოდა მილიციის მიღება და მთავარმმართველმა ლევან გაუგზავნა, ასი ოქრო გზის ხარჯად და დაიბარა. იმასაც ეს უნდოდა. რა საკვირველია, რომ უარი აღარა სთქვა. დახე, ქვეყნის ოხრობას! შენი უკანასკნელი წიგნი ლევანთან მე გავხსენ და წავიკითხე. ბევრი ვიცინე.

ილია¹⁰ კარგად არის, პარუჩიკობა გაიკრა, ას თუმანდინ თავისი ჯამაგირი გამოუვიდა და წარდგენილია არმიასი. ამისი საქმე თავში ბოსტანია, გულში სიყვარული. დაიჯერე, ხუმრობა არ გეგონოს.¹¹

არ ვიცი, ბუმბუნიკი და ქუდი მოგივიდა თუ არა. ეს კი ვიცი, რომ გიმზადებდენ.

კნიაზი ქავჭავაძე¹² თავისის კნენათი¹³ მარტყოფს იყენენ ჯვარობას. ამათ დასტაში იყენენ სავარსამიძის¹⁴ ცოლი¹⁵, სივრიჩის¹⁶ ცოლი¹⁷ და ბეზაკის ცოლი¹⁸; ეს კი მუხროვანიდგან გადმოვიდა, ამ ზაფხულს იქ იდგა უქრმოდ. არ გინდა, რომ ერთს საათს მაგ მთებში გამოძვერალიყავ და მუხროვანში, იმის ოთახში შუღლამისას დაბადებულიყავ? იქილგან კალასკაში კნიაზი და სივრიჩის ცოლი ერთად ისხდნენ წინ და კნენა და სავარსამიძის ცოლი — ერთად უკან. Довольно подробно.**

მამა ეგნატიმ²⁰ თავი დაგიკრა იმიერ-სოფლითგან. ერთი თთვეა, რაც გარდაიცვალა. საწყალი! Вот человек, который по своему положению в свете более всех страдал. Минувшее проходило перед ним и волновалось, как море-океан.***

სხვა რალა მოგწერო, მეც სამსახურში მივეშურები и вообще

* მაგრამ ისინი აქაც მოგებულნი არიან: აბა, მირზა-სალის ადგილას გრაფი ჩიჩე-რონე იყოს, ისინი მაშინვე მობრძანდებოდნენ ბალზე.

** საკმაოდ დაწვრილებით.

*** აი აღამიანი, რომელიც თავისი მდგომარეობით საზოგადოებაში ყველაზე მეტად იტანჯებოდა. წარსული მიდიოდა მის წინაშე და ღვლავდა, როგორც ზღვა-ოკეანე.

⁴ სამშაბათია. ¹² რასაკურველია, ქსთქვა. ²⁰ მარტყოფს. ²³ მუხროვანიდგან. ²⁴ მუხ-რავანში.



здесь «И грустно, и скучно, и некому руку подать в минуту
шевной невзгоды.»^{21*}

ჩემი ახალი ლექსი ეს არის:

[მოყვანილია ლექსი „ს უ ლ ო ბ ო რ ო ტ ო“].

ამით გავათავოთ ეს წიგნი, დრო აღარა მაქვს და შემდეგ ბევრს
მოვიწერები. ერთს ცუდა დროს ჩავიგდებ და, რაც ვიცი და არ ვიცი,
სულ გავაქრელებ. ახლა ფაცაფუციით არა მაგონდება რა. ახლა ვნა-
ხით, რასაც შენ მოიწერები.

სირცხვილია, რომ მაგ საშინელებებში პოეზიამ არ გაიღვიძოს,
და, თუ ემირს ლექსის წერა აღარ ეკადრება, ავარიის ისტორია და
სტატისტიკა მაინც უბრძანე, რომ დაწერონ.

შენი მარადის ნ. ბ ა რ ა თ ო ვ ი.

21 Августа, 1843.

Тифлис.**

[პირველი გვერდის ამიაზე სწერია]:

მამამ, ფეფომ²², კატომ²³, ბაბალომ²⁴, ნინუცამ²⁵ და აპლიპუტილამ²⁶
მოგიკითხეს.

არ გებრალემა, რომ მაია²⁷ ქვეშაგებად ჩავარდა? გიორგი²⁸ ზაქა-
თალას გავზავნეს ბატალიონის კამანდერზედ გამოსაძიებლად და ბატა-
ლიონსაც პირველს ამას აძლევენ.

* საერთოდ, აქ „ნალკლიანობა და მოწყენილობაა, სულიერი აფორიაქების ქაშის ხელს
ვერავის გაუწვდელი“.

** 21 აგვისტო, 1843. თბილისი.

¹¹ უბრძანე.

IX. ზაქარია ორბელიანისადმი

Любезный брат Захарий! Отчего мы не переписываемся? Признаюсь, вопрос этот заставил задуматься. Что я тебя люблю, это аксиома, что и не лень писать, это доказывают занятия мои по службе. Какая же причина? А вот наконец напал: беспечность, врожденная слабость вообще грузин. სხვა, ძმაო, მიზეზი მე არ ვიცი და შენ განმეორებ... ესეც კი არის, რომ რა მოგწერო?

Письмо твое, исполненное грусти и томления от бурного потока жизни, глубоко отозвалось в душе моей, хотя причины у нас к тому разные. Я был болен сильно, чуть не переселился в Елисейские поля¹. Не зная до того времени никакой болезни, я почувствовал странное влияние ее, быть может, на всю мою жизнь. Непостижимость цели нашего назначения, безграничность желаний человеческих и суета всего подлунного наполнили мне душу ужасною пустотою. Дай мне маленькое независимое состояние, я бы сейчас оставил и свет и людей с их ненасытностью и мирно и покойно провел бы патриархальную жизнь в лоне простой природы, столь величественной и прекрасной в нашем отечестве. При этих грустных думах застало твое письмо меня, только что выздоравливающегося. Вот почему я сочувствовал к тебе.

Дух человеческий, достигнув полного своего развития, совершив дела, ему свыше определенные, склоняется наконец, утомленный к покою в тихой семейной жизни. Я бы отнес причину твоей скуки к этой гипотезе, если бы знал, что поприще твое совершилось. Но для тебя не наступало еще этого периода жизни. Управление Самурским округом² сделалось для тебя уже вещью обыкновенною, однажды заведенным механизмом.



Душа твоя ищет пищи новой, дух твой стремится к *большей* деятельности, сценам более сильным, более патетическим. И пока он достигнет своего назначения, ему скучно, грустно! Согласись, Захарий, что еще один случай, подобный Ричинскому³, и ты снова в волнении приятном, снова забудешь мир и покой семьянина. Углубись в себя и тогда, уверившись, что гром славы и звук оружия не имеют уже для твоего слуха магического значения, оставь службу, займись имением. И это другая слава — сделать счастливыми своих крестьян, оставленных до сих пор без господина — попечителя. Иначе, Захарий, помни, что и в жизни счастливого земледельца нет для тебя покою. Затрубят в военную трубу и снова ты не земледелец. Может быть, я ошибаюсь в причине твоей грусти, но я все таки ожидаю от тебя деяний громких!

კატო⁴ დავნიშნეთ წარსულს კვირას რევან ერისთავზედ⁵ და ქორწილსაც საამაღლებოდ ვაპირებთ. დიდად მიხარიათ. ბიჭიც კარგია და ოჯახიც კარგი აქვს. ათასი რომ ვიჩანჩალოთ, ისევ საქართველოში უნდა დავებოლოთ ჩვენი ცხოვრება და ამისთვის ჩემი აზრი ეს არის, რომ: რაც უნდა ვიფრანცუცოთ, მაინც ძველი ოჯახი და კარგი დამოკიდებულება რაც უნდა წახედეს, ახალთან კიდევ მოვა! დავით ერისთავმა⁶ სამაჭანკლოში ქორი გთხოვა და იმედი მაქვს, რომ ახალს მოყვრობას პატივსა სცემ. Прошу передать это известие Георгию⁷. Я хотел писать к нему, но побоялся, что может быть письмо не дойдет до него по теперешнему движению войск. А это очень неприятно.

жаль, что я не знаю статистики Самурского округа, а то бы я попросил тебя какойнибудь знак памяти. Предоставляю твоему выбору.

სხვა ამ ხელად არა ვიცი რა და საქმეებიც ბევრი მაქვს, სასამართლოში ვწერ ამ წიგნს.

შენი მარად და მარად ნ. ბ ა რ ა თ ო ვ ი.

წელსა 1844-სა
აპრილსა 15-სა
ქ. ტფილისით.

[წერილის პირველი გვერდის არშიაზე სწერია]:

¹⁹ ვიფრანცუცოდ. ²² ჰსცემ.

Я получил от Григория⁸ письмо вслед за твоим. რას მოიწერებოდა? Дай ему престол Августа⁹, он бы всю римскую империю обратил в комическую шутку.* — ხუმრობა და ხუმრობა! უთუოდ ჯერ თავისი პოდპოლკოვნიკობა არ იცის.¹⁰

* საყვარელო ძმაო ზაქარია! რატომ ერთმანეთს წერილებს არ ვწერთ? უნდა გამოგიტყუდე, ამ საკითხმა დამაფიქრა. აქსიომაა, რომ შენ მიყვარხარ; წერა რომ არ მესარება, ამას ამტკიცებს ჩემი სამსახურებრივი საქმიანობა. მაშ, რა მიზეზია? პო, ბოლოს მივხვდი: დაუღწერობა, საერთოდ ქართველთა თანდაყოლილი სისუსტე. სხვა, ძმაო, მიზეზი მე არ ვიცი და შენ განმიმარტე... ესეც კი არის, რომ რა მოგწერო?

შენმა წერილმა, რომელიც აღსავსეა სევდითა და დაღლილობის გრძნობით, ცხოვრების აწერბებული ნაკადისაგან, ღრმა გამოხმაურება პოვა ჩემს სულში, თუმცა ჩვენ ამისათვის სხვადასხვა მიზეზი გვაქვს მე ძალიან ავად ვიყავი; ცოტა დააკლდა ილუვისისის მინდვრებში არ გადავსახლდი. აქამდის არავითარი ავადმყოფობა არ ვიცოდი, ამიტომ მან რაღაც უცნაური გავლენა მოახდინა, შეიძლება, მიუღეს ჩემს სიცოცხლეს. ჩვენი არსებობის მიზნის მიუწვდომელობამ, ადამიანის სურვილთა უსაზღვროებამ და ყოველივე ამქვეყნიურის ამოღებამ საშინელი სიცალიერით აღავსეს ჩემი სული. მე რომ პატარა დამოუკიდებელი შეძლება მქონდეს, ახლავე მივატოვებდი ქვეყანასაც და ადამიანებსაც მათი გაუმაძღრობით და მშვიდად და მოსვენებით გავატარებდი პატრიარქალურ ცხოვრებას სადა ბუნების წიაღში, რომელიც ჯესომ დიადი და წარმტაცია ჩვენს სამშობლოში. გამომთელებსას ასეთი მწარე ფიქრებით ვიყავი შეპყრობილი, როდესაც შენი წერილი მივიღე. აი, რატომ თანავიგრძნობდი შენ!

ადამიანის სული, რომელმაც მიაღწია სრულ განვითარებას და აღასრულა ზეციით მისთვის მიჩენილი საქმენი, დაქანცული ეძიებს განსვენებას მყუდრო ოჯახურ ცხოვრებაში. რომ ვიცოდე, შენი ასბარეზი განვლილია, შენი მოწყყნილობა მიზეზს ამ ჰიპოთეზით ავსხნიდი. მაგრამ შენთვის ჯერ არ დამდგარა ცხოვრების ასეთი პერიოდი. სამურის ოლქის გამგებლობა შენთვის ჩვეულებრივ საქმედ და ერთხელ მომართულ მექანიზმად იქცა სული შენი ეძებს ახალ საზრდოს, აზრი შენი ეტრფის უფრო დიდ საქმიანობას, უფრო ძლიერსა და პათეტკურ სცენებს. და სანამ ის თავის დანიშნულებას მიაღწევდეს, მოწყყნილი და ნაღვლიანია. დამეთანხმე, ზაქარია, რომ კიდევ ერთი, რიჟისებური შემთხვევა და შენ, ჯლავ სასიამოვნოდ აღლევებული, კიდევ დაივიწყებ მეოჯახე კაცის სიმშვიდესა და მყუდროებას. ღრმად ჩაიხედე შენ გულში და მაშინ, როდესაც დარწმუნდები, რომ დიდების ქუსილსა და იარაღის ქდარუნს შენი ყურისათვის მაგიური მნიშვნელობა აღარ აქვს, თავი დაანებე სამსახურს, ხელი მოჰკიდე მეურნეობას. ეს იქნება მეორე დიდება — გააბედნიერო შენი გლეხები. რომელნიც ამდენი ხანია მიტოვებული არიან უბატონოდ — უმზრუნველოდ. სხვაფრივ იცოდე, ზაქარია, რომ ბედნიერი მიწისმუშაკის ცხოვრებაშიც ვერ იპოვნი მოსვენებას. დასცემენ სამხედრო ნაღარას და შენ უკვე აღარა ხარ მიწისმუშაკი. იქნებ ვერ ვსწვდები შენი სვედის მიზეზს, მაგრამ მაინც მოველი შენგან სახელოვან საქმეებს

გთხოვ გადასცე ეს ამბავი გიორგის. მინდოდა იმისთვის მიმეწერა, მაგრამ შემეშინდა, რომ წერილი ვერ მიაღწევდა დანიშნულებისამებრ ჯარების ახლანდელი მოძრაობის გამო. ეს კი ძალიან არასასიამოვნოა.

ვწუხვარ, რომ არ ვიცი სამურის ოლქის სტატისტიკა, თორემ გთხოვდი რაიმეს საშახსოვროდ. ვენდობი შენს არჩევანს.

შენი წერილის შემდეგ მივიღე გრიგოლის წერილიც. რას მოიწერებოდა? მიეცი მას თუგინდ ავეუსტუსის ტახტი, ის მიუღს რომის იმპერიას კომიკური ხუმრობის საგნად აქცევდა.

X. მ ა ს ვ ე

Любезный брат Захарий. С восторгом поздравляю тебя с победою, совершением дела блистательного. Меня радует в ссобенности то, что мои ожидания начинают уже оправдываться. Я часто сказывал тебе, что я вижу на челе твоём печать величия и славы.¹

Благодарю за ружье. Оно стоит называться подарком Начальника Самурского округа. Но для меня оно значит более, как подарок от уважаемого и любимого брата.

Письма твоего, отправленного по почте, я еще не получал. Ожидаю с нетерпением.* ჩვენი ყმაწვილი კაცები ილია,² ლევან,³ დავით,⁴ ბაკლანა⁵ (მითომ ესეც ყმაწვილებშია), ზაქარია⁶ და ალექსანდრე ერისთავი⁷ სულ წამოვიდნენ შამილის დასაქერად. ესენი სულ სარდლები არიან ქართველთ ჯარისა. ყაფლან ხომ ასე ამბობს, რომ ესენი სულ ჩამომავლობით გიყები არიანო.

ეს შენი ლეკი სადილად დავაატიყე კარგად და ერთი ოქროც ვაჩუქე დუშალიკში.

კატოს⁸ ქორწილი საპეტრეპავლობოდ გვექნება. არლუთინსკის ლენერალ-ადუტანტობას ამბობენ,⁹ თუმცა გამოცხადებით არ არის, მაგრამ წიგნი მოსულა პეტერბურლიდგან. საკვირველიც არ არის. ვინც რამ უნდა ილაბარაკოს და აცა, თუ ეგ მართლა მონტეკუელი¹⁰ არ გახდეს ამ ცოტას ხანში.

* საყვარელო ძმად ზაქარია! აღტაცებული მოგილოცავ გამარჯვებას, ბრწყინვალე საქმის შესრულებას, განსაკუთრებით მასარებს ის, რომ ჩემი მოლოდინი უკვე მართლდება. აკი ხშირად გეუბნებოდი, რომ შენს შუბლზე დიდებისა და სახელის ბეჭედსა ვხედავ-მეთქი.

გმადლობ თოფისათვის მას შეშვენის სასელი სამურის ოლქის გამგის საჩუქრისა, მაგრამ ჩემთვის ის უფრო მეტს ნიშნავს, როგორც პატივცემულისა და საყვარელი ძმის საჩუქარს.

შენი წერილი, რომელიც ფოსტით გამოგიგზავნია, ჯერ არ მიმიღია. მოუთმენლად ვლოდები.

¹⁵ სადილათ.

გიორგი¹¹ თუ მანდ იყოს, კარგის სიყვარულით მომიკითხე.
სხვებზე ღმერთსა ვთხოვ შენს მარად და მარად მშვიდობას და
მარჯვებას ყოველს საქმეში.

შენი ერთგული ნ. ბ ა რ ა თ ო ვ ი.

წელსა 1844-სა
მაისის 10-სა
ქ. ტფილისით.

[დამატებულია ბოლოში]:

მამამ,¹ ფეფომ პირს გაკოცეს. კატომ მოგიკითხა: ისევ შენ, თორემ
სხვანი ჩუსუმები არიანო.

დავით ერისთავმა, სიძის ძმამ, სამაქანკლოში ქორი ვთხოვა. ზაქა-
რიაც, ხომ იცი, ამათ მაგისტანები დიდად მიაჩნიათ.

შენი გამარჯვება ქეთევანს¹² აქ გადავახდევინეთ. ხომ არ დაიჯე-
რებ და შამპანსკებს თვლა აღარა ჰქონდა. ამისთანა წუწკმა ხანდისხან
ასეც იცის.

¹ იყო.



XI. ბრიგოლ ორბელიანისადმი

საყვარელო ძმაო, გრიგოლ! სიზარმაცეში ანუ უნდომობაში ნუ ჩამომართმევ ამდენს ხანს წიგნის მოუწერლობას. დრო არა მქონდა. შენ გაიცანებ, რასაკვირველია, იტყვი: „შენ, ჭიანჭველავ, რა საქმე გაქვსო?“ — კიდევ ამისთვის არა მცალიან, რომ ჭიანჭველა ვარ: ყოველთვის ჩემზედ მეტი და დიდი უნდა ავიკიდო. ესეც კი არის მიზეზი, რომ რა მოგწერო? დედაკაცები ისევ ისინი; ჩვენი ყმაწვილები და ხახვების ფრანტები სულ შამილის დასაჭერად წამოვიდენ, ქალაქი მე დამრჩა. მოუსვი ბიჭო! ამისთანა ფართე ოკვანე არც ერთს ხომალდს არ შეჰხვედრია.

ვიცი, გეწყინება, ქ[აიხოსრო] ყ[იფიან]ის(?) ცოლი¹ ჭკუაზე შესცდა, საწყალი! ტირილი მოგივიდოდა ამის ნახვაზედ. მგონია ვერ იცოცხლოს.

ვიცი, ვიამება, კატო² დავნიშნეთ რ[ევაზ] ე[რისთავ]ზედ³. რუსულად არის ნათქვამი (იქნება ქართულადაც იყოს და მე კი არ ვიცი): *суженного конем не объедешь*. * ქორწილი საპეტრეპავლობოდ გვექნება. იქნება არც კი იცოდე, როდის არის ეს დღე? — ექვს კვირას უკან, то-есть: 29 июня. **

ზ[აქარ]იას⁴ და გიორგის⁵ კარგი საქორწილო გამოეგზავნათ. ზ[აქარ]ია იწერება, რომ გრიგოლმა სულ ბლუჯეულად იცისო. კატომ⁷ შემოგითვალა: ახლა შენ იციო, ეგეც დიდკაცობა, ესეც შემთხვევა გამოდგომისაო, თუმცა კი სულ ერთია: თუნდ შენსა ჯიბეში და თუნდ ჩემს ჯიბეშიო. მე კი ეს ვიცი, რომ ე[რისთავ]იანთ⁸ რძალთან არა დაგვეკარგება რა: კარგს ქიზგას გვაჩუქებენ. მაინც საჭიროა, ორმოც წელიწადს იქით ცოლი აღარ ვარგა.

ეს წიგნები სულთანს⁹ გამოეგზავნა შენთან. რასაკვირველია, რიცხვზედ შეატყობ, რომ დიდი ხნისაა. ამაში კი ჩემი უზრუნველობაა

* საბედოს ცხენითაც ვერ აუვლი ვერდს.

** ე. ი. 29 ივნისს.

¹⁰ შეჰსცდა.

მიზეზი, მაგრამ უფრო გულმავიწყობა: ვერა დროს ვერ დავეჩვიე.
რომ სამშაბათობით მოდიოდა შენთან ფოჩტა.

ეგ ბატონი ქართველთ სარდლები რომ წამობრძანდენ, ყაფლან
მაგათზედ იცინის, ასე ამბობს: სულ ჩამომავლობით ჭირვეულნი არი-
ანო.

ახალი ამბავი ანუ ქორი ხომ გიყვარს: ამხელად ეს არის, რომ
ნ[ინო] ალ[ექსანდროვ]ნა¹⁰ ოდესაში მიდის 9 ივნისს. შენ მანდ გა-
ჯავრდი!

სხვებრ ვეცდები, რომ საკვლავად კარგი გატენილი წიგნი გამო-
გიგზავნო.

შენი მარად ნ. ბ ა რ ა თ ა შ ე ი ლ ი.

წელსა 1844.
მაისის 23-სა.
ქ. ტფილისით.

ფიქვოლმ და მ[აშო]მ¹¹ მოგიკითხეს. ამათ შენი ხანობა¹² არად ეპიტ-
ნავებათ. — გამდიდრდი თუ არაო? — ესენი ამას მკითხვენ. შენ მა-
გივრად მე ვეძევი: ვაი, შენს მტერსა-მეთქი!

³ წამობრძანდენ.
9. ნ. ბარათაშვილი



XII. ზაქარია ორბელიანისადმი

უსაყვარელესო ძმაო ზაქარია! მომილოცავს პოლკოვნიკობა! ¹ შენი წიგნი რომ მომივიდა, იმის მეორეს დღეს „ინვალიდებში“ ² ეწერა. მე ახლა ჩქარად ლენერლობის იმედიცა მაქვს. მაგრამ ამისთვის უთუოდ უნდა დაღესტანში იმსახურო, თუნდ მაგ³ადგილშიაც არა... და მერმე იცი, რა ვიფიქრე შენთვის? — კასპიის ობლასტის ნაჩალნიკობა! ვინ იცის, მე კი კარგადა მაქვს დაცდილი წინასწარ-თქმა! Это будет гораздо существеннее.*

კატოს ერთი თთვეც არის ჯვარი დაეწერეთ. კარგი ქორწილი გარდვიხადეთ. მეორეს დღესვე წაიყვანეს კატო. ერთი ღამე დამეორე დღეს სადილად ქაიხოსრო მუხრანსკისას³ ვიყავით, კარგად დაგვიხვდა. იქიდან ახალგორს წავედით. ოძისს რომ მივახლოვდით, სადაც ბიძინა ერისთავი⁴ დგას, ლევან ერისთავი⁵ თავადებით, აზნაურებით და იმერეთის მგალობლებით მოგვეგება. ჩვენთან იყვნენ მანანა თავის ქალით,⁶ მაიკო,⁷ ყაფლან, მიხაკო,⁸ ალექსანდრე სუმბათოვი⁹ — მეგვარე. რა დაბინდდა, შევედით ახალგორს. სასახლე ჭრაქებით იყო გაჩახახებული, მეიდანნი — მაშხალებით. ამ დროს ახალი არქიერი წულუკიძე,¹⁰ კატოს დედამთილის ძმა, აქ იყო და მგალობლები იმისნი იყვნენ. დეკანოზი შემოსილი და ჯვარით მოგვეგება ვალაენის კარებში. დაჰკრეს ზურნას, სათარას¹¹ სიმღერა. (თანა გეყვანდა), თოფის სროლა და ხალხის ქდევა და ყვირილი საუცხოვო სანახავს წარმოადგენდა. ამასთან მთვარიანი ღამე და მშვენიერი მღებარეობა! — სასახლეში რომ შევედით, და ყაფლანმა ქუდი მოიხადა და შეხედა ზალას, ერთი გულით წამოიძახა: ფუ... — это дворец?*** ბევრი გვიცინია.

რასაგვირველია, მეორეს დღეს პატარძლის ჩვეულებისამებრ კატო ქვეშაგებში იწვა, მესამე დღეს აღვა. მზითევი გაშინჯეს, მაგრამ, ზა-

* ეს უფრო არსებითი იქნება.

** ფუ... — ეს სასახლეა?

³ ლენარლობის. ⁴ იმსახურე. ⁶ წინაჰსწარ. ¹⁰ სადილათ, კარგათ. ²⁴ რასაკურველია

ქარიავე, მრთელს ქართლში გაითქვა, თვარემ მანანა გეტყვის როცა ნახავ. მეოთხე დღეს ნიშნები მოართვეს დედამთილმა, მასლებმა, მულებმა და რძალმა, კარგი ნიშნებიც იყო. არქიერი ეზოში იდგა, კარავში ჭანდრებს ქვეშ. იმ დღეს ამობრძანდა კატოს სანახავად, დლოცა და ერთი ოქროთ მოქედელი ღვთის-მშობლის ხატი აჩუქა. ხუთი დღე და ღამე სულ შექცევაში ვიყავით. მამუკაც¹² აქ იყო და ძალიანაც გამხიარულდა. მერმე მე და მამუკა გორს გადავედით, იქ დაგვხვდნენ ელენე,¹³ მანანა, რომელიც ორის დღის წინათ ჩვენზედ წავიდა, მელანია¹⁴ და ბევრნი სხვანი. ნათლობა ჰქონდათ ელიზბარის¹⁵ სახლებში, ესტატე ერისთავის¹⁶ შვილისა. იქიდგან ატენში გადავედით. კნიაზი ძალიან კარგად დაგვიხვდა; სულ შუშურები გვასვა. ერთის ლექსით, კარგად გავატარეთ დროება, მრთელი ორი კვირა.

მე და მამა ალევობას, რომ ამ თთვის თხუთმეტს იყო, ვეწვივენით კატოს. მანანა და ელენეც გარდმოვიდენ სალოცავად. საუტხოო ჯვარობა იყო. ახალგორიდგან თორმეტი ვერსტია, მაღალს მთაზედ. ქალები ცხენებით, საწვიმრებით, ქოლგებით, დიდის ამალით, ოსურის სიმღერით ავედით სალოცავად. ის ღამე და მეორე დღეც იყო მშვენიერი. ძალიან მხიარულობა იყო. ცოტა წამოსვლის დროს მანანა ავად ვახდა და იმან ცოტად დაგვიშალა მხიარულება. ზაქარიავე, სწორეს გულით გეტყვი, რომ კატო თავის მოსაწონს, ეხლანდელს დროში სანატრელს ოჯახშია. ძმების უმაგალითობა, თანხმობა, სიმღიდრე სახლისა და უვალობა! ამასთან რევაზ ზედ აკვდება; ლევანისა ხომ სულია კატო და დავით ხომ იმის ნებივრობაშია! მე ეს მამა, რომ მტერი ვერ გაიხარებს. თუ ღმერთი გვადირსებს ერთად შეყრას, შენ, გრიგოლ, ილია, გიორგი, მამუკა უნდა ვეწვივნეთ ამ შემოდგომაზედ, რომ ღაზათი გავწიოთ. მართალია, სანადირო არ არის ყოვლის გვარისა.

ბევრი ვიციინეთ გრიგოლის წიგნზედ. მანანას წავუკითხე. ილიას წიგნი მოვიდა. ჩერვლონში¹⁷ არიან სულ ყველანი და-ამ თთვის გასვლამდინ, მგონია, მოვიდენ. მთავარ-მმართველსაც¹⁸ ამ სამ დღეზედ მოელიან! ლუარსაბის¹⁹ ცოლი ანნა²⁰ ძალიან ავად არის, საწყალი! სხვა ამბავი აქ ახალი და საშენო არა არის რა.

მშვიდობით. ღმერთსა ვთხოვ შენს კვალად და კვალად ბედნიერებას
შენი მარადის ერთგული თ ო ნ . ბ ა რ ა თ ო ვ ი .

P. S. ზაქარიავე! ამ შენ გამოგზავნილს თოფსა თავის შესაფერი ერთი წყვილი დამბაჩაც უნდა, თვარემ ობოლსავით დარჩენილია და ამისთვის კაბინეტში ვერ გამიმართავს.

⁴ ამობრძანდა. ⁶ შეგცევაში. ¹⁹ კსწორეს. ²⁴ გაიხარეს. ²⁷ წაუკითხე.

დამავიწყდა: ივანე კარლიჩი²¹ ვარდაიცივალა, სალომე²² კარგი ქვრივი დარჩა. სულ ყოველი თავის საცხოვრებელი ამას უანდერძა ვაკОННЫМ АКТОМ.* თუ გიორგი²³ ნახო, ჩემ მაგიერად დიდი მოკითხვა.

[მესამე გვერდის არშიაზე მიწერილია]:

იაკიტემ²⁴ ამ წიგნის წერაში ასე მითხრა: ჩემ მაგიერ მოკითხე მისწერეო და ასე შეუთვალე, რომ ცალკე წიგნისათვის არა მცალიან, ბევრი საქმეები მაქვსო. აქ არის სასამართლოში სოვეტნიკის თანამდებობაში დროებით დანიშნული.

[პირველ გვერდზე ჩამატებულია სხვა ხელით]:

მეც მომილოცავს პოლკოვნიკობა. უენი ე ლ ი ს[....]

* კანონიერი აქტით.

? მიჰსწერეო. ¹¹ხელმოწერა გაურკვეველია.



XIII. მაიკო ორბელიანისადმი

9-სა თებერვალს 1845.
ქ. ნახეჩევანით.

საყვარელო დაო, მაიკო! შენი წიგნი მომივიდა. დიდად მადლობელი ვარ. ვიცი, რომ გიყვარ-ვარ, მაგრამ, შენმა გაზრდამ, არც შენ ჩემსავით უყვარხარ ვისმე (ერთის მეტს). ნეტა, ვის ნათესავეებს ემდური? თითქოს არავის იცნობდე! განა ქართველებში არის მეგობრული და ნათესავებრი გრძნობა? — არა, რომ მეპატიეები მანდ, რას მეპატიეები? ახლა ყველანი კარგად ვიცანით: აი სამი თთვეა აქა ვარ და ძალღად არავინ მახსენა! ეჰ, მაგის დარდსაც გავუძლებ! აღარც მე მცალიან ვისთვისმე. ახლა მე ჩემი თავი ხელმწიფობას და საზოგადორობას შევსძღვენ: სულ ხომ ყმაწვილობა არ იქნება? დრო არის რიგიანის სამსახურისა. თქვენც გეყოფათ ბუზების ხოცვა. დიახ, ნურავის მოვაგონდები! იმისი არ იყოს, როგორც ერთს ქალს უბრძანებია, რომ აქ მოგვწყინდნენ და გავყარეთო, ეგეც აგრე იყოს. მაგრამ მე ეს ვიცი, რომ ჩვენ წელს ოც და ექვსისა შევსრულდით და წინაც ჯერ ბევრი ნუგეში და სიამოვნება გვიძევის! ვაი, იმის ბრალი, ვინც ოცდა რვა წლისაა და აღარც არას ამ სოფლის კმაყოფილებას მოეღლის!..

კრიანოსნები გეთხოვნათ: მე დიდიხანია თავრიზიდგან ხუთი კრიანოსანი დავიბარე, აქამდისინ კიდეც უნდა იყოს მოსული კარანტინში (ოც და ათი ვერსია აქედგან). მაგრამ ჯერ კი არ გამოგვიგზავნით, სანამ ტასოს¹ ნება არ გექნებათ, ამიტომ, რომ მაგისთანა კრიანოსანი ერთი უნდა იყოს და, რაკი გამრავლდება, ლაზათი წაერთმევა. ხომ გავიგონიათ:

რაკი ტურფა გაიფდეს, აღარა ღირს აღარც ჩირად!²

და რადგანაც პირველად ტასოს გამოგუგზავნე, ამისათვის, რომ არ ეწყინოს, მაგის თანხმობით უნდა იქონიოთ მაგისთანა კრიანოსა-

³ მაივიდა. ⁴ გაზდამ. ¹¹ შევსძღვენ. ¹³ უბძანებია. ²⁶ გამოუგზავნე.



ნი; თუმცა გაჯავრდებით ამაზედ, მაგრამ მაინც მე კიდევ ასე მოგეხსენებთ.

ილაქი წაიღეს მაგ ჯაფარას³ ქებით. ვისიც წიგნი მოგვივიდა, მაგის ქება ეწერა. ნეტა ყველასათვის აგრე მალე როგორ გაგიქედებით? მაგის ამბავი ჩვენა გვეითხოთ: ეგ სულეიმან ხანმა⁴ გარდმოიყვანა სპარსეთიდან, ორი დღე და ღამე აქ ჩვენთან იდგნენ; რაც ჰუნარები ჰქონდა, სულ აქ დაასრულა.

ეგ რომელი ამბობს, რომ სათარასა სჯობსო? ეტყობა, კარგი სმენა ჰქონია! მე გეტყვით: ეგ უფრო ნაკითხია სათარაზედ, მაგრამ სათარასათვის ღმერთს ხმა მიუცია და თანაც დაუტანებია, რომ მაგისთანა ხმა აღარავის ექნებო. ერთი, ორივეს სახე ნახეთ: ერთი კაცია, მეორე — ჯოჯოხეთის მამხალა.

ახლა ნახეჩვენაში⁵ ერთი ახალი ლექსია, თვრამეტის წლის ქალის ნათქვამი, რომელსაც სახელად გონჩა-ბეგუმ ჰქვიან; ხანის ქალია, ძალიან ლამაზი და მარილიანია; ბევრში წარმოგიდგენთ ორლოვის⁶ ცოლს. საცოდავი დამწვარია თავის ქმრისაგან და ახლა იმასთან აღარ არის და ცდილობს, რომ გაუშოს. საწყალი თორმეტის წლისა ყოფილა, რომ ძალად გაუთხოვებიათ. ამათი ამბავი რომ იცოდეთ, ერთი კარგი რომანია! ამ ლექსში თავის თავს სტირის: ერთს ადვილას ამბობს: „ჩემო მშვენიერო ბაღჩაო, მინდა მოვიდე, ვიმუსაიფო შენს შადრევანთან, შენს ყვავილებთან, მაგრამ მეშინიან, რომ ჩემი ქმარი იქ არ იყოსო“. ამ ლექსს დავაწერინებ და თავის თარგმანით გამოგიგზავნით. მგონია, სათარამ ეს ხმა უნდა იცოდეს, კარგი ხმა არის! ერთი ხმა არის კიდევ ძალიან სასიამოვნო, ჯაფარამაც იცის და სათარამაც. როცა შეგხვდეთ, ასე უთხარით, რომ „ე ი, მ უ ს ე ლ მ ა ნ ნ ა მ მ ა რ ი ხ ა ნ ჯ ა ლ ზ ა ნ ი“ იმღეროს.⁷

ერთი შემატყობინე, რატომ ეგ შენი ქაჩალი ძმა⁸ წიგნს არა მწერს? ივანეს⁹ კიდევ არ დავემღურები, ამიტომ, შენის ძმის წყალობით, რაც ტვინი ჰქონდა, ისიც ყაბახზედ დააბნია! მაგრამ ეს მაკვირვებს: არ ვიცი, რა მიზეზია, რომ მანანა მოკითხვითაც არა მკითხულობს? მაგრამ ერთის მხრით არც კი უნდა დავემღურო. ახლა ჩვენ ვილას მოვავგონდებით, ვილაც ორი ტლუ ბიჭი¹⁰ გდია ნახეჩვენაში! ახლა ცა ახალია, ქვეყანა ახალია და მოლაში ოთხმოცის წლის კაცები არიან!

ტასო მოიკითხე და მადლობა უთხარ მოგონებისთვის. კატო მომიკითხე, მეტად ბევრს თურმე ლაპარაკობს! ეგ ხომ წიგნს ვერ მომწერს და? ქართული იცოდა, ისიც დავიწყებია; რუსულიც ვერ უსწავლია და არ ვიცი, რომელს ენაზედ დასწერს?

⁸ ჰსჯობსო. ⁹ რომანია. ¹⁰ ვიმუსაიბო. ²² ლექს. ³⁵ მამწერს. ³⁷ დაჰსწერს.

მაიკო, ეს რისაგან არის: რაკი შენ მაგ ქალაქში ჩამოხვალ ქართ-
ლითგან, მაშინვე ჭორაობა უნდა გაჩნდეს?
სხვებზე ღმერთსა ვთხოვ შენს ბედნიერებას. ნუ დამივიწყებ. შენი
მარადის ერთგული:

თ ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი

[პირველი გვერდის არშიაზე პოეტის ხელით მიწერილია]:

აი, ამ ქართულს ლექსს გიგზავნი, მდაბიურულად დაწერილს, რომ
გორღაც ფიქრში მომივიდა „მ ე ვ ა რ დ ა ჩ ე მ ი ნ ა ბ ა დ ი“ —
იმის ხმაზედ.¹¹

[მეოთხე გვერდის არშიაზეც პოეტის ხელით მიწერილია]:

არა, ის რა ფერი ლაქით დაგებეჭდა შენი წიგნი? იქნება ახლა მაგ
ფერიც მოდა იყოს და მოსწონდეს ვისმე?

[მეორე და მესამე გვერდის არშიებზე ლევან მელიქიშვილის ხელით მიწერილია]:

უფალმა ნაჩაღნიკმა ¹² მოკითხვა შემოგითვალათ.

ტატო ღლე და ღამე იხვეწება: თუ ღმერთი გწამს, გააშვებინე
ქმარიო. მე, როგორც დამჯდარი კაცი, არა ვშვრები.

¹¹ მაპივიდა.



XIV. მ ა ს მ ე

საყვარელო დაო, მაიკო! დიდად ვწუხვარ, რომ ვერ გამოიცან ჩვენი მოქმედება. მე კიდეც შევარიგე ცოლ-ქმარნი¹ და! კრიანოსნები ჯერ არ მომსვლია და, როცა მომივა, უთუოდ გამოგიგზავნი, თქმა აღარ მინდა. ჩვენი აქ ცხოვრება, სწორე ვითხრა, ტანჯვისა და უსიამოვნობის მეტი არა არის რა! ლევანიც² ავად გამიხდა და თავად ბლუიყო, უფრო დაბლუვდა სიცხისაგან. რასაც ეს ნეიდგარდს³ სწყევლის აქ გამოგზავნისათვის, არ ვიცი, თუ რა მოუვიდეს. ეს ერთი კაცი გვეყვანდა პოლკოვნიკი ფორსტენი,⁴ ეს წამოვიდა და შენი მტერი, რომ ჩვენ მარტო დავრჩით!

მაიკო, რაცა გაქვს სათქმელი, რატომ არა მწერ? სულ ერთია, თუ პირად ვითქვამს და თუნდ წიგნში მოგიწერია: თუ შენი ამბავია, ხომ იცი, შევინახავ საიღუმლოდ და, თუ ჩემი კარგი ამბავია და, რატომ არ მანუგეშებ ამ დაობლებულს გულზედ?

ვისაც ვახსოვდე, მომიკითხე, და ვისაც არა.... რაც მოუვიდეთ, მოუვიდეთ!

შენი მარადის უცვალებელი ძმა ტ ა ტ ო.

[მეოთხე გვერდზე პოეტის ხელით აღნიშნულია აღრესატის ვინაობა]:

მაიკო ორბელიანს.

¹ მამსვლია, მამივა. ² ჰსწორე. ³ ჰსწყევლის. ⁴ [მამიკითხე. არა...] დედანში მრავალწერტილია.

XV. მ ა ს ვ მ

10-სა აგვისტოს 1845, მურუტს.

საყვარელო დაო, მაიკო! მართლა, თუ შენ თვითონ ავი ენა არა გაქვს, აბა, რა მოგავონდება ჩემგან ასეთი წყენა, რომ დასანახავად აღარ გინდივარ? ზედ გეტყობა, რომ სტყუი, თვარემ, თუ მართალი იყოს, შორიდგანაც არ გენდომები. აი, ახლაც მინდა ერთი მართალი სიტყვა ვსთქვა და შენ კი მაშინვე გაჯავრდები. ჩემი რა ბრალია? აი, ახლა ვსთქვათ: ჩვენს ყმაწვილებს რომ ჯვრები მოუვიდათ, რამ დამავიწყა იმათი სახელი? მაგრამ შენ მოიგონე, რად მოუვიდათ?.. აი, აკი ვითხარ, გაჯავრდები-მეთქი. არა, შენ რა გაჯავრებს? ეგ სწორეთ იმასა ჰგავს, რომ კაცს ღვთისწყალობა უთხრან და გაჯავრდეს. შენ რა? აგრე ვაწითლებაც იქნება? მანანას ეგონება, სიანხლით ვაწითლ-დი, ივანე¹ კი ჩაიციანებს. აბა, ნახე შენვე აძლევ მიზეზს და მე კი მამ-რალეზ, მე რა ვსთქვი? ჯვრები ტყუილად მიიღეს-მეთქი იმათ... რამ დამავიწყა?.. ოჰ, მომაგონდა: ილიამ, ალექსანდრე ერისთავმა და ლე-ვანმა. ყველას მსარჩელელი შენა ხარ! აბა, ჩემზედ თქვას ვინმემ 'რამ ცუდი, თუ წამომესარჩლო?

კარგი, შევრიგდეთ! ხელთ-საქმეს თურმე მიკეთებთ, მაგრამ ვაი შენს მტერს, რაც თქვენ ვერა შეასრულოთ რა! (პატივისცემა კი არ გეგონოს, მრავლობითად რომ გეუბნები). რადგანაც ორნი მოსაქმენი ბრძანდებით², იმისთვის მოგახსენებთ. მე კი არა ვთხოვთ და, თუ გამომიგზავნით, ის მე ვიცი და ხელმწიფე იმპერატორმა და, თუ არა და, ის თქვენ იცით და პაპუა ორჯონიკიძემ.³

აბა, რა გამოგიგზავნო? — ბროწეული, ყურძენი, ატამი, ხოხობი, ღურეჯი, ჭეირანი, აბრეშუმი, თუ სულ ყველა ერთად? აქაურ ფაბ-რიკებში და მალაზინებში ამის მეტი არა არის რა.

ახალ-დანისხულს თუ პატარძალს სოფიოს⁴ მოახსენე, თუ შეგვც-

⁴ მსტყუი, ⁵ ვსსთქვა. ⁶ ვსსთქვათ. ⁹ მსწორეთ. ¹³ მსთქვი. ¹⁴ მამაგონდა. ¹⁷ ვაა.

დეს: ჩემი ზონარი რა უყო? ქმარი⁵ არას დაუშლის. მეორე სილონი-
საც⁶ უთხარ: ჩქარა გამიკეთოს, ვინც მე ზონარს მომიქსოვს, აგრე ჩქა-
რა გათხოვდება!

ნიკოლაი აღაპიჩი⁷ და კატო⁸ ქალაქშივე არიან თუ წავიდნენ? ამ
თთვის გასულს მეც ვაპირებ ყაზახში წასვლას და თამართან⁹ შვეალ
დილიჯანში¹⁰ რამდენიმე დღე. კარგად არ ვიცი, რომ დასევდიანებული
[იქნება].

კარგი, დავიღალე ამდენი ლაპარაკით! არა [მცალიან].

შენი მარადის ერთგული [თუნდ ტ ა ტ ო და თუნდ ნ ი კ ო-
ლ ო ო ზ.]

⁵ მამიქსოვს. 7-¹⁰ კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები დედნის დაზიანე-
ბის გამო ახლა აღარ იკითხება (აღდგენილია პირველნაბეჭდი ტექსტიდან).

XVI. ბაბალე საზინაწილისადმი

23 აგვისტოს, მურუტი.

საყვარელო დაო ბაბალე!¹ შენ თვითონ მწერ, რომ ახლა ჩამოხველ ბორჯომიდან. და არ ვიცი, ვისთან მომეწერა აქამდისან წიგნი. ნუ ხარ აყვია, სულ მაგას გიშლი და არ იქნა, ვერ დავაშლევინე. აბა, ვისთვის მომიწერია წიგნი, რაც წამოვსულვარ? თქვენმა მზემ, თქვენ რომ ნათესავეები მყევხართ! განა არა, მოგაგონდებით! მე მაგისთანა მოკლე წიგნებისა არა ვიცი რა: თუ მწერ, რაც იცი და არ იცი, სულ მომწერე. ხომ იცი აქ ძნელად შევიტყობ მანდაურს ქორებს. თუმცა შენ ქორი არ ვიყვარს, მაგრამ ჩემის გულისთვის, ვიცი, რომ გაიგონებ განვებ და მასიამოვნებ ამ უდაბურს ადგილს.

მე აქაური რა მოგწერო? აქაური პირველი ფრანტისა ჯორაკის ქალი ბარბარე² ბრძანდება. ამით წარმოიღვინე³ ჩემი მდგომარეობა: თუ ღმერთი არ შემეწია, გავსულელდები ამდენს თარაქამებში.

ახლა შენ იცი, როგორც წიგნებს და ამბებს არ დამაკლებ. მერმე მე ვიცი და მისს იმპერატორების დიდებულებამ. ამ ოთხი დღის წინათ თამართან⁴ ვიყავ დილიჯანში; პრინცს⁵ მოველოდი გატეხილს ხილზედ, აღარ მოვიდა და იქ შევებრუნდი. გასულელელებულა, სულ იცინის! მართლად, ორი დღე ვიყავ, ძალიან მხიარულად გავატარეთ დრო-ძალუა ნინო⁶ მომიკითხე და უთხარ, სენკოვსკი⁶ უკეთ არის.

ბატონს ძალუას ელისაბედს⁷ მოკითხვას მოვასხენებ. შენმა მზემ, ბევრი რამ მაქვს მოსაწერი, მაგრამ ერთს სიტყვასაც არ მოვწერ, მინამ საკუთრად წიგნი არ მომივა ქორა-ქურაებით სავსე.

შენს გაზრდას, ბაბალე, ნინა ალექსანდროვნა⁸ ჩემ მაგიერ მოიკითხე და ასე უთხარ: მატუხოვის ცოლმა⁹ მოგიკითხა-თქო. ჩვენი დროს გამტარებელი ეს არის, მაგრამ ძნელი ეს არის, რომ ამისი ენა ჯერ არ მესმის.

მაგ სულელ მაიკოს უთხარ: რა ხანია თავის წიგნის პასუხი გამოვუგზავნე.

შენი მარადის თ ნ. ბ ა რ ა [თ ა შ ვ ი ლ ი]

23 აგვისტოს,
მურუტი.

¹ მამეწერა. ² მამწერე. ³ ბრძანდება. ⁴ მამივა. ⁵ გაზრდას. ⁶ გამოუგზავნე.

XVII. ალექსანდრე საგინაშვილისადმი

ძმავ ალექსანდრე!¹ რომ მემღერი, არ ვიცი კი; აქ რა არის, რა მოგწერო? შენ უნდა მომწერო წიგნი, რომ ტფილისი გატენილია ამბებით. მამუკა აქ არ იყო და ჩქარა ნახავ შენ თითონ ქალაქში. რასაკვირველია, რომ შენ მაიორობა არ მოგივა: ყოველ წელიწადს ბორჯომში შეექცევი, ცივს ნიავს არ მიიღენ! მე რომ ბაბალესი ვიყო, ძალად გაგავდებ დაღესტანში! საწყალს მაიორშობა არ ეღირსა, არ იქნა. ქალაქიდან განჯა ორასი ვერსია, თუნდ გაჯავრდეთ, რას შეგეპუებით.

მაგრამ ტყუილად ვხუმრობ: Скучно, грустно.*

შენი მარადის თ' ნ. ბ ა რ ა თ [ა შ ვ ი ლ ი]

* მოწყენილობა და ნაღვლიანობაა.

3 რასაკურველია.



XVIII. გრიგოლ ორბელიანისადმი

[ნაწყვეტი წერილისა, უთარილო]

...აი, ჩემი უკანასკნელი ლექსი, რომელიც კნიაზ ბარათაევს¹ ალბომში ჩავუწერე მისის თხოვნით. ისიც ამ ორ დღეს უკან მიდის პეტერბურღში с большим запасом сведений об исторической Грузии.*

საფლავი ივერიისა

გრიგოლ, რა იქნება, რომ ერთი კიდევ დააწკარუნო ამდენი ხნის დაღუპებული შენი სანთური?***

[1842 წ.]

* ისტორიული საქართველოს ცნობათა დიდი მარაგით.

** ეს წერილი თარიღდება 1842 წლით და ამიტომ შეიძლება იგი ამ წლის წერილთა რიგში მოგვექცია (შდრ.: ნ. ბარათაშვილი, თხზ., 1968, გვ. 181), მაგრამ რაკი იგი ფრაგმენტია, წერილთა კანონიკური რიგი არ დაგარღვიეთ და ისევ ბოლოში დავტოვეთ.

³ ჩაუწერე.

ტეფსტონსაშონს

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა

(ფილოლოგიური ნარკვევი)

ნიკოლოზ ბარათაშვილის სამწერლო მოღვაწეობა განისაზღვრება 12-ოდე წლით (მისი პირველი ლექსი თარიღდება 1833 წლის 18 მაისით და უკანასკნელი—1845 წლის თებერვალ-მარტით). ასეთი მოკლე დროის განმავლობაშიამ გენიალურმა პოეტმა დაგვიტოვა ძლიერ მცირე, მაგრამ ღრმად შინაარსიანი და მაღალმხატვრული თხზულებანი (ლექსები, პოემა, თარგმანები და პირადი წერილები), რომელთაც დიდად გაუთქვეს სახელი არა მარტო ჩვენში, საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. სამწუხაროდ, მან თავისი ლექსების ვერც ერთი ტაეპი ვერ ნახა დაბეჭდილი. 1832 წლის შეთქმულების შემდეგ საქართველოში მძიმე რეჟიმი დამყარდა. იმხანად მხოლოდ რამდენიმე წიგნი დაიბეჭდა ქართულად, მათ შორის ორად ორი პოეტური თხზულება — ჩახრუხადის „თამარიანი“ და შავთელის „აბდულმესიანი“. 1833—1845 წლები იყო ბეჭდვითი სიტყვის სიღატაკის ხანა. მაშინდელი მოღვაწე თაობა კმაყოფილდებოდა ხელნაწერი ჟურნალების გამოცემით, საოჯახო ალბომების შედგენითა და ლიტერატურულ შეკრებებში მონაწილეობის მიღებით.

ნ. ბარათაშვილი ლექსებს ხელნაწერების სახით ავრცელებდა: ზოგს ხელნაწერ ჟურნალში ათავსებდა, ზოგს მეგობარი ქალების ალბომებში წერდა, ზოგს ცალკე ფურცლებად არიგებდა და ზოგსაც პირად წერილებში ჰრთავდა. 1840-იანი წლებიდან მან დაიწყო კრებულების შედგენა და მეგობარ-ნათესავებს შორის გავრცელება. დღეისთვის ცნობილია რამდენიმე ასეთი კრებული: მაიკო ორბელიანისეული, ეკატერინე ჭავჭავაძისეული (1841 და 1843 წლებისა), ქეთევან ორბელიანისეული (იგივე ბარბარე ვეზირიშვილისეული), ქეთევან ერისთავისეული (რომელიც 1876 წელს დამწვარა) და თვით პოეტისეული შავი სამუშაო ცალი, რომელიც დღეს ბარბარე ერისთავისეულ ვარიანტადაა ცნობილი. ეს კრებულები ხელიდან ხელში გადადიოდა და სხვადასხვა ნუსხებად მრავლდებოდა.

10. ნ. ბარათაშვილი



ნ. ბარათაშვილის ლექსების დაბეჭდვის იდეა პირველად ჩასახულა 1846 წლის 14 იანვარს, როდესაც პოეტის მეგობრები შეკრებილან რევავზ ანდრონიკაშვილთან სადილად ნინოთბა-დღეს. იმავე წლის 19 იანვარს ლევან მელიქიშვილი, ნ. ბარათაშვილის ახლო მეგობარი, გრიგოლ ორბელიანს სწერდა (დაწერილია რუსულად, ქართული თარგმანი ექვთენის პ. უმიკაშვილს):

„14 იანვარს (კენიან ნინოს დღეობაზე) ჩვენ რამდენიმე ყმაწვილი ქართველი რევავზ ანდრონიკაშვილთან ვიყავით სადილად. ჩვენთან იყო ყაფლანიც (იგულისხმება მომღერალი ყაფლან ორბელიანი; მას ნ. ბარათაშვილი იხსენიებს ლექსში „ღამე ყაბახზედ“, ი. ლ.), რომელსაც ვთხოვეთ «სულო ბოროტო» ემღერა, მაგრამ, წარმოიდგინე, არც იმან და არც ერთმა ჩვენგანმა არამცთუ ზეპირად არ იცოდა ეს მშვენიერი ლექსი, არც კი ვისმე ჰქონდა გადანაწერი და ყველანი გულით შევწუხდით, რომ განსვენებულის მშვენიერი ნაწერები იკარგება. მაშინვე განვიზრახეთ განსვენებულის ყველა ლექსები დავბეჭდოთ ჩვენის ხარჯითა... (S 4911).

მეორე დღიდანვე ამ თაოსნობას სათავეში ჩაუდგა თვით ლ. მელიქიშვილი: მან გამართა ხელმოწერა, ხუთ დღეში შეაგროვა ათასი მანეთი, შეუდგა ნ. ბარათაშვილის ნაწერების მოგროვებასაც. განუზრახავთ კრებულის გამოცემა ერთ წიგნად პოეტის სურათითურთ. საამისოდ მელიქიშვილს გრ. ორბელიანისთვის უთხოვია დაეწერა „წინასიტყვაობა წიგნისათვის, ბიოგრაფია განსვენებულისა და ეპიტაფია მისი ძეგლისათვის“. მაგრამ ეს წამოწყება რატომღაც ვერ განხორციელდა. შეგროვილი ფული მოჰხმარდა პოეტის გაღარიბებულ ოჯახსა და საფლავის კეთილმოწყობას.

პირველად ნ. ბარათაშვილის ლექსები ბეჭდურად გამოამზეურა გ. ერისთავმა 1852 წელს ქუთაისში. „ცისკარში“ (№ 4). აქ დაიბეჭდა ოთხი ლექსი: „ბუღბუღი ვარდზედ“, „ჩემი ლოცვა“, „ქალი“ (= „რად ჰყვებდრი კაცსა“), „სულო ბოროტო“. მაგრამ ქუთაისის დახურვის გამო სხვა ლექსების პუბლიკაცია იმავე წელს შეწყდა. მისი განახლება შეძლო ივ. კერესელიძემ 1857 წლიდან, როდესაც „ცისკრის“ ხელახალი გამოცემა დაიწყო. ამ დროიდან 1876 წლამდე (ე. ი. ბარათაშვილის ლექსების კრებულად გამოცემამდე) „ცისკარში“, „საქართველოს მოამბესა“ და „კრებულში“ გამოქვეყნდა 25 ლექსი და პოემა „ბედი ქართლისა“. მათი პირველი ბეჭდვის ქრონოლოგია ასეთია:

„ცისკარში“ 1858 წელს დაიბეჭდა „ლაშქრობა ქართველთა კავკასზე“ (= „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“), „გალობა სიტურფისა“ (= „შევიშრობ ცრემლსა“), „ჩჩვილი“ (№ 2), „ბედი ქართლისა“

(№ 9); 1860 წელს — „ფანტაზია“ (=„გზოვე ტაძარი“) (№ 5), „ჩემს მერანს“ (№ 6), „საფლავი მეფის ირაკლისა“ (№ 7), „ჩემს ვარსკვლავს“ (№ 8), „თ. ე. ქ.“ (=„თავადის ქ...ძის ასულს ეკ...ნას“) (№ 9), „საყურე“ (№ 10), „სული ობოლი“ (№ 11), „სატრფოვ, მახსოვს“ (№ 12); 1861 წელს — „თვალები“ (=„მიყვარს თვალები“) (№ 1), „ჩონგურს“ (№ 3), „აღმოხდა მნათი აღმოსავალს“ (№ 6); 1862 წელს — „ფიქრა მტკვრის პირზე“ (№ 1), „ნაპოლეონ“ (№ 2), „ხმა იღუმალი“ (№ 3), „ჩემთ მეგობართ“ (№ 5), „სუმბული და მწირა“ (№ 9), „ჩინარი“ (№ 10); 1863 წელს — „ჩემს სატრფიალოს“ (=„არ უკიყინო, სატრფოო“) (№ 12).

„საქართველოს მოამბეში“ 1863 წელს დაიბეჭდა „შემოღამება მთა-წმიდაზე“ (№ 1) და „მადლი შენს გამჩენს“ (№ 2), ხოლო „კრებულში“ 1872 (№ 7) და 1873 (№ 2) წლებში — „ზვირთები მოღუღუნებენ“ (=ქეთევან) და „დამქროლა ქარმან“.

ამ პირველნაბეჭდი ლექსების დედნებია ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფები ან სანდო პირთა მიერ ავტოგრაფებიდან გადაწერილი ნუსხები. S 4911 ხელნაწერში დაცულია პ. უმიკაშვილის ფრიად საყურადღებო ცნობა:

«ცისკარში» რაც ბარათაშვილის ლექსებია დაბეჭდილი 1860 წლის დაწყებიდან, ეს ლექსები ჩემის ნაწერიდგან არის. 1860 წლის წინა კი არ ვიცი, საიდან დაუბეჭდიათ. მე გადმოვწერე ალექსანდრე ჩიქოვანის ხელით დაწერილი რვეულითგან, რომელშიც, მახსოვს, მოხსენებული იყო, რომ სარდიონ ალექსიევი-მესხიევის რვეულითგან გადმოვწერეო. ის რვეული გიორგი ჩიქოვანსა პქონდა და ილია ჭავჭავაძეს, ვკონებ, დაუკარგავს. იმ რვეულში ყველა ლექსი იყო, რაც მინახავს ნ. ბარათაშვილის ხელნაწერი, ერთს გარდა, რომელიც «კრებულის» 1873 წ. პირველ (უნდა იყოს მეორე, ი. ლ.) ნომერშია (იგულისხმება „დამქროლა ქარმან“, ი. ლ.). ამას გარდა იქვე იყო «ჩინარი», რომელიც დაბეჭდილია «ცისკარში» 1862 წ. ოქტომბრის ნომერში“ (ფ. 23v—24r).

პ. უმიკაშვილი ამასვე წერს ნ. ბარათაშვილის ლექსთა კრებულის მიხედვით ხელნაწერ რვეულში, რომელიც დაცულია ცენტრარქივის ძველქართული ხელნაწერების კოლექციაში 820 №-ით (გვ. 91).

არსებობს სხვა ცნობაც, რომელიც ეკუთვნის ზ. ქიქინაძეს. მან 1890 წელს გამოაქვეყნა ნ. ბარათაშვილის თხზულებანი და კრებულში შეიტანა პოეტის ორი ახალი ლექსი — „ლაშქრობა ქართველთა კავკასზე“ (=„ძრწოდე კავკასო“) და „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის“. „ივერის“ ახალი ამბების მიმომხილველმა ეს ლექსები საეჭვოდ აღიარა. მან კატეგორიულად უარყო პირველი ლექსის ბარათაშვილისეულობა. „ერთ ლექსს, — წერს იგი, — ეწოდება «ლაშქრობა ქართველთა კავკასზე» და, ჩვენი აზრით, ბარათაშვილის მუხასი არა ატყვია რა. აზრი, შინაარსიც

კი ამტკიცებს, რომ ძნელად თუ ნ. ბარათაშვილს დაეწეროსო¹. ზ. ჭიჭინაძემ მეორე დღესვე (№ 3) უპასუხა „ივერიის“ კორესპონდენტს შენიშვნით: „ბარათაშვილის პირველი ლექსი «ლაშქრობა ქართველთა კავკასზე» დაბეჭდილია 1859 წ. (უნდა იყოს: 1858 წ., ი. ლ.) «ცისკარში» ნ. ბარათაშვილის სრულის სახელისა და გვარის მოწერით. ეს ლექსი პირველს გამოცემაში არ შეუტანიათ, რადგანაც ბარათაშვილის ლექსად არ უცვნიათ გამომცემლებს². პ. უმიკაშვილისაგან ასე შევიტყვე. ამის გამო მე ვკითხე «ცისკრის» რედაქტორად ნამყოფს ბ-ნ ივანე კერესელიძეს და ამან გადმომცა, რომ ეს ლექსი მე თვით ბარათაშვილის ხელთნაწერიდგან გადავბეჭდე «ცისკარში». ხელთნაწერი ვრ. ორბელიანს დაუბრუნე კუთვნილებისამებრ, რადგანაც ნ. ბარათაშვილის ყველა ლექსს ვრ. ორბელიანი მაძლევდა“...

ამ ცნობათა მიხედვით ირკვევა, რომ ნ. ბარათაშვილის ყველა ლექსი, რომელიც კი 1876 წლამდე დაიბეჭდა, სანდოა და მათ ავტოგრაფის ძალა აქვთ.

1876 წელს გამოქვეყნდა ნ. ბარათაშვილის ლექსების პირველი გამოცემა, რომელშიც დაბეჭდილია „ბედი ქართლისა“ და 30 ლექსი, მათ შორის — ორი ახალი ლექსი — „შენნი დალალნი“ და „ქნიაზ ბარათაშვილის აზარფეშაზედ“. წიგნმა დიდი ინტერესი აღძრა მკითხველ საზოგადოებაში. ვაზ. „დროებამ“ დაბეჭდა გ. თუმანიშვილის ვრცელი რეცენზია (1876, № 60—61).

1879 წელს ეს გამოცემა ხელახლა გადაიბეჭდა უცვლელად. მას მოჰყვა 1886 წელს მესამე შევსებული გამოცემა (ტექსტები დასაბეჭდად მოამზადა პ. უმიკაშვილმა). მასში შეტანილია პოეტის რვა წერილი და ის ხუთი ლექსი, რომლებიც იონა მეუნარგიამ აღმოაჩინა ეკატერინე ქავჭავაძის არქივში („ივერია“, 1882, № 4—5).

1890 წელს ზ. ჭიჭინაძემ გამოაქვეყნა მეოთხე გამოცემა. მან პოეტის კრებულს დაუმატა ორი ადრე დაბეჭდილი ლექსი — „ძრწოდე კავკასო“ და „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის“. ამის შემდეგ 1916 წლამდე, როდესაც დ. კარიჭაშვილმა აღმოაჩინა ეპიგრამა „ელენეს და მარიამს“, პოეტის ნაწერებს აღარაფერი მიმატებია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ პირად წერილებს, რომლებითაც შეივსო 1895 წლის გამოცემა. ეს უკანასკნელი კი (რედაქტორები იყვნენ ე. თაყაიშვილი და დ. კარიჭაშვილი) მომზადებულია დასაბეჭდად მოკლე ფილოლოგიური აპარატით იმდრო-

¹ „ივერია“, 1891, № 2, „ახალი ამბები“.

² საინტერესოა, რა საფუძველი ჰქონდათ გამომცემლებს, როდესაც მათ „ძრწოდე კავკასო“ ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1876 წლის გამოცემაში არ შეიტანეს? ნუთუ ამის შესახებ ვრ. ორბელიანს არა ჰკითხეს რა? მაგრამ როგორც პ. უმიკაშვილის კრებულიდან ირკვევა, გამომცემლებისთვის ეს ლექსი უცნობი უნდა ყოფილიყო.

ინდელ მეცნიერულ დონეზე და თავისი ღირსებით ყველა წინა გამოცემაზე მაღლა დგას. მეცნიერული მნიშვნელობა მას არც დღეს დაუკარგავს.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის მწერალ-მოღვაწენი დაინტერესდნენ ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიული საკითხებითაც (ისინი შეუდგნენ პოეტის პირადი წერილების პუბლიკაციას). ამ მხრივ გზა გაკვალა ილია ჭავჭავაძემ. 1872 წლის 9 დეკემბერს მან კირილე ლორთქიფანიძეს გაუგზავნა ურნ. „კრებულში“ დასაბეჭდად ნ. ბარათაშვილის ოთხი (VII, XIII, XIV და XV) წერილი მაიკო ორბელიანისადმი ასეთი შენიშვნით: „ეს ოთხი წიგნი, ნიკ. ბარათაშვილისგან ერთ და იგივე პირთან მიწერილი, ვადმოგვცა ჩვენ ერთმა პატივცემულმა პირმა, ქართულის ენისა და მწერლობის მოყვარემა. ვისაც ესმის, რაგვარი მნიშვნელობა აქვს ამგვართა წერილთა ლიტერატურის ისტორიისათვის და თვით მწერლის მიმართულებისა და თვისების ახსნისათვის, ის ჩვენთან ერთად გულითად მადლობას მოახსენებს მთავარი წიგნების პატივცემულს ვარდამოცემელსა“³.

ეს წერილები დაიბეჭდა აღნიშნული შენიშვნით 1873 წლის „კრებულში“ (№ 1, გვ. 99—113).

იმავე წლის „კრებულის“ მესამე ნომერში (გვ. 45—60) პ. უმიკაშვილმა გამოაქვეყნა პოეტის ოთხი (IV, V, VI და VIII) წერილი. მათ ერთვის რედაქციის შენიშვნა: „ეს ძვირფასი წიგნები მიწერილია თ. გრიგოლ ორბელიანთან, რომელსაც მათ დასაბეჭდად ვადმოცემისათვის უგულითადეს მადლობას ვუძღვნით“ (გვ. 45).

დასახელებული რვავე წერილი ნ. ბარათაშვილის ლექსებთან ერთად გამოქვეყნდა 1886 წელს, მესამე გამოცემაში. ამის შემდეგ ლექსებისა და წერილების პუბლიკაცია ტრადიციად დამკვიდრდა.

1885 წელს იონა მეუნარგიამ გრ. ორბელიანის არქივში აღმოაჩინა ორი (II და XI) წერილი, რომლებიც მან იმავე წელს გაზ. „დროებაში“ (№ 114) გამოაქვეყნა.

1893 წელს, როდესაც ქართველი საზოგადოება ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსასვენებლად ემზადებოდა, ურნ. „კვალში“ (№ 7, გვ. 9—10; № 10, გვ. 3—4; № 11, გვ. 5) პ. უმიკაშვილმა დაბეჭდა ქართული თარგმანები ოთხი (III, IX, X და XII) წერილისა მიხ. თუმანიშვილის და ზაქარია ორბელიანისადმი, ხოლო ორი წლის შემდეგ (1895 წ.) იგივე ოთხი წერილი თარგმანების გარეშე გამოაქვეყნეს პოეტის თხზულებათა მეხუთე გამოცემაში ე. თაყაიშვილმა და დ. კარიჭაშვილმა (გვ. 89—90, 105—109, 112—115). ამის შესახებ „კვალის“ ახალი ამბების მიმომხილველი იუწყებოდა, რომ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრ-

³ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, X, 1963, გვ. 27—28. ავტოგრაფი და ბირველნაბეჭდი ერთმანეთისგან განსხვავდებიან ორთოგრაფიულად.

ცლებელ საზოგადოებას“ „შეუკრებია პოეტის ნ. ბარათაშვილის დაუსტამბავი წერილები და აპირებს მის გამოცემას“ (1895, № 19). აღბათ, ამ „დაუსტამბავ წერილებში“ ივთლისხმებოდა სწორედ ის ოთხი ახალი წერილი, რომლებიც დაემატა 1895 წლის გამოცემას წინა ორ (1886 და 1890 წლების) გამოცემასთან შედარებით.

ასეთია მოკლედ ნ. ბარათაშვილის თხზულებათა პირველი ბეჭდვის ისტორია XIX საუკუნეში.

1876—1895 წლებში ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი ინტერესი იმდენად გაიზარდა, რომ ქართველმა საზოგადოებამ მიიღო ხუთი გამოცემა. იმავე წლებში გაცხოველდა ძიება ნ. ბარათაშვილის ხელნაწერების შესაგროვებლად. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ მოწინავე ქართველი ინტელიგენცია, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, მისი მესვეურები და აქტიური წევრები: გრ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე, პ. უმიკაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ზ. ჭიჭინაძე, ი. მეუნარგია, ე. თაყაიშვილი და დ. კარიჭაშვილი. მათ ყოველნაირ დახმარებას უწყევდნენ პოეტის ნათესავები და თანამედროვენი. ეროვნული მნიშვნელობის ამბავი იყო, რომ 1893 წელს ქართველმა ხალხმა დიდებით გადმოასვენა განჯიდან ნ. ბარათაშვილის ნეშტი და მშობლიურ მიწას მიაბარა. რკინიგზის სადგურზე თავმოყრილმა ხალხმა მუხლი მოიდრიკა სათაყვანებელი პოეტის ნეშტის წინაშე და ამით უკვდავების გვირგვინი დაადგა თავის ეროვნულ ღირსებას. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის მწერალ-მოღვაწეებმა, ნ. ბარათაშვილის გენიის ასეთმა დიდმა დამფასებლებმა, ვერ შესძლეს მისი ყველა ნაწარმოების ყველა ავტოგრაფისა და ნუსხის თავმოყრა. ჯერ კიდევ 1883 წელს ი. ჭყონია გაზ. „დროებაში“ (№ 264) წერდა: „...ნ. ბარათაშვილის, ა. ჭავჭავაძის და სხვათა ნაწერების ბედი ძლიერ გვაშინებს... ამ დღეებში «ცისკრის» ერთ-ერთს ნომერში (თებერვლის წიგნი, 1858 წ.) ლექსთა განყოფილებაში წავაწყდი ერთ ლექსს (ლაშქრობა ქართველთა კავკასზე) «ბედი ქართლისას» ავტორისას. ვინ იცის, რამდენი ამისთანა და ამაზე უკეთესი ნაწარმოები დარჩა უდროოდ მიცვალებულის ნიქს ნ. ბარათაშვილისას და როგორ უწყალოდ ჰხრავს მათ თავეთა რაზმი პოეტის ვერდამფასებელთა კერძო პირთა სკივრებში“...

ი. ჭყონიას შიში ნაწილობრივ გამართლდა: ნ. ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობის ერთი ნაწილი დაკარგულია. არსებობს კ. მამაცაშვილის ცნობა, რომ ნ. ბარათაშვილს დაწერილი ჰქონია პოემა „ივერიელნი“⁴. 70-იან წლებში ზ. ჭიჭინაძეს თბილისის ბაზრობაზე ერთი

⁴ ლიტერატურის მატინე, № 1—2, 1940, გვ. 404—405. შდრ. პ. ინგოროს-ყვავა, თხზულებანი, I, 1963, გვ. 344—346; ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1968, გვ. 233—243 (აქ საუბარია სხვა არმოღწეულ ნაწერებზეც).

მეწვრილმანისაგან შეუქენია ალ. ჩიქოვანის მიერ გადაწერილი რვეული ნ. ბარათაშვილის ლექსებისა. იმავე მეწვრილმანეს ჰქონია მეორე რვეულიც, რომელშიც თითქოს მოთავსებული ყოფილა პოემა „ივერიელნი“. იგი მას იმჯერად ვერ უყიდა, მაგრამ, მერმე რომ მისულა, ველარ უპოვიათ. ასე დაკარგულა ჩვენთვის უცნობი პოემა⁵. დაკარგულია აგრეთვე „ასტრა“ (სატრფიალო ლექსი, მიძღვნილი ლაბიელის ქალისადმი)⁶, ლაიზევიცის ტრაგედია „იულიუს ტარენტელი“, რომელიც პოეტს რუსულიდან უთარგმნია⁷; რუსული სტატიები — „Письмо из деревни“ და „О папской власти (I. О возвышении папизма, II. О падении его)“, რომლებიც გამოუქვეყნებია მ. თუმანიშვილს ხელნაწერ ჟურნალში „Цветок Тифлисской гимназии“⁸, ყრმობისდროინდელი ეპიგრამები, რომლებსაც ძლიერ აულელებია მაშინდელი ჩინოვნიკობა; 1844—1845 წლების ნაწერები და ზოგიერთი ცნობილი ლექსისა და წერილის ავტოგრაფები. არსად არა ჩანს ლევან მელიქიშვილის ნაქონი ლექსები, მიმოწერა და სხვა მასალები, რომელთა შესახებ ცნობას გვაძლევს რ. ერისთავი⁹; ალ. ჩიქოვანის მიერ გადაწერილი ლექსები და პოემა „ბედი ქართლისა“, რომელიც ზ. ჭიჭინაძეს შეუქენია¹⁰; საისტორიო ხასიათის ნაშრომი, რომელიც პოეტს პ. იოსელიანისთვის გადაუცია¹¹, და მრავალი სხვა. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ზოგიერთი ავტოგრაფი (ან ნუსხა) კვლავ გამოვლინდეს ჩვენი სიძველეთსაცავების გაურჩეველ (ან აუწერელ) ფონდებში. ცნობილია, რომ ჩვენი მეცნიერებისა და მწერლების გულმოდგინე მუშაობის შედეგად გამომზეჴურდა მრავალი საყურადღებო მასალა ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესასწავლად. მაგ.:

1924 წელს ს. გორგაძემ აღმოაჩინა ნ. ბარათაშვილის ყრმობისდროინდელი ნაწერები¹², 1933 წელს გ. ლეონიძემ — ავტოგრაფი ლექსისა „ძრწოდე კავკასო“¹³, 1935 წელს ა. გაწერელიამ — ყრმობისდროინდელი

⁵ ზ. ჭიჭინაძე, ნ. ბარათაშვილის ლექსების ბეჭდვის ისტორია, „საქართველო“, 1916, № 260.

⁶ იხ. ნ. ბარათაშვილის II წერილი.

⁷ იხ. ნ. ბარათაშვილის IV წერილი.

⁸ მის. თუმანიშვილის არქივი, № 34, V რვეულის ბოლოს დართული ზანდუკი. შდრ. ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, I, 1962, გვ. 556—557.

⁹ ნ. ბარათაშვილის ხუთი ნაპოვნი ლექსი („ღრობა“, 1882, № 121).

¹⁰ გაზ. „საქართველო“, 1916, № 260.

¹¹ ცნობა ეკუთვნის ზაქარია ქიქინაძეს.

¹² ახლად აღმოჩენილი ქრესტომათია და ნ. ბარათაშვილის ყრმობის ლექსები („ღრობა“, 1924, № 16—17, გვ. 8—14).

¹³ ნ. ბარათაშვილის ერთი ლექსის ავტოგრაფი „ლიტ. მემკვიდრეობა“, I, 1935, გვ. 639—640).

ლი წერილი გრ. ორბელიანისადმი¹⁴; 1937 წელს გრ. აბაშიძემ — ორბ
წერილი ბაბალე და ალექსანდრე საგინაშვილებისადმი¹⁵, 1945 წელს
კ. მექველიამ¹⁶ და შ. ჩხეტიამ¹⁷ — ავტოგრაფები იმ წერილებისა, რომ-
ლებიც დღემდე პ. უმიკაშვილის ასლების მიხედვით ქვეყნდება. ამასთან
შ. ჩხეტიამ გულმოდგინედ შეისწავლა საქართველოს ცენტრალური არ-
ქივის ფონდები და აღმოაჩინა მრავალი მასალა ნ. ბარათაშვილის ცხოვ-
რებისა და მოღვაწეობის შესახებ; ეს მასალები მანვე მეცნიერულად აღ-
წერა და გამოკვლევითურთ გამოაქვეყნა¹⁸. თავის დროზე ამ დიდ შრო-
მას რეცენზიებით გამოეხმაურნენ ჩვენი მეცნიერები პრესის ფურცლებ-
ზე¹⁹. უკანასკნელ ხანს ი. ბალახაშვილმა დაბეჭდა თარგმანი „შესხმა აგ-
რიკოლასი“, ერთი ფრაგმენტი ტაციტუსის თხზულებისა „აგრიკოლას
ცხოვრება“²⁰ და სხვა.

ზეუხედავად ამისა, უნდა გავიმეოროთ გრ. აბაშიძის მოსაზრება (გა-
მოთქვა მან 35 წლის წინათ): ახლა „ბარათაშვილის წიგნებისათვის რაიმე
უცნობისა და ახლის მიმატების იმედი ნაკლებად არის, რადგანაც ის კე-
რები, სადაც მისი ავტოგრაფების არსებობა იყო საფიქრებელი, უკვე
ალარ არსებობენ“²¹. ამას ერთვის ისიც, რომ ახლა ხელნაწერთა ინსტი-
ტუტის ფონდები უკვე თითქმის მთლიანადაა აღწერილი. მათში ნ. ბა-
რათაშვილის რაიმე უცნობი ნაწერი არა ჩანს.

ამეამად პოეტის მოღწეული ლიტერატურული მემკვიდრეობა შეი-
ცავს 41 ლექსს, 1 პოემას, 2 პროზაულ თარგმანსა და 18 პირად წერილს.
აქედან ცხრა ლექსის („ჩინარი“, „მაღლი შენს გამჩენს“, „როს ბედნიერ
ვარ“, „ცისა ფერს“, „ველოცავ დღეს ჩემის გაჩენის“, „ელენეს და მა-
რიამს“, „ვარდი და ია“, „ნარგიზი და ყაყაჩო“, „კავკასიური მოთხრო-
ბა“), ერთი თარგმანისა („Плач Шахри“) და ორი (II და XI) წერილის
ავტოგრაფები დაკარგულია. მათ მაგიერობას ეწვევიან ნუსხები და პირ-
ველნაბეჭდი ტექსტები.

¹⁴ ნ. ბარათაშვილის უცნობი წერილი გრ. ორბელიანისადმი („ლიტ. მემკვიდრეობა“, I, 1935, გვ. 630—633).

¹⁵ ნ. ბარათაშვილის ახლად აღმოჩენილი წერილები („ლიტ. საქართველო“, 1937, № 3).

¹⁶ ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფების საკითხისათვის („ინდუსტრიული კუთაისი“, 1945, № 186; ლიტ. და ხელოვნება, 1945, № 23).

¹⁷ ნეკოლოზ ბარათაშვილი, I, 1945, გვ. 65—66.

¹⁸ იქვე, გვ. 1—424.

¹⁹ „კომუნისტი“ 1945, № 200; „ლიტ. და ხელოვნება“, 1946, № 22; „სახალხო განათლება“, 1946, № 24; „მნათობი“, 1946, № 4.

²⁰ კომუნისტური, აღზრდისათვის, 1955, № 10, გვ. 84—86. ი. ბ ა ლ ა ხ ა შ ვ ი ლ ი, ბარათაშვილის ცხოვრება, 1966, გვ. 130—141. გამოქვეყნებულ ტექსტში დაშვებულია შეცდომები.

²¹ „ლიტ. საქართველო“, 1937, № 3.

6. ბარათაშვილის თხზულებათა ავტოგრაფები და ნუსხები დაცულია აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის A (=საეკლესიო მუზეუმის), H (=საისტ.-საეთნოგრაფიო საზ-ის), S (=წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ის) და Q (ახალ) ფონდებსა და მწერალთა არქივებში, პოეტ-აკადემიკოს გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმისა და საქართველოს ცენტრალური არქივის ხელნაწერთა კოლექციებში. ეს მეგვიდრეობა სხვადასხვა დროს შესწავლილი და აღწერილია ნ. ბარათაშვილის თხზულებათა გამომცემლების, დასახელებულ დაწესებულებათა თანამშრომლებისა და საკითხით დაინტერესებულ მკვლევარ-ისტორიკოსთა მიერ. ჩვენს ნარკვევში ყველა ძირითადი ლიტერატურა ამა თუ იმ ხელნაწერის აღწერისას მივუთითეთ. ამავე დროს თვითნებური ხელნაწერი ფილოლოგიურად შევისწავლეთ, შეძლებისდაგვარად ზოგიერთი მათგანის ისტორია წარმოვადგინეთ და შევეცადეთ დაგვედგინა მათი გადაწერის ქრონოლოგია.

II. ლექსების ავტორაშვილი და ნუსხები

6. ბარათაშვილის ლექსების ძირითადი დედნები, რომელთაც ანგარიში უნდა გაეწიოს კრიტიკული ტექსტის მოსამზადებლად, დაცულია ზემოთ. დასახელებულ კოლექციებში 14 დასახელებით. მათი შიფრები და აღწერილობა ასეთია:

1. A ავტოგრაფი (S 2516) ცნობილია ე. თაყაიშვილის ვარიანტის სახელწოდებით; შეიცავს 88 გვერდს (ზომით 15,5 × 11,5 სმ); ჩასმულია მუყაოს მაგარ ყდაში; გადაწერილია წვრილი მხედრულით 1843 წელს (დაუწერელია 55—88 გვერდები); აღწერილია რამდენჯერმე²².

კრებული იხსნება თავფურცლით, რომელსაც აქვს წარწერა: „ლექსნი, თქმულნი თავადის ნიკოლოზ ბარათოვისაგან. 1843“. მოთავსებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით 26 ლექსი: „ბუღბუღი ვარდ-ზედ“, „ქეთევან“, „შემოღამება მთაწმიდაზედ“, „ხმაიდუმალი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „ჩონგურს“, „თავადის ჭ...ის ასულს ეკ...ნას“, „ჩემს ვარსკვლავს“, „ნაპოლეონ“, „საყურე“, „ჩჩილი“, „სული ობოლი“, „სატრფოვ, მახსოვს“, „ჩემი ლოცვა“, „ჩემთ მეგობართ“, „აღმოჰხდა მნათი აღმოსავალს“, „არ უკიჟინო, სატრფოო“, „გჰპოვე ტაძარი“, „მიყვარს თვალები“, „სუმბული და მწირი“, „შენნი დალალნი“ „რად ჰყვედრი კაცსა“, „მერანი“, „საფლავი მეფის ღრაკლისა“, „კნიაზ ბარათაშვილის აზარფეშაზედ“ და „სულო ბოროტო“.

²² 6. ბარათაშვილის თხზულებანი, 1895, გვ. X—XI; 1922, გვ. 127; 1945, გვ. 120; 1968, გვ. 227—228. S ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, IV, 1965, გვ. 9—10.

პალეოგრაფიულ მხარეზე დაკვირვებიდან ჩანს, რომ კრებულში პოეტს გადაუწერია ვიღაც ახლობელი და ძლიერ პატივსაცემი პირისათვის, ხელნაწერს აქვს ერთადერთი მინაწერი: „ვიყიდე 1887 წელს პეტერბურგში ბუკინისტ პ. ი. ვორონინისაგან ნევის პროსპექტზე № 54. ე. თაყაიშვილი“. ალბათ, კრებულის მფლობელთა ვინაობა ბუკინისტმა არ იცოდა, თორემ ე. თაყაიშვილი ამაზე სადმე რაიმე ცნობას მოგვაწოდებდა. მაგრამ ერთი რამ დამაფიქრებელია: როგორ მოხვდა ხელნაწერი პეტერბურგში? მისი თავდაპირველი მფლობელი ხომ არ იყო ეკატერინე ჭავჭავაძე? ცნობილია, რომ 1858 წელს ი. ჭავჭავაძე ნ. ბარათაშვილის დაუბეჭდავ ლექსებს გაეცნო ცარსკოე სელოში, სადაც ეკატერინე ჭავჭავაძე ცხოვრობდა. აბა, გავიხსენოთ კოხტა აფხაზის მოგონება: „მასხოვს, ერთხელ პავლოვსკიდან ცარსკოე სელოში წავედი და იქ ვეწვიეთ ქალბ. დადიანისას, სამეგრელოს მთავრის ასულს (sic). ქ. დადიანისამ გამოიტანა და მოგვცა წასაკითხად ბარათაშვილის ლექსები, რამდენადაც მასხოვს, ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს ს ა კ უ თ ა რ ი ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი. ეს ლექსები იყო: «ქ ა რ თ ლ ი ს ბ ე დ ი» და «მ ე რ ა ნ ი». ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის მთელი ერთი კვირა ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილით“²³. კითხვა ისმის: რა ხელნაწერი გააცნო ეკატერინემ ილიას?

გადავხედოთ ჩვენამდე მოღწეულ ცნობებს.

1882 წელს ი. მეუნარგიამ ეკატერინეს არქივში აღმოაჩინა ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფული კრებული. ლექსები დაწერილი ყოფილა „ერთ პატარა რვეულში ფერად ქალაღზე“. ეს რვეული პოეტს გადაუწერია 1841 წელს. იგი თავისი შედგენილობით ჰგავს მიაკო ორბელიანისეულ კრებულს (C), ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პირველში პოეტს შეუტანია ერთი ახალი ლექსი — „ნა... ფორტობიანოზედ მომღერალი“. ბარათაშვილს ლექსებს ილია ამ კრებულათ ვერ გაეცნობოდა, რადგანაც მ.ს.ში შეტანილი ყოფილა „მერანი“, რომელიც 1842 წელს დაიწერა. ი. მეუნარგიას მიერ აღმოჩენილ „ლექსთა კრებაში“ კი შეუძლებელია „მერანი“ არსებულები, ვინაიდან ის კრებული გადაწერილი ყოფილა 1841 წელს. მამასადამე, რჩება ვარაუდი, რომელსაც გამოთქვამენ პ. ინგოროყვა და სხვა მკვლევრები²⁴: 1858 წელს ილიას და კოხტა აფხაზს ცარსკოე სელოში უნდა ენახათ ნ. ბარათაშვილის ის ავტოგრა-

²³ გ. ლეონიძე, მასალები ი. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის (ლატ. მეკვიდრეობა, I, 1935, გვ. 564; შდრ. იქვე, გვ. 629).

²⁴ პ. ინგოროყვა, თხზულებანი, I, გვ. 395; ი. ბალახაშვილი, ბარათაშვილის ცხოვრება, 1966, გვ. 335—343.

ფული კრებული, რომელიც 1887 წელს პეტერბურგში შეიძინა ე. ანთა-
ყაიშვილმა²⁵.

ამას მხარს უჭერს ისიც, რომ ხელნაწერი დიდი მოწიწებითაა გადა-
წერილი და მასში შეტანილია ლექსები, რომელთაც ღრმა კვალი დაატყ-
ვეს ილიას პირველი პერიოდის პოეტურ შემოქმედებას.

ნ. ბარათაშვილის ლექსებს დიდად ეტანებოდნენ 60-იანი წლების
ქართველი პეტერბურგელი სტუდენტები. 1865 წლის 9 მარტს ნიკო-
ლოზ ყიფიანი პეტერბურგიდან სწერდა თავის მამას — დიმიტრი ყი-
ფიანს: „ნიკ. ბარათაშვილის «მერანი», «ქართლის ბედი», «მტკვრის პირ-
ზედ», «ფანტაზია», «სულო ბოროტო» და სხვ. ათასჯერ გადავიკითხე და
კიდევ არ მეყო. ყოველს ამის სიტყვაში, ყოველს ლექსში აზრსა ჰხედავს
კაცი, გრძნობასა და ისეთი ძალა აქვს ამისს ლექსსა, რომ არ შეიძლება
არ დაღონდეს კაცი, როცა ის თავისს ტანჯვას გამოსთქვამს“²⁶. მისი ლექ-
სების პოპულარიზაციას პეტერბურგში, უეჭველია, დიდად შეუწყო ხელი
ეკატერინე ჭავჭავაძის სალონმა, რომელიც ქართველ სტუდენტთა საკრე-
ბულოს წარმოადგენდა.

2. B ავტოგრაფი (H 2033) ცნობილია ბარბარე ვეზირიშვილისეული
ვარიანტის სახელწოდებით; მისი თავდაპირველი მფლობელი ყოფილა
გრ. ორბელიანის რძალი, ზაქარიას მეუღლე, ქეთევან ორბელიანი. კრე-
ბული შეიცავს 58 ფურცელს (ზომით 19,5 × 12,3 სმ); ჩასმულია მუყაოს
ყდაში; გადაწერილია წვრილი მხედრულით 1843 წელს (დაუწერელია
33—58-ე ფურცლები); შემოსულია ე. თაყაიშვილის წიგნსაცავიდან; აღ-
წერილია რამდენჯერმე²⁷.

რვეული იხსნება თავფურცლით, რომელსაც აქვს წარწერა: „ლექს-
ნი, თქმულნი თავადის ნ. ბარათოვისაგან“. შემდეგ მოთავსებულია ქრო-
ნოლოგიური თანამიმდევრობით 27 ლექსი, დაწერილი 1834—1843 წლებ-
ში. ესენია:

„ბულბული ვარდზედ“, „ქეთევან“, „შემოღამება მთაწმიდაზედ“,
„ხმა იღუმალი“, „ფიქრნი მტკვრის პირზედ“, „ჩონგურს“, „თავადის

²⁵ ნ. ბარათაშვილისა და ილიას ურთიერთობის შესახებ სწორი მოსაზრება გამოთქ-
ვა ა. თოფურია („მნათობი“, 1950, № 11, გვ. 115—130; შდრ. ა. თოფურია,
წერილები ლიტერატურულ საკითხებზე, 1960, გვ. 167—217). ილიას შეეძლო ბარათა-
შვილის ლექსები ადრეც წაეკითხა, მაგრამ აქ საკითხი ეხება „მერანს“ და პოემას „ბედი
ქართლისა“, რომლებიც 1858 წლისათვის ჯერ კიდევ არ იყო დაბეჭდილი.

²⁶ გ. ლეონიძე, ორი შენიშვნა ბარათაშვილზე (ლატ. მეცნიერებათა, I, გვ.
628).

²⁷ იხ. ნ. ბარათაშვილის დასახ. გამოცემები (სქ. № 22); H ფონდის „ხელნაწერთა
აღწერილობა“, V, 1949, გვ. 25. ამ კრებულის ფოტოპირი დაიბეჭდა პ. ინგოროყვას
რედაქციით 1968 წელს (ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფები, გვ. 15—28, 33—77),
მაგრამ ნაბეჭდში ლექსთა დედნისეული თანამიმდევრობა დარღვეულია.

ქავ...ის ასულს ვკა...ნას“, „ჩემს ვარსკვლავს“, „ნაპოლეონ“ „საყურე“, „ჩვილი“, „სული თბოლი“, „სატრფოვ, მასსოვს“, „ჩემი ლოცვა“, „ჩემთ მეგობართ“, „ადმოპხდა მნათი“, „არ უკიეინო, სატრფოო,“ „ვპოვე ტაძარი“, „სუმბული და მწირი“, „მერანი“ („მაისის 9-სა, 1842“), „რად ჰყვედრი კაცსა“, „საფლავი მეფის ირაკლისა“, „მიყვარს თვალე-ბი“, „შენნი დალალნი“, „ქნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ“, „სულთ ბოროტო“ (უთარილოა), „შევიშრობ ცრემლსა“ (უთარილოა).

ხელნაწერის დასასრულს (31v—32r) სხვა ხელით ჩაწერილია გ. დვინადის ლექსი „დილა“, რომელსაც შეცდომით აწერია „თ. გ. ორბელიანისა“. ვრ. ორბელიანს ეს მინაწერი ფანქრით გადაუშლია და მიუწერია ქვეშ: „ტყუილია“²⁸.

ხელნაწერის პირველ ფურცელზე მოთავსებულია ე. თაყაიშვილის წარწერა „ქ. ბარბარე ვეზირიშვილისა“. ეს ბარბარე ასულია მელიტონ ბარათაშვილისა, დაიჩენი პოეტისა; დაიბადა 1826 წელს, გათხოვდა 1852 წელს პოლკოვნიკ დიმიტრი ვეზირიშვილზე.

8. C ავტოგრაფი (S 2701) ცნობილია მაიკო ორბელიანისეულ (გუნისასეულ) ვარიანტად; შეიცავს 17 ფურცელს (ზომით 17×12 სმ); გადაწერილია წვრილი მხედრულით (დაუწერელია 14v—17v გვერდები); ყდა არა აქვს; აკლია ფურცლები; აღწერილია რამდენჯერმე²⁹.

კრებულს აქვს თავფურცელი წარწერით: „1841 წელი, ტფილისი“ (1r); მის მეორე გვერდზე მიწერილია: „დაო მაიკო! ეს ლექსები იქონიე ჩემეულად. ვიცი, რომ წარმკითხველი მათი მოიგონებ ბევრთა საამოთა დღეთა ყრმაწვილობისათა და შემობრალეებ შენსა ყარბისა ძმასა. თ ის ნ. ბარათოვისაგან“ (1v). ამ მინაწერის აღრესატი არის მაიკო ორბელიანი, პოეტის მეგობარი და ნათესავი, რომელთანაც მას მიმოწერა ჰქონდა.

მეორე ფურცლიდან იწყება ლექსები: „ბულბული ვარდზედ“ („იგნისის 18-სა, 1833“), „ქეთევან“, „ძია გ...სთან“, „ღამე ყაბახზედ“, „შემოღამება მთაწმიდაზედ“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „ნაპოლეონ“, „ჩენს ვარსკვლავს“, „ჩონგურს“, „საყურე“, „ჩვილი“ (წყდება ტაეპით „ამუნათებს თვისთა მშობელთ პირიქით“), „ჩემი ლოცვა“ (იწყება

²⁸ ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, III, 1963, გვ. 67—68; მ ი ს ი ვ ე, „დილა“ დვანაძეს გუთენის (ლიტ. ნარკვევები, 1952; გვ. 382—385). შდრ. პ. უმიკაშვილის ცნობა: „პირველი წიგნი ხელნაწერისა აქ თავდება, თუმცა ცარიელი ფურცლებია შემდეგ, რომელთაგან პირველ ორ ფურცელზედ სიმღერაა, სახელად „დილა“, ქვეშ მოწერით თ. გ. ორბელიანისა“ (რომლისაგანაც შევიტყვევი, რომ ჩემი არ არისო. იქნება მალაღდეს. პ. უ.)“ (ცა, ფ. 1446, ხელ. № 820, გვ. 54).

²⁹ იხ. ნ. ბარათაშვილის დასახ. გამოცემები (სქ № 22); S ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, IV, 1965, გვ. 155. კრებულში მოთავსებული ორი ლექსის („ძია გ...სთან“ და „ღამე ყაბახზედ“) ფოტოპირი დაიბეჭდა 1968 წელს (ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფები, გვ. 29—32).

მე-9 ტაბიდან „ცხოვრების წყაროვ“, დასაწყისი აკლია). სულ 12 ლექსია. მას უნდა აკლდეს კიდევ ორი ლექსი — „სული ობოლი“ და „სატრფოვ, მახსოვს“, შეიძლება მესამეც — „ნა...ფორტოპიანოზე მომღერალი“, რომელიც პოეტს ეკ. ქავჭავაძისათვის იმავე წელს გადაწერილ კრებულში შეუტანია. ერთის გარდა ყველა ლექსი უთარიღია.

ც ავტოგრაფი აღმოჩნდა 1891 წელს. იგი მოქალაქე არეშიძეს ზ. ქიქინაძისათვის მიუტანია გასაცნობად, ხოლო უკანასკნელმა გაზ. „ივერიაში“ (1891, № 79—80) დაბეჭდა ვრცელი წერილი „ბარათაშვილის ლექსების რვეული“, სადაც შეეხო კრებულში შეტანილ, რედაქციულად განსხვავებულ ლექსებს (ზოგიერთი მათგანის ვარიანტებიც გამოაქვეყნა). შემდეგ ეს კრებული ხელთ ჩავარდნია წიგნებით მოვაქვრ ვინმე ლაზარეს, ხოლო 1895 წლის ახლო ხანში შეუძენია ვალერიან გუნიას. ამ უკანასკნელს ხელნაწერი დროებით უთხოვებია ნ. ბარათაშვილის თხზულებათა მეხუთე გამოცემის რედაქტორებისთვის. გამომცემლები (ე. თაყაიშვილი და დ. კარიჭაშვილი) შენიშნავენ: „სამწუხაროდ ჩვენდა, სხოლიოებში ვერ ვუჩვენეთ განსხვავებანი ვ. გუნიას ვარიანტისა, რადგანაც ეს ვარიანტი მაშინ მივიღეთ, როდესაც უმეტესი ნაწილები ლექსებისა დაბეჭდილი იყო“ (გვ. XIV). 1916 წელს გაზ. „საქართველოს“ რედაქტორს ს. შანშიაშვილს შეკითხვით მიუმართავს ვ. გუნიასთვის, თუ როგორ აღმოაჩინა მან ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფული კრებული. ვ. გუნიას დაუწერია პატარა მოგონება — „როგორ შევიძინე ნიკ. ბარათაშვილის ხელთნაწერი“, რომელიც 1916 წელსვე გამოაქვეყნდა გაზ. „საქართველოში“ (№ 260). ვ. გუნიას წერილი საინტერესოა და რამდენადმე მივიწყებულიც. ამიტომ მცირეოდენი შემოკლებით აქვე მოვიყვანთ:

„ეს იყო დაახლოვებით ამ ოცდარვა წლის წინეთ... ერთს ჩემს «ბაზრად ყოფნის» დროს ჩვეულებრივ ვეწვიე ჩვენს დაუცხრომელს მწიგნობარს ზაქარია ქიქინაძეს, რომელიც იმ ხანებში გარეთ ვაჭრობდა წიგნებით, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში ხაზინის გვერდით ქუჩის ქვეშ გამართული — ნოტიო სარდაფი რომ არის... ზაქარიამ თავისებურის თავზიანობით გამაცნო მის გვერდით მყოფი ვიღაც ლაზარევი, უკვე ხანში შესული კაცი, მაღალის ტანისა და ძლიერ გამხდარი. ლაზარევი ეტყობოდა ან ძველი ნაჩინოვნეკარი უნდა ყოფილიყო, ანდა ძველი ყაიდის აზნაური, რადგან მოძველებულ ტანსაცმელზე ახლად შეკერილი წითელი «ოკოლიშვიანი» ქუდი ჰქონდა თავზედ კობტად ჩამოფხატული შესაფერის «კოკარდით». შემოდგომა იყო და უკვე ციოდა.

— ვალიკო ჩემო, მომმართა ზაქარიამ, შენ რომ საინტერესო წიგნებს დაეძებ, აი საინტერესო და უკეთესებზე უკეთესებიც ამას აქვს ხოლმე. ესეც წიგნებით ვაჭრობს; ხოლო ცოტა კრიჟანგი და მეძვირეა. ან რა

საკვირველია: არ უჭირს და ამიტომ ხელს აჭერს! — იოხუნჯა შაქარიამ.

— მაშ, თქვენსავით ორგროშიან წიგნებს ხომ არ შევინახამ! თუ იყოს, საინტერესო და ანტიკა რამ უნდა იყოს! აი, ყმაწვილო, თუ გინდა ანტიკა რამე, — და ამ სიტყვებით პალტოს ჯიბის უბიდან ამოიღო ქალაქში გახვეული პაწია რვეული, — აი ინტერესი ამაშია! Сам князь Николай Баратов-ი გახლავთ. Извольтесь, полюбуйтесь и погордитесь, молодой человек! — და თან გადმომცა რვეული.

— შენ ფასი თქვი, ფასი! — უთხრა ზაქარიამ — თორემ ეგ, რაც რვეულია, შენზედა უკეთ ვიცი. შე დალოცვილო, ისე აფასებ, რომ კაცი ახლოს ვერ მოგიდგება!..

— ჰა, როგორია?! — თავმომწონედ დამეკითხა ლაზარევი, როცა შემატყო, რომ სიხარულითა და მოზღვავებული აღტაცების გრძნობით ვიყავი გაბრუნებული. მე ხელთ მეჭირა ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელთნაწერი.

— იყიდე, ვალიკო, გირჩევ იყიდო! მშვენიერი ხელთნაწერია, — მარიგებდა ზაქარია, — მე, რაცა ხანია, ველიჭინები, მაგრამ არ იქნა მაგის მორჯულება: 25 მანეთზე ნაკლებ ფეხს არ უცვლის! — ოხვრით და უიმედოდ წამოიძახა ზაქარიამ.

— გროშ კაპიკსაც არ დავაკლებ! — გამაფრთხილა მოხუცმა.

— მე მოგარიგებთ, — ჩალიჩობს ზაქარია, — ვალიკო, მოდი შეიდი მანეთი მიეცი!

— დამაცადეთ, ბატონებო, — ძლივს ამოვიღე ხმა. — მე ორჯერ შეიდ მანეთს მივცემ, მაგრამ ეხლა სამი მანეთის მეტი თან არა მაქვს. ამ კვირია 12 მან. მოგართმევთ. თუ თანახმა ხართ, აი, ინებეთ, ეს სამი მან. და ხელთნაწერიც თქვენთან დარჩეს.

— ჰო და კარგი სიტყვაა, მე და ჩემმა ღმერთმა! — მემოწმება ზაქარია.

ლაზარეგს ბევრი არ უფიქრია. მყისვე გამომტაცა ხელიდან სამი მანეთი, ფული და რვეული ჯიბეში გააქანა და მოფერებულად დამირუსულა:

— Вы благородный, молодой человек, настоящий дворянин человек... კვირას მოხვალ და თორმეტ მანეთს მომცემ, მეც რვეულს ჩავაბარებ. ზაქარია შუა კაცი იყო, ეხლა თავდებიც იქნება.

ერთი კვირის შემდეგ ხელთნაწერი უბეში მედო. მთელი წელიწადი დამქონდა როგორც სასოება, როგორც წმინდა ნაწილი. ჩემი თავი უბედნიერეს კაცად მიმაჩნდა მთელს დუნიაზე. ბევრჯერ გამქვირვებია, ბევრჯერ სიმწარე და სუსხი კარზე მომდგომია და მუქარით კბილები დაუკრა-ქუნებია, მაგრამ ნიკ. ბარათაშვილის ხელთნაწერით ვაჭირვებიდან თავის დაძვრენა აზრადაც არასდროს მომსვლია, თუმცა ბევრი ფულიც უძლევრათ — ათი, ოცი და ოცდაათი თუმანიც.

ამ ქვეყნად ისე არ მყვარებია კაცი — აღამიანი და ისეთის თაყვანის-
ცემით შემომოსავს ვინმე, როგორც ილია ქავჭავაძე, მაგრამ იმასაც უარი
ვეთხარი ნ. ბარათაშვილის ხელთნაწერის დათმობაზე. ბოლოს, როცა
ხელთნაწერის პატრონობით ქაბუჭური გული ვიჭერე, დათვიკო კარიჭა-
შვილის რჩევით ეს განძი ძღვნად მივართვი ჩვენთა ეროვნულ განძთა
მფარველს და მზრუნველს ქართველთა შორის წ.-კ. გამაგრცელებელ სა-
ზოგადოებას. ვალერ. გუნია“.

ხელნაწერი შედგენილობითა და რედაქციულად ფრიად მნიშვნელო-
ვანია. მისი ორი ლექსი — „ძია გ...სთან“ და „ღამე ყაბახზედ“ ჩვენამდე
მოდწეულია მხოლოდ ამ C ავტოგრაფითა და იონა მეუნარგიას პუბლი-
კაციით.

4. D ავტოგრაფი (S 2484) წარმოადგენს სხვადასხვა ზომის ქალაღ-
ზე დაწერილ 5 ლექსს, რომლებიც პოეტს წერილებთან ერთად გაუგზავ-
ნია მაიკო ორბელიანისათვის. ამჟამად ეს ლექსები და წერილები აკინ-
ძულია მაგარ, კოლენკორგადაკრულ მუყაოს ყდაში. ლექსები მოთავსე-
ბულია 2r—9v გვერდებზე. აღწერილია რამდენჯერმე³⁰. ადრე ფურცლე-
ბი ჩადებული ყოფილა ორადმოკეცილი ქალაღდის ყდაში, რომელიც ახ-
ლა თავფურცლის მაგივრობას ასრულებს. მას აწერია ალექს. ჭყონიას
ხელით: „ქართ. შ. წერა-კითხვის საზოგადოებას შემოსწირა ელისაბედ
გრიგოლის ასულმა საგინაშვილისამ (=ილია ქავჭავაძის დამ, ი. ლ.). ავ-
ტოგრაფები თ ნიკოლოზ ბარათაშვილისა“. იქვე იკითხება სარჩევი.
ყდაში დაცულია ხუთი ლექსი: „სატრფოვ, მახსოვს“, „ვაპოვე ტაძარი“,
„დამქროლა ქარმან“, „არ უკიყინო, სატრფოო“, „ქილის ყვავილი და
მწირი (=სუმბული და მწირი)“. ყველა ეს ლექსი უთარილოა.

5. E ავტოგრაფი (H 1115) ცნობილია ერისთავისეულ ვარიანტად;
შეიცავს 14 ფურცელს (ზომით 30,5×22,5 სმ); ჩასმულია მუყაოს კო-
ლენკორგადაკრულ ყდაში; დაზიანებული ფურცლები აღდგენილია; გა-
დაწერილია მხედრულად გვერდის მარჯვენა მხარეს 1842 წელს; აღწე-
რილია რამდენჯერმე³¹.

კრებულს უძღვის თავფურცელი, რომელსაც აქვს წარწერა, შესრუ-
ლებული ე. თაყაიშვილის ხელით: „ნ. ბარათაშვილის ლექსები, ავტო-
გრაფი“ (1r). იმავე გვერდის ფაეკიდურზე ს. ფირცხალავას მიუწერია:
„ბარბარე იაკობის ასულის ერისთავის ვარიანტი“. მეორე (1v) გვერდზე
მოთავსებულია ზანდუკი:

„1. ბულბული და ვარდი, 2. ქეთევან, 3. შემოღამება მთაწმიდაზედ.

³⁰ იხ. ნ. ბარათაშვილის დასახ. გამოცემები (სქ. № 22); S ფონდის „ქართულ ხელ-
ნაწერთა აღწერილობა“, III, გვ. 279—280.

³¹ იხ. ნ. ბარათაშვილის თხზულებათა დასახ. გამოცემები (სქ. № 22); H ფონდის
„ხელნაწერთა აღწერილობა“, III, 1948, გვ. 101—103.

4. ხმა იღუმალი, 5. ფიქრი მტკვრის პირზე, 6. ჩონგური, 7. ჩემს ვანს-კვლავს, 8. ეკატერინას, 9. ნაპოლეონ, 10. საყურე, 11. ჩჩვილი, 12. სული ობოლი, 13. სატრფოვ, მახსოვს, 14. ჩემი ლოცვა, 15. ჩემთ მეგობართ, 16. აღმოჰხდა მნათი, 17. არ უკიყინო, 18. ვჰპოვე ტაძარი, 19. სუმბული და მწირი, 20. მირბის, მიმაფრენს, 21. რად ჰყვედრი კაცსა, 22. საფლავი მეფის ირაკლისა, 23. მიყვარს თვალები, 24. შენნი დალაღნი, 25. ბარატაევის აზარფეშაზედ, 26. სულო ბოროტო, 27. შევიშრობ ცრემსა“.

ამას მოსდევს ლექსები შემდეგი თანამიმდევრობით:

1. „ბულბული ვარღზედ“ („1834“),
2. „ქეთევან“ (უთარილო),
3. „ხმა იღუმალი“ („1836“),
4. „შემოღამება მთაწმიდაზედ“ („1836“),
5. „ფიქრნი მტკვრის პირას“ („1837“),
6. „ჩემს ვარსკვლავს“ („1837“),
7. „ჩჩვილი“ („1839“),
8. „სული ობოლი“ („1839“),
9. „სატრფოვ, მახსოვს“ („1840“),
10. „ჩონგურს“ („1837“),
11. „თავადის ქავ...ის ასულს ეკა...ნას“ („1839“),
12. „საყურე“ („1839“),
13. „ნაპოლეონ“ („1838“),
14. „ჩემი ლოცვა“ („1840“),
15. „ჩემთ მეგობართ“ („1841“),
16. „აღმოჰხდა მნათი აღმოსავალს“ („1840“),
17. „არ უკიყინო, სატრფოვო“ („1841“),
18. „ვჰპოვე ტაძარი“ („1841“),
19. „ქილის ყვავილი და მწირი“ (ანუ სუმბული და მწირი) („1842“),
20. „თავგანწირული მხედარი“ (= მერანი) („მაისის 9-სა 1842“),
21. „რად ჰყვედრი კაცსა“ („1842“).

ზანდუქსა და კრებულში მოთავსებული ლექსების დასათაურება, თანამიმდევრობა და რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა. კრებულში არ არის ზანდუქის ექვსი უკანასკნელი ლექსი, რომელთაგან „სულო ბოროტო“ და „შევიშრობ ცრემლსა“ 1843 წელსა დაწერილი. აქედან ირკვევა, რომ თუ კრებული შედგენილია 1842 წელს, ზანდუქი გაკეთებული აქვს მას 1843 წელს. დამაფიქრებელია ლექსების თარიღებიც: ყველა ადრინდელი თარიღი პოეტის აღდგენილი აქვს მეხსიერებით. ამასთან ეს თარიღები მიწერილია გაკრული ხელით ერთდროულად 1842 (თუ 1843) წელს. C ავტოგრაფში, რომელიც გადაწერილია 1841 წელს მაიკო ორბელიანისთვის, თარიღი უწერია მხოლოდ ერთ ლექსს „ბულბული ვარღზედ“, 11 ლექსი კი უთარიღოა. საყურადღებოა, რომ იმ ერთ ლექსსაც C-სა და E-ში სხვადასხვა თარიღი უზის: „იენისის 18-სა, 1833“ (C) და „1834“ (E). ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ნ. ბარათაშვილს E-ს ყველა ლექსი ერთდროულად დაუთარიღებია. საერთოდ E წარმოადგენს შვეცალს და ფრიად მნიშვნელოვანია პოეტის შემოქმედებითი ისტორიის გასათვალისწინებლად. მისგანვე ირკვევა, თუ რომელი კრებულია პოეტის უკანასკნელი რედაქცია.

ხელნაწერს ბოლო ფურცლის r გვერდზე აქვს უხეშად შესრულებული მინაწერი:

რა მშვენიერად გიხდება ეს მუშა თვალები,
დახუპულიც ბენახოს, მე თუ არ გებრალეზი.
ილარიონ ივანოვ-ჯაფარიძე.

მასვე შემოუნახავს ნ. ბარათაშვილის ორტაეპიანი ფრაგმენტი (1r):

მოახლებულა აღსასრული შენიც, კავკასო,
თვალხარბო გმირო, გულ-უმაძღროვ, ბერო კაპასო, —

რომელიც შეიძლება „ძრწოდე კავკასოს“ ადრინდელი რედაქციის ნაწყვეტს წარმოადგენდეს, თუმცა ამ ვარაუდს ზოგი მკვლევარი უარყოფს. ფაქტია, რომ დამოწმებული ფრაგმენტი ემთხვევა ლექსის ტექსტს „ძრწოდე, კავკასო! ახლო არს დღე შენის აღსასრულისა“. ჩანს, პოეტს განზრახული ჰქონდა 14-მარცვლოვანი საზომით დაეწერა ლექსი „ომი“, მაგრამ შემდეგ ეს განზრახვა შეუცვლია.

6. F დედანი წარმოადგენს ნ. ბარათაშვილის ლექსთა კრებულის პირველ ბეჭდურ გამოცემას, რომელიც მოამზადეს დასაბეჭდად პ. უმიკაშვილის ხელმძღვანელობით ახალგაზრდა ლიტერატორთა წრემ 1876 წელს³². პ. უმიკაშვილის ცნობით, კრებულის რედაქციის წევრები იყვნენ კ. ლორთქიფანიძე, გ. თუმანიშვილი და ბ. ჯაფარიძე³³. გამოცემას საფუძვლად უდევს პ. უმიკაშვილის მიერ B ავტოგრაფიდან გადაწერილი პირი, რომელიც დაცული ყოფილა კავკასიის საცენზურო კომიტეტის არქივში³⁴. რაკი გამოცემის დედანი ნაბოვნია და გარკვეულია იმ სხვაობის წყაროც, რომელიც შეინიშნება B ავტოგრაფსა და 1876 წლის გამოცემას შორის, ცხადია, ამ გამოცემას ნ. ბარათაშვილის ლექსთა ტექსტის დასადგენად მნიშვნელობა აღარ აქვს, ოღონდ მისი ვარიანტების მითითება საჭიროა საკითხის ისტორიისა და პირველ გამომცემელთა ტექსტოლოგიური მუშაობის გასათვალისწინებლად.

7. G ავტოგრაფი, რომელიც ეკატერინე ჭავჭავაძის საკუთრება ყოფილა, დაკარგულია, მაგრამ შემონახულია მისი ხუთი ლექსის ბეჭდური პირი, რომლებიც ეკატერინეს პირად ქალაქდებში აღმოაჩინა ი. მეუწარვაძემ. გამოქვეყნდა ქურნ. „ივერიაში“ 1882 წელს სათაურით: „ხუ-

³² Г. Туманов, Характеристики и воспоминания, II, 1905, გვ. 125; I, 1913, გვ. 151—153.

³³ ცაფ. 1446, № 820, გვ. 95.

³⁴ პ. უმიკაშვილისეული რეკულის შედგენილობისა და მისი მეცნიერული ღირებულების შესახებ იხ. ჩვენს წერილში „დამატებანი და გასწორებანი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთა «დაკარგული» დედნების აღმოჩენის გამო“ (მნათობი, 1969, № 7, გვ. 156—162. ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ამ წერილში გაიბარა რამდენიმე უხეში კორექტურული შეცდომა).

11. ნ. ბარათაშვილი

თი, ჯერეთ არ დაბეჭდილი ლექსი ნ. ბარათაშვილისა“ (№ IV-V, გვ. 55 — 61). ესენია: „ძია გ...რს“, „ღამე ყაბახზედ“, „ნა...ფორტოპიანოზედ მომღერალი“, „როს ბედნიერ ვარ“, „ცისა ფერს“. ლექსებს ერთვის რედაქციის შენიშვნა:

„ეს ძვირფასი ლექსები ნ. ბარათაშვილისა მოგვივიდა ჩვენ ბ. იონა მეუნარგიასაგან, რომელსაც სამეგრელოს დედოფლის უგანათლებ. კნ. ეკატერინეს ქაღალდებში უპოვნია. ხუთივე ლექსი ნ. ბარათაშვილის ხელით არის თურმე დაწერილი და მათს სინამდვილეს დედოფალიც ამტკიცებს. თითონ ლექსის კილოზედ ეტყობა, რომ სწორედ ნ. ბარათაშვილის კალამს უნდა ეკუთვნოდენ“... (გვ. 55).

ბირველი სამი ლექსი, ი. მეუნარგიას ცნობით, „არის დაწერილი ბარათაშვილის ხელით მის ლექსთა კრებაში, ერთს ბატარა რვეულში ფერად ქაღალდზედ, რვეული არის გადაწერილი 1841 წ.“ (გვ. 55). ორი უკანასკნელი ლექსიც „ბარათაშვილის ხელით არის დაწერილი 1/4 ფურცელ ქაღალდზე. მისგან ხელმოწერილი არ არის. სინამდვილეს ხელს გარდა თვითონ დედოფალიც ამტკიცებს“ (გვ. 61). დღეს ეს დედნები სად ინახება, არ ვიცით.

8. H ავტოგრაფი (H 2417) შეიცავს ერთ ფურცელს (ზომით 35×22 სმ), ჩასმულია ლიდერინგადაკრულ ყდაში და შეიცავს ერთ ლექსს: „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“, რომელიც დათარიღებულია ასე: „სენტებრის 23-სა, წელსა 1844-სა, ტფილისს“. აქვს ხელმოწერაც: „თრის ნ. ბარათოვის მიერ“. აღწერილია H ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობაში“ (1949, ტ. V, გვ. 284). ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1945 და 1968 წლების გამოცემებში არ არის აღნიშნული, რომ ეს ხელნაწერი წარმოადგენს ავტოგრაფს.

9. H¹ ავტოგრაფი დაცულია საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში 16398 N-ით (ძველი ნომერია 60/4), შეიცავს ორ ფურცელს (ზომით 27×20 სმ.); დაწერილია გასანთლულ ქაღალდზე წვრილად, შავი მელნით (1r-v). შუა ადგილას ქაღალდი ამოხეულია და ტექსტი დაზიანებული. მუზეუმმა შეიძინა 1933 წელს არტემ გაბუნიასგან. მისი ადრინდელი მფლობელი ყოფილა მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი. წარმოადგენს ლექსს „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“, რომელიც დათარიღებულია ასე: „სენტებრის 23-სა, 1844 წელსა, ტფილისი“. ერთვის ხელმოწერაც: „თრის ნ. ბარათაშვილის მიერ“ (1v). მასვე მოეპოვება მინაწერი მკრთალად შავი ფანქრით: „კნ. ნ. ბარათოვი“. ტექსტში შეტანილია რედაქციული ცვლილება, რომელიც თვით ავტორს ეკუთვნის. აღწერილია ჩემ მიერ³⁵.

³⁵ საქართველოს ლიტ. მუზეუმის „ხელნაწერთა აღწერილობა“, ლიტ. მატანიე, V, 1949, გვ. 74. დაბეჭდილია აგრეთვე ამ ავტოგრაფის მთლიანი ფორტოპიანი (ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფები, 1968, გვ. 78—79).

10. H² ავტოგრაფი (H 572) შეიცავს ორ ფურცელს (ზომით 21,5×17 სმ). მოთავსებულია ლექსი „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“. ერთვის მას თარიღი და ხელმოწერა. საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისთვის შეუწირავს ლეონარდ ივანეს ძე ზუბალაშვილს. აღწერილია H ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობაში“ (II, გვ. 36).

11. I დედანი წარმოადგენს პირველნაბეჭდს ლექსისას „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის“. ავტოგრაფი დაკარგულია; ტექსტი გამოაქვეყნა ნინო ორბელიანმა 1886 წელს ჟურნ. „თეატრში“ (№ 30, გვ. 337); ერთვის სარედაქციო შენიშვნა: „ეს ლექსი დაწერილია თავ. ნიკოლოზ ბარათაშვილისაგან კნეინა მართა ერისთავის თასხედ და ჯერ არსად დაბეჭდილა. ჩვენ დიდს მადლობას ვუცხადებთ კნ. ნინო ორბელიანისას და ვუსურვებთ, რომ სხვებმაც მიჰპაძონ პატივცემულ კნეინას და ყველა ამისთანა ძველი დაუბეჭდავი ლექსები ჩვენ წარჩინებულ მწერალთა გახადონ მკითხველ საზოგადოებათა საკუთრებად.“ ნ. ბარათაშვილის 1939 და 1945 წლების გამოცემებში დაშვებულია შეცდომა, თითქოს ეს ლექსი პირველად ზ. ქიქინაძეს დაებეჭდოს 1890 წელს.

12. J დედანიც წარმოადგენს პირველნაბეჭდს ლექსისას „ჩინარი“; დაიბეჭდა ჟურნ. „ცისკარში“ 1862 წელს (№ 10, გვ. 144—145), საფიქრებელია, პ. უმიკაშვილის მიერ გადაწერილი კრებულიდან.

13. K დედანი (S 5190) წარმოადგენს სხვადასხვა ავტორთა ლექსების ალბომს (15 ფ., 21,5×13,5 სმ, XIX საუკ. II ნახევარი). ნ. ბარათაშვილის ლექსებიდან მასში მოთავსებულია: „სატრფოვ მახსოვს“, „დამქროლა ქარმან“, „ვპპოვე ტაძარი“, „არ უკიჟინო, სატრფოო“, „ქილის ყვავილი და მწირი“, „მიყვარს თვალები“, „სულო ბოროტო“, „რად ჰყვედრი კაცსა“ და სახუმარო ეპიგრამა „ელენეს და მარიამს“. უკანასკნელი ლექსის ტექსტი ცნობილია მხოლოდ ამ ერთადერთი ნუსხით, რომელიც აღმოაჩინა დ. კარიჭაშვილმა (იხ. ლექსის კომენტარი აქვე, გვ. 218—219).

14. L დედანი (H 2684) წარმოადგენს XIX საუკუნის 30-იანი წლების პოეტურ თხზულებათა ანთოლოგიას. მასში მოთავსებულია გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის და სხვათა ლექსები. კრებული შედგენილია და გადაწერილია 1833—1834 წლებში მ. თუმანიშვილის მიერ. ქაღალდის ქვირნიშანია — 1833 (ფ. 4). მასში შეტანილია ნ. ბარათაშვილის ყრმობისდროინდელი ლექსები: „ვარდი და ია“ (1v—2r), „ნარგიზი და ყაყაჩო“ (3r-v), „ვარდი და ბულბული“ (6r-v), „კავკასიური მოთხრობა“ (13v—14v) და „შემოღამება მთაწმიდაზედ“ (18r—19r). ხელნაწერი აღმოაჩინა ს. გორგაძემ 1924 წელს.

აი, ყოველივე ის, რაც ვიცით ნ. ბარათაშვილის ლექსთა დედნების (ავტოგრაფებისა და ძირითადი ნუსხების) შესახებ.



ახლა გავარკვევით საკითხი: რა მიმართებაში არიან ეს დედნები ერთ-მანეთთან და რომელი მათგანია ყველაზე გვიანდელი რედაქციისა?

ხელნაწერების შედგენილობისა და ქრონოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით ირკვევა, რომ ყველაზე ადრინდელი კრებულია L, რომელიც შეუდგენია მ. თუმანიშვილს 1833—1834 წლებში, 1841 წლით თარიღდება ორი კრებული: C და G ავტოგრაფები. ამათგან პირველი ჩვენამდე მოღწეულია, მეორე კი დაკარგულია, მაგრამ ირკვევა, ეს ორივე ავტოგრაფი თითქმის ერთნაირი შედგენილობის ყოფილა. E ავტოგრაფი გადაწერილია 1842 წელს და წარმოადგენს პოეტის შავ ცალს, რომელშიც შეტანილია მრავალი რედაქციული ხასიათის შესწორება. აქედანაა გადაწერილი A და B ავტოგრაფები, რომლებიც შემდეგში საფუძვლად დაედო ნ. ბარათაშვილის თხზულებათა გამოცემებს. A ავტოგრაფის თარიღია 1843 წელი, B ავტოგრაფიც მის ახლო ხანშია გადაწერილი, მაგრამ ამ ორიდან რომელია ადრინდელი და რომელია უკანასკნელი, ჯერ კიდევ დადგენილი არ არის. პ. ინგოროყვა წერს:

„ბარათაშვილის ლექსების ხელნაწერი კრებულები, რომლებიც ავტორს საზოგადოებაში გასავრცელებლად შეუდგენია, ეკუთვნის სხვადასხვა დროს 1841 წლიდან 1844 წლის დამდეგამდე. ყველაზე გვიანი დროის კრებულია ეგრეთ წოდებული ვეზირიშვილისეული ხელნაწერი ავტოგრაფი (იგულისხმება B, ი. ლ.), რომელიც 1843 წლის ბოლოს ეკუთვნის, და სარდიონ მესხიშვილისეული პირი, 1844 წლის დასაწყისის ავტოგრაფიდან მომდინარე“ (თხზ., I, გვ. 343).

ამ მოსაზრებას სხვაგან უფრო გარკვევით აყალიბებს: „ეს კრებული (=B ავტოგრაფი, ი. ლ.), რიგით მეექვსე (sic) ხელნაწერი გამოცემა, ყველაზე გვიანია და ყველაზე სრული ჩვენ დრომდე მოღწეულ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოებთა ხელნაწერ ავტოგრაფულ გამოცემათა შორის. ამ მეექვსე გამოცემაში წარმოდგენილია ბოლო რედაქცია ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, 1968, გვ. 230). ან კიდევ: „საკითხის კვლევის შედეგად ამჟამად დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ბოლო რედაქცია ჩვენ გვაქვს ავტოგრაფულ კრებულში, რომელიც მეექვსე ხელნაწერ გამოცემას წარმოადგენს და რომელიც დამზადებულია 1843 წლის დასასრულს. ეს კრებული ქრონოლოგიურად ყველაზე გვიანდელია ნ. ბარათაშვილის ჩვენს დრომდე მოღწეულ ავტოგრაფულ კრებულთა შორის და იმავე დროს ყველაზე სრულია შედგენილობის მხრით“ (ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფები, 1968, გვ. 143).

სამწუხაროდ, პ. ინგოროყვას რაც „დადგენილად“ ან „ზუსტად დად-

გენილად“ მიაჩნია, ის არ არის მეცნიერულად დასაბუთებული და რჩება მხოლოდ ლიტონ განცხადებად. შედგენილობით ყველაზე სრულია B ავტოგრაფი (პ. ინგოროყვათი — მეექვსე ხელნაწერი გამოცემა), მაგრამ ის გადაწერილია A-ზე (პ. ინგოროყვათი — მეოთხე ხელნაწერ გამოცემაზე) ადრე. ამასთან B და სარდიონ მესხიშვილისეული პირი (S 1555) ერთმანეთს ემთხვევა უმნიშვნელო ვარიანტული სხვაობით და, რაკი ავტოგრაფი მოგვეპოვება, მის პირს მეცნიერული მნიშვნელობა ეკარგება. ნათქვამის დასადასტურებლად დავიმოწმეთ რამდენიმე ფაქტი:

1. ლექსი „ჩემთ მეგობართ“ E ავტოგრაფში დაცულია ორი რედაქციით. პოეტს პირველი რედაქცია რომ დაუწუნებია, იქვე, მარცხენა მხარეზე, დაუწერია მეორე რედაქცია, რომელიც რამდენჯერმე გაუსწორებია. მისი სწორების საფეხურები ასახულია არა მარტო E-ში, არამედ მისგან გადაწერილ AB კრებულებშიც. ასე მაგ.:

ყოფილა:

მაშინცა კმარა შეკავება გულისა თქმათა (11).

გაუსწორებია:

მაშინცა კმარა დადუმება გულის ვნებათა.

ამთგან B ავტოგრაფში იკითხება პირველი ვარიანტი — „შეკავება გულსა თქმათა“, ხოლო A-ში — გასწორებული ვარიანტი „დადუმება გულის ვნებათა“.

უფრო საყურადღებოა მე-16 ტაეპის ვარიანტთა შედარება. თავდაპირველად ყოფილა:

მერწმუნეთ, ჩემს გულს ნაცადი აქვს ეს გულის ჭირი.

პოეტს არ მოსწონებია ერთი სიტყვის გამეორება („გულის“ და „გულის ჭირი“), ამიტომ ტაეპი შეესწორებია ასე:

მერწმუნეთ, ძმანო, ნაცადი მაქვს ეს გულის ჭირი,

მაგრამ მას არც ეს ვარიანტი მოსწონებია, იქვე გადაუხაზავს მელნით „მაქვს ეს გულის ჭირი“ და ტაეპი გაუმართავს ამნაირად:

მერწმუნეთ, ძმანო, ნაცადი აქვს ჩემს გულს ეს ჭირი.

ამ ორი გასწორებიდან პირველი („ძმანო... მაქვს ეს გულის ჭირი“) იკითხება B ავტოგრაფში და სიტყვები „ჩემს გულს“ და „აქვს“ E-ში წაშლილი და გასწორებულია იმავე მელნით, რომლითაც გადაწერილია B კრებული, ხოლო ბოლო წაკითხვა („ძმანო... აქვს ჩემს გულს ეს ჭირი“) დაცულია A-ში, ამასთან E-ში „აქვს ჩემს გულს ეს ჭირი“ ჩაწერილია იმავე მელნით, რომლითაც გადაწერილია A კრებული.

2. ლექსი „შემოღამება მთაწმიდაზედ“ შემონახულია სამი რედაქციით BCE ავტოგრაფებსა და მ. თუმანიშვილის მიერ შედგენილ ანთოლოგიაში (L). მათი შედარებიდან ჩანს, რომ პოეტს ამ ლექსზე დიდხანს (დაახლოებით ათი წელი) უმუშავებია. ამჯერად ჩვენს საკითხთან დაკავშირებით დავიმოწმებთ მხოლოდ მე-7 ტაეპს. იგი L ნუსხაში იკითხება ასე:

ძირს გაშლილს აღმად ველსა ყვავილნი
მოჰფენენ რეცა ტაბლასა წმიდას.

პოეტს სიტყვა „აღმად“ არ მოსწონებია და შეუცვლია სხვა გასაგები სიტყვით („ლამაზს“):

ძირს გაშლილს ლამაზს ველსა ყვავილნი
მოჰფენენ რეცა ტაბლასა წმიდას (CE).

E-დან ამ სახით შეუტანია იგი B ავტოგრაფში, მაგრამ მერმე მას არც „რეცა“ მოსწონებია და შეუცვლია სიტყვით „ვითა“:

ძირს გაშლილს ლამაზს ველსა ყვავილნი
მოჰფენენ, ვითა ტაბლასა წმიდას.

ეს უკანასკნელი ვარიანტი დაცულია A ავტოგრაფში.

3. ლექსი „არ უკიჟინო, სატრფოო“ ცნობილია ხუთი (ABDE) ავტოგრაფით. მისი მეთორმეტე ტაეპი DE ავტოგრაფებში იკითხება ასე: მზისა ციაგნი „ერთად შესხივებულნი“

იყვნენ მარადის, მარადის, სოფლისა განსათაეებლად.

ეს ორი „მარადის“ E-დან გადასულა B კრებულში, მაგრამ პოეტს მერმე ერთი „მარადის“ შეუცვლია ახალი სიტყვით „უხსნელად“ და A-ში ტაეპი შენახულა საბოლოო რედაქციით:

იყვნენ მარადის, უხსნელად (ე. ი. „ერთად შესხივებულნი“)
სოფლისა განსათაეებლად.

აი, ამ სამი ფაქტიდან უდავოდ ირკვევა, რომ A ავტოგრაფული კრებული წარმოდგენს დღემდე ცნობილ კრებულებს შორის ყველაზე გვიანდელ რედაქციას. ამიტომაც ნ. ბარათაშვილის იმ ლექსების ტექსტისა და ვარიანტების დასადგენად, რომლებიც მოთავსებული არიან A-ში, უპირატესობა სწორედ ამ ბოლოდროინდელ კრებულს მიეცეცით, ხოლო შედარებისათვის გამოვიყენეთ BCE კრებულები, ცალცალად მოღწეული ავტოგრაფები და ძირითადი ნუსხები.



* *

6. ბარათაშვილის ლექსების აღწერილი დედნების გარდა ჩვენს სიმ-ველეთსაცავებში ინახება გადანაწერი პირებიც, რომელთაც, მართალია, ტექსტის დადგენისათვის არა აქვთ მნიშვნელობა, მაგრამ ისინი ყურადღებას იპყრობენ პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის თვალსაზრისით. შეიძლებოდა ასეთ ნუსხებზე ზოგადად თქმულიყო ორიოდ სიტყვა, მაგრამ, რაკი მათი ტექსტობრივი ღირებულება მკვლევართათვის ნათელი არ არის, აქვე წარმოვადგენთ თვითმული მათგანის მოკლე დახასიათებას.

1. დავით რექტორის ანთოლოგიის მეორე ტომში (S 1512) ჩართულია 28 ლექსი, „თქმულნი თავადის ნ. ბარათოვისაგან“ (ფ. 191, 318—333). ერთ-ერთი მათგანი („ძრწოდე კავკასო“, ე. თაყაიშვილის მოსახრებით, ავტოგრაფს უნდა წარმოადგენდეს (Опис., II, გვ. 225), მაგრამ იგი უცნობი პირის ჩანაწერია ისევე, როგორც სხვა დანარჩენი ლექსები: „ბულბული ვარდზედ“, „ქეთევან“ (ხელნაწერშია — „ქ...“), „შემოღამება მთაწმიდაზედ“ (აქვს მინაწერი: „მირიან ივერისა მიერ“), „კნაზ ბარათაევის აზარფეშაზედ“ (ხელნაწერშია — „აზარფეშაზედ დასაწერი“), „ხმა იღუმალი“, „ფიქრნი მტკვრის პირზედ“, „ჩონგურს“, „თავადის ჭ...ძის ასულს, ეკ...ნას“ (ხელნაწერშია — „ეკ...ნას“), „ჩემს ვარსკვლავს“, „ნაპოლეონ“ (აქვს მინაწერი: „მირიან ივერის მიერ“), „საყურე“ („მირიან ივერის მიერ“), „ჩვილი“, „სული თბოლი“, „სატრფოვ, მახსოვს“, „ჩემი ლოცვა“, „ჩემთ მეგობართ“, „აღმოჰხდა მნათი აღმოსავალს“, „არ უეკიჟნო, სატრფოო“, „ვჰპოვე ტაძარი“, „სუმბული და მწირი“, „მერანი“, „რად ჰყვედრი კაცსა“, „საფლავი მეფის ირაკლისა“, „მიყვარს თვალები“, „შენნი დალაღნი“, „სულო ბოროტო“, „შევიშრობ ცრემლსა“. ყველა ლექსი უთარიღოა. მინაწერი „მირიან ივერისა მიერ“, რომელსაც მკვლევრები ნ. ბარათაშვილის ფსევდონიმად ვარაუდობენ, სამივეგან მიუწერია ტექსტისაგან განსხვავებული მეღნით სხვა დროს მიხეილ თუმანიშვილს. ლექსის „შევიშრობ ცრემლსა“-ს შემდეგ 333-v გვერდზე ჩაწერილია ლექსი „ეჰა, ჩემო ოცნებავ“, რომელიც ეკუთვნის ლუკა ისარლოვს, ნ. ბარათაშვილის სკოლის მეგობარს. იგი დაიბეჭდა ჟურნ. „ცისკარში“ 1852 წელს (№ 5, გვ. 6—7). აქვს მას ხელმოწერა — „ლ... ი...“ (= ლუკა ისარლოვი). იქვე არშიაზე პ. უმიკაშვილის მიერ მიწერილია ფანქრით: „ლუკა ისარლოვისა. ნახე «ცისკარი», 1852—1853 წ.“ ნ. ბარათაშვილის ლექსებიდან „ძრწოდე კავკასო“ იმეორებს HH^1H^2 ავტოგრაფების ტექსტს, ხოლო დანარჩენი 27 ლექსი ემთხვევა უმნიშვნელო ვარიანტული სხვაობით ვეზირიშვილისეულ (B) ავტოგრაფს, ოღონდ გაუგებარია ლექსებზე რატომ არ უწერიათ თარიღები

(Е. Такаишვილი, Опис., II, გვ. 225—226; შდრ. S ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, ტ. II, გვ. 294).

2. დავით რექტორის ანთოლოგიიდან მომდინარეობს H 772 ხელნაწერი კრებული, რომელშიც მოთავსებულია ნ. ბარათაშვილის 27 ლექსი. გადამწერს მექანიკურად გამორჩენია ერთი ლექსი „შენნი დალალნი“. სამ ლექსს („შემოღამება მთაწმიდაზედ“, „ნაპოლეონ“ და „საყურე“) ერთვის მინაწერი „მირიან ივერის მიერ“. ამასთან გადამწერი ზუსტად იცავს იმ სათაურებს და თანმიმდევრობას, რომლებიც მოეპოვებათ დავით რექტორის ანთოლოგიაში მოთავსებულ ლექსებს. ხელნაწერს ატყუვია სტამბის მური; გადამწერილია გამოცემის მიზნით (H ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, II, გვ. 153—155).

3. ლექსთა კრებული S 1555 გადამწერილია სარდიონ ალექსი-მესხი-შვილის მიერ. უძღვის სათაური „ლექსები თავადის ნიკოლას მელიტონის ძის ბარათოვისა“ და ზანდუკი (1r—v):

„1. ქეთევან (რომანსი), 2. შემოღამება მთაწმიდაზედ (ელევია), 3. ხმა იღუმალი, 4. ფიქრები მტკვრის პირზე, 5. ჩონგურს, 6. თავადის ქ... ასულს ექ...ნას, 7. ჩემს ვარსკვლავს, 8. ნაპოლეონ, 9. საყურე, 10. ჩჩვილი, 11. სული ობოლი, 12. XXX [=„სატრფოვ, მახსოვს“], 13. ჩემი ლოცვა, 14. XXX (=„აღმოჰხდა მნათი“), 15. ჩემთა მეგობართა. 16. XXX [=„არ უკეივნო, სატრფოო“], 17. ჭანტაზია [=„გვპოვე ტაძარი“], 18. სუმბული და მწირი, 19. თვალეზი [=„მიყვარს თვალეზი“], 20. ლამაზს ბანოვანს [=„რად ჰყვედრი კაცსა“], 21. კნიაზ ბარათაევის აზარფემაზედ, 22. XXX [=„შენნი დალალნი“], 23. ჩემი მერანი, 24. საფლავი მეფის ირაკლისა, 25. XXX [=„შევიშრობ ცრემლსა“], 26. სული ბოროტი, 27. ჩინარი“.

სათაურსა და ზანდუკს შორის მიწერილია: „ეს ხელნაწერი სარდიონ ალექსიე-მესხიევისასა ჰგავს. პეტრე უმიკაშვილი“ (1r). კრებულში მოთავსებულია 24 ლექსი. ზანდუკში წარმოდგენილი რიგის მიხედვით აქლია მე-13 („ჩემი ლოცვა“), მე-20 („ლამაზს ბანოვანს“) და მე-26 („სულ ბოროტი“) ლექსები. მათ მაგიერ სწერია: „ამის შემდეგ უნდა დაიწეროს «ჩემი ლოცვა», რომელიც დაბეჭდილია ცისკარში“ (11v), „აქ უნდა დაიწეროს «ლამაზს ბანოვანს», რომელიც დაბეჭდილია ცისკარში“ (16v) და „აქ დასაწერია «სულ ბოროტი», რომელიც დაბეჭდილია ცისკარში“ (20r). ეს მინაწერები მოწმობენ, რომ როცა სარდიონ ალექსი-მესხიშვილი ნ. ბარათაშვილის ლექსთა კრებულს ადგენდა, დასახელებული სამი ლექსი და აგრეთვე „ბულბული ვარდზედ“, რომლებიც დაიბეჭდა 1852 წელს ჟურნ. „ცისკარში“ (№ 4), მას ხელთ არა ჰქონია, თორემ მათ კრებულში უეჭველად შეიტანდა. ამიტომ პ. ინგოროყვას მოსაზრება, რომ „სარდიონ მესხიშვილისეული პირი 1844 წლის დასაწყისი“

სის ავტოგრაფიდან მომდინარეა“ (თხზ., I, გვ. 343), საეჭვოა. 1843 წლის ავტოგრაფებით ეს სამივე ლექსი ცნობილია (იხ. AB ავტოგრაფები) და სათუთა „1844 წლის დასაწყისის ავტოგრაფში“ ისინი არ ყოფილიყო მოთავსებული. პ. ინგოროყვას მოსაზრებას ეწინააღმდეგება ზოგიერთი ლექსის სათაურიც („ჩანტაზია“, „ჩემი მერანი“, „თვალები“), რომლებიც AB ავტოგრაფებში არ მოეპოვებათ მათ ქვეშ ნაგარაუდევ ლექსებს. ტექსტები უმნიშვნელო ვარიანტული სხვაობით ემთხვევა B ავტოგრაფს. კრებული შედგენილი უნდა იყოს 1852—1860 წლებში. 23v გვერდზე მიწერილიცაა: „ეს ლექსები 1860 წელსა არის დაწერილი მგონი სარდიონ მესხიევისაგანა“ (შდრ. S ფონდის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, III, გვ. 8—10).

4. ხელნაწერი Q 439 შეიცავს ნ. ბარათაშვილის 27 ლექსს, წარმოადგენს სარდიონ ალექსი-მესხიშვილის კრებულის პირს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელში შეტანილია ზემოთ დასახელებული 24 ლექსის გარდა ის სამი ლექსიც, რომლებიც სარდიონ ალექსი-მესხიშვილს ხელთ არა ჰქონდა S 1555 კრებულის შედგენისას. ლექსები მოთავსებულია I და II რგეულებში; შემოსულია მიხეილ თუმანიშვილის არქივიდან (Q ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, I, გვ. 464—465).

5. ნ. ბარათაშვილის თითო-ოროლა ლექსი დაცულია საოჯახო აღბომებსა და კრებულებშიც, რომლებიც გადაწერილი (თუ შედგენილი) არიან XIX საუკუნის 60—90-იან წლებში. ამ ნუსხებს ტექსტოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვთ, მაგრამ სისრულისათვის აქვე ჩამოვთვლით მათ.

ა. H 101 — ქართული სიმღერების კრებული, გადაწერილი 1858 წელს; შეიცავს სასიმღერო ლექსებს, მათ შორის „სულო ბოროტოს“ (გვ. 11—12) (შდრ.: ამავე ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, I, 1946, გვ. 75).

ბ. H 1494 — აკაკის ავტოგრაფი, გადაწერილია ლექსი „საყურე“ (18v) (შდრ.: ამავე ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, III, გვ. 438).

გ. H 2398 — ლექსთა კრებული, მოთავსებულია ნ. ბარათაშვილის რვა ლექსი: „ნაპოლეონ“, „ჩემს სატრფიალოს“ [= „არ უკეივნო, სატრფოო“], „შემოღამება მთაწმიდაზედ“, „ზვირთები მოდუღუნებენ“ (= ქეთევან), „ხმა იდუმალი“ (ნაკლული); გადაწერილია XIX საუკ. II ნახევარში. ლექსებს „ნაპოლეონ“, „არ უკეივნო, სატრფოო“, „შემოღამება მთაწმიდაზედ“ და „საყურე“ აქვს მიწერილი პოეტის ფსევდონიმი „მირიან ივერის მიერ“ (იხ. ამავე ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, VI, გვ. 275; ი. ბ ა ლ ა ხ ა შ ვ ი ლ ი, ბარათაშვილის ცხოვრება, 1966, გვ. 164—165).

დ. H 2733 — სხვადასხვა ზომის ფურცელთაგან შემდგარი კრებული. მეთხუთსეულობის ფურცელი შეიცავს ლექსს „ჩემს სატრფიალოს“ (= „არ უკი-
ჟინო, სატრფიო“), რომელსაც ერთვის მინაწერი — „მირიან ივერის
მიერ“ (შდრ. H ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, VI, 1953, გვ. 152).

ე. S 2531 — ლექსთა კრებული, გადაწერილი გიორგი კირვალიძის
მიერ. მოთავსებულია ლექსი „სულო ბოროტო“ და ერთი სტროფი
ლექსისა „ჩემს ვარსკვლავს“ (S ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწე-
რილობა“, IV, გვ. 32, 34).

ვ. S 3723 — ლექსთა კრებული, შეიცავს ნ. ბარათაშვილის 5 ლექსს:
„არაგვი“ („ბედი ქართლისადან“), „ჩემი ლოცვა“, „მერანი“, „სულო
ბოროტო“, „საყურე“ (ნაკლული) (შდრ. E. Такаишвили, Опис., II,
გვ. 325).

ზ. Q 27 — ლექსების კრებული, გადაწერილი 1868 წელს. 17r გვერდ-
ზე მოთავსებულია „სულო ბოროტო“ (შდრ. ამავე ფონდის „ხელნა-
წერთა აღწერილობა“, I, 1957, გვ. 25).

წ. Q 30-ბ — ლექსების ალბომი მარიამ ანდრონიკაშვილისა. მო-
თავსებულია ოთხი ლექსი: „არაგვი“ („ბედი ქართლისადან“), „სულო
ბოროტო“, „ბულბული ვარდზედ“, „ჩონგურს“ (4r—6v) (შდრ. ამავე
ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, I, გვ. 33—34).

თ. Q 438-ა — ლექსთა კრებული. 20r გვერდზე მოთავსებულია „ჩემს
ვარსკვლავს“ (შდრ. ამავე ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, I, გვ. 461).

ი. Q 347 — ლექსთა კრებული, გადაწერილი 1896 წელს. მოთავსე-
ბულია ნ. ბარათაშვილის 5 ლექსი: „ვჰპოვე ტაძარი“, „საყურე“, „მე-
რანი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „ჩემს ვარსკვლავს“ (შდრ. ამავე ფონ-
დის „ხელნაწერთა აღწერილობა“, I, გვ. 379). ხელნაწერს ამჩნევია სტამ-
ბის მური. იგი უნდა იყოს 1896 წელს დაბეჭდილი „ქნარის“ დედანი.

ია. საქართველოს ცენტრარქივის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის № 57
ხელნაწერი, გადაწერილი 1871 წელს. 15r გვერდზე მოთავსებულია ლექ-
სი „თავადის ჭავჭავაძის ასულს ეკა...ნას“ (15r) (შდრ. ამ კოლექციის
აღწერილობა, I, 1949, გვ. 56).

იბ. ლიტ. მუზეუმის ხელნაწერი № 12624, გადაწერილი 80-იან წლებში.
13r—19v გვერდებზე მოთავსებულია „ლექსები, თქმული თ. ნ. ბარათა-
შვილისაგან“. ყველა გადაწერილია ნაბეჭდი გამოცემიდან.

* *

დასასრულ, ერთი სადავო ლექსის შესახებ.

ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ავტოგრაფებსა და ნუსხებში არ არის
მოთავსებული ლექსი „კ. დ. ჩ.“, რომელიც დაბეჭდილია 1862 წლის
„ცისკარში“ (№ 2, გვ. 189—190) ხელმოწერით „თ. ნ. ბ.“. 1936 წელს



ი. ბალახაშვილმა სათაურისა და ხელმოწერის ინიციალები დაშიფრა ასე: „ქენინა დარია ჩოლოყაშვილი“, „თავადი ნიკოლოზ ბარათაშვილი“ — და იქვე შენიშნა: „როგორც ჩანს, ლექსი «კ. დ. ჩ.» რედაქციას რომელიც ხელნაწერიდან გადმოუღია ჟურნალის მასალის შესავსებად და ლექსზე მოწერილი ინიციალებისათვის კი არავითარი ყურადღება არ მიუქცევია“ (ლიტერატურული საქართველო, 1936, № 2). 1939 წელს ეს ლექსი შეიტანეს ნ. ბარათაშვილის თხზულებათა კრებულში (გვ. 44), ხოლო 1945 წელს იგი საიუბილეო გამოცემის სარედაქციო კოლეგიამ არ სცნო ნ. ბარათაშვილის კუთვნილებად (გვ. 168). უკანასკნელ ხანს ლექსის ავტორის ვინაობას კვლავ შეეხო ი. ბალახაშვილი და განავითარა შეხედულება, თითქოს „კ. დ. ჩ.“ დაწეროს ნ. ბარათაშვილს დელფინა ლაბიელის სიყვარულთან დაკავშირებით (ბარათაშვილის ცხოვრება, გვ. 192—205). მისი მოსაზრება გაიზიარა გ. ჯიბლაძემ: „რომ ეს ნაწარმოები უთუოდ ბარათაშვილის კალამს ეკუთვნის, დამტკიცებასაც არსაჭიროებსო“ (ბარათაშვილის პოეტური გენია, 1968, გვ. 219).

ჩვენ სავანგებოდ შევისწავლეთ „კ. დ. ჩ.“-ს ავტორობის საკითხი და გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ამ ლექსს ვერა ვცნობთ ნ. ბარათაშვილის კალმის ნაყოფად. ამის წინამძღვრებია შემდეგი:

1. 1860 წლიდან ჟურნ. „ცისკარში“ ნ. ბარათაშვილის ლექსები იბეჭდებოდა პ. უმიკაშვილის მიერ გადაწერილი კრებულიდან. პ. უმიკაშვილისეული კრებული კი გადმოწერილია სარდიონ ალექსი-მესხიშვილის ნუსხის პირიდან, რომელიც გადმოღებული ყოფილა ა. ჩიქოვანის მიერ. როგორც აღვნიშნეთ, სარდიონ ალექსი-მესხიშვილის ნუსხა (S 1555) გადაწერილია 1852—1860 წლებში. მისგან მომდინარეობს Q 439 ხელნაწერი (რომელიც შეიცავს 27 ლექსს), მაგრამ ეს ორივე კრებული არ იცნობს „კ. დ. ჩ.“-ს. მამასადამე, იგი არ ეკუთვნის ნ. ბარათაშვილს.

2. ლექსი „კ. დ. ჩ.“ ხელმოწერით „თ. ნ. ბ.“ დაბეჭდილია 1862 წლის „ცისკარში“ (№ 2, გვ. 189—190) მსხვილი შრიფტით. მას მოსდევს წინასაგან განსხვავებული შრიფტით ლექსი „ნაპოლეონი“, რომელსაც აქვს ფრჩხილებში ჩასმული დეშიფრაცია „თ. ნ. ბარათოვის ლექსებიდან“ (გვ. 190—191). „კ. დ. ჩ.“ რომ ნ. ბარათაშვილისა იყოს, მაშინ იგი და „ნაპოლეონი“ ერთნაირი შრიფტით იქნებოდა დაბეჭდილი, და მასაც ექნებოდა დეშიფრაცია „თ. ნ. ბარათოვის ლექსებიდან“ (ან ეს დეშიფრაცია ორივეს საერთო ექნებოდა).

3. ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფებსა და ნუსხებში ეს ლექსი არ არის შეტანილი. არც არავინ იძლევა რაიმე ცნობას მის ავტორობაზე. არ არის დაშიფრული „კ. დ. ჩ.“ პოეტის მეგობარ ქალთა შორის არც ერთი ქალი არ არის ცნობილი ასეთი ინიციალებით.

4. ლექსის პოეტური ფაქტურა საგრძნობლად განსხვავდება ნ. ბარათაშვილის წერის მანერისგან. ნ. ბარათაშვილის არც ერთი ლექსი არ იცნობს ასეთ გაცვეთილ თქმას: „შენსა მიჯნურსა ახლა მრწამს ნათლისა ხელოვანება“;

ასე რომ, „ქ. დ. ჩ.“-ს ვერ მივაკუთვნებთ ნ. ბარათაშვილს. მისი ავტორია 60-იანი წლების ვიღაც ეპიგონი პოეტი, რომლის პატივსაცემად რედაქციას ლექსი მსხვილი შრიფტით დაუბეჭდავს.

III. „ბედი ქართლისას“ ტექსტი და მისი ისტორია

პოემა „ბედი ქართლისა“ ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შედეგია. პოეტს დიდხანს უმუშავნია ამ პოემაზე. თანამედროვეთა გადმოცემით, მას სამშობლოს კეთილდღეობის პრობლემა მთელი მოღვაწეობის მანძილზე აწვალებდა. ზ. ჭიჭინაძე იუწყება: ნ. ბარათაშვილს ბევრჯერ უთქვამს მეგობრებისთვის, რომ „ბედი ქართლისას“ შინაარსი სკოლაში ყოფნის დროს დამებადა თავში, იქვე განვიზრახე ამისი დაწერა, რამდენიმეჯერ დაწვერე კიდეც, მაგრამ არ ვაჩენდი, ვიდრე გვარიანად არ შევიმუშავებდიო“³⁶. სხვათა გადმოცემით, როდესაც ნ. ბარათაშვილს პოემა დაუსრულებია, ქავჭავაძიანთ ბანზე წაუკითხავს საჯაროდ და მსმენელებს დიდად მოსწონებიათო (იქვე). ჩვენ არ ვიცით, რამდენად სწორია ეს ცნობები, მაგრამ დოკუმენტურად მტკიცდება, რომ 1839 წლიდან 1844 წლამდე ავტორს პოემა რამდენჯერმე გადაუმუშავებია. ეს შემოქმედებითი ისტორია თავისთავად მეტყველებს, რომ თხზულება პოეტის ხელიდან დიდი ჯაფის შემდეგ გამოსულა.

ჩვენს სიძველეთსაცავებში დაცულია პოემის ორი, ერთმანეთისგან რედაქტიულად განსხვავებული ავტოგრაფი, თერთმეტი ხელნაწერი პირი და ერთიც პირველნაბეჭდი. სულ 14 დედანი. მათი მოკლე აღწერილობა ასეთია:

1. A ავტოგრაფს (S 2517) ეწოდება თაყაიშვილისეული ვარიანტი; შეიცავს III + 38 გვერდს (ზომით 13,5 × 10 სმ); გადაწერილია 1843—1844 წლებში შავი მელნით მხედრულად; ჩასმულია მოწითალო მუყაოს ყდაში. აღწერილია რამდენჯერმე³⁷.

პოემა მოთავსებულია 3—32-ე გვერდებზე, უძღვის სამსტროფიანი შესავალი „კახთა მიმართ“ (გვ. 1—2), რომელსაც აქვს ხელმოწერა: „თი ნ. ბ.“ თავფურცელს აწერია: „ბედი ქართლისა, თქმული წელსა

³⁶ ზ. მთაწმიდელი (ჭიჭინაძე), ნ. ბარათაშვილი, 1885, გვ. 18.

³⁷ იხ. № 22-ე სკოლითში დასახელებული გამოცემები; აგრეთვე S ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, IV, 1965, გვ. 10.

1839-სა, ტფილისს“ (IIIr). სათაური „ბედი ქართლისა“ შესრულებულია ხეველი ასოებით.

ხელნაწერს აქვს ერთადერთი მინაწერი (IIv): „ვიყიდე 1887 წელს პეტერბურგში ბუკინისტ პ. ი. ვორონინისაგან, ნევის პროსპექტზე № 54. ე. თაყაიშვილი“. აქედან ჩანს, რომ ეს ავტოგრაფი წარმოშობით დაკავშირებულია ლექსების A კრებულთან. მისი აღრინდელი მფლობელიც ეკატერინე ჭავჭავაძე უნდა ყოფილიყო. ილია ჭავჭავაძეს „ბედი ქართლისა“ ამ ავტოგრაფის მიხედვით უნდა გაეცნო 1858 წლის ზაფხულში, როდესაც იგი, სტუდენტი, ეკატერინეს ეწვია სტუმრად ცარსკოე სელოში.

2. B ავტოგრაფი (H 2034), ე. წ. ვეზირიშვილისეული ხელნაწერი, რომელიც საკუთრება ყოფილა ქეთევან ორბელიანისა, შეიცავს 42 ფურცელს (ზომით 16,5×11 სმ); გადაწერილია 1843 წელს მოლურჯო ქაღალდზე მხედრულად; ჩასმულია მუყაოს ყდაში; აღწერილია რამდენჯერმე³⁸. გამოცემულია ლითოგრაფიულად 1916 წელს, ხოლო მისი ფოტოპირი გამოქვეყნდა 1968 წელს „ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფებში“ (გვ. 81—135).

პოემა მოთავსებულია 4r—29r გვერდებზე; უძღვის შესავალი „ახთა მიმართ“ (3r—v), რომელსაც აქვს ხელმოწერა „XXX“, და თავფურცელი: „ბედი ქართლისა, თქმული წელსა 1839-სა, ტფილისს“. სათაური „ბედი ქართლისა“ შესრულებულია ხეველი ასოებით. 1r გვერდზე ე. თაყაიშვილის ხელით მიწერილია: „ქნ. ბარბარე ვეზირიშვილისა“, საიდანაც ირკვევა, იგი პოეტს გადაუწერია თავისი დისთვის.

3. C დედანი წარმოადგენს B ავტოგრაფის უცვლელ პირს; ბეჭდურადაა გამოქვეყნებული ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1876 წლის გამოცემაში (გვ. 20—41).

4. D ხელნაწერი (S 4911-ბ) შეიცავს 12 ფურცელს (ზომით 20×13 სმ), გადაწერილია გასანთლულ ქაღალდზე; დაშლილია და უყდო, ადგილ-ადგილ ფურცლები დაზიანებული ყოფილა (10—11 ფ.), მაგრამ ახლა ისინი რესტავრირებულია, ოღონდ იმ ადგილებში ტექსტი ბუნდოვნად იკითხება. ერთ-ორგან გადამწერს თავისი მცდარი ნაწერი წაუშლია და ზევიდან სწორი დედნისეული წაკითხვა მიუწერია (10r). იგი ორ შემთხვევაში დედანსაც ასწორებს (მახვრალმან—მაშვრალმან, ეზდენ—ესდენ), მაგრამ იქვე შენიშნავს: „დედანში არის მ ა ხ ვ რ ა ლ მ ა ნ“ (6v), ან: „ე ს დ ე ნ უნდა იყოს“ (7v). აქედან ჩანს, გადამწერს დედანი ზუსტად გადაუწერია. ტექსტს ერთვის ერთსტროფიანი ანბანთქება, „თქმული მეფის ვახტანგის მიერ“ (12v).

³⁸ იხ. № 22-ე სკოლაში დასახელებული გამოცემები; აგრეთვე H ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, V, 1949, გვ. 26.

5. E ხელნაწერი (A 1258) შეიცავს 12 ფურცელს (ზომით 21×13 სმ) დაშლილია და უყდო (პირველი და ბოლო ფურცელი მოცილებულია); აღწერილია ქრ. შარაშიძის მიერ A ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობაში“ (ტ. IV, 1954, გვ. 305). აღმწერი შენიშნავს: „მართლწერისა და სხვა ნიშნების მიხედვით ეს ნუსხა ავტოგრაფთან ახლოს მდგომი ჩანს“. ტექსტს არ უძღვის შესავლად „კახთა მიმართ“. 1-ელ ფურცელზე მ. ჯანაშვილს მიუწერია „ბედი ქართლისა“. ხელმოწერილია ასე: „თ...ნ... ბარათოვი“ (12r). 11v გვერდზე 390-ე ტაეპის ნაცვლად მრავალწერილია; მრავალწერტილია დასმული 405-ე ტაეპის შემდეგაც; ჩანს, აქაც პოეტს რაღაც სათქმელი ჰქონდა, მაგრამ თქმას მორიდებია.

6. F ხელნაწერი (Q 439) წარმოადგენს ერთ რვეულს (ფ. 25r—36v), დაცული ყოფილა მ. თუმანიშვილის არქივში; გადაწერილია წვრილად, მოსქელო ქაღალდზე, რომელსაც აქვს ფირმა: „Аристархова № фабрика“. აღწერილია Q ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობაში“ (ტ. I, 1957, გვ. 464—465). ტექსტს არ უძღვის შესავალი „კახთა მიმართ“.

7. G ხელნაწერი (Fr. 111) შეიცავს 12 ფურცელს (ზომით 21×13 სმ); დაშლილია და უყდო; გადაწერილია XIX საუკუნის II ნახევარში მხედრულად და არ უძღვის შესავალი „კახთა მიმართ“.

8. H დედანი პირველნაბეჭდი პოემაა, რომელიც გამოქვეყნდა 1858 წლის სექტემბერს ჟურნ. „ცისკარში“ (გვ. 1—14). ხელნაწერი რედაქციისათვის გადაუცია დიმიტრი ბერიევს. ტექსტი ცენზორს ძლიერ შეუმოკლებია: ამოუღია 61 ტაეპი (217—237, 311—324, 369—389, 400—405). გამოცემას სპეციალური ნარკვევი უძღვნა ს. ხუციშვილმა: „ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემის «ბედი ქართლისა»-ს პირველნაბეჭდი“.³⁶ იგი წერს: „პირველნაბეჭდის ტექსტი საკმაოდ დაუმახინჯებია ცენზურას: პოემიდან მას ამოუღია ისეთი ნაწილები, რაც ნაწარმოების აზრის გაგებისათვის აუცილებელია. სიტყვა «თავისუფლების» ხსენება, მეფის უფლებების განქიქება, სამშობლოში თავისუფლად სურვილის გამოთქმა და ზერელე ადამიანთა მხილება — აუკრძალა“ (გვ. 858).

9. I ხელნაწერი (S 5074) შეიცავს 12 ფურცელს (ზომით $17,5 \times 11$ სმ), დაშლილია და უყდო; გადაწერილია XIX საუკუნის II ნახევარში.

10. J ხელნაწერი (S 1540) წარმოადგენს ლექსთა კრებულს. „ბედი ქართლისა“ მოთავსებულია 28r—37v გვერდებზე. უძღვის შესავალი „კახთა მიმართ“, რომელიც ხელმოწერილია ასე: „თ. ნ. ბარათოვი“ (28r). გადაწერილია 1860 წელს.

11. K ხელნაწერი (H 1430) შეიცავს 37 ფურცელს (ზომით $32,5 \times 21$ სმ); გადაწერილია 1847 წელს მოსქელო ქაღალდზე (კვირნიშანი —

³⁶ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, 1944, № 8, გვ. 855—858.

„1818“); აღწერილია H ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობაში“ (ტ. III, გვ. 369—370). წარმოადგენს დ. ყიფიანის ნაწერების კრებულს; მასში შეტანილია ნ. ბარათაშვილის პოემა სათაურით: „ბედი ქართლისა, თქმული თავადის ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათოვის მიერ“ (24r—28r), რომელსაც უზის გადაწერის თარიღი — „1847“ (28r).

12. L ხელნაწერი (H 1304) გამოცემის მიზნითაა გადაწერილი A ავტოგრაფიდან, ადგილ-ადგილ ტაეპებს შორის ჩაწერილია განსხვავებული წაკითხვები B ავტოგრაფისა (4r—16v).

13. M ხელნაწერი (ილიას არქ. № 6, ყოფ. A 1280) წარმოადგენს ფრაგმენტს (12v—13v). ამოწერილია ის ტაეპები, რომლებიც „ცისკრის“ პირველ ნაბეჭდს აკლია (217—237, 311—324, 369—389, 400—405).

14. N ხელნაწერიც (S 4911-ბ, 13—14, ფ., ზომა 17×11 სმ) შეიცავს იმავე ფრაგმენტებს, რომელთაც M ხელნაწერი (დაცულია პ. უმიკაშვილის ხელნაწერებში).

ამ თოთხმეტი დედნიდან პოემის ტექსტის ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვანია მხოლოდ ექვსი ხელნაწერი — ABEFGH, დანარჩენი შვიდი (DIJKLMN) ნუსხა გადაწერილია ძირითადი დედნებიდან. D იმეორებს A-ს; B-ს ემთხვევა IJK ხელნაწერები. A და B ავტოგრაფების ნარეფ რედაქციას წარმოადგენს L ნუსხა, რომელიც გადაწერილია გამოცემის მიზნით, ხოლო M და N ფრაგმენტები მომდინარეობენ A-დან. თვით ძირითადი ხელნაწერები კი ასე შეიძლება დავაჯგუფოთ: პოემის პირველი რედაქცია დაცულია EFGH დედნებში, მეორე რედაქცია — B ავტოგრაფში, ხოლო მესამე რედაქცია — A ავტოგრაფში. ეს რედაქციები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ტაეპობრივი შედგენილობითა და წანაკითხებით.

მაშ, განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

* *

პირველი რედაქციის (EFGH) ავტოგრაფი არ შენახულა, არც მისი შავი ცალი მოგვეპოვება. იგი დაცულია ნუსხებისა და პირველნაბეჭდის სახით. ეს უკანასკნელი (H), მართალია, ცენზორს დაუმახინჯებია, მაგრამ მოღწეული ნუსხების (EFG) საშუალებით შეიძლება მისი სრულად აღდგენა. პირველი რედაქცია ამჟამად შეიცავს 419 ტაეპს. ნუსხებსა და პირველნაბეჭდში მექანიკურად ამოვარდნილია 259-ე ტაეპი —

რომ ქრისტიანთ სმა მარად ისმოდეს,

რის გამოც კონტექსტით გაუგებარია მისი წინა და მომდევნო ტაეპთა შინაარსი; დარღვეულია რითმაც. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ 259-ე ტაეპი ავტორისეულ დედანში დაცული იქნებოდა და პირველი რედაქცია შეიცავდა 420 ტაეპს.



მეორე-მესამე რედაქციებთან შედარებით პირველს აკლია სამსტრო-ფიანი შესავალი „კახთა მიმართ“, რომელიც პოეტს მოგვიანებით დაუწერია (1839 წელს პოემა დაწერილი ყოფილა უშესავლოდ, იმ სახით, როგორაც შემონახულია EFG ნუსხებში). პირველი რედაქცია მომდევნო რედაქციებისგან სხვა მხრივაც განსხვავდება: 101-ე ტაეპის შემდეგ ტექსტში ჩართულია ორი ტაეპი, რომლებიც ავტორს მერე უარუყვია:

ხამს, ვერაგობაც სარდარსა ჰქონდეს,
დროჲ იგიცა არას წარუხედეს⁴⁰.

ზოგი ტაეპის პოეტური ფაქტურა არსებითად განსხვავებულია მეორე-მესამე რედაქციებისგან. ისინი აქ ვერ ბრწყინავენ ისე, როგორც მომდევნო რედაქციებში. ირკვევა, პოეტს დიდხანს უსწორებია ტექსტი, სანამ იგი საბოლოო სახეს მიიღებდა. აი, რედაქციულად განსხვავებული ტაეპები (შედარებისთვის გამოყენებულია წინამდებარე გამოცემა):

- 27—28 მუნ განრიხსებულს აღა-მაჰმად-ხანს
პატარა კახი უპირებს შებმას...
- 48—49 მტერი რა მტერი, ოდეს ქართველი
ბატონს ირაკლის ნუგეშად ჰყავდეს...
- 56—59 ხმა ნაღარისა, ხმა ეს ბრძოლისა
ვით არ აღვგანთებს, ჰოჲ გმირნო ქართლის!
განგაღვიძებს, მხნევე, მხდალო, განგამხნევს
და შენც, მიჯნურთ, სულს შეგიშფოთებს...
- 62—63 ეკვეთენს სპარსთა ივერთ მხედარნი
და მტკვარს ერთვიან სისხლისა ღვარნი...
- 97 თორემ სიმხნითა გერა გავაწყით...
- 127—128 და მოველინა ქართლისა ჯართა,
გაშფოთებული ეძიებდა მას...
- 146—147 თვალს მოატყუებს, ცხენს მოაძოვებს
და ნამძინარევეს შუბლს განიგრილებს...
- 187 იგი სარგებლობს კარგის ჟამითა...
- 190—191 და მტერნი ძლიერ მაშინ მოგვატყდნენ,
როს ძენი ჩემნი ურთიერთს ბძარვენ...
- 198—199 ჰოჲ ღმერთო, ვმადლობ შენს სამართალსა!
ჰგავს, დირსად შევსვდი ამა სასჯელსა...
- 211 ნახევდა ესრეთ ის შეშფოთებულს...
- 274 და დავიდუმებ ჩემთ გულის-თქმათა...
- 281 ამ დროს აღმოჩნდა ბადრი მთოვარე...
- 291 როს ჯერ არ ედვა ტვირთი მეფობის...
- 300 მიინდა, რომ ვნახტ კიდევ კახეთი...
- 316 კამათლებითა ვითა იმღერდეს...
- 386 და ვჰყვართ შვილებრს ზედ შეჩვეულნი...

⁴⁰ ვარიანტი: წარუხედეს.

მეორე რედაქცია (B) არსებითად განსხვავდება პირველისაგან. მას უძღვის შესავალი „კახთა მიმართ“, რომელიც შედგება თხუთმეტმარცვლოვანი სამი სტროფისგან, და ძირითად ტექსტში ჩართულია ხუთი ახალი ტაეპი:

101 ტაეპის შემდეგ —

ძველთაგან ასე ნაამბობია,
რომ ზოგჯერ ხერხი ღონეს სჯობია. (101¹—101²).

280 ტაეპის შემდეგ —

ხლოლ ქართველნი მამულს ჰგლოვობდნენ (280¹)

და 308 ტაეპის შემდეგ —

და მოშავალმან აწ ქალაქისკენ
გამოიარა თავის სახლისკენ. (308¹—308²).

აქ პოემა შედგება 434 ტაეპისგან. ზოგიერთ ტაეპში შეტანილია შინაარსობრივი ხასიათის ცვლილებაც. აი, ეს რედაქციულად განსხვავებული წანაკითხები (აქაც შედარებისთვის ვიყენებთ წინამდებარე გამოცემას):

- 10 ... წარსულსა დროებს მოიგონებდე თ...
- 25—26 ქართველთა ჯართა კრწანისის მინდვრად
დაებანაკათ სპარსთა საომრად...
- 58—59 მხდალო, განგამხნევს, მხნევ, განგაღვიძებს
და შენ, მიჯნურო, სულს შეგიშფოთებს...
- 66—68 სომხითის გმირნი ყაფლანისშვილნი
და მათ მომარცხნედ ბარათაშვილნი
განუმტკიცებდენ მკლავთა ქართველთა...
- 85—86 და ჟამთ მოწამე სადამე ძეგლი
არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა...
- 120—122 ჰსენა რა ირაკლიმ ესე სიმუსთღმ,
მოყმეთა თვისთა ეზდენ სიმდაბღმ,
მყისვე აღენთო სელმწიფე-გული...
- 127 და მოველინა ქართველთა ჯართა...
- 138 ჰოი ადგილნო, არაგვის პირნო...
- 159 კრიულესონის ართობს ქარვათა...
- 164—165 სადღა არიან აწ ესე კაცნი,
რომ არ გვალხენენ სულით მამაცნი...
- 182—183 აი, მის ნაცვლად მე რა მამაპყრეს
ჩემმა შვილებმა და ვინ ახარეს...
- 185—186 მაჰმად-ხანისა მოსისხლე სული
არ დაგვაწყენარებს ამაცობითა...



- 189—191 ოსმალის მხოლოდ დროს შემოქმედებს,
და მტერნი ძლიერ მაშინ მოგვატყდნენ,
როს ყმანი ჩემნი ერთმანეთსა კკვლენ...
- 194—199 შენი ირაკლი ის არღარა ვარ,
პატარა კახად რაც გინახვივარ,
მარტვი, რომელს შეილს ქსედავ დირსეულს,
რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს.
დმერთო, ამაზედ მეტთა სატანჯველთ
ნუღარ მოუვლენ საწყალთა ქართველთ!..
- 206 მას მინდა მისცე მეგვიდრეობა...
- 220—222 სახელმწიფოსა სჯულის ერთობა
არარას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს...
- 234—235 და მერმე ქართლი ვინც ვერ განაგოს.
მაშინ მან უწყის, რაც მოაგვაროს...
- 300 მინდა ვიხილო კვალად კახეთი...
- 324 მეფის გულის-თქმა ერსა ეკუთვნის...
- 331 მაშ, რამ უცვალა მას გული მყარი...
- 428—429 დიდი ხანია გულს ირაკლისა
გარდუწყვეტია ბედი ქართლისა.

მეორე რედაქცია უფრო სრულყოფილია შინაარსობლივად და მხატვრულად. ამასთან იგი ტაეპობრივი შედგენილობით ყველაზე ვრცელია. მაგრამ პოეტი არც ამ რედაქციაზე შეჩერებულა. მესამედ გადაამუშავებისას ზოგი წაკითხვა უარუყვია და მათი ახალი ვარიანტები მოუცია, ზოგან აღუდგენია პირველი რედაქციის წანაკითხები.

მესამე რედაქცია (A) ბექდურად გამოაქვეყნეს 1922 წელს ს. ფირცხალავამ⁴¹ და 1939 წელს ი. გრიშაშვილმა⁴². იგი უფრო დამუშავებულია, ვიდრე წინა ორი რედაქცია. პოეტს ტექსტიდან ამოუღია ტაეპები 101¹—101², 280¹, 308¹—308² და შეუცვლია ზოგიერთი ტაეპის პოეტური ფაქტურაც. ტექსტი გაუსწორებია სტილისტურად, დაუზუსტებია რითმები და ლექსისათვის საერთოდ არქაული მხატვრული სახე მიუცია. მესამე რედაქცია შედგება 429 ტაეპისაგან. მკითხველს რომ ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს, რა ცვლილებაა შეტანილი მეორისგან განსხვავებით მესამე რედაქციაში, შესწორებულ ტაეპებს აქვე მოვიყვანო⁴³:

- 10... წარსულსა დროებს მოიხსენებდე...
- 25—26 ბატონს თვის ჯარი კრწანისის მინდვრად
დაებანაკა სპარსთთან საომრად...

⁴¹ ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1922, გვ. 65—86.
⁴² ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1939, გვ. 47—59.
⁴³ უღრ. წინამდებარე გამოცემის ტექსტი (გვ. 67—81).



- 58—59 მხდალსა განამხნევს, მხნეს განადვიძებს
და მიჯნურსაცა სულს შეუშფოთებს...
- 66—68 თამაზ, ენისელთ მოურავის ძე,
და იოანე, კახთ აბაშიძე,
განუმტკიცებდენ მკლავთა ქართველთა...
- 85—86 და არსად ჟამთა მოწამე ძეგლი
არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა...
- 120—122 სენა რა ირაკლიმ ესე მუსთლობა,
მოყმეთა დვისთა ეზდენ დამცრობა,
მყისვე აღენთო ხელმწიფე-გული...
- 127 და მოველინა მსწრაფლ ქართველთა ჯართა...
- 138 ჰოი ნაპირნო, არაგვის პირნო...
- 159 გა-ცა-ართობდა ქარვის მარცვალთა...
- 165 რომ არ გვალხენენ თათბირნი მათნი...
- 182—183 აი. მის ნაცვლად რაი მომაპყრეს
მე ჩემთა ძეთა და ვინ ასარეს...
- 185—186 მაჰმად-ხანისა მოსისხლე გული
არ დაგვაწყნარებს სიამაყითა...
- 189—191 ოსმალი მხოლოდ დროსა უყურებს
და მტერნი ძლიერ მაშინ მოგვატყდენ,
როს ყმანი ჩემნი ურთიერთს ჰმძარვენ...
- 194—199 შენი ირაკლი ის აღარა ვარ,
პატარა კასად რომ გინახვივარ.
აბა, რომელს შეიღს ვხედავ დირსეულს,
რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს?
ჰოჲ ღმერთო, ღმერთო, ამაზედ მეტად
ნუღარ განსწირავ ქართველთა ტანჯვად...
- 206 მას, მსურს, რომ მიგცე მემკვიდრეობა...
- 220—222 სახელმწიფოსა ერთობა სჯულის
არარას არგებს, ოდეს მის შორის
თვისება ერთა სხვადასხვაობდეს...
- 234—235 და მერმე ვინც ვერ განაგოს ქართლი,
მაშინ მან უწყის, რაც ჰყოს კეთილი...
- 300 მინდა ვიხილო კიდევ კახეთი...
- 324 ერსა ეკუთვნის გულის-თქმა მეფის...
- 331 მაშ, რამ შეშფოთნა მას გული მყარი...
- 428—429 დიდი ხანია, რომ ბედი ქართლის
გარდაიწყვიტა გულმან ირაკლის.

კითხვა ისმის: რომელი ხელნაწერი შეიცავს უკანასკნელ რედაქციას:
A ავტოგრაფი თუ B ავტოგრაფი? ამ კითხვის გარკვევა აუცილებელი
წინაპირობაა იმისათვის, თუ რომელი ხელნაწერი უნდა დაედოს საფუძ-
ვლად პოემის კანონიკურ ტექსტს. ძველ რედაქტორ-გამომცემლებს არ
უცდიათ ამისი გარკვევა. მეტსაც ვიტყვით: ნ. ბარათაშვილის თხზულებ-
ბათა 1945 წლის საიუბილეო გამოცემის რედაქციამ ავტორიტეტული

მეცნიერის — კ. კეკელიძის ენით განაცხადა: პოემის „რომელ რედაქციას მიეცეს უბირატესობა, ავტოგრაფები ვერ გადაწყვეტენ, რადგანაც მათი უმცროს-უფროსობა არ ირკვევა“ (გვ. 167). ამიტომ ს. ფირცხალავასა და ი. გრიშაშვილის გარდაყველა რედაქტორი დაადგა იოლ გზას — ნარევი რედაქციის შემუშავებას.

1895, 1904, 1910, 1919 წლების გამოცემათა რედაქტორებმა მესამე რედაქცია შეავსეს მეორე რედაქციის ზედმეტი (101^1-101^2 , 280^1 , 308^1-308^2) ტაეპებით და A ავტოგრაფი ადგილ-ადგილ შეასწორეს BC ავტოგრაფების წანაკითხებით ასე:

1895 წლის გამოცემაში B-ს მიხედვით გაასწორეს 220—222 და 234—235 ტაეპები; 1904 წლის გამოცემაში — 25, 66—67, 220—222, 234—235 და 331 ტაეპები; 1910 წლის გამოცემაში — 58—59, 138, 220—222, 234—235, 331, 428—429 ტაეპები; 1919 წლის გამოცემაში — 127, 220—222, 234—235, 331 და 428—429 ტაეპები.

მეტი სითამამე გამოიჩინა 1930 წლის გამოცემის რედაქტორმა. მან პოემას საფუძვლად დაუდო B ავტოგრაფი (ე. ი. მეორე რედაქცია) და ზოგიერთი წაკითხვა მესამე რედაქციის მიხედვით გაასწორა. ამიტომაც მისი ტექსტი ყველა გამოცემაზე ვრცელია; შეიცავს 436 ტაეპს: B-ს ხუთ ტაეპს და 66—67-ე ტაეპების ორივე ვარიანტს. ამას გარდა A-ს წანაკითხები დატოვებულია 25—26-ე და 300-ე ტაეპებში.

უცნაური ვითარებაა 1945 წლის გამოცემაში. აქ პოემა ტაეპობრივი შედგენილობით მიჰყვება B ავტოგრაფს (ე. ი. ტექსტი შეიცავს 434 ტაეპს), წანაკითხებს კი საფუძვლად უდევს A ავტოგრაფი, რომელიც ხუთი ტაეპით ნაკლებს შეიცავს. ამასთან B-დან A-ში შეტანილია 189, 206, 220—222, 234—235, 331 და 428—429 ტაეპების წანაკითხები. აქვე ეხედვებით ერთ კურობულ ფაქტსაც. 66—68-ე ტაეპები პირველ და მესამე რედაქციებში იკითხება ასე (AEFGH):

თამაზ, ენისენთ მოურავისძე,
და იოანე, კახთ აბაშიძე,
განუმტკიცებდენ მკლავთა ქართველთა.

მეორე რედაქციაში (B) დატულია მათი სხვაგვარი წაკითხვა:

სომხითის გმირნი ყაფლანისშვილნი
და მათ მომარცხნედ ბარათაშვილნი
განუმტკიცებდენ მკლავთა ქართველთა.

თითქმის ანალოგიური სურათია 1968 წლის გამოცემაშიც.

რომელია მათგან მისაღები რედაქცია?

ამასთან დაკავშირებით, 1945 წლის გამოცემის სარედაქციო კოლეგია კ. კეკელიძის სიტყვებით აცხადებდა: „აზრის მიხედვით ერთიც შეიძლე-

ბა გამართლებულ იქნეს და მეორეც. მართლაც, მოულოდნელი არაა, რომ პოეტს აღენიშნოს ამ საბედისწერო ომში მამაცობრივი მონაწილეობა თავისი მეგვარეებისა და ახლო ნათესავებისა (ორბელიანი-ყაფლანიშვილები). მაგრამ უფრო მოსალოდნელია, რომ ნაწარმოებში, რომელიც საგანგებოდ კახელებისადმი მიმართული, განსაკუთრებით აღნიშნული ყოფილიყო კახთა გმირების მამაცობა. ამიტომ გამოცემაში მიღებულია პირველი ვარიანტი“ (გვ. 167—168). ეს ასეც არის: მასში შეტანილია A ავტოგრაფის წაკითხვა (გვ. 54), მაგრამ „მთავარი შეცდომების გასწორებაში“ ნათქვამია: „გვ. 54—67 ტაეების შემდეგ უნდა დაემატოს ორი ტაეპი: სომხითის გმირნი“ და ა. შ. მართლაც, შემდგომ გამოცემებში ეს ორი ტაეპი აღდგენილია. აღნიშნული გასწორებით კი უარყოფილია ის, რასაც 167—168-ე გვერდებზე იცავს სარედაქციო კოლეგია. ასეთი შეუსაბამობა, რაც გამოწვეულია სარედაქციო კოლეგიის აზრთა სხვადასხვაობით, მეცნიერულად გაუმართლებელია. ჩანს, გამომცემლებმა ვერ გაარკვიეს, თუ რომელი ტექსტია პოეტის საბოლოო ნება.

A და B ავტოგრაფთა წანაკითხების არჩევნისას რედაქტორები იჩინენ სუბიექტურობას. ხშირად ერთი და იგივე გამომცემელი ხან ერთ წაკითხვას ამჯობინებს და ხან მეორეს. არჩევნის საზომია ამრჩევის მხატვრული გემოვნება. მაგ., დ. კარიჭაშვილს 1910 წელს პოემა დაუბეჭდავს ამგვარი წანაკითხებით:

- 58 — 59 მხ და ლო, განგამხნევს, მხნევ, განგადვილებს
და შენ, მიჯნურო, სულს შევიშოთებს (B)
127 და მოველინა მსწრაფლ ქართველთ ჯართა (A).
138 ჰოი ადგილნო, არაგვის პირნო (B) —

ხოლო 1919 წელს ეს ტაეებები საპირისპირო ვარიანტებით შეუცვლია:

- 58 — 59 მხ და ლსა განამხნევს, მხნეს განადვილებს
და მიჯნურსაცა სულს შეუშოთებს (A).
127 და მოველინა ქართველთა ჯართა (B).
138 ჰოი ნაპირნო, არაგვის პირნო (A).

მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე 1930 და 1968 წლების გამოცემებშიც. პ. ინგოროყვამ 1930 წელს უპირატესობა მისცა ამგვარ წანაკითხებს:

- 10... წარსულსა დროებს მოიგონებდეთ (B).
25—26 ბატონს თვის ჯარი კრწანისის მინდვრად
დაებანაკა სპარსთთან საომრად (A).
131 და მოველინა ქართველთა ჯართა (B).
195 როს ყმანი ჩემნი ერთმანეთსა ჰკვლენ (B).
278 და დავიდუმებ მე ჩემს გულს-თქმას (B). —



- 10 ... წარსულსა დროებს მოიხსენებდეთ (A).
- 25—26 ქართულთა ჯართა კრწანისის მინდვრად დაებანაკათ სპარსთა საომრად (B).
- 131 და მოველინა მსწრაფლ ქართველთ ჯართა (A).
- 195 როს ყმანი ჩემნი ურთიერთს კბძარვენ (A).
- 278 და დავიდუმებ ჩემსა გულის-თქმას (A).

ასეთი მერყეობა დაუსშვებელია: უდავოა, აქ ტექსტის დადგენის პრინციპია დარღვეული და სათანადოდ არ არის შესწავლილი პოემის რედაქციები და მათი ურთიერთმიმართება.

* *

ზევით აღვნიშნეთ, რომ არსებობს პოემის სამი რედაქცია. ამათგან პირველი რომ მეორე-მესამე რედაქციებზე ადრინდელია, ეჭვს არ იწვევს. მაგრამ რაკი პ. ინგოროყვას მოსაზრებით B ავტოგრაფი შეიცავს პოემის ყველაზე გვიანდელ რედაქციას, ხოლო კ. კეკელიძის განცხადებით არ ირკვევა A და B ავტოგრაფების უმცროს-უფროსობა, საჭიროა დადგინდეს, რომელი რედაქციაა გვიანდელი — მეორე თუ მესამე? პასუხი ერთია: A ავტოგრაფი შეიცავს პოემის საბოლოო რედაქციას და კანონიკურ ტექსტად მისი წაკითხვები უნდა ვცნოთ. ეს ირკვევა შემდეგიდან:

1. მეორე რედაქციაში შესავლის მესამე სტროფი (9—12-ე ტაეპები) იკითხება ამგვარად:

როს თქვენებურად მამულის დენით გულს ახარებდეთ,
ხელთ ჯამის მპყრობნი წარსულსა დროებს მოიგონებდეთ
და მორიგისად სმიდეთ წინაპართ შესანდობარსა,
მოიგონებდეთ ყარიბს მგოსანსაც, თქვენდა მზობარსა (B).

პოეტს უგრძენია, რომ მას ამ სტროფში ორჯერ უხმარია სიტყვა „მოიგონებდეთ“. ამიტომ პირველი „მოიგონებდეთ“ შეუცვლია სინონიმური ცნებით „მოიხსენებდეთ“ (A). ეს ფაქტი უტყუარი მოწმობაა იმისა, რომ A ავტოგრაფი B-ს შემდეგაა გადაწერილი. მხატვრული სიტყვის ისეთი დიდოსტატი, როგორიც ნ. ბარათაშვილია, არავითარ შემთხვევაში სიტყვას „მოიხსენებდეთ“ არ შესცვლიდა ტავტოლოგიური ცნებით „მოიგონებდეთ“, რომ B ავტოგრაფი გადაწერილი იყოს A-ს შემდეგ.

2. როდესაც ერეკლე თბილისის ციხეში გამაგრდა, იმედოვნებდა, რომ მტერი საფარში მყოფ ქართველთ ვერაფერს დააკლებდა, მაგრამ



მოლაღატეებმა მტერს გზა ასწავლეს და ციხის კარებიც გაუხსნეს. ამასთან დაკავშირებით პოეტი წერს (120—122):

ჰსენა რა ირაკლიმ ესე სიმუხთოღე,
 მოყმეთა თვისთა ეზღენ სიმდაბღე,
 მყისვე აღენთო ხელმწიფე-გული... (B).

ვას ამ კონტექსტში სიტყვა „სიმდაბლე“ შეუსაბამოდ მიუჩნევია, ამიტომ იგი შეუცვლია სიტყვით „დამცრობა“ და ტაეპი გაუმართავს ამგვარად:

სენა რა ირაკლიმ ესე მუხთოღა,
 მოყმეთა თვისთა ეზღენ დამცრობა,
 მყისვე აღენთო ხელმწიფე-გული... (A).

აქ „დამცრობა“ უფრო ექსპრესიულია მოლაღატის დასახასიათებლად, ვიდრე „სიმდაბლე“, რომელსაც ამპარტავენების საპირისპირო მნიშვნელობა აქვს და არცთუ ისე სათაკილო ცნებაა.

3. ქართლის ბედით შეწუხებული ერეკლე სოლომონს გულისტკივილით შესჩივის, რომ აღარ არიან ღირსეული შვილები, რომელნიც კვერთხად ექმნებიან „მამულს დარღვეულს“, და მერმე ღმერთს მიმართავს (198—199):

ჰოა ღმერთო, ვმადლობ შენს სამართალსა!
 ჰგავს, ღირსად შევხვდი ამა სასჯელსა (EFG).

პოეტს არ მოსწონებია ღვთაებისადმი ერეკლეს მონური მორჩილება და ტექსტი ვედრებით შეუცვლია:

ღმერთო, ამაზედ მეტთა სატანჯველთ
 ნუღარ მოუვლენ საწყალთა ქართველთ... (B).

ვას არც ეს რედაქცია მოსწონებია (ქართველთა აღიარება საწყალად, საჩოთიროდ მიუჩნევია) და სიტყვა „საწყალთა“ მთლიანად ამოუღია:

ჰოა ღმერთო, ღმერთო, ამაზედ მეტად
 ნუღარ განსწირავ ქართველთა ტანჯვად!... (A).

აქ უკვე ტაეპებს საბოლოო სახე და ძლიერი აღქმითი ძალა აქვთ მიღებული, ვიდრე პირველი და მეორე რედაქციების შესატყვის სტრიქონებს.

4. პოეტი ერეკლე მეფისა და სოლომონ მსაჯულის დიალოგს ამთავრებს ამგვარად (278—280).

ახე ირაკლი და მის მსაჯული
 მამულისათვის გულმტკივნეული
 ქართლისა ბედსა განსამართლებდენ (EFGH).

მეორე რედაქციაში მას ამ ტექსტისათვის წაუმატებია ახალი ტაეპი (230). „ხოლო ქართველნი მამულს ჰგლოვობდენ“ (B) — მაგრამ საბოლოოდ პირველი რედაქციის ტექსტი მიუღია, ე. ი. A-ში 280¹-ე ტაეპი ამოუღია. კითხვა ისმის: რატომ მოიქცა ასე ავტორი? — იმიტომ, რომ ეს ტაეპი უპირისპირდება ტექსტის შინაარსს და მხატვრულ მხარეს. მეორე რედაქციაში ერეკლე და სოლომონი დაპირისპირებული არიან ქართველებთან: გამოდის, რომ ქართველები მამულს გლოვობდნენ, ერეკლე და სოლომონი კი იყვნენ არაქართველები და ქართველთა მოქმედებას სჯიდნენ. თუ სიტყვა „ქართველი“ ქართლელს ნიშნავს და პოეტი მათ უპირისპირებს კახელებს, რა აზრი აქვს ასეთ დაპირისპირებას? ქართლელები თუ გლოვობდნენ აოხრებული მამულისთვის, კახელები ვანა გულხელდაკრეფილი შესცქეროდნენ მათ? ვანა აოხრებული თბილისი არ იყო პატარა კახის სამეფო რეზიდენცია?!..

ამ ლოგიკურ შეუხსაბამობასთან ერთად B ავტოგრაფში შეინიშნება სიტყვათა გამეორებაც: „მამულისათვის გულმტკიცენული“ და „მამულს ჰგლოვობდენ“, რაც სტროფს მხატვრულ სილაზათეს უკარგავს. ყოველივე ეს კარგად უგრძენია ნ. ბარათაშვილს და ამიტომაც უარუყვია ტაეპი — „ხოლო ქართველნი მამულს ჰგლოვობდენ“.

5. დილით მეფე და მსაჯული გაიყარნენ. ერეკლე კახეთში გაემგზავრა, სოლომონი კი ქსნის ხეობისკენ გაემშურა. პოეტი ასე აღწერს (305—308):

დილაზე ადრე მოვალს მსაჯული
ქსნის ხეობაში დაფიქრებული;
ვიდრემდის იყო შიშინაობა,
მას აქ ესახლა თავის სახლობა.

მერმე B ავტოგრაფში იკითხება:

და მომავალმან აწ ქალაქისკენ
გამოიარა თავის სახლისკენ.

1945 წლის გამოცემის რედაქცია იუწყებოდა: „ქსნის ხეობაში მომავალი მსაჯულისათვის, რომლის ოჯახობა აქ ესახლა, ბუნებრივი იყო გამოყარა თავის სახლში. ეს გამოვლა აუცილებელიცაა, რადგანაც პოეტმა მსაჯული უნდა შეახვედროს თავის ცოლს სოფიოს და გააჩაღოს მათ შორის ცნობილი დიალოგი. ამ მოსაზრებით წინამდებარე გამოცემაში შემოტანილია ეს ტაეპები, მით უმეტეს, რომ მათ ადგილი აქვთ ექვს ხელნაწერში, რომელთაგან ერთი ავტოგრაფია“ (გვ. 168). სოლომონი რომ ცოლს უნდა შეხვდეს, 308¹—308² ტაეპების გარეშეც ვასაგებია: მსაჯული დაფიქრებული მოდის ქსნის ხეობაში, სადაც შიშინაობის გამო „ეს ა-

ხ ლ ა თ ა ვ ი ს ს ა ხ ლ ო ბ ა“. იგულისხმება, რომ იგი უმკველად შე-
ივლის თავის სახლში ცოლის სანახაუად, რაკი ქსნის ხეობაში იმყოფება.
მას არსაით ეჩქარება. აკი ასეც მოხდა. ფიქრში გართული სოლომონი
თავის სახლს მიადგა (337—340):

ამ ფიქრში იყო მსაჯული, ოდეს
მოადგა თავის სახლისა არეს.
წინ მოეგება მას თავის ცოლი,
სათნო სოფიო, სულისა ტოლი.

ამის შემდეგ რაღა საჭიროა 308¹—308² ტაეპები?

6. ერეკლე მეფე ერთგან სოლომონს ეუბნება (273—274):

აი, მივიღებ მე შენთ რჩევათა
და დავიდუმებ მე ჩემს გულის თქმას (BC).

პოეტს შეუნიშნავს, რომ ამ ტაეპებში გამეორებულია ნაცვალსახე-
ლი „მე“. მესამე რედაქციაში 274-ე ტაეპი შეუცვლია ამგვარად: „და
დავიდუმებ ჩემსა გულის-თქმას“ (A).

7. დასასრულ, ერთი ენობრივი ლაფსუსი. პოემის ბოლოს (416—
417 ტაეპებში) პოეტი ამბობს:

აღივსო კვალად ერთი თ ტფილისი,
რა მობრძანება ჰსცნეს ირაკლისი (B).

აქ დარღვეულია ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება რიცხვში:
„ერთით... ჰსცნეს.“ უნდა იყოს: „ერთმან... სცნა“. ასეა გასწორებული
A ავტოგრაფში. ამ გასწორების შემდეგ პოეტი კვლავ უსწორო ფორმას
აღარ იხმარდა, რომ B გადაწერილი იყოს A-ს შემდეგ.

ყოველივე ამის საფუძველზე უნდა დავასკვნათ:

ა. A ავტოგრაფში შენახულია პოემის უკანასკნელი (მესამე) რედაქ-
ცია. ბ. კანონიკური ტექსტისათვის უპირატესობა მხოლოდ A ხელნაწერს
უნდა მიენიჭოს. გ. B ავტოგრაფი წარმოადგენს პოემის მეორე რედაქ-
ციას, რომლის სხვაობა ვარიანტებში უნდა აღინიშნოს.

„ბედი ქართლისას“ ტექსტის ისტორია არის ბრწყინვალე დადასტუ-
რება, თუ ნ. ბარათაშვილი როგორი გულისყურით მუშაობდა სიტყვაზე
და როგორი მონდომებით ცდილობდა აზრის (შინაარსის) მაღალმხატვ-
რული ფორმით გამოხატვას. ეს ისტორია ააშკარავებს ბიოგრაფიული
ცნობების სინამდვილესაც, რომ პოეტს „ბედი ქართლისა“ რამდენჯერმე
დაუწერია და დიდხანს უფიქრია მის სრულყოფილ დამუშავებაზე.



6. ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა თვრამეტ წერილს შეიცავს. ამთვან რვა (I, II, IV, V, VI, VIII, XI და XVIII) წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანი, ერთისა (III) — მიხეილ თუმანიშვილი, სამისა (IX, X და XII) — ზაქარია ორბელიანი, ოთხისა (VII, XIII, XIV და XV) — მაიკო ორბელიანი და ორისაც (XVI—XVII) — ბაბალე და ალექსანდრე საგინაშვილები. ეს წერილები დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში, ლიტერატურულ მუზეუმსა და ცენტრალურ არქივში. მათი ნომრები და აღწერილობა ასეთია:

1. ავტორაფები V, VI, VIII და XVIII წერილებისა დაცულია საქართველოს სახელმწიფო ცენტრარქივის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში (ფონდი 1446, № 736), ძველად ინახებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა ფონდში (საქმე № 9264)⁴⁶. ყდა იხსნება დ. კარიჭაშვილის მიერ შედგენილი სიით:

„1. ბარათაშვილის ლექსები, პ. უმიკაშვილის გადაწერილი 95 გვერდზე და პირველ ფურცელზედ უმიკაშვილის შენიშვნებით. სულ 96 პირია ოცდარვა ფურცელზედ, წიგნად არის შეკრული.

2. ბარათაშვილის წერილი გრიგოლ ორბელიანთან მაისის 28, 1841 წ. ტფილისითვან (ორი ფურცელია ფოშტის პატარა თაბახზე).

3. მასთანვე ოქტომბრის 18, 1841 წ. ტფილისით (დიდი ფოშტის თაბახის ორი ფურცელი).

4. მასთანვე მაისის 2-ს, 1842 წ. (ორი ფურცელია ფოშტის თაბახი).

5. მასთანვე 21 августа 1843, Тифлис (ფოშტის დიდი თაბახის ორ ფურცელზე).

6. ნახევარი თაბახი დიდი ფოშტის ქალაღდისა, ერთი ფურცელი, წერილის ბოლოა ლექსით «საფლავი ივერიისა», გრიგოლ ორბელიანთან მიწერილია.

7. ბარათაშვილის წერილი ზაქარია ორბელიანთან რუსულად, პატარა ფოშტის ქალაღდზედ; 1844 წ. აპრილის 15, ტფილისით.

8. მასთანვე, რუსულად და ქართულად ფოშტის პატარა ქალაღდზე, ორ ფურცელზე. 1844, მაისის 10, ტფილისით (ყვითელ ქალაღდზე).

9. წერილი მასთანვე ფოშტის პატარა თაბახზედ, ორ ფურცელზე ქართულად (უნდა იყოს აგვისტოს 1844 წლისა).

10. წერილი ბარათაშვილისა მიხეილ თუმანიშვილთან რუსულად 6 августа, 1838 г. Тифлиса, კობიაა გადაწერილი, ნამღვილი აქვს გიორგი თუმანიშვილს (მიხეილ ბირთველიჩის შვილს). ჩემი ნაწერი კობიაა, საწერ ქალაღდის ნახევარ თაბახზე, სამ პირზეა.

11. წერილი ლევან მელიქიშვილისა გრიგოლ ორბელიანთან ბარათაშვილის სიკვდილზე ფოშტის დიდ თაბახზე, ორივე ფურცელზე რუსულად, 19 января, 1846 года, г. Тифлис.

ამ სიის მიხედვით, ამჟამად ნ. ბარათაშვილის ლექსების უმიკაშვილისეული კრებული გამოყოფალია ცალკე ერთეულად (ვა ფ. 1446, № 820), წერილები (2, 7, 8, 9) გრიგოლ და ზაქარია ორბელიანებისადმი დაცულია

⁴⁶ შ. ჩხეტიია, ნიკოლოზ ბარათაშვილი, I, 1945, გვ. 65—66.

საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში (მათი აღწერილობა იხ. ქვემოთ),
ლ. მელიქიშვილის წერილი კი — ხელნაწერთა ინსტიტუტში, გრ. ორბელიანის
არქივში № 124. სხვა დანარჩენი ავტოგრაფები ინახება საქმეში. ესენია:

ა. წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი „წელსა 1841, ოკტომბრის
18-სა, ქ. ტფილისით“, ავტოგრაფი (2 ფ. 22×17 სმ, ფ. 3რ—4რ).

ბ. მასვე „მაისის 2-სა დღესა, 1842 წელსა“, ავტოგრაფი (2 ფ. 22×17,5
სმ, ფ. 5რ—5ვ)⁴⁷.

დედანი ნასწორებია პოეტის მიერ. ერთგან წერებულა: „Он теперь
предметом всеобщих толков и рассказов“, აქედან უკანასკნელი სამი
სიტყვა წაშლილი და გასწორებულია არსებული წაკითხვით. ამას გარდა,
იქვე ფრაზის — „თვარემ იმას ამ ტყვეობით არა უშავს რა“ — ს შემდეგ ჯვა-
რედინი ხაზებით საგულდაგულოდაა წაშლილი ოთხი სტრიქონი. პირველნაბეჭ-
დასა და ყველა გამოცემაში წაშლილი სტრიქონები წყვეტილია ხაზებითაა
დაბეჭდილი. პ. ინგოროყვა ფიქრობს, რომ აქ ცენზორის მიერ უნდა იყოს
ამოღებული რაღაც პოლიტიკურად მიუღებელი ტექსტი (ნ. ბარათაშვილი,
თხზულებანი, 1968, გვ. 177 და 244—247), მაგრამ ეს მოსაზრება არ მარ-
თლდება. სიტყვები ავტოგრაფშივეა წაშლილი თვით პოეტის მიერ წერის
დროს. წაშლილი ტექსტი ნაწილობრივ იკითხება (იხ. აქვე, გვ. 116).

გ. მასვე „21 августа, 1843, Тифлис“, ავტოგრაფი (2 ფ. 25×19,5
სმ, ფ. 7რ—8ვ).

დ. მასვე წერილის ფრაგმენტი ლექსით „საფლავი მეფის ირაკლისა“,
ავტოგრაფი (1 ფ. 21×19 სმ, ფ. 9რ—ვ). დაწერილია 1842 წელს.

აქვეა დაცული: 1. ნ. ბარათაშვილის წერილი მიხეილ თუმანიშვილი-
სადმი „6-го августа, 1838, г. Тифлис“, ორი ასლი — ერთი გადაწე-
რილია დ. კარიჭაშვილის მიერ (ფ. 10რ—11ვ), მეორე — პ. უმიკაშვილის
მიერ (12რ—13რ). 2. ილია ორბელიანის წერილი გრ. ორბელიანისადმი
„1845 წელსა, ნოემბრის 29-ს დღესა, ტფილისი“, ავტოგრაფი (14რ—
15ვ)⁴⁸ და ასლი (16რ—ვ), 3. პოეტის დედის ეფემიას წერილი გრ. ორბე-
ლიანისადმი, ავტოგრაფი (18რ—19ვ) და ასლი (20რ—ვ), 4. მელიტონ
ბარათაშვილის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი „წელსა 1837-სა,
მარტის 1-სა, ქ. ტფილისით“, დაწერილი ნ. ბარათაშვილის ხელით (21რ)⁴⁹
და ეფემიას წერილი გრ. ორბელიანისადმი, ავტოგრაფი (21ვ) და ასლე-
ბი (23რ—ვ).

აღწერილი ავტოგრაფები ხელთ ჰქონდათ ე. თაყაიშვილსა და დ. კა-

⁴⁷ პირველი გვერდის ფაქსიმილე დაბეჭდილია შ. ჩხეტიას დასახელებულ წიგნში,
გვ. 387.

⁴⁸ გამოაქვეყნა ი. ბალახაშვილმა 1938 წელს („მნათობი“, № 12, გვ. 161—170).

⁴⁹ ამ წერილის ფაქსიმილე დაბეჭდილია შ. ჩხეტიას დასახელებულ წიგნში, გვ. 377.

რიკაშვილს 1895 წელს, როდესაც ისინი ნ. ბარათაშვილის თხზულებებით გამოცემას ამზადებდნენ, მაგრამ მერმე დაიკარგა. ისინი 1945 წელს გამოავლინა შ. ჩხეტიამ. მათი შემცველი ტექსტები 1922, 1939, 1945 და 1968 წლების გამოცემებში დაბეჭდილია პ. უმიკაშვილის მიერ გადაწერილი პირების მიხედვით (S 4911). პ. ინგოროყვა ამ ავტოგრაფებს დაკარგულად თვლის.

2. პოეტ-აკადემიკოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია იმ ოთხი (IV, IX, X და XII) წერილის ავტოგრაფები, რომლებიც დასახელებული აქვს დ. კარიკაშვილს ზემოთ დამოწმებულ სიაში. ესენია:

ე. წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი „წელსა 1841-სა, მაისის 28-სა დღესა, ქ. ტფილისი“ (№ 16399, 2 ფ. 21,5×12,5).

ვ. წერილი ზაქარია ორბელიანისადმი „წელსა 1844-სა, აპრილსა 15-სა, ქ. ტფილისით“ (№ 16400, ფ. 2, 20×13 სმ).

ზ. მასვე „წელსა 1844-სა, მაისის 10-სა, ქ. ტფილისით“ (№ 16401, 2 ფ. 21,5×13 სმ).

ც. მასვე უთარიღო წერილი, რომელიც დაწერილი უნდა იყოს 1844 წლის სექტემბრის დასაწყისში (№ 16402, 2 ფ. 21,5×13,5 სმ). პოეტი ახალი შთაბეჭდილებით მოუთხრობს ზაქარიას კატოს გათხოვების ამბავს, რომელიც მოხდა იმავე წლის აგვისტოში, პეტრე-პავლობას.

ეს ოთხივე წერილი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, 1945 წელს აღმოაჩინა ქუთაისში კ. მეძველიამ (იხ. აქვე, გვ. 152). 1968 წლის 12 თებერვალს მკვლევარმა წერილობით მაცნობა შემდეგი:

„ამ საუკუნის 30-იან წლებში ქუთაისში ცხოვრობდა ცნობილი პედაგოგი, ლათინური ენის მასწავლებელი მიხეილ ჩინჩალაძე. მის ოჯახში, გაზ. «ცნობის ფურცელის» აკინძულ ნომრებში იყო ჩადებული ეს წერილები. შემდეგ მისი ვაჟისაგან — მიხეილ მიხეილის ძე ჩინჩალაძისაგან (რომელსაც უსწავლია ლენინგრადის უნივერსიტეტში ნ. მართან) შევიძინე. რაკი ეს დედნები იყო, შევადარე დაბეჭდილ ტექსტს და კომენტარებით დავბეჭდე 1945 წლის 23-ე ნომერ «ლიტერატურა და ხელოვნებაში». ამის შემდეგ როგორც ძვირფასი უნიკალური დოკუმენტი გადავეცი ლიტერატურულ მუზეუმს, რომლის დირექტორი იყო მაშინ დიდი ქართველი პოეტი გიორგი ლეონიძე. ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარულით შემხვდა ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტების წარდგენისათვის“⁵⁰.

ეს წერილები აღწერილია ჩემ მიერ 1949 წელს⁵¹.

3. ავტოგრაფები III, VII, XIII, XIV და XV წერილებისა დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში S 2484 N-ით. სულ 9 ფურცელია; სხვა-

⁵⁰ ვ. მეძველიას წერილი იხსება ჩემთან.

⁵¹ ლიტერატურის მატთან, წიგ. V, ნაკვ. II, 1949, გვ. 74.

დასხვა ზომისა და ფერის ქაღალდები ერთადაა შეკინძული კოლენკორა-
გადაკრულ მუყაოს ყდაში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოე-
ბას შესწირა III წერილი ვ. თუმანიშვილმა, დანარჩენი ოთხი კი — ელი-
საბედ გრიგოლის ასულმა საგინაშვილმა (ილია ქავჭავაძის დამ) (1r). ყდა-
ში ინახება:

თ. წერილი მაიკო ორბელიანისადმი „წელსა 1842-სა, ოქტომბრის
31-სა, ქ. ტფილისით“ (10r—11v).

ი. მასვე „9-სა თებერვალს, 1845, ქ. ნახევეანი“ (12r—13v). ამ
წერილის თარიღზე იხ. ჩემს წიგნში „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტე-
რატურული მემკვიდრეობა“ (1968, გვ. 87—90).

ია. მასვე „10-სა აგვისტოს, 1845, მურუტს“ (14r—v).

იბ. მასვე უთარიღო წერილი (მოცისფრო ქაღალდი, ფ. 15r—v).
პირველად დაიბეჭდა „კრებულში“ (1873, № 1). ამ პირველნაბეჭდს
მიწერილი აქვს მცდარი თარიღი: „9-ს დეკემბერს 1845 წ.“. პოეტის
თხზულებათა მესამე (1886 წ.) და მეოთხე (1890 წ.) გამოცემებშიც იგი
ამავე არასწორი თარიღით გამოქვეყნდა. შეცდომა გაასწორეს 1895 წელს,
როდესაც ნ. ბარათაშვილის თხზულებათა კრებული დაიბეჭდა ე. თაყაი-
შვილისა და დ. კარიჭაშვილის რედაქციით. გამოცემის შენიშვნებში ნათ-
ქვამია: ეს წერილი უთარიღოა, მაგრამ „იგი როგორც ჩანს შინაარსით-
გან, დაწერილია ნახევეანში 1845 წ. 9 თებერვლის შემდეგ პოეტის ტფი-
ლისის დაბრუნებამდე“ (გვ. 120). ესვე შენიშვნა იკითხება 1910 წლის გა-
მოცემაშიც (გვ. XIV). საყურადღებოა, რომ საბჭოთა პერიოდის სამი
დიდი გამოცემის რედაქტორ-კომენტატორები (ს. ფირცხალავა და ა.
გაწერელია) იზიარებენ ამ ბარათის კარიჭაშვილისეულ დათარიღებას
(1922, გვ. 164; 1939, გვ. 107; 1945, გვ. 114).

იგ. წერილი მიხეილ თუმანიშვილისადმი „6 августа 1838, г. Тиф-
лис“ (17r—v).

ამ ავტოგრაფებთან დაცული ყოფილა ლევან მელიქიშვილის წერი-
ლი გრ. ორბელიანისადმი, დათარიღებული 1846 წლის 19 იანვრით,
მაგრამ ახლა იგი გადატანილია გრიგოლ ორბელიანის პირად საარქივო
ფონდში (№ 124).

4. იმავე ინსტიტუტის Q ფონდში 419 N-ით დაცულია ორი ავტო-
გრაფი XVI—XVII წერილებისა, რომლებიც ადრე ინახებოდა A ფონდ-
ში 1718 N-ით ილია ქავჭავაძის მიმოწერასთან ერთად. წერილების
აღმომჩენი — გრ. აბაშიძე სამართლიანად ფიქრობს, რომ რაკი „ილიას
და საგინაშვილის მეუღლე იყო, ამიტომ საფიქრებელია წერილი საგინა-
შვილების ოჯახიდან გადაეცა ილიას, რომლის პირად არქივშიაც იგი
დღეს ინახება“⁵². წერილები დაწერილია მხატვრულ არშიან ქაღალდზე

⁵² გრ. აბაშიძე, ნ. ბარათაშვილის ახლად აღმოჩენილი წერილები, ლიტერატუ-
რული საქართველო, 1937, № 3.

(2 ფ. 20×12 სმ); პირველს უჭირავს სამი გვერდი, მეორეს — მეოთხე გვერდი.

იდ. წერილი ბაბალე საგინაშვილისადმი „23 აგვისტოს, მურუტი“ (1r—2r).

იე. წერილი ალექსანდრე საგინაშვილისადმი იმავე 23 აგვისტოს (2v).

პოეტი 1845 წლის 21 ივნისიდან სიკვდილამდე იმყოფებოდა განჯასა და მურუთში. რაკი ეს ორივე წერილი დაწერილია 23 აგვისტოს მურუთში, ცხადია, მათი თარიღია 1845 წლის 23 აგვისტო.

5. საქართველოს ცენტრარქივის განსაკუთრებულ საქმეთა ფონდში (№ 171, 85r) 1832 წლის შეთქმულთა მასალებს შორის 1935 წელს ა. გაწერელიამ აღმოაჩინა ნ. ბარათაშვილის რუსულად დაწერილი წერილი გრ. ორბელიანისადმი⁵³. ავტოგრაფი შეიცავს 2 ფურცელს; ტექსტი დაწერილია პირველ გვერდზე, მეორე-მესამე ცარიელია, მეოთხეზე აწერია მისამართი.

ივ. წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი, დაწერილი 1831 წლის 3 სექტემბერს (ფ. 79—80).

ბარათს თარიღი არა აქვს. დაწერის დრო ირკვევა მელიტონ ბარათაშვილის წერილიდან, რომელიც დათარიღებულია 1831 წლის 3 სექტემბრით (ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, I, გვ. 545—548).

6. ავტოგრაფები II და XI წერილებისა დაკარგულია. ქვეყნდება პირველნაბეჭდის მიხედვით („დროება“, 1885, № 114).

იზ. წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი, „ტფილისი. გარეთუბანი, 1837-სა წელსა, თებერვლის“...

იძ. მასვე „წელსა 1844, მაისის 23-სა, ქ. ტფილისით“.

7. ამ ძირითად დედნებს გარდა ხელნაწერთა ინსტიტუტში S 4911 N-ით დაცულია პ. უმიკაშვილის მიერ გადაწერილი ასლები წერილებისა: IV (ფ. 16r—v), V (ფ. 17r—18r), VI (ფ. 18v—19v), VIII (ფ. 20r—22v), IX (ფ. 27r—28r), X (28r—v), XII (ფ. 25r—26r), XVIII (ფ. 24). მათ უძღვის სათაური: „სალიტერატურო ისტორიის მასალა. ბარათაშვილის წიგნები“. ხელნაწერს ატყვია სტამბის ლაქები. ორ ადგილას მიწერილია: „პირველი კორექტურა მაჩვენე“ (26r, 34r). ჩანს, ასლები დამზადებულია პუბლიკაციის მიზნით, ოღონდ სხვადასხვა დროს: IV, V, VI, VII და XVIII წერილებისა — 1873 წლის თებერვალ-მარტში (მათს დაბეჭდვამდე), ხოლო IX, X და XII წერილებისა თარგმანებით 1893 წლის დასაწყისში.

წლების განმავლობაში, როდესაც ამ წერილების დედნების ადგილ-

⁵³ ლიტ. მემკვიდრეობა, I, 1935, გვ. 630—633.

სამყოფელი არ იყო ცნობილი, მათი ტექსტები ქვეყნდებოდა პ. უმიკაშვილის გადანაწერი პირების მიხედვით⁵⁴, მაგრამ ახლა მათ მხოლოდ ბიბლიოგრაფიული მნიშვნელობადაა შერჩათ, რადგანაც ყველა მითითებული წერილის დედნები უკვე აღმოჩენილია და, ცხადია, ნ. ბარათაშვილის თხზულებათა პუბლიკაციის დროს ამ უკანასკნელთ მივანიჭეთ უპირატესობა. სამაგიეროდ, ფრიალ მნიშვნელოვანია პ. უმიკაშვილის შენიშვნები, რომლებიც დართული აქვთ წერილების პირებს. მაგ., XVIII წერილში ჩართულია ძვირფასი ცნობა ნ. ბარათაშვილის ლექსების პირველნაბეჭდთა წყაროების შესახებ. ასევე საყურადღებოა კომენტარები წერილებში მოხსენიებულ ისტორიულ პირთა და გეოგრაფიულ სახელთათვის და სხვა. ერთი კომენტარი („სენატორს გიორგი ერისთავს ქართლში გიორგი კნიაზს ანუ უფრო შემოკლებით «კნიაზს» უწოდებდნენ. მისი ასული ქეთევანი მამუკა ორბელიანის მეუღლე“), რომელიც ერთვის XII წერილის ფრაზას „კნიაზი ძალიან კარგად დაგვიხვდა“ (25v), 1945 წლის გამოცემაში შეცდომით მიეწერება ნ. ბარათაშვილს (გვ. 90), მაშინ როდესაც ხელნაწერსა და ნაბეჭდ გამოცემაში აღნიშნულია, რომ იგი პ. უმიკაშვილს ეკუთვნის.

კომენტარები მოკლეა, მაგრამ საყურადღებოა, რამდენადაც მათში თავმოყრილი ცნობები სწორი და სანდოა. პ. უმიკაშვილი ცდილობდა ბუნდოვან საკითხთა გარკვევას. მაგ., XVIII წერილის თაობაზე იგი შენიშნავს: „ეს ცალ ფურცელზე იყო ნაწერი. წელიწადი არა არის დანიშნული (უნდა ვიკითხო გრიგ. ორბელიანთან)“. ასეთი მინაწერის შემდეგ გასაგები უნდა იყოს, რომ პ. უმიკაშვილი საკომენტარო ცნობებს ჰკრეფდა ნ. ბარათაშვილის მეგობარ-ნათესავებისაგან.

V. თ ა რ გ მ ა ნ ე მ ბ ი

ნ. ბარათაშვილს კალამი მთარგმნელობითს ლიტერატურაშიც უცდია. მთარგმნელობა მას დაუწყია გიმნაზიის სკამიდან, როდესაც იგი ხელნაწერი ჟურნალის „თბილისის გიმნაზიის ყვავილის“ თანამშრომელი გამხდარა. ამ ჟურნალის მიზანდასახულებას შეადგენდა „развить умственные способности учащихся“. ამიტომაც გამოცემაში მონაწილეობას იღებდნენ სამწერლო ნიჭით დაჯილდოებული მოწაფეები, რომელთა შორის თავი გამოუჩენია ნ. ბარათაშვილს. პოეტი ვარჯიშობდა რუსუ-

⁵⁴ ნ. ბარათაშვილის თხზულებანი, 1922, გვ. 157, 158, 159, 161, 162, 163, 165; 1939, გვ. 99, 100, 104—105, 107, 109; 1945, გვ. 107, 109, 111 (ამ გამოცემაში პ. უმიკაშვილის გადანაწერი პირები აღნიშნულია K ლიტერით). იხ. აგრეთვე პ. ინგოროყვას „შენიშვნა ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილების დედანთა შესახებ“ (ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1968, გვ. 283—284).

ლიდან ქართულად და ქართულიდან რუსულზე თარგმნაში. ამ საქმეში იგი ისე გაწაფულა, რომ 1841 წელს რუსულიდან გადმოუქართულებია გერმანელი მწერლის იოჰან ლაიხევიცის (1752—1806 წწ.) დრამა „იულიუს ტარენტელი“, რომელიც დაბეჭდილა „Библиотека для чтения“-ს 43-ე ტომში (გვ. 1—66). პოეტი 1841 წლის 28 მაისს გრიგოლ ორბელიანს სწერდა: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვნა: ყიფიანმა გადმოთარგმნა *Ромео и Джульетта* — შექსპირის ტრადედია, და მე ვთარგმნე *Юлий Тарентский* — ტრადედია ლეიხევიცისა. თუ წაგიკითხავს, ბიბლიოტეკაში იყო დაბეჭდილი. მე ძალიან მომეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე გასინჯე, იტირეს“. ეს თარგმანი დაკარგულია, რის გამოც მის ღირსებაზე არაფრის თქმა არ შეგვიძლია⁵⁵. სამაგიეროდ, ჩვენს სიძველეთსაცავებს შეუნახავს ნ. ბარათაშვილის ორი ყრმობისდროინდელი თარგმანი: „შესხმა აგრიკოლასი“ და „Плач Шахро по Виси“. პირველი თარგმნილია რუსულიდან, მეორე — ქართულიდან. განვიხილოთ ორივე ცალ-ცალკე:

1. „შესხმა აგრიკოლასი“ დაცულია ავტოგრაფის სახით აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის *Н ფონდში*, № 3157 (1 ფ. 22×13,5 სმ). ხელნაწერი შავი ეგზემპლარია (ნაწორებია აქაიქ); აქვს ვრცელი სათაური „შესხმა აგრიკოლასი სპასპეტისა რომაელთაჲსა მხედართადმი თვისთა უწინარეს ომისა ბრიტანთა თანა“, რომლის ქვეშ ზ. ჭიჭინაძის მიერ მიწერილია: „ნ. ბარათაშვილის ნაწერი დამრჩა ლ. ისარლოვისაგან. მოწაფეობის დროს დაუწერია და სხვაც ამგვარნი მრავლად. ზ. ჭ.“⁵⁶.

ქართული თარგმანი წარმოადგენს ფრაგმენტს რომაელი ისტორიკოსის ტაციტუსის თხზულებისას „ცხოვრება აგრიკოლასი“; შეიცავს ცნობილი მხედართმთავრის აგრიკოლას (37—93 წწ.) მიერ მხედართა წინაშე წარმოთქმულ სიტყვას. აგრიკოლა დიდი ორატორობით ამხნეევს ლაშქარს ბრძოლის წინ და მხედრებს მოუწოდებს თავდადებული ბრძოლისაკენ. ტექსტი თარგმნილია რუსულიდან⁵⁷.

ნ. ბარათაშვილის დროს „აგრიკოლას ცხოვრება“ რუსულად უკვე თარგმნილი იყო და ცალკე წიგნადაც გამოცემული, იგი ჯერ ფრანგულიდან უთარგმნია ივანე გორინს⁵⁸, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ — ლა-

⁵⁵ შდრ. გორგინაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი და იოჰან ლაიხევიცი, ნ. ბარათაშვილის თხზულებათა კრებული, 1939, გვ. 161—168.

⁵⁶ *Н ფონდის* „ხელნაწერთა აღწერილობა“, VI, გვ. 438. ე. მეტრეველს აღნიშნული აქვს, რომ ეს ხელნაწერი არის ავტოგრაფი.

⁵⁷ შდრ.: *Сочинения К. Тацита*, пер. В. И. Модестова, I, 1886, გვ. 27—28. *К. Тацит, соч.* I, 1969, გვ. 344—345.

⁵⁸ *Тацит, Жизнь Агриколы*, пер. с франц. Ивана Горина, М., 1798.

თინურიდან თევდორე პოსპელოვს⁵⁹. რუსულად არსებული „Речь Гал-
кала к Британцам перед сражением, которое они намерены были
дать Римлянам под предводительством Агриколы“,⁶⁰ რომელიც ამო-
ღებულა ტაციტუსის დასახელებული თხზულებიდან⁶¹. უნდა ვიფიქროთ,
რომ აგრიკოლას სიტყვაც, რომელიც ნ. ბარათაშვილს უთარგმნია რუსუ-
ლიდან, პალკალას სიტყვის მსგავსად, ალბათ, ცალკე იყო დაბეჭდილი.
ყოველ შემთხვევაში „შესხმა“ პოეტს შეეძლო წაეკითხა „აგრიკოლას
ცხოვრების“ ზემოთ დასახელებულ ორ თარგმანში.

2. „Плач Шахро по Виси“ დატულია ხელნაწერად იმავე ინსტიტუ-
ტის ხელნაწერთა ფონდში — მიხეილ თუმანიშვილის არქივში 34 N-ით
(ძველი № 572). ეს ხელნაწერი შეიცავს ჟურნალს „Цветок Тифлисской
гимназии“ (№ 2, 1836 წლისა). თარგმანი მოთავსებულია „საზღვარგა-
რეთული ლიტერატურის“ განყოფილებაში (ფ. 34r—36r). ტექსტი წარ-
მოადგენს ქართული „ვისრამიანის“ 36-ე თავის შემოკლებულ თარგმანს,
რომელიც წყდება სიტყვებით: „ვაი, ჩემო ვისო, დედისა იმედო, რად
გშობე მზე ეამსა სიბერისასა“...⁶²

თარგმანი ხელმოუწერელია. მხოლოდ ტექსტის ბოლოს ქართულად
მიწერილია „თხზულება სერგის თმოგველისა“, რომელიც ეკუთვნის
მ. თუმანიშვილს. რვეულის ყდაზე სათაურის ქვეშ კალიგრაფიულად
წერია:

«Цветок опыты в стихах и прозе учеников VII класса Тифл.
гимназии кн. И. И. Андроникова, кн. М. А. Бебутова, Е. М. Ви-
лемса, Графа Горского (=მ. თუმანიშვილი, ი. ლ.), А. К. Монас-
тырского, И. А. Титкова и М. Ш. Чкониева» (14r).

ამ გვარებს შორის ნ. ბარათაშვილი არ არის დასახელებული, რის
გამოც მეორე რვეულის მიხედვით გაურკვეველია, თუ ვინ უნდა იყოს
„ვისრამიანის“ ნაწყვეტის მთარგმნელი. ამის შესახებ არაფერია ნათქვა-
მი თარგმანის ზედწარწერილშიც. მაშ, რა ვიცით მთარგმნელის ვინაობის
შესახებ?

1937 წელს მოყვანილ თარგმანს საგანგებო ყურადღება მიაქცია
მკვლევარმა ა. გაწერელიამ. მან გამოაქვეყნა ნარკვევი „ნიკოლოზ
ბარათაშვილი — თბილისის გიმნაზიის ჟურნალის თანამშრომელი“ და
გამოავლინა უცნობი მასალები ნ. ბარათაშვილის ყრმობისდროინდელ

⁵⁹ Корнелия Тацита, „Жизнь Юлия Агриколы“, переведено с латинс-
кого языка Феодором Поспеловым, Спб., 1802.

⁶⁰ В. С. Сопиков, Опыт российской библиографии, ч. V., 1905, Спб, გვ. 10.

⁶¹ сочинения Корнелия Тацита пер: В. И. Модестов, I, 1886, გვ. 24—27.

К. Тацит, Соч., I, 1969, გვ. 342—344.

⁶² „შაპროსაგან ვისისთვის მოთქმა და ტირილი“ (ჩვენის საუნჯე, II, გვ. 142—145).

13. ნ. ბარათაშვილი

ნაწერებზე⁶³. კერძოდ, ის დაინტერესდა „თბილისის გიმნაზიის ყვავილას“ მეხუთე ნომრის ბოლოს დართული, ხუთივე რვეულის ზანდუკით. იქ მან ამოიკითხა შემდეგი:

1. „Письмо из деревни“, кн. Николая Баратова“ (129 v),

2. „Отрывок из грузинского романа «Висрамиани», кн. Николая Баратова.

Еще отрывок из «Висрамиани», Графа Горского (130 r),

3. «О папской власти: I. О возвышении папизма, II. О падении его, кн. Николая Баратова»“ (130 v).

ამის მიხედვით ა. გაწერელიამ დაასკვნა, რომ ნ. ბარათაშვილის კორესპონდენცია „Письмо из деревни“ და ისტორიული ნარკვევი „О папской власти“ დაკარგულია, ხოლო „Цветок“-ის მეორე რვეულში დაცული ნაწყვეტი „Плач Шахро по Виси“ თარგმნილია ნ. ბარათაშვილის მიერ (გვ. 555—557).

ეს მოსაზრება სადავოდ გახდა მ. თუმანიშვილმა (ხელთუბნელმა) წერილში „თბილისის ახალგაზრდობის ლიტერატურული წრე ასი წლის წინათ“ (1937 წ.). მან „ვისრამიანის“ თარგმანის მოღწეული ფრაგმენტი მიაკუთვნა გრაფ გორსკის (=მიხეილ თუმანიშვილს), ბარათაშვილის თარგმანი კი დაკარგულად სცნო იმ მოტივით, რომ თარგმანი ხელმოუწერელია და ამასთან მეორე ნომრის გარეკანზე ნ. ბარათაშვილი მოხსენიებული არაა⁶⁴. ეს მართლაც თითქოს მისაღები დებულება უნდა იყოს, მაგრამ მ. თუმანიშვილს ავიწყდება ერთი გარემოება, რომ ნ. ბარათაშვილი არ შეიძლება „ვისრამიანის“ ავტორად გამოცხადებულიყო, რადგანაც ნაწყვეტის სათაურში აღნიშნულია „Соч. С. ТМОГВЕЛИ“. ამასთან, რაკი თარგმანი დაუმთავრებელია, სავარაუდოა რედაქტორს მთარგმნელის ვინაობა არ მიეწერა წყვეტილი ხაზების შემდეგ, მაგრამ როდესაც მან „Цветок“-ის ხუთივე ნომერს საერთო ზანდუკი გაუკეთა, მაშინ აღნიშნა, თუ პირველი ნაწყვეტის მთარგმნელი ვინ იყო. ყოველივე ამას რომ თავი დავანებოთ, ერთი რამ ცხადია: პირველი ნაწყვეტის მთარგმნელი ყოფილა ნ. ბარათაშვილი, მეორისა კი — მ. თუმანიშვილი. ა. გაწერელია, ა. ბარამიძე⁶⁵ და დ. რამიშვილი⁶⁶ სამართლიანად ფიქრობენ, რომ „Плач Шахро по Виси“ არის სწორედ პირველი ნაწყვეტი. ამას ადასტურებს ტექსტისა და ზანდუკის სათაურთა სიტყვა-სიტყვითი დამთხვევა (ორივეგან წერია: „Отрывок из грузинского романа «Висрамиани»“). რაკი ტექსტს ბოლოზე წყვეტილი ხაზები აქვს

⁶³ ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, I, 1962, გვ. 549—558.

⁶⁴ მ. ხელთუბნელი, წარსულიდან, 1938, გვ. 42—43.

⁶⁵ ა. ბარამიძე, ნარკვევები, III, 1952, გვ. 379.

⁶⁶ დ. რამიშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, 1957, გვ. 41—42.



მიწერილი, ივარაუდება, რომ მოსალოდნელია მისი გაგრძელება, როგორც მედიცინაში აღნიშნულია „еще отрывок“-ით.

განხილული ორივე თარგმანი („შესხმა აგრიკოლასი“ და „Платье Шахри“) მნიშვნელოვანია ნ. ბარათაშვილის ურთიერთობის დეტალური საპრობლემოლო საქმედების შესასწავლად. მთარგმნელი დედნებს რამდენადმე თავისუფლად ეპყრობა: ძნელოვან ფრაზებს ამოკლებს ან ასხვავებებს და ტექსტში ჰრთავს ორიგინალისათვის უცხო ფრაზებსა და ტერმინებს, მაგრამ თარგმანებში ნაპოვნია ორატორული მეტყველებისათვის დამახასიათებელი სტილი, რომელიც მაღალმხატვრულ სახეს ანიჭებს ორიგინალს.

VI. წინამდებარე გამოცემისათვის

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დღემდე გამოქვეყნდა ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ხუთი კრიტიკული გამოცემა, მათ შორის სამი აკადემიური ხასიათისა.

ჯერ კიდევ 1915 წელს პოეტის დაბადების ასი წლისთავის საიუბილეო მზადების პერიოდში ქართველ მოღვაწეთა შორის წარმოიშვა აზრი, რომ მომზადებულიყო მისი თხზულებების აკადემიური გამოცემა. სამისოდ შედგა სარედაქციო კოლეგია, რომელმაც შეიმუშავა გამოცემის პროექტი. 1916 წელს პრესაში გამოცხადდა ასეთი შინაარსის უწყობაც:

მზადდება დასაბუქდად „ნ. ბარათაშვილის ლექსებისა და წერილების სრული აკადემიური გამოცემა სურათებით. გამოცემაში დაიბეჭდა ს რ უ ლ ი ტ ე ქ ს ტ ი ე რ თ ი ს ვ ა რ ი ა ნ ტ ი ს ა და აღნიშნული იქნება ყოველი სულ მცირე განსხვავებაც დანარჩენი ვარიანტებისა. წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ ს. გორგაძის, ნ. დუბროვსკის, ი. მეუნარგიას, დ. უზნაძის. გარდა ამისა თითოეულს ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიული და ბიბლიოგრაფიული განმარტება. წიგნი შემკული იქნება სამოცხე მეტი სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი არიან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალის ავტოგრაფით. სარედაქციო კომისიაში მონაწილეობას იღებენ: კ. აბაშიძე, ი. გრიშაშვილი, ი. გედევანიშვილი, გრ. დიასამიძე, გ. ვეზირიშვილი, ნ. ერისთავი, გ. ლასხიშვილი, ი. ნიკოლაძე, გ. ჟურული, დ. შევარდნაძე, ს. ფირცხალავა. წიგნი გამოვა დაახლოებით (1917 წლის) თებერვლის დამლევს. ხელის მოწერა დაიწყება დეკემბრის პირველიდან“ („სახალხო ფურცელი“, 1916, № 729).

წიგნი დათქმული დროისათვის ვერ გამოქვეყნდა. მას დაუგვიანდა ხუთი წელი. ბოლოს, 1922 წელს ს. ფირცხალავას რედაქციით მკითხველმა მიიღო ნ. ბარათაშვილის თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემა, რომელიც თავისი მეცნიერული ღირებულებით დღესაც კი სანიმუშოდ შეიძლება ვცნოთ. თხზულებათა ტექსტს საფუძვლად უდევს ნ. ბარათაშვილის ის ავტოგრაფები, რომლებიც 1887 წელს აღმოაჩინა პეტერბურგში ე. თაყაიშვილმა. სხვა ავტოგრაფების წაკითხვები ნაჩვენებია ვარიანტებში. ტექსტს უძღვის ი. მეუნარგიას ნარკვევი „ცხოვრება ნიკოლოზ ბარათაშვილისა“ და ერთვის ე. თაყაიშვილის „ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფები“, ს. ფირცხალავას „ვარიანტების განსხვავება და განმარტებანი“, გ. ჯავახიშვილის „ნ. ბარათაშვილის წინამორბედნი ჩვენს მწერლობაში“, გ. ქიქოძის „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, დ. უზნაძის „ნ. ბარათაშვილის შემოქმედების განვითარება“, ს. გორგაძის „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის ფორმა (საზომი, მუხლი, მახვილი, რითმა)“, ნ. ბარათაშვილის თხზულებათა გამოცემების ბიბლიოგრაფია, პოეტის პორტრეტისათვის და ბიოგრაფიული მასალები. წიგნი შემკულია ილუსტრაციებითა და ფაქსიმილეთა ლითოგრაფიული ნაბეჭდებით.

1930 წელს გამოქვეყნდა ნ. ბარათაშვილის სრული ნაწერების მორიგი კრიტიკული გამოცემა პ. ინგოროყვას რედაქციით. მას წამძღვარებული აქვს ცნობა: „ნ. ბარათაშვილის ნაწერების ტექსტი, მოთავსებული წინამდებარე გამოცემაში, შედარებულია და დადგენილი ყველა არსებული ხელნაწერი მასალის მიხედვით“, ხოლო ერთვის რედაქციულად განსხვავებული ვარიანტები, ყრმობისდროინდელი ლექსები და სახტმარა ვაკამათება ბარათაშვილის, მიხ. ორბელიანის, ელენე ერისთავისა და მარიამ ფალავანდიშვილისა. ძირითად ტექსტს საფუძვლად უდევს ის ავტოგრაფები, რომლებიც ცნობილია ვეზირიშვილისეული ვარიანტით, მაგრამ წანაკითხები ადგილ-ადგილ ნასწორებია სხვა ვარიანტებით (თუმცა ამის შესახებ გამოცემაში არაფერია ნათქვამი).

1939 წელს დაიბეჭდა პოეტის თხზულებათა მეორე აკადემიური გამოცემა, რომლის ტექსტი მეცნიერული ღირებულებით ყველა გამოცემაზე მაღლა დგას. ლექსები მომზადებულია დასაბეჭდად ი. გრიშაშვილის მიერ. მას საფუძვლად უდევს თაყაიშვილისეული (A) ვარიანტი. უძღვის პ. ინგოროყვას ბიოგრაფიული ნარკვევი „ნ. ბარათაშვილი“ და ერთვის ა. გაწერელიას კომენტარები წერილებისა, ი. ბალახაშვილის შენიშვნები „ტექსტისათვის“, ს. ჯანაშიას „ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის“, ლ. ასათიანის „ნ. ბარათაშვილი და პოლონელი პოეტი ზაბლოცკი“, ა. შანიძის „ბარათაშვილის ენა“, გ. ნადირაძის „ნიკოლოზ ბარათაშვილი და იოჰან ლაიხევიცი“, ი. გრიშაშვილის „ნიკოლოზ ბარათაშვილის მშობლების წერილები“.

1945 წელს მკითხველმა მიიღო ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ახალი კრიტიკული ტექსტი, რომელიც გამოსაცემად მომზადდა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში. სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ: ი. გრიშაშვილი, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, გ. ლეონიძე, გ. ქიქოძე, ს. ჩიქოვანი და ს. ჯანაშია. ტექსტს საფუძვლად უდევს ვეზირიშვილისეული და გრ. ორბელიანისეული ავტოგრაფების დედნები, ხოლო ზოგიერთი ტაეპი ნასწორებია სხვა ვარიანტების მიხედვით. მას უძღვის პ. ინგოროყვას ნარკვევი, ერთვის გ. აბ-ზიანიძისა და ა. გაწერელის კომენტარები, ს. ყუბანეიშვილის „ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ხელნაწერები და გამოცემები“; ს. ყუბანეიშვილის, გ. იმედაშვილისა და თ. ჭყონიას მიერ ამოწერილი ვარიანტები, ვ. ბერიძისა და ს. იორდანიშვილის „ლექსიკონი“ და კ. კეკელიძის განმარტება „გამოცემისათვის“. წიგნის რედაქტორია კ. კეკელიძე.

ოთხივე აღწერილი გამოცემის წყაროა ნ. ბარათაშვილის ხელნაწერი მემკვიდრეობა (ავტოგრაფები და ნუსხები). თუ წინა სამი გამოცემა ნაწილობრივ ეყრდნობა ავტოგრაფებიდან გადანაწერ ნუსხებს, უკანასკნელი ასახავს არაავტოგრაფული კრებულების პალეოგრაფიულსა და ტექსტოლოგიურ სურათსაც. გამოცემის ბოლოსიტყვაში კ. კეკელიძე წერს: „ტექსტზე მუშაობას საფუძვლად უნდა დადებოდა, თავისთავად იგულისხმება, პოეტის ნაწარმოებთა ხელნაწერების უშუალოდ შესწავლა, არა მარტო ავტოგრაფებისა, არამედ სხვების მიერ სხვადასხვა დროს გადმოღებული ნუსხებისაც. უკანასკნელთა შესწავლა და წაკითხვა საჭიროდ იქნა მიჩნეული იმიტომაც, რომ ჩვენ ვერ ვიტყვი, რომ ესა თუ ის ნუსხა არ მომდინარეობს, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, რომელიმე დღემდე არმოღწეული ავტოგრაფიდან“ (გვ. 165). მიუხედავად ამ სწორი პრინციპისა, 1945 წლის გამოცემის რედაქციამ ვერ გამოარჩია თხზულებათა ტექსტის დასადგენად ძირითადი ავტოგრაფები და ნუსხები, რის გამოც გამოცემას ხარვეზი დაჰყვა. ამასთან კომისიამ ტექსტში შეიტანა ისეთი გასწორებანი, რომელნიც უპირისპირდებიან „თვით ავტორის მიერ სანქციონირებულ რედაქციას ამა თუ იმ ნაწარმოებისას“.

1968 წელს გამოქვეყნდა ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ახალი კრიტიკული გამოცემა. ტიტულის მეორე გვერდზე მას აწერია: „ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა ტექსტი“ დადგენილია პავლე ინგოროყვას მიერ“. წიგნი მიძღვნილია პოეტის დაბადების 150 წლისთავისადმი და გაფორმებულია მდიდრულად. მისი შედგენილობა ასეთია: 1. რედაქციისაგან (გვ. 5—7), 2. პ. ინგოროყვა — „ნიკოლოზ ბარათაშვილი (ნარკვევი)“ (გვ. 11—80), 3. ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ტექსტი — ლექსები, „ბედი ქართლისა“, წერილები (გვ. 81—198), 4. „კომენტარები“, რომელიც დაწერილია გ. ლეონიძის მიერ (გვ. 201—218), 5. ფილოლოგიური აპა-

რატი — პ. ინგოროყვას „ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელნაწერებთან“ (გვ. 221—250) და „ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ტექსტის ისტორია“ (გვ. 251—284). გამოცემა აკადემიური ხასიათისაა და მის ამოცანას წარმოადგენს „დადგენა ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოებთა კანონიკური ტექსტისა“ (გვ. 252). ეს ამოცანა პ. ინგოროყვას გადაჭრილადაც მიაჩნია. იგი შენიშნავს: „აქ დადგენილია ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა კანონიკური ტექსტი ყველა არსებული ხელნაწერი მასალეების გათვალისწინებით, დაზუსტებულია აგრეთვე ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა ქრონოლოგია“ (გვ. 282).

ისმის კითხვა: ხსენებული გამოცემა მართლაც შეიცავს ნ. ბარათაშვილის თხზულებათა კანონიკურ ტექსტს, ან მასში გათვალისწინებულია „ყველა არსებული ხელნაწერი მასალა“, ან კიდევ დაზუსტებულია თხზულებათა ქრონოლოგია? ჩვენ ვერ გავიზიარებთ გამოცემლის მოსაზრებას. ჯერ ერთი, ტექსტის დადგენისას არ არის გათვალისწინებული (გამომცემლისთვის უცნობია) ხუთი ლექსისა და ექვსი წერილის ავტოგრაფი (ხელნაწერთა ინსტიტუტის H 2417 და H 572 — „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“, Q 419 — XVI—XVII წერილები ბაბალე და ალექსანდრე საგინაშვილებისადმი — და ცენტრარქივის ფ. 1446, № 736 — V, VI, VIII და XVIII წერილები ვრ. ორბელიანისადმი და ლექსები — „ვბოვე ტაძარი“, „მერანი“, „საფლავი მეფის ირაკლისა“ და „სულო ბოროტო“); მეორე, კრებულში არ არის შეტანილი „შესხმა აგრიკოლასი“, რომელიც დაუცავს H 3157 ავტოგრაფულ ხელნაწერს, რუსული წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი, რომელიც ა. გაწერელიამ აღმოაჩინა და 1939 წლიდან 1968 წლამდე ნ. ბარათაშვილის თხზულებებში იბეჭდებოდა, და ფრაგმენტი ლექსისა „კავკასი“; მესამე, რედაქტორს ვერ გამოუტყვევია ტექსტის დასადგენად საჭირო ძირითადი ავტოგრაფები და ნუსხები და, რაც მთავარია, ვერ გაურკვევია, თუ რომელ ხელნაწერებშია წარმოდგენილი ზოგიერთი ლექსისა და პოემის საბოლოო რედაქციები; მეოთხე, იგი ხშირად გვერდს უვლის მის მიერ საბოლოო რედაქციად მიჩნეულ ავტოგრაფებს და უპირატესობას ანიჭებს სხვა ავტოგრაფთა წანაკითხებს, ზოგჯერ ის აღადგენს ხოლმე პოეტის მიერ უარყოფილ ვარიანტსაც კი. აი, რამდენიმე ნიმუში:



- | | |
|---|--|
| <p>92: თუმც უცხო და
შორს თემად იარე.</p> <p>95: თვითონ მეფენიც
მებრძოლენი...</p> <p>98: როს მიბეჭტვით ნისლით
გამომინათებ.</p> <p>117: მერწმუნეთ. ძმანო, ნაცადი
მაქვს ეს გულის ჭირი.</p> | <p>თუმც უცხო-უცხო თემად იარე
(II წ.).</p> <p>თვითონ მეფენიც უძლეველნი...
(ABC).</p> <p>როს მიბეჭტვით ნისლით გამო
მონათებ (AB).</p> <p>მერწმუნეთ, ძმანო, ნაცადი აქვს
ჩემს გულს ეს ჭირი (A).</p> |
|---|--|

გამომცემელი არაერთგზის აღნიშნავს, რომ „ბედი ქართლისას“ ბოლო რედაქცია დატულია ბარბარე ვეზირიშვილისეულ (B) ავტოგრაფში, ხოლო სხვა რედაქტორებს უეჭიენებს, როგორც „სამწუხარო ფაქტს“, რომ „გამოცემათა დიდ უმრავლესობაში (მათ შორის საიუბილეო გამოცემაში 1945 წლისა) პოემა იბეჭდებოდა უპირატესად ადრინდელი რედაქციის მიდევნებით და არა ბოლო რედაქციაზე დამყარებით“ (გვ. 272), მაგრამ მას დაწუნებული A ავტოგრაფიდან გამოცემაში რამდენიმე წანაკითხი შემოაქვს და გვაძლევს ერთგვარ ნარევე რედაქციას, რაც ტექსტოლოგიურად გაუმართლებელია. ამიტომაც 1968 წლის საიუბილეო გამოცემაში დაბეჭდილ ტექსტს ვერ ვცნობთ კანონიკურად. ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა, რაც ცნობილია ჩვენთვის ავტოგრაფებით, ნუსხებითა და პირველნაბეჭდებით, ისე კარგადაა დაცული, რომ დღეს შეიძლება იგი მკითხველს კანონიკური სახით მივაწოდოთ, მაგრამ ამის მიღწევა დაუშვებელია ტექსტის თვითნებური სწორებით.

ასე რომ, ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ახალი, მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა აუცილებელია. აი, ამ აუცილებლობამ განაპირობა წინამდებარე წიგნიც, რომელიც მიზნად ისახავს მკითხველს მიაწოდოს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა სრული ფილოლოგიური აპარატით, რომ მან თვითონ განსაზღვროს გამოცემის კანონიკურობა.

* *

იმთავითვე ტექსტოლოგ-გამომცემელთა წინაშე დადგა უმთავრესი საკითხი: როგორ გამოიცივს ნ. ბარათაშვილის თხზულებანი? 1895 წელს პოეტის მემკვიდრეობა დაიბეჭდა ავტოგრაფების მიხედვით უცვლელად. დ. კარიჭაშვილი და ე. თაყაიშვილი წერდნენ: „ამ წიგნის გამოცემა საზოგადოების გამგეობისაგან მონდობილი გვექონდა ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერელთა. გამგეობის სურვილი იყო, რომ და-

ბექლილიყენენ ნ. ბარათაშვილის ნაწერები, როგორც უწერია თვით ავტორს, ისე რომ იოტის ოდენი ცვლილება არ ყოფილიყო შეტანილი... შესაძლებელია ზოგი სიტყვა და ფრაზა ისე არ ჰქონდეს ბარათაშვილს ნახმარი, როგორც ახლა ხმარობენ ჩვენი მწერლები, მაგრამ მაინც არავის აქვს უფლება მისი ნაწერები გადააკეთოს, გადაასწოროს და, მით უმეტეს, გადაამახინჯოს. ამას მოითხოვს, სხვათა შორის, ენათმეცნიერების ინტერესი და თვით დიდებული პოეტის პატივისცემა. ამ დედა-აზრის საფუძვლად ბარათაშვილის ლექსები დაიბეჭდა და სისრულით და თანხმობით პოეტის ხელნაწერებთან. არც ერთი სიტყვა, არც ერთი ასო, არც ერთი წერტილი არ არის შეცვლილი“ („კვალი“, 1895, № 47, გვ. 14).

ეს თვალსაზრისი არ გაიზიარა კრიტიკოსმა რომანოზ ფანცხავამ („ფხა“-მ) ის პოლემიკური წერილით დაესვა თავს ნ. ბარათაშვილის თხზულებათა გამომცემლებს და აღნიშნა, რომ რედაქცია მოვალე იყო შეესწორებინა პოეტის მიერ ნახმარი უსწორო გრამატიკული ფორმები და ბრმად არ მიწოდებოდა ავტოგრაფებს („კვალი“, 1895, № 45, გვ. 17—19): „პოეტი ჰს შეცდომით ხმარობს. ამ შემთხვევაში საზოგადოებას სრული უფლება ჰქონდა მოვალეც იყო შეცდომა გაესწორებინა მაგ. ჰსტქვას, მჰსწრაფლ და სხვა. აქ ჰ ყოვლად უადგილოა“ და ა. შ.

რ. ფანცხავას კრიტიკა დარჩა „ხმად მლალადებლად უდაბნოსა შინა“. ნ. ბარათაშვილის თხზულებათა გამომცემის პრაქტიკაში დამკვიდრდა ავტოგრაფთა უცვლელი ბეჭდვა. 1915 წელს შემდგარმა საგანგებო კომისიამც დაადგინა, რომ „პოეტის ნაწერების ტექსტი უნდა აღდგენილიყო დედნების მიხედვით და მკაცრად დაცული ნ. ბარათაშვილის მართლწერა“. ამავე კომისიას გადაუწყვეტია ისიც, რომ პოეტის ლექსები გამოეცათ ერთი ვარიანტის მიხედვით უცვლელად, სხვა ვარიანტების ცვლილება კი ეჩვენებინათ სქოლიოში. ძირითადად ეს პრინციპი უდევს საფუძვლად 1922 და 1939 წლების გამომცემებს; 1930, 1945 და 1968 წლების გამომცემები კი, როგორც ზევით აღნიშნეთ, ვერ ასახავენ ავტოგრაფთა სწორ სურათს. მათში წარმოდგენილია „ბედი ქართლისას“ ახალი, A და B ავტოგრაფების წანაკითხთა ნარევი რედაქცია. ამასთან ზოგიერთი ლექსი (მაგ., „ფიქრნი მტკვრის პირას“, „ჩემთ მეგობართ“ და სხვა) ავტორისეული სხვადასხვა წანაკითხის კომბინირებულ ტექსტს შეიცავს. მაგ., მე-11 ტაეპი ლექსისა „ჩემთ მეგობართ“ E ავტოგრაფში იკითხება ორი ვარიანტით:

ა. მაშინცა კმარა შეკავება გულისა თქმათა (E).

ბ. მაშინცა კმარა დადუმება გულის ვნებათა (ABE).

ა ვარიანტი პირველადია, ბ კი — მეორადი. მაშასადამე უპირატესობა უნდა მიეცეს მეორე წაკითხვას, მაგრამ პ. ინგოროყვა 1930 წელს გვთ-



ვაზობდა ახალ ვარიანტს: „მაშინცა კმარა დ ა დ უ მ ე ბ ა გ უ ლ ი ს ა თ ქ მ ა თ ა“ (1930, გვ. 27), რომელიც ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფებში არ გვხვდება (1968 წლის გამოცემაში აღადგინა ABE ავტოგრაფების წანაკითხი). ცხადია, ამგვარი კომბინაცია ტექსტოლოგიურად გაუმართლებელია.

ასევე მიუღებელია პოეტის ნაწერების ორთოგრაფიულად ვადარიბება. 1945—1968 წლების გამოცემებში ნ. ბარათაშვილის ენას დაკარგული აქვს ქართლ-კახური დიალექტებისათვის დამახასიათებელი თავისებურება ჰ-ს ხმარებისა. ჰ პოეტის შემოქმედებაში არა მარტო მხატვრული სამკაულია სიტყვისა, არამედ მას მორფოლოგიური ფუნქციაც აკისრია და მთლიანად მისი განდევნა შეცდომა იქნებოდა. იგი შეიძლება ამოვიღოთ იმ სიტყვებიდან, რომლებშიც ხელოვნურად არის ჩასმული ანტონ I კათალიკოსის ორთოგრაფიის გავლენით (მაგ.: „გაჰსწი“, „ჰსთქვა“, „მჰსწრაფლ“, „ჰსწორი“, „ჰსჯული“ და მისთ.). სხვა დანარჩენ შემთხვევაში ჰ, როგორც ნიშანი სუბიექტური მეორე პირისა და ობიექტური მესამე პირისა, უნდა დარჩეს, ხოლო იქ, სადაც იგი აკლია, სასურველია აღდგეს კიდევ (მაგ., არის „შევფრფინვიდი კოკრობას“ უნდა იყოს — „შევჰფრფინვიდი კოკრობას“, ან არის — „დაჰსნას გულსა ვაება“, უნდა იყოს — „დაჰსნას გულსა ვაება“ და ა. შ.). საქიროა აღდგეს ყველგან პირველი პირის ნიშანი ვ-ც იქ, სადაც ხშირად იკარგება (მაგ., არის — დაუმონე, განუმზადებდი, დაუმორჩილდი, გაუგზავნი, უნდა იყოს და-ვუმონე, განვუმზადებდი, დავუმორჩილდი, გავუგზავნი და ა. შ.), რადგანაც ვ-ინის აღდგენა დაკავშირებულია ტექსტის შინაარსის სწორად გაგებასთან. პოეტი ხმარობს ზმნისწინების პარალელურ ფორმებს — მო- (მომაყარე, მომაგებ, გამომიდარე) და მა- (მამაპყარ, შთამამაგელობა, მამივიდა). საქიროა მათი უნიფიცირება ლიტერატურული ნორმის სასარგებლოდ.

მოსაგვარებელია პუნქტუაციაც, განსაკუთრებით წერილებში. ნ. ბარათაშვილის დროს სასვენ ნიშანთა ხმარების წესები არ იყო დამუშავებული ჭეროვნად, ამიტომ შეცდომა იქნება, თუ პოეტის პუნქტუაციას უცვლელად დავტოვებთ. თანამედროვე ტექსტოლოგიაში ასეთი გზა დაგმობილია. საქიროა ძველ ტექსტებში დავიცვათ ახალი პუნქტუაცია, რათა თანამედროვე მკითხველს იოლად გავაგებინოთ გამოსაცემი თხზულების შინაარსი.

დასასრულ, აუცილებელია სრულად დაიწეროს საკუთარ სახელთა არაავტორისეული შემოკლებანი. მაგ., XI წერილში ვკითხულობთ: „ვიცი გაიმება, კ. დავნიშნეთ რ. ე-ზედ... ზ-იას და გ-ის კარგი საქორწილო გამოევზავნათ. ზ-ია იწერება, რომ გ-ლმა სულ ბლუჯეულად იცი-სო“ და ა. შ. (გვ. 89).

ტექსტი ამგვარად შეამოკლა გაზ. „დროების“ რედაქციამ, როდესაც იგი გამოაქვეყნა (1885, № 114). ახლა ასეთი შემოკლება აღარაფრით არის გამართლებული, მით უფრო იმიტომ, რომ დღეს ამ წერილში მოხსენებული ყველა პირის ვინაობა ცნობილია. რაკი მისი ავტოგრაფი არ მოგვეპოვება, დამოწმებული ტექსტი ამგვარად უნდა გამოაქვეყნდეს:

„ვიცი ვიამება, კატო[ლ] დავნიშნეთ რევაზ[ი] ე[რისთავ]სე[დ]... ზ[აქარ]იას და გ[იორგ]ის კარგი საქორწილო გამოეგზავნათ. ზ[აქარ]ია იწერება, რომ გ[რიგო]ლმა სულ ბლუჯეულად იცისო“.

მაგრამ დაუშვებელია ხელის შეხება პოეტის მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკურ მხარეზე. მხოლოდ უნდა მოწესრიგდეს ლექსები ერთოგრაფიულად. ტექსტოლოგიური სიზუსტე მოითხოვს, დედნის საწინააღმდეგო ყველა აუცილებელი გასწორება აღინიშნოს ვარიანტებსა და შენიშვნებში, რომ მკითხველს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს პოეტის ენაზე.

* *

წინამდებარე გამოცემა აკადემიურია თავისი აღნაგობითა და დანიშნულებით; შედგენილობით კი იგი ყველა ადრინდელ კრებულზე სრულია (მასში პირველად შევიდა პროზაული თარგმანები — „შესხმა აგრიკოლასი“ და სადავო თხზულება „Плач Шахро по Виси“, აგრეთვე ფრაგმენტი ლექსისა „კავკასი“). პოეტის თხზულებათა ტექსტები აქ დადგენილია ავტოგრაფების, ძირითადი ნუსხებისა და პირველნაბეჭდთა კრიტიკული შესწავლის შედეგად. ლექსებს საფუძვლად უდევს თხუთმეტი დედანი (ABCDEFGHIH¹H²JIKLწ), პოემას — ორი ავტოგრაფი (AB), სამი ნუსხა (EFG) და ორი ნაბეჭდი გამოცემა (CH), პროზაულ თარგმანებს — M ავტოგრაფი და N ხელნაწერი ქურნალი, ხოლო წერილებს — თექვსმეტი ავტოგრაფი (ც/ა ფ. 171; ც/ა ფ. 1446, № 736; S 2484, Q 419; ლიტ. მუზ. № 16399—16402) და ორი პირველნაბეჭდი („დროება“, 1885, № 114). ვარიანტები ამოკრებილია მხოლოდ ამ დასახელებული დედნებიდან.

თხზულებათა ტიპობრივი შედგენილობისა და წანაკითხების დადგენისას უპირატესობა მიეცა პოეტის საბოლოო რედაქციას. შინაარსობრივი ხასიათის ყველა გასწორება დასაბუთებულია დოკუმენტურად ავტოგრაფთა წანაკითხების მიხედვით. დედნის საწინააღმდეგო ორთოგრაფიული ცვლილება მოხდენილია ნ. ბარათაშვილის ენის თავისებურებათა გათვალისწინების შედეგად. უფუნქციო (თუ ფუნქციადაკარგული) ჰ-ე, რომლითაც დატვირთულია ზმნები (გაჰსწი, ჰნი, ვჰსცან, ჰსძინავს,



ვანგსწესდი...) და ზოგჯერ სახელებიც (მსწორი, მსჯული, მმსწრაფლ...), ყველგან ამოვიღეთ. იგი დავტოვეთ მხოლოდ ისეთ ზმნებში, რომელთაც ისტორიულად ობიექტი ჰქონდათ, მაგრამ მერმე დაეკარგათ (მშფოთვენი, ეჭბტი...), აგრეთვე ბრძანებითის ფორმებში (მაგ., ვაპკვეთე...). ამასთან ორპირიან და სამპირიან ზმნებში, თუკი მათ აკლდათ მესამე ობიექტური პირის ნიშანი ჰ-ე, იგი ყველგან აღვადგინეთ (შევჭვრფინვილი, შეჭბ“ დავლა, შეჭრთეს...). აღვადგინეთ აგრეთვე პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ-ინი იმ ზმნებში, რომლებშიც ჩვეულებრივ იკარგება ხოლმე (ხმოვნებს შორის ან უ-ს წინ). გავასწორეთ კალმისმიერი შეცდომებიც (უჭედ, ვიფრანცუცოდ, შეგცევაში, მარტყოზს, ვიმუსაიბო...), ზოგიერთი თვალშისაცემი კუთხური თქმა თუ ფორმა (ბევრ მოვიწერები, რასაკურველია, გაზდამ, ბძანდება, მამეწონა, მამიქსოვა, მადრიელი...), რომელთაც ნ. ბარათაშვილი სხვა შემთხვევებში სწორად ხმარობს, რუსული ენის გავლენით შეცვლილი სახელები (მუხრავანი, გალავინი, რამანია...) და სხვა. მაგრამ ყველა დედნისმიერი წაკითხვა, რომლებიც კი კრიტიკულ ტექსტში გასწორებული სახით შევიდა, აღვსუსხეთ და თავთავის ადგილას ჩავრთეთ ვარიანტებში, რათა მკითხველს გარკვეული წარმოდგენა ჰქონდეს პოეტის ენასა და ავტოგრაფთა პალეოგრაფიულ მხარეზე. ნაწილობრივ შეეცვალეთ ავტორისმიერი პუნქტუაცია და საერთოდ ყველა ტექსტი გავმართეთ სასვენიშანთა ხმარების თანამედროვე წესებით. ციტატები ჩავსვით ბრჭყალებში. წერილების რუსულ ტექსტებს დავურთეთ ქართული თარგმანები, რომლებიც ეკუთვნით პ. უმიკაშვილსა და 1945 წლის გამოცემის რედაქციას. ეს თარგმანები ხელახლა შევეუდარეთ დედნებს და დაზუსტების მიზნით მათში ენობრივი და შინაარსობრივი ცვლილება მოვახდინეთ (გავითვალისწინეთ 1968 წლის გამოცემის თარგმანიც). დასასრულ, გამოცემა აღეჭურვეთ ფილოლოგიური აპარატით (ლექსებისა და წერილების კომენტარებით, ლექსიკონითა და სახელთა საძიებლით).

ივანე ლოლაშვილი

6. ბარათაშვილის ნაწარმოებები

ქრონოლოგიური ნუსხა¹

- | | |
|--|---------------------------------|
| 1. წერილი ვრ. ორბელიანისადმი (I) | [1831 წ., 3 სექტ.] |
| 2. ვარდი და ია (L) | [1833 წ.] |
| 3. ნარგიზი და ყაყაჩო (L) | [1833 წ.] |
| 4. კავკასიური მოთხრობა (L) | [1833 წ.] |
| 5. ბულბული ვარდზედ:
პირველი ვარიანტი (L) | 1833 წ., 18 ივნისი |
| მეორე ვარიანტი (ABCE) | 1834 წ. (?) [1833—
1841 წწ.] |
| 6. შესხმა აგრიკოლასი (M) | [1833—1835 წწ.] |
| 7. ქეთევან:
პირველი ვარიანტი (C) | 1835 წ. |
| მეორე ვარიანტი (ABE) | [1842—1843 წწ.] |
| 8. შემოღამება მთაწმიდაზედ:
პირველი ვარიანტი (L) | [1833 წ.] |
| მეორე ვარიანტი (C) | 1836—[1841 წწ.] |
| მესამე ვარიანტი (ABE) | [1843 წ.] |
| 9. Плач Шахро по Виси (N) | [1836 წ.] |
| 10. ხმა იღუმალი (ABE) | 1836 წ. |
| 11. ძია გრიგოლთან (წ. II, CG) | [1836 წ., ზაფხული] |
| 12. ღამე ყაბახზედ:
პირველი ვარიანტი (წ. II) | [1836 წ., ზაფხული] |
| მეორე ვარიანტი (CG) | [1836—1841 წწ.] |
| 13. წერილი ვრ. ორბელიანისადმი (II) | 1837 წ., თებერვალი |
| 14. ფიქრნი მტკვრის პირას:
პირველი ვარიანტი (CE) | 1837—[1842 წწ.] |

¹ თვითელ ლექსს მიწერილი აქვს ძირითადი დედნების შიფრები. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული თარიღები დადგენილია ხელნაწერთა კრიტიკულად შესწავლის საფუძველზე. მათი დასაბუთება მოცემულია გამოკვლევასა და კომენტარებში. ი. ლ.

- | | |
|---|------------------------|
| 43. „სულო ბოროტო“ (წ. VIII, AB) | 1843 წ. [აგვისტო] |
| 44. წერ. გრ. ორბელიანისადმი (VIII) | 1843 წ., 21 აგვისტო. |
| 45. „შევიშრობ ცრემლსა“ (B) | 1843 წ. |
| 46. წერ. ზაქ. ორბელიანისადმი (IX) | 1844 წ., 15 აპრილი. |
| 47. წერილი მასვე (X) | 1844 წ., 10 მაისი. |
| 48. წერ. გრ. ორბელიანისადმი (XI) | 1844 წ., 23 მაისი. |
| 49. წერ. ზაქ. ორბელიანისადმი (XII) | [1844 წ., აგვისტო] |
| 50. ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა
(H H ¹ H ²) | 1844 წ., 23 სექტემ. |
| 51. ჩინარი (FJ) | 1844 წ. |
| 52. „მადლი შენს გამჩენს“ (F) | 1845 წ., 10 იანვარი. |
| 53. „ღამქროლა ქარმან სასტიკმან“
(D) | [1845 წ., იანვარ-თებ.] |
| 54. წერილი მაიკო ორბელიანისადმი
(XIII) | 1845 წ., 9 თებერვალი. |
| 55. წერილი მასვე (XIV) | 1845 წ., თებ.-მარტი. |
| 56. წერილი მასვე (XV) | 1845 წ., 10 აგვისტო. |
| 57. წერილი ბ. საგინაშვილისადმი
(XVI) | [1845 წ.], 23 აგვისტო. |
| 58. წერილი ალ. საგინაშვილისადმი
(XVII) | [1845 წ.], 23 აგვისტო. |
| 59. „როს ბედნიერ ვარ“ (G) | |
| 60. „ცისა ფერს“ (G) | |
| 61. „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის“ (I) | |
| 62. ელენეს და მარიამს (K). | |



პ ო მ ე ნ ტ ა რ ე ბ ი

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა ასახავს XIX საუკუნის 30—40-იან წლების საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ვითარებას, მაშინდელ მოწინავე ადამიანთა სულიერ განცდებსა და ფიქრებს. ეს ნათლად ჩანს პოეტის თანამედროვე მწერალთა შემოქმედების შესწავლის ფონზე. მაგრამ ყოველივე ამის გარკვევით დანახვა შესაძლებელი ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებს ერთვის ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის კომენტარები. 1895 წლიდან დღემდე ყველა რედაქტორ-გამომცემელი ცდილობდა პოეტის მემკვიდრეობის იმგვარად გამოქვეყნებას, რომ მკითხველისთვის გასაგები ყოფილიყო ლექსებსა და წერილებში შემონახული არქაული ცნებები, გეოგრაფიული და პირთა სახელები ან ისტორიული რეალები, მაგრამ მათი ცდა მეტ-ნაკლებად ამოუწურავი რჩებოდა. არც ჩვენს კომენტარებს აქვს სისრულის პრეტენზია. ამისი მიღწევა ჯერჯერობით შეუძლებელია, რადგანაც არ მოგვეპოვება ვრცელი ანოტირებული ბიბლიოგრაფია და არც ნ. ბარათაშვილის ცხოვრების გარემო ისე საფუძვლიანად შესწავლილი, რომ მისი ყველა ბიოგრაფიული დეტალი თუ მხატვრული სახე ჯეროვნად ავხსნათ ან თვითული კომენტარი შევამკოთ საქირთ ბიბლიოგრაფიული ცნობებით. ამიტომ შემოვიფარგლებით ისეთი ისტორიულ-ლიტერატურული განმარტებებით, რომლებიც დაკავშირებული არიან მხოლოდ ტექსტის ძირითად საკითხებთან. სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაც ამ სფეროდან მიუთითებთ*.

1. მხატვრული ნაწარმი

1. ბულბული ვარდზედ — ეს ლექსი პოეტს თემატურად აკავშირებს ძველი ქართული მწერლობის სამყაროსთან. თეიმურაზ პირველიდან მოყოლებული XIX საუკუნის 30—40-იან წლებამდე ქართველი მწერლები თავიანთ შემოქმედებაში ფართო ადგილს უთმობდნენ ვარდებულბულიანის თემატიკას. ნ. ბარათაშვილმაც მისი დამუშავებით ხარკი გაიღო „აღორძინების ხანის“ ქართული პოეზიის წინაშე. მან ვარდისა და ბულბულის სიყვარულის მოტივი ორიგინალურ მხატვრულ ასპექტში წარმოგვიდგინა და თავის წინამორბედთაგან განსხვავებით ღრმა ფილოსოფიური შინაარსით გავავცინო. მისი ლექსი გამსჭვალულია მგზნებარე პატრიოტული გრძნობითაც.

პოეტი იყენებს ძველ მწერლობაში ცნობილ მხატვრულ თქმებს (მაგ., „ჰყეფდა ბულბული“, „ბულბული ვარდზედ მჯდარი, ეტყოდა მას მსტვინავი“, „შევჰფრფინედი კოკრობას“, „ვარდი ფურცვნილი“) და სიტყვათა ხელოვნურ ფორმებს („გულით

* მხატვრული ნაწარმების კომენტარები ეკუთვნის ი. ლოლაშვილს, წერილებსა კი — ა. გაწერელიას.

მტკინავი“, მღირსე... გაშლა შენი მღინავი“). შდრ. რუსთაველი: „შემ-
ფრფინვი დიან ავთანდილს, ქებასა შეასხმილიან“ (1060, 3), შავთელი: „ვარდო
უფრქვნილო“, ვარიანტი — „ვარდო ფურჩვნილო“ (51,1), თეიმურაზ I:
„ბუღბუღისა რალა გითხრა მრავალგვარი ყფა, მღერა“ (ვარდბუღბუღი-
ანი 26,1), ბესიკი: „სტვენს ბუღბუღი ვარდსა ზედა“ (თხზ., 1962, გვ. 58). ნ. ბარათა-
შვილი ამ ლექსის წერისას შთაგონებულია ბესიკით, ვისგანაც იგი სესხულობს სიტყვებს
„მტკინავი“, „მღინავი“. შდრ. „შენი შაშენი“:

შენი შაშენი ზავს გალიას შემსხდარნი,
სუფთად მხმობნი, ხმაყარობად მსტკინავნი,
მრჩობლად მხედნი, მით ერთითა პირითა
მათებურად სალ გულთ ამატკინავნი.

არ მოწყენით მომღერალნი, მღინარნი!

განსაკუთრებით საყურადღებოა ლექსის მე-13 ტაეპი „თვალნი ემოსა ცრემლით,
გული — სევედის საცლმითა“ (პირველი ვარიანტით — „სევედის სახმლითა“).
„საცლმითა“ resp. „საცლმითა“ მიღებულია სიტყვიდან „საცმელი“ (შდრ. ლექსი „ქე-
თევეან“ — „გიშრისა თმანი ნაშალნი ჰშვენიან სპეტაკს საცმელსა“). „გულის შე-
მოსვა სევედის საცლმით“ შესანიშნავი მხატვრული სახე და ნიშნავს გულის დასევედიანე-
ბას, სევედის სახმლით (ცეცხლით) დადაგავს.

ლექსი მოღწეულია ორი ვარიანტით. პირველი (იხ. აქვე, გვ. 21) დაწერილია 1833 წლის
18 ივნისს (ეს ირკვევა L ხელნაწერის ქვირნიშნისა და C ავტოგრაფის მინაწერით). ამა-
ვე დროს ABE ავტოგრაფებით იგივე ლექსი დათარიღებულია „1834“-ით. პ. ინგორო-
ყვა წერს, რომ „მეორე თარიღი — 1834 წელი — უნდა აღნიშნავდეს ამ ლექსის მეორე
ვარიანტის დამუშავების დროს“ (გვ. 131)², მაგრამ ეს არსაიდან არ ირკვევა. თარიღი
„1834“ ჩნდება ლექსის ბოლოს 1842 წლიდან (E), როდესაც პოეტმა მესხიერებით აღად-
გინა აღრე დაწერილი ლექსების თარიღები. მაშინ მან არცერთს ლექსს გადაამუშავების
თარიღი არ მიაწერა. ამიტომ „1834“ შეცდომით მიუთითებს მხოლოდ დაწერის დროს,
ლექსი კი პოეტს გადაამუშავებია 1841 წლამდე (C), ხოლო მისთვის ოდნავი სტილის-
ტური ჩაღბი გაუქრავს 1841—1842 წლებშიც. ამ დროს გაუსწორებია პირველი ტაეპი:
„ვარდზედ შექდა და იტყოდა მსტკინავი“ (C) — „ვარდზედ მჭდარი ეტყოდა მას მსტკი-
ნავი“ (E).

2. ქეთევეან—ჩვენამდე მოღწეულია ორი ვარიანტით. პირველი დაცულია CE ავტო-
გრაფებში, მეორე — ABE დედნებში; დაწერილია 1835 წელს, ხოლო გადაამუშავებუ-
ლი — 1842—1843 წლებში. ლექსის თბიექტია ქეთევეან შალვას ახელი ერისთავი (1819—
1907 წწ.). „შემღილის“ მთარგმნელს — რევაზ ერისთავის დაი. „ამიღბარი“ (resp.
„ელიზბარი“) ქეთევეანის მეუღლეა, ელიზბარ შანშეს ძე ერისთავი (1808—1871 წწ.),
1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მოთავეთავანი. 1835 წელს, როცა ლექსი იწერებო-
და, ელიზბარი გადასახლებაში იყო. იქიდან რომ დაბრუნებულა, ქეთევეანი მაშინ შეურ-
თავს ცოლად. მათი შვილი ნინო ქობულაშვილი გაღმობგვეცემს, რომ „ღედას არ უნდოდა

¹ გამოტემაშია „მღიმარნი“ (გვ. 55). სტროფის რითმაა - ი ნ ა რ ნ ი (ვინ არნი, მჩინარნი, მღინარნი, დამაღინარნი).

² პ. ინგოროყვა, ნ. ბარათაშვილის ლექსების ქრონოლოგიური ნუსხა („მნათობი“, 1938, № 10, გვ. 131—134). ქვემოთ ყველაღ ეს ნაშრომი ივარაუდება ციტაციისას.

გაჩვენის, ელიზბარ ერისთავის, შერთვა; მდიდარი კაცი ყოფილა და შშობლებს ძალად გაუტანებიათ“-ო. ამიტომ გაუგებარია: ქეთევანი ლექსში ვის სიყვარულს დასტერხს? ფიქრობენ, ნიკოლოზსა და ქეთევანს უყვარდათ ერთმანეთით. ეს დაუჭერებელია, რადგანაც ისინი ნათესავები იყვნენ (ქეთევანი არის ყაფლან ორბელიანის დისწული). ის კი ფაქტია, რომ მათ ძლიერ ახლო მეგობრობა ჰქონიათ. პოეტს ქეთევანისთვის უსახსოვრებია თავისი ლექსების ხელნაწერი და საკუთარი ხელით გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“. ეს ორივე ხელნაწერი 1876 წელს ელიზბარ ერისთავის სახლში დამწვარა (გ. აბჯიანიძე, ნ. ბარათაშვილის ერთი ლექსის გენეზისი, ლიტ. მატიაწე, № 1—2, 1940, გვ. 379—381; მარიამ ორბელიანის მოგონებანი, ჩემი პუბლიკაციით, ლიტ. მატიაწე, წიგ. 5, ნაკვ. I, 1949, გვ. 110; ლ. ნანიტაშვილი, ნ. ბარათაშვილის გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“, „ლიტ. საქართველო“, 1966, № 6).

3. შემოღამება მთაწმიდაზედ ავტოგრაფებში დაცულია სამი ვარიანტით. ისინი ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. მათი შედარება საინტერესო მასალას აღწევს პოეტის შემოქმედებითი პროცესის შესასწავლად. აი, ერთი ნიმუში:

ა. მქრქალთ ღრუბელთ შორის სრიალებს მთვარე, მოსდევს, ვით ნუკრი,
მისი ამარას
ვარსკვლავი მარტო, მოციმციმარე, მისი ლიბრი არს მინაზებული,
მაგრამ მით უფრო უსატრფოე არს, ვით დამაშვრალი ლოცვით
ქალწული (L).

ბ. ვითა უბიწო და შვენიერი სული ლოცვითა მიქანცება
და სახე მისი ამქვეყნიური, მით უფრო მშვენი გაციურდება,
მას ჰგვანდა მთვარე შუქმიბინდული,
დისკო-გავსილი, მინაზებული (CG).

გ. გინახავთ სული ჟერეთ უმანო, მსურვალე ლოცვით მიქანცებული?
მას ჰგვანდა მთვარე, ნახად მოარე, დისკო-გადახრით შუქმიბინდული
(AB).

მესამე ვარიანტს ბოლოზე მიწერილი აქვს „1836“, მაგრამ ამ დროს იგი პოეტს არც დაწვრიდა და არც დაუმუშავებია. C და E ავტოგრაფების ანალიზი გვაძლევს საბუთს დაეკენათ, რომ ნ. ბარათაშვილს საბოლოო რედაქცია შეუქმნია პოეტური აღმავლობის პერიოდში მაშინ, როცა მან დაწერა „მერანი“.

4. ხმა იღუშალი დაწვრილია 1836 წელს, ხოლო მისი 23—24-ე ტიებები საბოლოოდ გაუმართავს 1842—1843 წლებში (იხ. ვარიანტებში E ავტოგრაფის წაკითხვა).

5. ძია გ...სთან არის შესავალი ლექსისა „ღამე ყაბახელ“. იგი გაუგზავნია 1837 წლის თებერვალს გადასახლებაში მყოფი გრ. ორბელიანისათვის². პოეტი გრძნობს, რომ მისი ბიძა ვახდა მოღალატური გამცემლობის მსხვერპლი, და ამიტომაც მიმართავს:

ძიავ, ყაბახი, საშშობლო შენი
წაგართო ავის ენისა გესლმან.

ცნობილია, რომ ისე და ნიკოლოზ ფალავანდიშვილებმა გასცეს 1832 წლის შეთქმულება. „ავი ენის გესლმა“ მაშინ ბევრი პატრიოტი იმსხვერპლა და ასღებურდა ბარათა-

² იხ. აქვე ნ. ბარათაშვილის II წერილი (გვ. 106).

14. ნ. ბარათაშვილი

შვილი ამას ძლიერ განიცდიდა. შეიძლება ამ განცდის ანარეკლი იყოს ქეთევანისადმი მიმართული სიტყვებიც:

აე-ენანო, ოდეს დასცხრეთ,
მთასვენოთ ესდენ სული?
რა გარგოთ, რომ შეიმურეთ
უბიწოთ სიყვარული?

ყ ა ბ ა ხ ი არის სპორტული სახეობა და აგრეთვე ადგილი, სადაც თვით ყაბახი იმართებოდა, ახლანდელი კომუნარების ბაღის ქვედა ნაწილში მტკვრის სანაპირომდე. გრ. ორბელიანის ცნობით, „ყაბახის თავსა და ბოლოს იდგნენ ორნი ქვანი, რომელთა ზედაც დასმიდნენ თასსა და ესროდნენ ჭირითს. და ვინც მოარტყამდა, თასი იმისი იყო ჯილდოდ გამარჯვებისა“ (გრ. ორბელიანი, თხზ., 1959, გვ. 16). თეიმურაზ მეორე საგანგებოდ აღწერს, თუ ყაბახში მონაწილეს ნიშნის ჩამოსაგდებად როგორ უნდა ესროლა ისარი (სარკე თქმულთა, სტრ. 587, 589—590)

ყაბახზედ ოქროს ვაშლს შესმენ ძვირფასის, იყოს ვარგით;
კარგა დაკაშმულს ცხენს იხსდენ, ზედ არ ცვიდოს ბარგით;
კურტაკიანთა ვაჟთა თქვან: «სროლაში, მკლავო, მარგო!»

ასე უნდა მას დღე კაცმან ამ გზით სროლას ეცადოსა:
მკლავზედ მშვილდი შემოიცივას, წელს ყოდალი³ გაირტოსა,
ცხენი შეძრას, პირველ მშვილდსა ხელით ფემრი⁴ მან უყოსა,
მერმე ყოდალს ხელი მიჰყოს, კილოს მაგრად დაზიდოსა.
უნდა მშვილდი დასეულა ცოტა ხანი გაატაროს,
ჩქარად მიდგეს ყაბახზედა, ცხენი აღარ დააზაროს,
ყაბახს მუხლი გააცილოს, მაშინ უნდა გარდისხაროს,
ესროლოს; თუ ჩამოაგდოს, თავის გული გაახაროს.

ზოგიერთი სპორტსმენი დიდად იყო გატაცებული ყაბახით. მაგ., ნ. ბარათაშვილის მამიდამშვილს — დარისპან ამირეჯიბს ყაბახში მონაწილეობის მისაღებად უყვილია ყარაბაღული თეთრი ცხენი, რომელშიც მიუტია 200 დესეტინა მიწა სალოლაშენიდან მტკვრამდე, მაგრამ ჭირითის ტყორცნის დროს ამ ცხენს ფეხი მიწის ნახეთქში ჩავარდნია და მოსტენია. ამიტომ დარისპანს პირველი ადგილი ვეღარ აუღია, გამარჯვება მოუპოვებია კონა ერისთავს (ი. ლოლაშვილი, გიორგი ლეონიძის ორი ჩანაწერი ნ. ბარათაშვილზე). თავის დროზე ამ სანახაობის ძლიერ მოყვარული ყოფილა გრ. ორბელიანიც (იხ. ლექსი „იარაღის“). ამას ადასტურებს ნ. ბარათაშვილის სიტყვებიც „გიყვარს ყაბახის კარგიც და ავიც“.

6. ღამე ყაბახზედ პოეტს დაუწერია 1836 წლის ზაფხულში და 1837 წლის თებერვალს გაუგზავნია ბიძისთვის. იგი 1841 წლის ახლო ხანში გადაუმუშავებია და შეუტანია ლექსთა კრებულში (წ. II, CG).

„ძია გ...სთან“ მთავრდება სიტყვებით „აჰა, ის ღამე“ და ა. შ. იქმნება შთაბეჭდილება, თითქმის ეს ლექსი დაუმთავრებელია. ამიტომაც ი. მეუნარგიამ მისი პუბლიკაციისას მე-12 ტაეპის შემდეგ დაუსვა მრავალწერტილი და თან შენიშნა: „ეს წერილები დე“

³ სამფრთიანი ისარი.

⁴ დაჭიმვა; ფემრი უყოსა — დაჭიმოს.



ღანში არ არის, მე დავსვი იმისათვის, რომ, როგორც აზრით ვტყობა, ისე რვეულში მაც ჩანს, რომ ლექსი არ არის გათავებული" ("ივერია", 1882, № IV—V, გვ. 56, სქოლო). ამ ფაქტს ყურადღება მიაქცია მ. კეკელიძემ წერილში „ნ. ბარათაშვილის «ღამე ყაბახზედ»" („კომუნისტური აღზრდისათვის“, 1956, № 7). მან აღნიშნა:

„ეს ლექსი (იგულისხმება „ძია გ...სთან“, ი. ლ.) ვაზრებულია არა როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოები, არამედ როგორც შესავალი ლექსისა «ღამე ყაბახზედ». ლექსი წარმოადგენს მიძღვნას გრ. ორბელიანისადმი და მასში ასხნილია, თუ რატომ ეძღვნება «ღამე ყაბახზედ» გადასახლებაში მყოფ პოეტს. ხოლო ამა ის ღამეა ვახლავთ — «ღამე ყაბახზედ»... ჩვენს უნიჭიერეს მგოსანს ეს ორი ლექსი გათიშულად არა ჰქონია წარმოდგენილი. ისინი ერთმანეთს ავსებენ და პირველი ყოველთვის დაუსრულებელ შთაბეჭდილებას დატოვებს, თუ მეორისაგან იზოლირებულად დავბეჭდავთ და განვიხილავთ. ამიტომ მომავალში მათი პუბლიკაციის ფორმა უნდა შეიცვალოს: ისინი ერთმანეთს ვამოუტალკეველად უნდა მისდევდეს და საერთო სათაურად მიეცეს «ღამე ყაბახზედ» (გვ. 82).

მართლაც, ეს ორივე ლექსი ერთმანეთთან შინაარსობრივად ისე მჭიდროდა დაკავშირებული, რომ მათი დაცილება არ შეიძლება. ამ მხრივ ჩვენ მ. კეკელიძეს ვეთანხმებით, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ისინი გამოვქვეყნოთ ერთ ლექსად საერთო სათაურით! C ავტოგრაფში „ძია გ...სთან“ დაწერილია რვეულის ერთ გვერდზე, იქვე დატოვებულია თავისუფალი ადგილი, ხოლო მეორე გვერდზე იწყება „ღამე ყაბახზედ“. ამ ავტოგრაფის მიხედვით ეს ორივე ლექსი ცალ-ცალკე უნდა დაიბეჭდოს (და არა ისე როგორც დაბეჭდილია 1930—1968 წლების გამოცემებში). მათი პუბლიკაციის ტრადიციული ფორმა პოეტისმიერია და მისი შეცვლა დაუშვებელია.

მკვლევარები ფიქრობენ, რომ ლექსში „ღამე ყაბახზედ“ ასახულია პოეტის პირველი სიყვარული ვინმე ნინოსადმი. 1846 წელს, 19 იანვარს ლ. მელიქიშვილი სწერდა გრ. ორბელიანს: „არ ვიცი, იცი თუ არა, პირველი სიყვარული საწყლისა (ნ. ბარათაშვილის, ი. ლ.) იყო ნინო“ („მნათობი“, 1938, № 12, გვ. 169, სქ.). ი. მეუნარგია ერთგან ამ ნინოს მოიხსენიებს ორბელიანად („ქართველი მწერლები“, სოლ. ციციშვილის რედაქციით, ტ. I, 1954, გვ. 217). პოეტი ამ ნინოს სახელდებით არ იხსენიებს, მაგრამ რაკი პოეტის პირველ სიყვარულს ნინო რქმევია, შეიძლება მართლაც მკვლევართა მოსაზრება გაზიარებულ იქნეს, რომ „ღამე ყაბახზედ“ დაწერილია ამ ნინოს ტრფობის შედეგად.

აქაიქ ქალნი პირად-პირადად სეირნობდნენ, ქექლუტ-მოსილნი (10) — აქა-იქ მრავალფერად და კვლუტად მოსილი ქალები სეირნობდნენ. „პირად-პირადად... კვლუტ-მოსილნი“ შეიძლება დაწერილი იყოს შავთელის შთაგონებით: „ვაქებდეთ, ერნო, ... ქრისტეს მხედარსა, მხნე ახოვანსა, პირად-პირად ვანშენებულსა“ (76,1—2).

ყაფლან — ასლანის ძე ორბელიანი (1813—1878), ნ. ბარათაშვილის დედის ეფემიას ბიძაშვილი.

„ოავსა უფლად“ — ალექსანდრე ქაჭკაევის ლექსი „თავსა უფლად ვერვინ ჰგონებთ“.

7. ფიქრნი ზტყვის პირას. ცნობილია ABCE ავტოგრაფული დედნებით. მან ჩვენამდე მოაღწია სამი ვარიანტი: პირველი თარიღდება 1837—1842 წლებით (CE). მეორე და მესამე—1843 წლით (ABF). პოეტს ამ ლექსზე დაახლოებით ექვსი წელი უმუშავებია, სანამ მას საბოლოო სახეს მისცემდა. მაგ., E ავტოგრაფს შემოუნახავს ერთი და იგივე ტაეპი (6) სამი ვარიანტით:



- ა. ფერ-მკრთალად მონათობს მისთა ზვირთთა ცისა კამარა.
- ბ. მშვენიერებით ჰკრთის ლაქვარდი ცისა კამარა.
- გ. და მის ზვირთებში ჰკრთის ლაქვარდი ცისა კამარა.

ეს კითხვა-სხვაობა პოეტის რთული შემოქმედებითი პროცესის მაჩვენებელია, ამიტომ რედაქტორს ნ. ბარათაშვილის ლექსების გამოცემისას მართებს სიფრთხილე, რათა უშეცდომოდ გამოყოს საბოლოო რედაქცია და ბეჭდვისას მას მიანიჭოს უპირატესობა. მაგრამ ზოგიერთ რედაქტორს ეს სიფრთხილე ვერ გამოუჩენია, რის გამოც ზოგ გამოცემაში „ფიქრნი მტყერის პირას“ შეზავებულია მეორე და მესამე რედაქციების ვარიანტებით.

ლექსის მე-17—19 ტაბების ტრადიციული წაკითხვა ასეთია (ABE)

თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმადლეს
 ამო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება,
 მშფოთვენ და ღრტვინვენ და ა. შ.

F დედაწში (ავრეთვე სარდიონ ალექსი-მესხიშვილის, მ. თუმანიშვილის, დავით რექტორის კრებულიდან ასლებსა და პირველნაბეჭდში) მე-18 ტაბის („ამო სოფლად“) მაგერ იკითხება ორტაბიანი ტექსტი:

არც ვინღა არის და წინაშე ვერც ვინ აღუდგეს,
 რომელთ ხელთ ეპყრასთ უმადლესი სოფლის დიდება...

რომელიც თითქოს ლექსში „ტაბება ნაკულევენებასაც ავსებს სტროფში და რითმის საკითხსაც უკეთ აგვარებს“. ამიტომ 1945 წლის გამოცემის კოლეგია ტრადიციულ ტექსტს გამოაქვეყნა ასეთი რედაქციით:

თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმადლეს
 არც ვინღა არის და წინაშე ვერც ვინ აღუდგეს,
 რომელთ ხელთ ეპყრასთ უმადლესი სოფლის დიდება,
 შფოთვენ და ღრტვინვენ და ა. შ.

ამ ტაბებში სტილი დამძიმებულია ორი „რომელიც“- კავშირით („რომელთ უმადლეს“ და „რომელთ ხელთ ეპყრასთ“), ამასთან სიტყვა „უმადლესი“ გამოორებულია. ეს პოეტს უგრძობნია და ამიტომაც საბოლოოდ მიუღია წაკითხვა „რომელთ უმადლეს ამო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება“. აქ აზრიც გამართულია, სტილიც — დახვეწილი და პოეტის საბოლოო ნებაც განხორციელებული.

1945 წლის გამოცემის რედაქტორების მოსაზრებით, ამ ლექსში „ყოველი ორი ტაბი ერთიდაიმავე რითმითაა დაბოლოებული“, ხოლო ტრადიციულ წაკითხვაში ორტაბიანობა დარღვეულია. თითქოს ეს მსჯელობა მისაღები უნდა იყოს, მაგრამ არც ასეა საქმე. თუ F-ის წაკითხვას მივიღებთ, მაინც კენტად გვრჩება 26-ე ტაბი — „არ მისცეს წყევით ვისი სახელი შთამომავლობას“, რომელსაც მეორე სარიტმო ტაბი არ მოეპოვება. გარდა ამისა, რა ვეუყოთ ლექსის ბოლო ორ სტრიქონს:

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
 იყოს სოფელში და სოფლისათვის არა იზრუნოს,

რომელიც F ხელნაწერში სხვა ვარიანტითაა წარმოდგენილი? აქ ვკითხულობთ:

არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
 იყოს სოფელში და სოფელს კი არ არა არგოს.

კიოხვა ისმის: სარდაქციო კოლეგამ რატომ ეს ტაქებიც F-ის მიხედვით არ ვაჩვენებ? თუ ერთ შემთხვევაში F დედანს მიეცემოდა უპირატესობა, მეორე შემთხვევაში მისი წაკითხვა უნდა აღიარებულიყო კანონიკურად. ცხადია, პრჩევანი სუბიექტურია.

ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირას“ ვასწორდა AB ავტოგრაფების საფუძველზე. უკანასკნელი რედაქცია სწორედ ამ ხელნაწერებშია შემონახული. დაუსტადა ამავე ლექსის ორთოგრაფიული და პუნქტუაციური მხარეც: ასე მაგ., არის „ყურს ვუგდებ მე“ (7), „რას ჰბუტბუტებ“ (9); „და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს“ (16), „თვისს მამულსა“ (25), „შთამამავლობას“ (26), „სოფელსაც უნდ ბოლო მოეღოს“ (27), „მივს-ლიოთ“ (30) ნაცვლად ასეთი ფორმებისა: „უგდებ მე, რას ბუტბუტებ; და რაც მიეღოს, ერთხელ ნატვრით ისი ეკმაროს; თვის მამულსა, შთამამავლობას, უნდა სოფელს, მივ-ლიოთ“.

8. ჩონგურს. შდრ.: მე-3 ტაქები „წარსრულთა დროთა მოგონებითა“ და „ბედი ქართლისას“ მეორე რედაქციის მე-10 ტაქები — „წარსულსა დროებს მოიგონებდეთ“ (BC).

9. ჩემს ვარსკვლავს მიძღვნილია დელფინა ლაბიელისადმი. ლუკა ისარლოვი იგონებს: „უყვარდა ფრანკუზის ბამბაჩნიყის ქალი დელფინე. ძალიან უყვარდა ეს ქალი. ერთხელ გაებუტა და მშინ დაწერა «რად პრისხანებ»... თუ ამგვარი ლექსი“ (ქართველი მწერლები, 1, გვ. 482. შდრ. იქვე, გვ. 204).

1945 წლის გამოცემაში ამ ლექსის მე-7—8 ტაქებები იკითხება ასე:

შენ არ იცი, რა სიამეს მომაგებ,
როს მიბუტვით ნისლით გამომინათებ.

ვარიანტი „გამომინათებ“ დაცულია F დედანში. ABCE ავტოგრაფებში იკითხება: „როს მიბუტვით ნისლით-გამომინათებ“.

„ნისლით-გამომ“ ძველი ქართული გრამატიკული ფორმაა, ნიშნავს — „ნისლიდან“. თანდებული „გამომ“ (-დან) ზოგ შემთხვევაში ძველად მოითხოვდა მოქმედებით ბრუნვას. მაგ.: „და აპა ჳმაჲ იყო ღრუბლით გამომ [ღრუბლიდან, ი. ლ.] და თქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი“ (მათე 17, 5). „შევიდა ერთსა მას ნავსა, რომელი იყო სკმონისი, ... და დაჭდა და ასწაევებდა ნავით გამომ [ნავიდან, ი. ლ.] ერსა მას“ (ლუკა 5, 3) და სხვა. ტაქები ვასწორდა ისე, როგორც იკითხება ABCE ავტოგრაფებში.

10. ნაპოლეონ — საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ 1 ბონაპარტე (1769—1821 წწ.).

11. თავადის ქ...ძის ასულს ეკ...ნას — თავადის (ალექსანდრე) ჳავჭავაძის ასულს ეკატერინას. მიძღვნილია ეკატერინე ჳავჭავაძისადმი (1816—1882 წწ). 1839 წელს ცოლად გაჰყვა სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს.

ვარდსა და ბულბულს მოეღოსინარე — იგულისხმება ალ. ჳავჭავაძის მიერ რუსულიდან თარგმნილი ლექსი „ვარდი და ბულბული“, რომელსაც ეკატერინე „ტბილის ხმით“ მღეროდა.

12. საყურე. იონა მეუნარგიას ცნობით, „ბარათაშვილი იყო თურმე მიწვეული საგინაშვილის სიდერთან საღამოზე და იქიდან შემოვარდა ყაფლან ორბელიანთან, სადაც დაუხვდა იმას ლევან მელიქიშვილი. — „ლევან, ლევან! გაგვიყედი, მეტი აღარ ვარ! ეკატერინა იქ არის და მისმა საყურეს თამაშმა გადამრია. ღვთის განაჩენი კაცი ვერ ნა-“

ხავს ვერაფერს უკეთესსა“ (ქართველი მწერლები, I, 1954, გვ. 217). პოეტს იმევე სალა-
მის „საყურე“ დაუწერია.

13. ჩჩვიალი, შდრ.: „არ გიცვნია სოფელი მომღერალი“ (16) და
„აპყევით სოფელს. შეურჩენელს და მომღერალსა“ (ჩემთ მეგობართ, 5).

14—15. „სული თბოლი“ და „სატრფოვ, მახსოვს.“ პ. ინგოროყვას მოსაზრებით,
ამ ლექსებში ასახულია სატრფოს დაკარგვის გამო გამოწვეული სულიერი თბლობა:
მეორე ლექსის ტაეპები „თურმე ცრემლი უცნაური მოვლიდა ჩემს თბლობას“
ერთგვარი ემიგრანტი ყოფილა ლექსისა „სული თბოლი“ (თხზ., I, გვ. 312—313, 315).
მაგრამ აქ ყურადღება არ ეწევა იმას, რომ „სატრფოვ, მახსოვს“ დაწერილია 1840
წელს. „სული თბოლი“ კი — 1839 წელს.

16. ჩემი ლოცვა დაწერილია ლუქას სახარებაში (15,11—32) მოთხრობილი
იგავის შთაგონებით. „ძე შეცთომილი“ და „განსაცდელში შემცოდე შეილი“ არის იგივე
უძლები შვილი (несудный сын), რომელმაც მამამისს ქონება გაუყო, განაზნაი მეძაეთა
თანა და სამკვიდრებელში უკანდაბრუნებულმა, გალატაკებულმა და მშვიერმა, შეინანა
თავისი ცოდვები. შემდეგ პოეტს აგონდება ადამის შეცოდება, სამოთხის მშვენიერება
რომ უმსხვერპლა წადილს და იხილა სასუფეველის ნეტარება (მესაქმე, თ. 2—3).

ცხოვრების წყარო — ეპითეტია ლეტაებისა.

მაშა დუმილი მიითვალენ — წარმოადგენს შავთელის „აბდულმესი-
ნის“ ბოლოს დართული ტაების გამეორებას: „ჩემგან დუმილი თვით მიითვალეთ“ (ა. გა-
წერელია, რჩ. ნაწერები, I, გვ. 78; ი. ლოლაშვილი, ძვ. ქართველი მეხოტბენი, II, გვ.
38).

17—20. ლექსები „აღმოსაზდა მნათი აღმოსავალს“, „ჩემთ მეგობართ“, „არ უკითხინო,
სატრფოვ“, „ვპოვე ტაძარა“ სიყვარულის თემაზეა დაწერილი და მათში ზოგა-
დად გააზრებულია ამ დიდი გრძნობის სიამოვნებისა და მწუხარების მომგვრელი ბუნება.
ზოგი მკვლევარი ვარაუდობს, თითქოს ეს ლექსები მიძღვნილია ეკატერინე ქვეკვაძისა-
დმი. ფიქრობენ, რომ ტაეპში „არ შეემსკვალოთ მოკისკასეს კეყელა ქალსა“ (ლექსიდან
„ჩემთ მეგობართ“) „საუბარია «კეყელა» ქალზე ზოგადად“. მაგრამ ამავე დროს ეკატე-
რინეზეც, რადგანაც მისი „შინაური სახელი იყო «კეყელა»-ო“ (პ. ინგოროყვა, თხზ., I,
გვ. 317). მაგრამ ეს ვარაუდი დასაბუთებას საჭიროებს.

21. ნა...ფორტოპიანოზედ მომღერალა. ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ იგი
მიძღვნილია ნინა ქვეკვაძისადმი (ნ. ბარათაშვილი, თხზ., 1939, გვ. 124).
მაგრამ მკვლევართა უმეტესობა ლექსის ადრესატად ვარაუდობს ეკატერინე ქვე-
კვაძეს, რომელიც მშვენიერად მღეროდა ფორტოპიანოზე; ამასთან ისინი „ნა...“ს შიფ-
რადენ ასე: „(ეკატერი)ნა“. ეს მოსაზრება უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან, რადგანაც
ლექსი ი. მეუნარგიამ ეკატერინეს პირად არქივში აღმოაჩინა და, მისი ავტორი რომ
ნ. ბარათაშვილი იყო, თვით ეკატერინემ დაუდასტურა პუბლიკატორს.

თმანი ნაშალნი, მკერდზედ დაყრილნი ემუქმკეებო-
დენ — მკერდზე დაშლილად დაყრილი (შავი) თმები (ეკატერინეს) მუქჩრდილს აფენ-
დნენ და, ამკობდნენ. ასე გაუაზრებია პოეტს სიტყვა „ემუქმკეებოდენ“, რომელიც წარ-
მოადგენს ჩახრუხაძის ერთი ტაების (I,7) გამოძახილს (ეს ლიტერატურული პარალელი
პირველად შენიშნა ა. გაწერელიამ. იხ. მისი რჩეული ნაწერები“, I, გვ. 78). ჩახრუხაძე
წერს:



ზნა „ემუქფებიან“ (=სამაგიეროს უზღავენ) ნაწარმოებია სიტყვიდან „მუქაფა“ (=სანა-
ცლო, სამაგიერო): მუქფება — ემუქფებიან. XIX საუკუნის გადამწერებს ეს სიტყვა ვერ
გულგიათ და ძველი ხელნაწერებიდან ამოუკითხავთ ამგვარად: „ემუქმეზიანი“ (დაშვებუ-
ლია გრაფიკული შეცდომა ფ—მკ). ნ. ბარათაშვილს წაუკითხავს „თამარიანი“ ისეთ
ხელნაწერში, სადაც ეს დამახინჯებული სიტყვა წერებულა, მაგრამ მას იგი თავისებურად
გაუზარებია და ასე შეუქმნია ახალი სიტყვა ახალი შინაარსით (შდრ. ი. ლოლაშვილი,
„ძველი ქართველი მეხოტბენი“. I, 1957, გვ. 92—93).

22. „მიუვარს თვალეში“ დათარიღებულია 1842 წლით, მაგრამ იგი არ არის შეტა-
ნილი B ავტოგრაფში. სათაური იკითხება ამ ხელნაწერის ზანდუკში (იხ. აქვე,
გვ. 46).

23. სუმბული და მწირი. პოეტი წერს, თუ მისი როგორ „აყვავებს ტურფად ბუნე-
ბას“ და მერმე დასძენს:

მევა ბულბული და დაუშტვენს სიყვარულის ხმას (BDEF).

ეს ტაეპი ასეა დაბეჭდილი 1945 წლის გამოცემაშიც. მაგრამ აქ მხედველობიდან
გამორჩენილია, რომ A ავტოგრაფში „სიყვარულის ხმა“ გასწორებულა „სიცოცხლისა
ხმად“. პოეტს ჯერ საყოველთაოდ ცნობილი მოტივი — ვარდისა და ბულბულის სიყვა-
რული გაუხსენებია და ბულბული სიყვარულის ხმის მსტვენავად წარმოუხსავს, მაგრამ
შემდეგ ეს ცნება ფართო ასპექტში გაუზარებია: აი, მოდის მისი, აყვავებს იგი ბუნე-
ბას, ზამთრის სუხსისაგან გამხმარ მცენარეულ აცოცხლებს და ბუნების გაცოცხლე-
ბას მოსდევს ბულბულის სტვენა, რომელსაც პოეტი სახავს სიცოცხლის ხმად. ეს მხატვ-
რული სახე უფრო გრანდიოზულია, ვიდრე სიყვარულის ხმით სტვენვა, რომელიც ეხება
მხოლოდ ვარდს. სუმბულისთვის კი ეს სტვენვა სიცოცხლის მაუწყებელია. ამიტომაც
ტაეპი გასწორდა A ავტოგრაფის მიხედვით — „სიცოცხლისა ხმას“, მიუხედავად იმისა,
რომ „სიყვარულის ხმას“ ოთხ ავტოგრაფშია დაცული. ამავე ლექსში გასწორდა მე-10
და მე-20 ტაეპებიც ასე: „ტკბილს მგოსანსა“ და „შიწრდილებს“ ნაცულად წაიკითხვე-
ბისა: „ტკბილ მგოსანსა“ და „უწრდილებს“.

24—25. შენი დაღალნი და რად მყველრი კაცსა ეხება სიყვარულის თემას ზოგა-
დად და ორივე დაწერილია 1842 წელს, მაგრამ მათი ზუსტი თარიღების დადგენა არ
ხერხდება.

26. მერანი პოეტს დაუწერია ილია ორბელიანის ტყვეობასთან დაკავშირებით
1842 წლის აპრილში. ამაზე თვით იგი გვიყვება 1842 წლის 2 მაისს გრ. ორბელიანისადმი
ვაგზავნილ წერილში (VI). ლექსიც იქვეა ჩართული. B ავტოგრაფში კი მას თარიღად
უწერია „მაისის 9-სა, 1842“. პ. ინგოროყვა ფიქრობს, რომ ეს მინაწერი ლექსის რე-
დაქტირების თარიღია, დაწერის შემდეგ ლექსს მხოლოდ უმნიშვნელო სტილისტური
ცვლილება განუცდია. შდრ.: წერილის ტექსტი AB ავტოგრაფებთან:

ა. ნუ დავიმარხო მ მ მ ბ ე ლ ს მი წ ა შ ი, ჩემთა წინაპართ საფლავებს
შორის,
ნუ დამიტირებს სატრფო სულისა, ნუ დამეცემის
ცრემლი მწუხარის...

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ჩემის სულისა ესე
კვეთება (წ.).

ბ. ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს
შორის,

ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს
ჩრემლი მწუსარის...

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის
სულის-კვეთება (AB).

(ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ესე განწირვა,
სულის-კვეთება E).

ამ ავტოგრაფებიდან ირკვევა, რომ პოეტს ცვლილება მოუხდენია 1842—1843 წლებში. ამიტომ თარიღი „მაისის 9-სა, 1842“ პოეტისმიერი შეცდომა უნდა იყოს.

სათაური „მერანი“ (ან „ჩემს მერანს“) პირობითია. E ავტოგრაფში მისი სათაურია „თავგანწირული მხედარი“. სხვა ავტოგრაფებში კი ლექსი უსათაურია.

27. კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ. აზარფეშა დაკარგულია. მისი მფლობელი კნიაზი ბარათაევი არის პოეტის ნათესავი, ცნობილი ნუმისმატიკოსი მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილი (1784—1856), ავტორი შრომისა „Нумизматические факты грузинского царства.“ პოეტს მის ალბომში ჩაუწერია ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“. იმ ხანებში ბარათაევი წასულა პეტერბურგში „с большим запасом сведения об исторической Грузии“ (იხ. წერილი XVIII).

28. საფლავი მეფის ირაკლისა. იგულისხმება ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორე თეიმურაზის ძე (1720—1798).

29—30. „სულთ ბორჯო“ და „შევიშრობ ცრემლსა“. პირველი ლექსი დაწერილია 1843 წლის 2 აგვისტოს ახლო ხანში, მეორის ზუსტი თარიღი კი უცნობია.

31. ომი საქართველოს თავდა-აზნაურ-გლეხთა. ამ ლექსში იგულისხმება ქართველთა მილიციის გალაშქრება დალისტნელთა წინააღმდეგ, რომელიც მოხდა 1844 წელს თავდა-აზნაურთა წინამძღოლის — დიმიტრი თამაზის ძე ორბელიანის (1798—1868) სარდლობით. გრ. ობელიანი სწერდა კონსტანტინე თარხნიშვილს: „ქართველების მილიცია მოდის 1700 ქვეითი და ცხენოსანი; სარდალთან დანიშნულან 50-ნი თავდა-აზნაურნი პაჩოტნის კანვოიად. დიმიტრი მარშალი მოსდევს ნაჩალნიყად მილიციას“ (გრ. ორბელიანის „წერილები“. I, გვ. 112).

ძველი მოღვაწენი ერთხანს ამ ლექსს ბარათაშვილის ნაწერად არ თვლიდნენ, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ზ. ჭიჭინაძემ იგი პოეტის ლექსთა კრებულში შეიტანა და დაასაბუთა მისი ორიგინალობა, ავტორის ვინაობაში ეჭვი აღარავის შეუტანია.

ლექსში დავას იწვევს 30-ე ტაეპი, რომელიც ჩვენამდე მოღწეულია ორი რედაქციით:

ა. მეფესა თავი შესწირეთ, ვაგლახი იცით წარმართთ.

ბ. იმპერატორსა ემსხვერპლეთ, ვაი დამართეთ

წარმართთა.

ეს წანაკითხები დაცულია H¹ ავტოგრაფში. 1935 წელს გ. ლეონიძემ „ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“ (I, გვ. 639—640) დაბეჭდა მისი ფოტოკოპირი და გამოთქვა მოსაზრება, რომ საჭიროა ლექსში აღვადგინოთ პირველი რედაქცია („მეფესა თავი შესწირეთ“), რადგანაც „პოეტი ჰპმართავს პატრიოტულ რომანტიკას, — წინაპართა“ „მამათა“ ეროვნულ ანრდილებს. თავდადება ეროვნული სახელმწიფოებრიობისათვის და არა აღიარება დიდმპყრობელობისა, ანუ შერიგება საქართველოს სამეფოს დამოუკიდ-

დებლობის დაკარგვასთან. ასეთ გაუგებრობას გვიფანტავს სტრიქონის აღდგენა თავდაპირველი სახით. ცხადია, ლექსი დამახინჯებულია გამჭვინვერებული ცენზურის "იძულებით" (გვ. 639).

გ. ლეონიძის მოსაზრება მკვლევრებმა გაიზიარეს. ნ. ბარათაშვილის თხზულებათა შემდგომ გამოცემებში რედაქტორებმა აღადგინეს პირველი წაყითვის: „მეფესა თავი შესწირეთ“ ... მაგრამ პოეტის საბოლოო რედაქციისა „იმპერატორსა ემსხვერპლეთ. ვაი დამართეთ წარმართთა“ (HH¹H²). ლექსში მოხდენილი ცვლილება გამოწვეული ჩანს ისტორიული ანაქრონიზმის თავიდან აცილებისა (1844 წელს საქართველოს მეფე აღარ ჰყავდა) და ცენზურისათვის თვალის ახვევის მიზნით (შდრ. ა. გაწერელია. რჩეული ნაწერები, II, 1965, გვ. 144—145).

წინ ერისთავი მიუძღვის — იგულისხმება „დიდი კნიაზი“. სენატორი გიორგი ერისთავი, რომელსაც პოეტი იხსენიებს XII წერილში (გვ. 130). მას მეტსახე-ლად უწოდებდნენ „ერაჰა“-ს.

ქართლოსი — თარგამოსის ძე; ძველი გადმოცემით, ქართველთა ტომის წინაპარი (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 4—5, 8—11).

კავკასო, ქართლოსს საფლავზედ არიან გაფიცებულნი — იგულისხმება ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-დან შემდეგი ადგილი: ქართველთა „მტკიცე და უფროსი საფიცარი იყო საფლავი ქართლოსისი“ (იქვე, გვ. 11).

სომხითი — ქვემო ქართლის მხარე, სადაც ცხოვრობდნენ ბარათაშვილები და ორბელიანები.

დავით სარდალი — რევაზის ძე ორბელიანი (1720—1795). ერეკლე მეფის სიძე, ასპინძის ომის გმირი.

მეფე ირაკლი — ერეკლე მეორე (1720—1798).

მან თავი დასდვა სპათათვის, სახელითა ჰქმნა სახელი — დაწერილია ვახტანგ VI-ის ლექსის („სულხან-საბა ორბელიანზედ“) შთაგონებით. შდრ.: „ორბელიანმა სპათამან სახელითა ქნა სახელი“ (ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, 1947, გვ. 62). ეს ლიტერატურული პარალელი პირველად შენიშნა ა. ბარამიძემ (იხ. მისი წერილი წიგნში „ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო კრებული“, 1968).

32. ჩინარის ავტოგრაფი არ შემონახულა.

მრწამს, რომ არს ენა ჩამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის — მწამს, რომ უსულთ არსებათა შორის არსებობს რაღაც საიდუმლო ენა. „უასაკო“ და „უსულო“ სინონიმური ცნებებია. „უასაკო“ ნიშნავს „უხორცოს“, „უსულოს“, გონის არმქონეს“. პოეტი ამ შემთხვევაში შთაგონებულია „ვეფხისტყაოსნის“ ანალოგიური გამოთქმებით:

რადგან ვარდი ამას იტყვის, უსულო და უასაკო (879, 1),
სამხრე ვაბია ოქროსა, ოქრომჭედლისა დნობილი,

უასაკო და უსულო, არ სიტყვიერი, ცნობილი (898, 1—2).

ამ ტერმინების შესახებ იხ. კ. დანელიას წერილი „ზოგი რამ ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი“ („სკოლა და ცხოვრება“, 1964, № 10, გვ. 77—79).

33. „მადლი შენს გამჩენს“ — ავტოგრაფი დაკარგულია.

34. დამქროლა ქარმან სასტიკმან, მკვლევართა მოსაზრებით, დაწერილი უნდა იყოს 1845 წლის 9 თებერვლის ახლო დროს ნახჭევანში. XIII წერილში

ნ. ბარათაშვილი მაიკო ორბელიანსა სწერს: „აი, ამ ქართულს ლექსს გიგზავნი, მდაბრე-
რულად დაწერილს. როგორღაც ფიქრში მომივიდა «მე ვარ და ჩემი ნაბადი»-ის
ზმავედ“. პოეტი ლექსის სათაურს არ ასახელებს, მაგრამ მასში უნდა გულისხმობდეს
„დამქროლა ქარმან სასტიკმან“. რადგანაც მაიკო ორბელიანის წერილებს შორის არსე-
ბულ ლექსთაგან „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ მოტივზე სწორედ ეს ლექსი იმღერება.

85 — 86. როს ბედნიერ ვარ, ცისა ფერს უთარილო ლექსებია. დაწერის თარიღე-
ბი დაუდგენელია; ორივე შეთხზულია ეკატერინე ქაეკევიძისათვის რუსული
სასილერო ლექსების მიზაქეთ. მათი წარმოშობის შესახებ პირველი ცნობა ეკუთვ-
ნის რადიელ ერისთავს (დროება, 1882, № 121). მათვე სპეციალური წერილები უძღვნეს
გ. ლეონიძემ „ბარათაშვილის ერთი ლექსის ირგვლივ“ (ლიტ. მატინე, წ. 1—2, გვ. 415—
418) და ი. გრიშაშვილმა „ნიკოლოზ ბარათაშვილის «ცისა ფერს» და ალექსანდრე ქაე-
კევიძის «ფერსა ბნელს» (ლიტერატურული ნარკვევები, 1952, გვ. 108—113).

87. წარწერა მართა ერისთავის თასზე „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის“
როდისაა დაწერილი არ ვიცით, თუმცა პ. ინგოროყვა ფიქრობს, რომ „ჩანს და-
წერილია 1844 წლის აგვისტოში, როდესაც ბარათაშვილი ერისთავიანთსა იყო“ (იქვე).
მისი ტექსტი გამოაქვეყნა ნინო ორბელიანმა, მაგრამ მასაც არაფერი სცოდნია ლექსის
დაწერის თარიღზე. მართა ერისთავი იყო ივანე სოლოღაშვილის ქალიშვილი. მას, რო-
გორც ულამაზეს ქალს, სატრფიალო ლექსებს უძღვნიდნენ.

88. ბედი ქართლისას ტექსტის საკითხებზე იხ. აქვე, გვ. 172—185.

პ ა ტ ა რ ა კ ა ხ ი — ერეკლე მეფის ზედწოდება.

მ ე ფ ე ი რ ა კ ლ ი — იგივე ერეკლე მეფე, პატარა კახად ზედწოდებული.

ა ლ ა მ ა მ მ ა დ - ხ ა ნ ი — სპარსეთის შაჰი, რომელმაც 1795 წელს თბილისი ააოხ-
რა.

თ ა მ ა ზ , ე ნ ი ს ე ნ თ მ ო უ რ ა ვ ი ს ძ ე — თამაზ ჯორჯაძე, ენისელის მოუ-
რავის დიპტრი ჯორჯაძის ძე, რომელმაც თავი ისახელა კრწანისის ბრძოლაში.

ი ო ა ნ ე , კ ა ხ თ ა ბ ა შ ი ძ ე — იოანე ნიკოლოზის ძე აბაშიძე, რომელიც დაი-
ღუპა კრწანისის ბრძოლაში. თეიმურაზ ბატონიშვილი წერს თავის მემუარებში: „თავად-
თავან მეფისათა მოსწყდეს თავადი აბაშიძე იოანე, ძე ნიკოლოზ დიანბევისა, რომელიც
იყო მახლობელი ნათესავი მეფისა ირაკლისა დედისა კერძოთი“ („კვალი“, 1895, № 194).

„მ ა გ რ ა მ ი უ ლ ა უ ა მ ს ე ძ ი ე ბ დ ა“ — აქ ლაბარაკია იმ ღალატზე, რომ
მელიც ისტორიულად ცნობილია ალა-მამაღ-ხანის მიერ თბილისის აღებასთან დაკავ-
შირებით.

ს ო ლ ო მ ო ნ მ ს ა ჯ უ ლ ი — სოლომონ ლეონიძე, მეფის მრჩეველი და განთქ-
მული ორატორი (1754—1811).

ს ო ფ ი ო — დავითის ასული ერისთავი, სოლომონ ლეონიძის მეუღლე.

დ ა ვ ი თ ს ა რ დ ა ლ ი — იხ. 31-ე ლექსის კომენტარი.

89. ელენეს და მარიამს — ავტოგრაფი არ შენახულა. ლექსი აღმოაჩინა და
გამოაქვეყნა დ. კარტიკაშვილმა („საქართველო“, 1916, № 260; „სახალხო ფურცე-
ლი“, 1916, № 728; მისი სურათებიანი დამატება № 130), მიმართულია ლუარსაბ ორ-
ბელიანის ასულების — ელენე ერისთავისა და მარიამ ფალავანდიშვილის საპასუხოდ.
მათ ხშირად იხსენიებს გრ. ორბელიანი თავის წერილებში. ლექსი დაწერილია შაშინ,
როდესაც წ. ბარათაშვილი სასამართლო-პალატაში მუშაობდა. ამიტომაც არ ის, რომ



პოეტს ხუმრობით უწერენ: „ბალატაში ჯდომითა ხანი მოგმატებია“ (S 5190). შდრ.: ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1930 და 1939 წლების გამოცემათა დამატებანი; აგრეთვე ი. ბალახაშვილის „ბარათაშვილის ცხოვრება“ (გვ. 260—278), ი. ლოლაშვილის „ბ. ბარათაშვილის ლიტერატურული შემკვიდრება“ (1968, გვ. 91—92).

ბ. წმინდელები

I

ბარათაშვილის ეს წერილი აღმოჩნდა საქართველოს ცენტრალური არქივის № 171-ში, სადაც დაცულია გრ. ორბელიანის (1800—1883) ქაღალდები და 1832 წლის შეთქმულთა (სოლ. რაზმაძის, ს. დოდაშვილის და სხვების) მასალები. ამ დროს გრ. ორბელიანი მსახურობდა ქ. ნოვგოროდში დაბანაკებულ „საგანგებო ქვეით პოლკში“ (ი. მ. ე. უნარგია, ცხოვრება და ღვაწლი თ. გრ. ორბელიანისა, ტფილისი, 1905, გვ. 24).

ბარათს თარიღი არ უზის, მაგრამ მასთან ინახება მელიტონ ბარათაშვილის (პოეტის მამის) წერილი გრ. ორბელიანისადმი 1831 წლის 3 სექტემბრის თარიღით. მელიტონი სწერს გრიგოლს: „ვისთვისაც მოკითხვა მოგეწერა, ყველამ მადლობა და მოკითხვა მოგახსენეს. ჩემმა ტატომა კი წიგნი მოგწერა. მერწმუნეთ თითონ დაწერა, არავის უსწავლებია“. ცხადია, აქ იგულისხმება ნ. ბარათაშვილის დასახელებული წერილი, რომელსაც აშკარად ეტყობა რუსულ ენაში ჯერ კიდევ გაუწაფავი შეგირდის ხელი. საფიქრებელია, ნ. ბარათაშვილმა იგი დაწერა იმ დღეს, როცა მელიტონი ავზავნიდა ბარათს გრიგოლ ორბელიანთან (ე. ი. 1831 წლის 3 სექტემბერს).

1. ინსტრუქციები — როგორც ჩანს, ბარათაშვილი სთხოვს ბიძას სასწავლო ხელსაწყოების გამოგზავნას.

II

1. ნიკ. ბარათაშვილმა გიმნაზია დაასრულა 1835 წლის შემოდგომაზე და შევიდა მოხელედ „სასამართლოსა და განჩინების ექსპედიციაში“ 1835 წლის ბოლოს.

2. ეს ტაეპი ამოღებულია გრ. ორბელიანის ლექსიდან „იარალის“. ნ. ბარათაშვილს ოდნავი შეცვლით მოჰყავს პოეტის სიტყვები (შდრ. გ. ორბელიანი: „გაცხელე ბულთა ღვინისგან შუბლთა კოჭრის ნიავი განგვიგრილებდეს“).

3. „არვინ იცის, რა გამოვა რისგან“ თავისებურად შეცვლილი რეზერვია საიათნოვას ლექსისა: „შე საწყალო ჩემო თავო, რა იქენ“ (ი. გრიშაშვილი, საიათნოვა, ტფილისი, 1918, გვ. 107)...

ნ. ბარათაშვილი ამ ბარათს წერს 1837 წ. (თებერვალი), როცა გრ. ორბელიანი პეტროპოლისში „ნევის საზღვაო პოლკში“ მსახურობდა. ეს პოლკი 1833—1837 წწ. ვილნოს გუბერნიაში იდგა. მაშინ მიიღო გრ. ორბელიანმა შტაბს-კაპიტნის ხარისხი.

III

1. მიხეილ თუმანოვილი — გიორგი XII მდივნის ბირთველის ძე (1818—1875), ნ. ბარათაშვილის ახლო მეგობარი. თბილისის გიმნაზია დაასრულა 1836 წ. 1864 წ. მუშაობდა „გლეხთა განთავისუფლების“ კანცელარიის უფროსად. 1874 წ. მეფის მოადგილის საბჭოს წევრია.

მიხ. თუმანიშვილი ქართულ პრესაშიც იღებდა მონაწილეობას. მის კალამს ეკუთვნის ორიგინალური ლექსები. თარგმნა პუშკინის „ბახჩისარაის შადრევანი“ და ჟურნ

„ციკარში“ მოათავსა რამდენიმე ფელეტონი „სალაყბო ფურცელი“-ს ხელმოწერით. მასვე ეკუთვნის წერილები ქართული თეატრის შესახებ რუსულ ენაზე (იხ. მიხ. თ. შ. მანისვილის თხზულებანი. ზ. კიკინაძის გამოცემა. ტფილისი, 1881 წ.; შტრ. მონოგრაფია: მიხ. ხელთუბნელი. წარსულიდან. ტფილისი, 1937 წ. და სხვ.).

2. ზაქარია ორბელიანი — ნ. ბარათაშვილის ბიძა, გრ. ორბელიანის ძმა (1806—1847). სამხედრო სამსახურში შევიდა 1824 წ. 1826 წელს გადაიყვანეს ლეიბ-გვარდიაში. 1828 წ. მონაწილეობას იღებდა ომში თურქეთის წინააღმდეგ. არზრუმთან ბრძოლაში გმირობისათვის ებოძა ანას მე-4 ხარისხის ორდენი. 1831 წ. მონაწილეობდა პოლონეთის „დაწყენარებაში“. 1837 წ. — პორუჩიკი, 1838 წ. მიიღო შტ. კაპიტნის ხარისხი. 1842 წ. მსახურობდა სამხრეთ დაღისტანში (სამურში) გენერალ მ. ზ. არღუთინსკისთან. 1844 წ. გახდა პოლკოვნიკი; გარდ. 1847 წელს სოფ. ხოჯალმაქში (დაღისტანი) ხოლერისაგან (დაწვრ. იხ. გრ. ორბელიანი, „წერილები“. აკ. ვაწერელიას რედაქციითა და შენიშვნებით, ტ. I, გვ. 220—221).

3. ვარლამოვი — გარსევან ვარლამოვი, თბილისელი კათოლიკი, ნ. ბარათაშვილის სკოლის ამხანაგი. გ. ვარლამოვისთვის უცხო არ ყოფილა ლიტერატურული ინტერესები. მას გიმნაზიაში პუშკინის „ევეგენი ონეგინის“ რამდენიმე თავი უთარგმნია ქართულად, მაგრამ უხეიროდ. რამდენიმე ლექსი აქვს მოთავსებული „თბილისის გიმნაზიის ყუვილში“ („Цветок Тифлисской Гимназии“). გ. ვარლამოვი 40-იან წლებში ნ. ბარათაშვილთან ერთად იხსენიება მ. თუმანიშვილის, ლ. ისარლოვის და პოლონელი პოეტის თადეოზ ლადი-ზაბლოცკის წერილებში. „მერანის“ ავტორთან მას ახლო ურთიერთობა ჰქონია გიმნაზიის დამთავრების შემდეგაც. საქართველოს ცენტრალურ არქივში აღმოჩენილი მასალებით დასტურდება, რომ გარსევან ვარლამოვი ნ. ბარათაშვილთან ერთად მსახურობდა მაგიდის უფროსად „საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატაში“, რომელიც დაარსდა 1840 წელს, სენატორ ვანის რეფორმის შემდეგ „სამართლისა და განჩინების“ ექსპედიციის ნაცვლად. შეიძლება ამ უკანასკნელ დაწესებულებასთან იყო დაკავშირებული ვარლამოვის „ჩინზე“ წარდგენის საქმე, რაზედაც ლაპარაკია ნ. ბარათაშვილის წერილში.

IV

1. „დიმიტრიევსკის ლექსები“. ივულისხმება პოეტი ი. დ. დიმიტრიევსკი, რომელიც დაახლოებული ყოფილა პუშკინთან და ლერმონტოვთან. ეს უკანასკნელი აღფრთოვანებულიც კი ყოფილა მისი სატრფიალო ლექსებით. დიმიტრიევსკის უცხოვრია კავკასიაში, კერძოდ თბილისში. იყო კავკასიის მხარის ვიცე-გუბერნატორი. ადრე გარდაცვლილა (იხ. Русский Архив, 1874, № 2, დეკაბრისტ Н. Лопер-ის მოგონებებში ამ ცნობაზე მიგვითითა გ. აბზიანიძემ).

2. აფხაზი — ივანე ნიკოლოზის ძე. 1826 წ. — საქ. გრენად. პოლკის უფროსი, ცნობილია თავის ლაშქრობით ოსეთში 1830 წელს.

ი. მეუწარგას ცნობით, „მელიტონი (ბარათაშვილი) ჯერ მუხრანთან ხიდის ახლო იდგა და შემდეგ ანჩისხატის უბანში, იქ. საცა აბზაზი იდგა, დეკანოზის დიმიტრი მესხი-შვილის სახლის პირდაპირ“ (1922 წ. გამოც., გვ. 8).

3. ყიფიანი — დიმიტრი ყიფიანი, ქართველი მწერალი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე (1814—1887); სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში; ნ. ბარათაშვილის ახლო მეგობარი სასწავლებლიდან; 1830—1859 წწ. მსახურობდა მეფის მოადგილის კანცელარიაში; 1856 წელს, გენერალ მურავიოვის დროს, მართავდა კანცელარია; 1859 წ. იყო მეფის მოადგილის საბჭოს წევრი, 1864—1870 წწ. — თბილ. გუბ.



თავიდანაწარმობის წინამძღოლი, 1876—1879 წწ. — თბილისის ქალაქის თავი, 1885 წწ. — ქუთაისის თავ-ახნ. წინამძღოლი, 1887 წელს მოკლეს ქ. სტავროპოლში.

ღ. ყიფიანმა გამოსცა ქართ. გრამატიკა, თარგმნა რამდენიმე პიესა შექსპირისა და მოლიერისა (დაწვ. იხ. მისი „მემუარები“, ტფილ., 1930).

4. შექსპირი (უილიამ) — უდიდესი ინგლისელი დრამატურგი (1564—1616).

5. ლაიხევიცი (იოჰან ანტონ) — გერმანელი დრამატურგი (1752—1806), რომლის ხუთმოქმედებიანი ტრაგედია „იულიუს ტარენტილი“ რუსულიდან უთარგმნია ნიკ. ბარათაშვილს. ეს თარგმანი ამჟამად უცნობია.

6. „ბიბლიოტეკა“ — ივულისხმება ჟურნალი „Библиотека для чтения“, რომელიც გამოდიოდა ორიენტალისტისა და ჟურნალისტის სენკოვსკის (ბარონ ბრამბეუსი) რედაქტორობით; დაარსდა 1834 წ. ლაიხევიცის ტრაგედის რუსული თარგმანი ამ ჟურნალშია დაბეჭდილი (1840 წ. 43 ტომის დეკემბრის წიგნში).

7. მაიკო — ქაიხოსრო ორბელიანის ასული, დაი მისივე ორბელიანისა, ლევან მელიქიშვილის დანიშნული, ნ. ბარათაშვილის უახლოესი მეგობარი და ნათესავი. გარდაიცვალა 1846 წ.

8. ბალაშოვი?
1841 წლის მისში, როცა ნ. ბარათაშვილი სწერს ბარათს გრ. ორბელიანს, ეს უკანასკნელი საქართველოში იმყოფებოდა (მსახურობდა ქართველ გრენადერთა პოლკში, რომლის შტაბი ქ. გორში იდგა).

V

1. დიმიტრი ჯორჯაძე (დავითის ძე) — საზოგადო მოღვაწე (1822—1888 მსახურობდა დაღესტანში (ქ. თემირხანშურაში) საოლქო კანცელარიის გამგედ; გრ. ორბელიანის ახლო მეგობარი; 70-იან წლებში დაღესტნიდან გადმოიყვანეს თბილისში და მონაწილეობა მიიღო სეკანონმდებლო პროექტების შედგენაში. მეფის მოადგილის საბჭოს წევრი. გრ. ორბელიანი მას თავის „ბურჩინად“ (ნაპოლეონის მდივნის სახელია სთვლიდა).

2. ანდრონიკოვი — ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი (1798—1868), 1829 წ. მიიღო პოლკოვნიკის ხარისხი. 1840 წ. ჩააქრო ოსეთის ამბოხება. 40-იან წლებში მონაწილეობს მთიულეთთან ომში დაღესტანს. 1849—1855 წწ. თბილისის გუბერნატორია; თავი ისახელა 1853—1856 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში. 1858 წ. კავალერიის გენერალი (იხ. გრ. ორბელიანი, „წერილები“, ტ. I, გვ. 287).

ივ. ანდრონიკაშვილი 1841 წლის აგვისტო-სექტემბერში მონაწილეობდა გურიის აჯანყების ჩაქრობაში. როგორც ცნობილია, გურიის გლეხობის გამოსვლა მთავრობისა და მემამულეთა წინააღმდეგ მოხდა 1841 წ. მაის-სექტემბერს. „წესრიგის აღსადგენად“ გურიაში გაიგზავნა დამსჯელი რაზმი, რომელმაც მკაცრი რეპრესიებით ჩააქრო ამბოხება. აჯანყების მრავალი მონაწილე გაროზგეს, ზოგი ციმბირს ვადასახლეს და ზოგიც საპატიმროებში მოათავსეს.

3. ივულისხმება კავკასიის ჯარების კორპუსი.
4. „სარდლობა არღუთინსკისა“. პოლკ. მოსე ზაქარიას ძე არღუთინსკი-დოლოგორუკოვი (1798—1855). შემდეგში გენერალ-ადუტანტი. სარდლობდა იმ პოლკს, რომელმაც ჩააქრო გურიის აჯანყება 1841 წ. შემდეგ იბრძოდა დაღესტანში (დაწვრ. იხ. გრ. ორბელიანი, „წერილები“, ტ. I, გვ. 248).

5. საგინოვი — გიორგი საგინაშვილი, ქართველ გრენადერთა პოლკის ოფიცერი, შემდეგ მსახურობდა დაღესტანში ზაქ. ორბელიანთან, მ. არღუთინსკის ხელქვეითად „სამურის რაზმში“.

6. გურამოვი — პოლკოვნიკი, მონაწილეობას იღებდა მთიულეთთან ომში 40-იან წლებში.

7. ადლერბერდი — გრაფი ალექსანდრე ვლადიმერის ძე ადლერბერგი (1818—1888). 1841 წელს ჩამოვიდა კავკასიაში და მონაწილეობა მიიღო ომში შამილის წინააღმდეგ. 1842 წ. დააჯილდოვეს ანას მე-3 ხარისხის ორდენით. 1845 წ. მიიღო კაპიტნის ხარისხი. 1850 წელს თან ახლდა იმპერატორის შემყვიდრეს (შემდეგში — ალექსანდრე II) კავკასიაში მოგზაურობისას და მთიულეთთან შეტაკებაში მდ. რომანსთან (საჩაჩნო) სიმამაცის გამოჩენისათვის ებოძა საჩუქარი (ნახევარხმალი წარწერით „სიმამაცისათვის“). შემდეგში — ინფანტერიის გენერალი და კარის მინისტრი.

8. „პოლკის კამანდერი გამოცივალები“. გრ. ორბელიანი მსახურობდა ქართ. გრენადერთა პოლკში. პოლკის უფროსად 1836—1840 წწ. იყო გრაფი ალ. კარლის ძე ოპერმანი, 1840—1841 წლებში კი — პოლკ. ბორის ვაბრიელის ძე კილაშვილი, რომელმაც თავის თანამდებობა ჩააბარა გენ.-მაიორ კურასოვსკის. ნიკ. ბარათაშვილს მხედველობაში აქვს ეს ცვლილება.

9. ჩილაევი — ბორის ვაბრიელის ძე კილაშვილი. 1848 წ. გენ.-მაიორი და ქარბელაქნის ოლქის მმართველი. მონაწილეობა მიიღო ბრძოლებში მთიულთა წინააღმდეგ (ნ. ბარათაშვილის 1922 წლის გამოცემის მე-158 გვერდზე აღნიშნულია: „ჩილაევი — მიხეილ კილაშვილი, ცოლის ძმა დიმიტრი ყიფიანისა“. რედაქციას აქ შეეცდომა მოსვლია, რადგან ნ. ბარათაშვილი მიხეილ კილაშვილს არ გულისხმობს).

10. ყაფლან (იხ. ზემოთ, მე-6 ლექსის „ღამე ყაბახზედ“ შენიშვნებში).

11. პლატონ — პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანი, ცნობილი ისტორიკოსი და არქეოლოგი (1809—1875) (დაწვრ. იხ. ჩვენი გამოკვლევა „პლატონ იოსელიანი“, „მნათობი“. 1933, № 6—7; აგრეთვე წიგნში პ. იოსელიანი — ცხოვრება გიორგი 13-ისა, აკ. ვაწერელიას რედაქციით, თბილისი, 1936 წ.); პლ. იოსელიანი დიდად აფასებდა ნ. ბარათაშვილის ნიჭს, თუმცა თვითონ ნიკოლოზი ზოგჯერ ირონიულად ოხუნჯობდა და წერდა მის შესახებ.

12. გიორგი — გიორგი სავინაშვილი (?).

13. ვასილი — ვასილი არღუთინსკი თუ ვასილ ყორღანაშვილი (?). ოფიცრები.

14. ეგნატი — ეგნატე ონისიმეს ძე იოსელიანი, პლატონის მამა, გიორგი XII-ის კარის მღვდელი. დაახლოებული იყო ნ. ბარათაშვილის ოჯახთან; გარდაიც. 1843 წელს.

VI

1. ილია — ილია ორბელიანი, ნ. ბარათაშვილის ბიძა, მეორე ძმა გრ. ორბელიანისა. დაიბ. 1814 წელს. სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში. 1834 წელს შევიდა სახმელ-რო სამსახურში (ჩარიცხულ იქნა ქართველ გრენადერთა პოლკში უნტერ-ოფიცრად); 1841 წ. გადაიყვანეს თბილისის ეგერთა პოლკში, იმავე წელს დაინიშნა მე-19 (შემდეგ — 21-ე) ქვეითი დივიზიის უფროსის გენ.: -ლეიტენანტის ფეხს აღიუტანტად. 1845 წელს ებოძა კაპიტნობა. 1849 წელს — პოლკოვნიკი; 1851 წ. — გრენად. პოლკის უფროსი. 1852 წ. მიიღო გენ.-მაიორის ხარისხი. 1853 წ. იბრძოდა თურქთა წინააღმდეგ ბაშკადიკლართან, სადაც სასიკვდილოდ დასჭრეს (ნოემბერში). დაკრძალულია ქაშვეთის ეკლესიაში (დაწვრ. იხ. გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, გვ. 222).

2. შამილი — საჩაჩნოსა და დაღესტნის იმამი (1798—1871), შველი ავარიელი უზდენის დენგაუსა და ავარიელი ბეგის ქალის ბახუმესედუსი. მიიღო კარგი განათლება არაბულ ენაზე. 1830—1832 წწ. იბრძოდა დაღესტნის პირველ იმამ ღაზი-მოლასთან ერთად. 1832 წელს იცავდა აულ გმირს, სადაც მოკლეს დაღესტნის პირველი იმამი და შა-

მილიც შიშველ დასტრეს. მეორე იმამის ჰამზად-ბეგის სიყვდილის შემდეგ (1834 წლის ოქტომბერში) მთიელებმა ის აირჩიეს იმამად. შამილი მთელი 25 წლის განმავლობაში ებრძოდა მეფის რუსეთის ჯარებს. დაატყვევეს ლენინში (ცენტრ. დაღესტანი) 1859 წლის 25 აგვისტოს. 1871 წლამდე ექს-იმამი ცხოვრობდა კალუგაში. უკანასკნელად მას დარ-თეს ნება მექაში გამგზავრებისა, სადაც გარდაიცვალა 1871 წლის 4 თებერვალს (იხ. გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. „წერილები“, 1, 247—248. იქვეა დასახელებული საბიოგრაფიო ლი-ტერატურა).

8. „ყ ა ზ ი ყ უ მ უ ხ ი ლ ე ბ ი“ — დაღესტნელი მთიელები (ყაზიყუმუხი მდებარეობს კასპიის ზღვის ახლოს. დარღის, ქურის, ყათაღისა და სიურგის მიწებს შორის. ცენტრალური სოფელი — ყაზიყუმუხი).

4. ფ ე ზ ე — ქარბე ქარბეს-ძე; 1832 წელს მიიღო გენ.-მაიორის ხარისხი. იბრძოდა დაღესტანში 1836—1844 წწ. გარდ. 1848 წ. კავკასიური ომის ცნობილი მონაწილე.

5. ა ნ დ ა ლ ა ლ ი — მდებარეობს ცენტრ. დაღესტანში მდ. ყარა-ყოისუსა და ავა-რის ყოისუს შორის... კავკასიური ომის დროს ანდალალში გამაგრებული აულები იყო ქუხი (ქოხი) და ლენინი.

6. ბარათაშვილი შეცდომით აღნიშნავს, თითქოს ილია ორბელიანი ტყვედ წაყვავ-ნით მთიელებს ანდალალიდან, ნამდვილად კი ი. ორბელიანი დაატყვევეს სოფ. ყაზიყუ-მუხში; მოკლედ ამ ისტორიის შესახებაც:

1842 წლის 20 მარტს ყაზიყუმუხში ილია ორბელიანი და მასთან ერთად ორი ოფი-ცერი: პოლკ. სნაკსარევი და ბრამ. ანანოვი, ხელში ჩაუვარდათ შამილის რაზმელებს. ტყვეები წაასხეს შამილის რეზიდენციაში, დარღოში. ილია ორბელიანმა წვიმიან დამით სცადა გაქცევა, მაგრამ გზაზე სოფ. მეხელტას (დაღესტ.) ახლოს დაიჭირეს და უკანვე მოპვდარეს იმამს. ილიას გამოსყიდვის შესახებ შამილთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ გენერლები კლუვი-ფონ-კლუგენაუ და მ. არლუთინსკი-დოლოგორუკოვი. ბოლოს, 1842 წ. 22 ნოემბერს ილია გამოიხსნეს: შამილმა ის გადაცვალა რუსების მიერ დატყვევებულ ნაიბ შამანდარ-ჰაჯზე. იმამს დაუბრუნეს სხვა მთიელი ტყვეებიც.

6. ს ი ნ ა ქ ს ა რ ო ვ ი (სნაკსარევი) — პოდპოლკოვნიკი, სამურის ოლქის უფ. როსი 1841—1842 წწ., ტყვედ ჩაუვარდა შამილს 1842 წელს ყაზიყუმუხში (იხ. ვაზ. კავკაზ 1849, №№ 1-5, ილია ორბელიანის მოგონებაში: Рассказ офицера, бывшего в плену у Шамиля в 1842 году. შდრ. ამ მოგონების ქართ. თარგმანი, „ლიტ. მატიაე“, № 1—2); აგრეთვე გურამ შარადზე, Неизвестные записки Ильи Орбелиани о Шами-ле. „Лит. Грузия“, 1969; №№ 9—10.

7. „ყ ა ზ ი ყ უ მ ი ხ ი ს ბ ა ნ ი“ — ილია ორბელიანთან ერთად დაიჭირეს არა მარტო სნაკსარევი და ანანოვი, არამედ ყაზიყუმუხელი ხანების ოჯახის წევრი გარუნ-ბეგიც (გარდ. 1848 წ.), რომელიც მაშინ ყოფილი ქურის სახანოს მმართველი („ხანი“-იყო. შამილის მიერ ყაზიყუმუხის აღებისას (1842 წლის მარტში) გარუნ-ბეგი ამ სოფელ-ში იმყოფებოდა ილია ორბელიანთან ერთად. შამილმა შემდეგში ის გაათავისუფლა (გა-რუნ-ბეგის შესახებ იხ. ილიას მოგონებაში — კავკაზ, 1849, № 1, აგრეთვე Ив. За-горский, Восемь месяцев в плену у горцев. Кавказский Сборник, 19, გვ. 221—247).

8. ა ვ ა რ ე ლ ე ბ ი — ავარია მდებარეობს ჩრდილო დაღესტანში, ყოისუბუს, ამდალა-ლისა, გუმბეთისა, ანღისა და ყოფ. მეხთულის სახანოს შორის. დაღესტნის უძლიერესი ტომის მხარე. მცხოვრებნი ლაპარაკობენ დამოუკიდებელ, ავარიულ ენაზე.

9. ა ხ მ ე ტ ხ ა ნ ი — ახმედ ხანი მეხთულელი, ავარიის მმართველი 1840—1842 წწ. გარდ. 1842 წ. შამილის ცნობილი ნაიბის ჰაჯი-მურადის პირადი მტერი (იხ. გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. „წერილები“, ტ. 1, შენიშვნებში).

10. ა ხ ტ ე ლ ე ლ ე ბ ი — ახტა — გამაგრებული სოფელია ყოფ. სამურის ოლქ-ში (სამხ. დაღესტანში).

11. ნ. ბარათაშვილი გულისხმობს შამილის ვაჟს ჭემალ-ედინს, რომელიც არტულის მხედრობამ მამას ჩამოართვა მძევლად 1839 წელს, ახუღვოს აღებისას; ის დიდხანს იმყოფებოდა პეტერბურგში, შამილს უნდოდა 1842 წელს დაებრუნებინა, მაგრამ ამოდ, (ჭემალ-ედინი მან დაიბრუნა 1855 წელს, წინანდლიდან ლეკების მიერ გატაცებული ქართველი ტყვეების სანაცვლოდ)... ჭემალ-ედინი გარდაიცვალა დაღესტანში 1858 წელს ქლექისავან (იხ. ა. დ ი უ მ ა. კავკასია. თბ., 1964, შენიშვნებში).

12. დ ა რ თ — გამაგრებული აული იჩქერიაში (საჩაჩნო); შამილის რეზიდენცია 1840—1845 წლებში.

13. გ თ ლ ვ ი ნ ი — ევგ. ალ. გოლოვინი, ინჟანტერიის გენერალი, კავკასიის მთავარმართებელი 1838—1842 წლებში. გოლოვინს ცოლად ჰყავდა ფონვიზინის ასული.

14. ი ლ ი კ თ — ილია ორბელიანი (იხ. ზემოთ, VI₁).

15. ზ ა ქ ა რ ი ა — ზ. ორბელიანი (იხ. ზემოთ, III₂).

16. ი ა ს ე — იასე ანდრონიკაშვილი, სამხედრო პირი, მსახურობდა კარ-ბელაქანში.

17. ე ლ ი ს ო (ელისუ) — შედიოდა ყოფ. ზაქათალის ოლქში, რეზიდენცია ყოფ. ელისუს სახანოს მმართველებისა, უკანასკნელი ხანი, რუსთა გენერალი დანიელ სულთანნი, 1844 წელს შამილს მიემხრო.

18. პ ო ზ ი ნ ი — „სტატს-სეკრეტარი“ მ. ი. პოზენი, რევიზიისათვის ჩამოსული კავკასიაში 1842 წ. წ.

19. მ ი ნ ი ს ტ რ ი — სამხედრო მინისტრი ა. ი. ჩერნიშოვი (1785—1875).

1842 წლის აპრილში იმპერ. ნიკოლოზ I-მა კავკასიაში გამოგზავნა სამხ. მინისტრი ჩერნიშოვი და „სტატს-სეკრეტარი“ პოზენი, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ადგილობრივ შეემოწმებინათ აღმინისტრაციული რეფორმები.

20. ფ ე ფ თ — ეფემია ბარათაშვილი, დედა პოეტისა; გარდ. 1850 წ. ეფემია ბარათაშვილი ძველ ქართულ მწერლობაში განსწავლული ქალი იყო და წილი უდევს ნიკოლოზის სულეირი აღზრდის საქმეში. მისი სახე პოეტურად უკვდავყოფს გრ. ორბელიანმა ლექსში „ჩემს დას ეფემიას“.

21. ე ლ ი ზ ბ ა რ — ელიზაბარ შანშეს ძე ერისთავი(?) იზრდებოდა პეტერბურგში, კერძო პანსიონში. ერთ-ერთი მთავარი მონაწილე 1832 წლის შეთქმულებისა და 30-იანი წლების ლიტერატორი (იხ. Акты, ტ. VIII, 399, შენიშვნა).

VII

1. მ ა ი კ თ — მიიკო ორბელიანი (იხ. ზემოთ, IV₇).

2. რ ა ხ ა ე ლ — რახაელ ციციშვილი, ბარათაშვილების ახლო ნაცნობი (ცნობა გ. ლეონიძისა).

3. ი ა ს ე — იასე ანდრონიკაშვილი (იხ. VI₁₆).

4. მ ა ნ ა ნ ა — ივანე (მირმანოზ) ერისთავის ასული, დავით ორბელიანის მეუღლე (1808—1870), სიღამაზით ცნობილი ქალი 50-იანი წლების თბილისში. ქართული წყაროები მანანა ორბელიანს ახასიათებენ როგორც ქართული მწერლობის დიდ მოყვარულს. იგი საზოგადოებრივ საქმიანობაშიც იღებდა მონაწილეობას. მეგობრობდა ნ. ბარათაშვილის ოჯახს. გამოყვანილი ჰყავს ლევ ტოლსტოის მოთხრობაში „პაჯი-მურატი“.

5. ტ ა ს ო — მანანას ასული ანასტასია ორბელიანი, რომელიც შემდეგ მისთხოვდა ქ. ქუთაისის გუბერნატორს ალ. ივ. გაგარინს.

6. ე ლ ე ნ ე — ელენე ორბელიანი-ერისთავისა, პოლკ. ზ. ერისთავის მეუღლე.

7. ნ ი ნ უ ც ა — ნინო ბარათაშვილი, ნიკოლოზის დაი (დაიბ. 1829 წ. 18 ივნისს).



8. ანნა ივანოვნა — ანა ივანეს ასული ზაგრატიონ-მუხრანსკისა (იხ. Кавк Календарь, 1846, გვ. 264).

9. გლუხარიჩი — გიორგი ერისთავი, ცნობილი ქართველი კომედიოგრაფი (1811—1864). გ. ერისთავი დიდი პატივისმცემელი იყო ნ. ბარათაშვილისა, რომლის დაკარგვა გამოიტირა ლექსში „თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებაზე“.

VIII

1. ატტილა — ჰუნების მეფე, ველური სარდალი, დასავლეთ ევროპის ერების დამპყრობი; გარდ. 453 წ.

2. ნ. ბარათაშვილს მხედველობაში აქვს გრ. ორბელიანის ფრაზა, მიწერილი ილია ორბელიანისადმი 1843 წლის 18 ივნისის თარიღით: „ზედ უთუოდ დააწერეთ წიგნსა Правителю Аварии, თორემ არ მივიღებ“ (იხ. გრ. თრბელიანი. წერილები, I, გვ. 75), ან: „მე ჰაქიმხან ემირ ავარ — სხუა რიგად აღარ შემძლიან წიგნის დაწყობა“ ... (წერილი ილიასადმი, იქვე, გვ. 79).

3. რენეკამფი — პავლე იაკობის ძე რენენკამფი, გენერალ-ლეიტენანტი დალესტანში მოქმედი ჯარების დივიზიის უფროსი; კავკასიიდან წაეიდა 1844 წ.

4. მიოზასალი — ირანის მეფის ფეტ-ალი-შაჰის (იგივე — ბაბახანი) მემკვიდრის, აბას-მირზას მდივანი.

5. მთავარმართებელი — იგულისხმება გენერალ-ადუტანტი ალ. იენეიდჰარტი (1784—1844). კავკასიის მთავარმართებელი 1842—1844 წლებში.

6. გრაფი ჩიჩეროვე — თუ: ჩიჩერინი (?) გ. ლეონიძით: იტალიელი გრაფი (?)

7. „ჩვენო ლევაწ“ — ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი (1816—1892), ნიკ. ბარათაშვილის ამხანაგი გიმნაზიიდან, შემდეგში — კავალერიის გენერალი. 1842 წელს ლევან მელიქიშვილი შტაბს-კაპიტანი იყო. 1848 წელს მიიღო პოდპოლკოვნიკის ხარისხი და დაინიშნა კორდონის ხაზის მარცხენა ფლანგის უფროსად. 1858 წელს — ამ ხაზზე მოქმედი ჯარების სარდალია. მონაწილეობას იღებდა ლუნიხის აღებაში 1859 წელს (ებოძა გენერალ-ლეიტენანტის ხარისხი). 1861 წ. — კავალერიის გენერალი. 1877 წელს ჩააქრო ახალი აჯანყება დალესტანში. 1880 წ. მთავარმართებლის მოადგილე. 1882 წელს სახელმწიფო საბჭოს წევრი. დასაფლავებულია მთაწმინდაზე.

8. ბაკლანა — ბაკლანა ორბელიანი (ზედმეტი სახელი იყო ალექსანდრე ორბელიანისა, თფიცრის).

9. გრიგოლ წერეთელი — პოლკოვნიკი. მონაწილეობას იღებდა მთიელებთან ომში დალესტანს 40—50 წლებში.

10. ილია — ი. ორბელიანი (იხ. ზემოთ, VI₁).

11. ილია ორბელიანს 40-იან წლებში ბორჩალოში ჰქონია ბოსტანი. 1843 წლის 3 ივნისის თარიღით გ. ორბელიანი სწერდა თავის ძმას ზაქარიას: „რა გამოველ შინიდან, წიგნი არავისგან მომსვლია. ჩვენი ბატონი ძმა ილია არ მოიწერება, ბოსტნებში კიტრები და ხახვი აჰყავებია, არა სცალიან“ (წერილები, I, გვ. 73); იმავე წლის 18 ივნისის თარიღით ილიასადმი: „...ეხს მანც შემატყობინე, სადა ხარ? ქალაქში თუ შენს ბოსტანში“? (იქვე); „შენის ბოსტნების ამბავი მომწერე“ (იქვე) და სხვ.

12. კნიაზი კავჭავაძე — ალექსანდრე გარსევანის ძე კავჭავაძე, ცნობილი ქართველი პოეტი (1787—1846). ნ. ბარათაშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა მის რვახთან.

15. 6. ბარათაშვილი



- 13. „კ ნ ე ი ნ ა“ — სალომე ორბელიანი-ჭავჭავაძისა, პოეტის შეუღლე*.
- 14. ს ა ვ ა რ ს ა მ ი ძ ე (ლეონტი იაკობის ძე) — 1827 წელს გენერალ-მაიორი. 1836 წ. ქარბელაქნის მმართველი. მონაწილეობა მიიღო ომში თურქებთან და სპარსელებთან 1810, 1813 და 1826-7 წლებში.
- 15. იგულისხმება ს ი დ ო ნ ი ა ზ ა ქ ა რ ი ა ს ა ს უ ლ ი ს ა ვ ა რ ს ა მ ი ძ ი ს ა (იხ. Кавк. Календарь, 1846, გვ. 254).
- 16. ს ი ვ რ ი ჩ ი — აპოლონ სტეფ. სივრიჩი, პოდპოლკოვნიკი.
- 17. იგულისხ. მ ა რ ი ა ი ვ ა ნ ე ს ა ს უ ლ ი ს ი ვ რ ი ჩ ი ს ა (გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, წერილები, ტ. II, გვ. 266).
- 18. ბ ე ზ ა კ ი (ნიკოლოზ ჰავლეს ძე) — ამიერკავკასიის მთავარ-სამმართველოს საბჭოს წევრი.
- 19. „ბ ე ზ ა კ ი ს ც ო ლ ი“ — სოფიო ორბელიანი, გრ. ორბელიანის დანიშნული.
- 20. ე გ ნ ა ტ ი — ეგნატი იოსელიანი (იხ. ზემოთ, V, 44).
- 21. ტაეპი ეკუთვნის მ. ი. ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ს (იხ. მისი ლექსი „И скучно и грустно...“ 1840).
- 22. ფ ე ფ ო — ეფ. ბარათაშვილი (იხ. VI, 20).
- 23. კ ა ტ ო — ეკატერინე ბარათაშვილი, ნიკოლოზის დაი, შემდეგ — რევაზ ერისთავის მეუღლე (დაიბ. 1820 წ.).
- 24. ბ ა ბ ა ლ ე — ბარბარე ბარათაშვილი-ვეზირიშვილისა (1825—1919); პოეტის დაი.
- 25. ნ ი ნ უ ც ა — ნინო ბარათაშვილი, დაი ნიკოლოზისა (იხ. VII, 7).
- 26. ა პ ლ ი პ უ ტ ი ლ ა — ზედმეტი სახელია ნ. ბარათაშვილის უმცროსი დის სოფიოსი (დაბ. 1841 წ.) (გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, ნ. ბარათაშვილის გარემოთ, „ლიტ. მატია-ნე“, № 1—2, 425).
- 27. მ ა ი ა — მაია გორელი, ნ. ბარათაშვილის გამზრდელი (იხ. ნ. ბარათაშვილის დის ცნობა 1922 წ. გამოცემაში).
- 28. გ ი ო რ გ ი — გიორგი რომანის ძე ერისთავი (?). 1844 წ. — მაიორი. 1845 წ. მისცეს პოლკოვნიკის ხარისხი. მონაწილეობას იღებდა მთიელებთან ბრძოლაში 1840 1842—1848 და 1850 — 51 წლებში.

IX

- 1. ე ლ ი ს ე ს მ ი ნ დ ვ რ ე ბ ი („... ილვისიოსის ველი“) — ძველი ბერძნების წარმოდგენით მოთავსებული იყო სამყაროს დასასრულს; „უნეტარესთა კუნძული“.
- 2. „ს ა მ უ რ ი ს ო ლ ქ ი“ შედიოდა სამხ. დაღესტანში. (მთავარი გამაგრებული სოფელი სამურის ოლქში იყო ახტი, სადაც ზაქარია ორბელიანი მსახურობდა. ამ ოლქს მართავდა მ. ზ. არღუთინსკი).
- 3. იგულისხმება შემდეგი ისტორიული ფაქტი: 1842 წლის 1 მაისს აულ რ ი კ ა ს - თ ა ნ (მდებარ. ყოფ. ქურისა და ყაზიყუმუხის სახანოების საზღვარზე) ოფიცრებმა ზ. ორბელიანმა, ყორღანაშვილმა და მაღალაშვილმა სასტიკად დაამარცხეს მთიელები (იხ. ... Ф... В. Ричинское дело. 1 мая 1842 года. „Кавказ“, 1846, № 10. შდრ. 1922 წ. გამოც. გვ. 162; აულის სურათი იხ. გ. გაგარინის ალბომში „Le Caucase pittoresque. P., 1847...). ზაქარია ორბელიანს მისცეს პოდპოლკოვნიკის ხარისხი და გიორგის მე-4 ხარისხის ორდენი.

* ნ. ბარათაშვილის ნაწერების 1922 წლის გამოცემაში წერილებს შენიშვნები ავტორს შეცდომა მოსვლია; მისი აზრით, ნ. ბარათაშვილი გულისხმობს ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟს დავითს მეუღლით. ნამდვილად კი ტექსტში ისინი არ იგულისხმებიან; დავით ჭავჭავაძეს ანა ბატონიშვილი 1843 წელს არც ჰყავდა შერთული.



4. კ ა ტ ო — ეკატერინე ბარათაშვილი (ნახ. ზემოთ, VIII, 22).
5. რ ე ვ ა ზ ე რ ი ს თ ა ვ ი — ეკატერინეს მეუღლე. სიძე ნ. ბარათაშვილისა.
6. დ ა ვ ი თ ე რ ი ს თ ა ვ ი — ძმა რევაზ ერისთავისა.
7. გ ი ო რ გ ი — ვიორგი საგინაშვილი (?).
8. გ რ ი გ ო ლ ი — გ. ორბელიანი.
9. ა ვ ვ ე უ ს ტ უ ს ი — რომის პირველი იმპერატორი ოქტავიანე-ავგუსტუსი-
(დაიბ. 63 წ. ძვ. წელთაღრ. გარდ. 14 წ. ახალი წელთაღრ.).
10. გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს 1844 წელს მისცეს პოდპოლ. ხარისხი და დანიშნეს ყოფ. მებ
თულის სახანოს (დაღესტ.) მმართველად.

X

1. ნ. ბარათაშვილს მხედველობაში აქვს ზაქარია დაწინაურება სამხედრო სამსახურში: 1844 წელს მას ჩააბარეს ყოფ. სამურის ოლქის უფროსობა. რადგან გენერალი მ. არლუთინსკი 1844 წელს დანიშნა დაღესტანში მოქმედი ჯარების უფროსად. ზ. ორბელიანმა სამურის რაზმით რამდენიმე გამარჯვებას მიიღწია 1844 წელს.
2. ი ლ ი ა — ორბელიანი (იხ. ზემოთ, VI, 1).
3. ლ ე ვ ა ნ — მელიქიშვილი (იხ. ზემოთ, VIII, 7).
4. დ ა ვ ი თ — დავით ალექსანდრეს ძე ქავჭავაძე (?); სამხ. სამსახ. დაიწყო 1834 წელს: 1847 წ. — კაპიტანი. შემდეგში — გენ. -ლეიტენანტი (1818—1884).
5. ბ ა კ ლ ა ნ ა (იხ. ზემოთ, VIII, 8).
6. ზ ა ქ ა რ ი ა — ზაქარია ერისთავი. სენატორ ვიორგი იესეს ძე ერისთავის შვილი. პოდპოლკოვნიკი. მოკლეს ლეკებმა 1849 წ. ალაშანთან.
7. ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — ალ. ერისთავი, ოფიცერი. ძმა ზაქარია ერისთავისა.
8. კ ა ტ ო — ეკატ. ბარათაშვილი (იხ. ზემოთ, VIII, 22).
9. მ. არლუთინსკიმ 1845 წ. მიიღო გენ. -ლეიტენანტის ხარისხი, გენერალ-ადიუტანტისა კი — 1848 წელს აულ გერგებლის ალექსიათვის.
10. მ ო ნ ტ ე კ უ კ უ ლ ი — რაიმონდ მონტეკუკოლი (Montecuccoli) — ავსტრიელი სარდალი, გამოჩენილი სტრატეგი და სამხედრო მწერალი (1609—1681). მისი შრომების კრებული გამოიცა ვენაში 1890—1899 წწ. წერდა ლექსებსაც.
11. გ ი ო რ გ ი — გ. საგინაშვილი (?).
12. ქ ე თ ე ვ ა ნ — ზაქარია ორბელიანის მეუღლე. ანჩისხატის მღვდლის დიმიტრი მესხიშვილის ასული (1818—1891) (დაწვ. იხ. გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „წერ.“, გვ. 227).

XI

1. „ქ. ყ-ის ცოლი“ — ქაიხოსრო (ქოჩო) ყიფიანის მეუღლე (?) (ცნობა გ. ლენინისა). ზოგი მკვლევარი სხვა პირს გულისხმობს.
2. კ ა ტ ო — ეკ. ბარათაშვილი-ერისთავისა (იხ. ზემოთ, VIII, 23).
3. „რ [ე ვ ა ზ] ე [რ ი ს თ ა ვ] ზ ე დ“ — ეკატერინეს ქმარი (იხ. ზემოთ, IX, 3).
4. „ზ [ა ქ ა რ ი] ა ს“ — ზ. ორბელიანი.
5. „გ [ი ო რ გ ი]“ — საგინაშვილი (იხ. ზემოთ, V, 8).
6. „გ [რ ი გ ო ლ] ლ მ ა“ — გ. ორბელიანი.
7. „კ [ა ტ ო] მ“ — ეკ. ბარათაშვილი-ერისთავისა.
8. „ე [რ ი ს თ ა ვ ი] ა ნ თ რ ძ ა ლ თ ა ნ“ — ეკ. ბარათაშვილი.
9. ს უ ლ თ ა ნ ი — პოდპოლკოვნიკი სულეიმან ხანი (?) (მდრ. აქვე, XIII, 4).

10. ნ [ი ნ თ] ა ლ [ე ქ ს ა ნ დ რ თ ვ] ნ ა — ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა (1812—1857), ცნობილი რუსი პოეტის ალ. გრიბოედოვის ქვრივი (მასთან გრიგოლ ორბელიანის ურთიერთობის შესახებ იხ. გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, წერილები, I, გვ. 227, 237). 1844 წელს ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა ოდესაში ჩასულა (მდრ. იქვე, გვ. 103, 276). ნ. ჭავჭავაძის დასახასიათებლად მოვიყვანთ მისი გარდაცვალების გამო დაწერილ ნეკროლოგს:

„Тифлис. Наше тифлисское общество понесло значительную потерю. В прошлую пятницу, июня 28, после краткой болезни скончалась Нина Александровна Грибоедова, урожденная княжна Чавчавадзе. Отпевание тела ее происходило в прошлое воскресенье в Кашветской церкви при стечении всех уважающих прекрасную личность покойной, бывшей всегда украшением лучших тифлиских салонов и столь рано похищенной смертью из их круга. Тело ее отнесено на руках в монастырь св. Давида и положено в одном склепе, рядом с ее супругом, имя которого так известно и дорого всей России“ (Кавказ, 1857. № 51. 4 ივლისი).

11. მ ა შ თ (იგივე: მარიამ) — ნიკოლოზის მამიდა, მელიტონის და (?) (გ. ლეონიძის ცნობა).

12. 1844 წელს გრიგოლ ორბელიანი დაინიშნა ყოფ. მეხთულის სახანოს (დაღესტ.) მმართველად. 1843 წელს კი ის მართაუდა ავარიას, რომელიც იმავე წლის აგვისტო-სექტემბერში დაიპყრეს შამილის ჯარებმა.

XII

1. 1844 წელს ზაქ. ორბელიანს მისცეს პოლკოვნიკის ხარისხი.

2. იგულისხმება გაზ. „Русский Инвалид“.

3. ქ ა ი ხ ო ს რ თ მ უ ხ რ ა ნ ს კ ი (მუხრანბატონი) — შემამულე.

4. ბ ი ძ ი ნ ა და ლ ე ვ ა ნ ე რ ი ს თ ა ვ ე ბ ი რ ე ვ ა ზ ე რ ი ს თ ა ვ ი ს (ტყ. ბარათაშვილის მეუღლის) ნათესავეები (გ. ლეონიძე).

5. ლ ე ვ ა ნ ე რ ი ს თ ა ვ ი (იხ. წინა შენიშვნა).

6. „მ ა ნ ა ნ ა თ ა ვ ი ს ქ ა ლ ი თ“ — იგულისხმება მანანა და ტასო ორბელიანები (იხ. ზემოთ, VII 4. ა).

7. მ ა ი ც თ — მაიკო ორბელიანი (IV, 7).

8. მ ი ხ ა კ თ — მიხეილ ქაიხოსროს ძე ორბელიანი (გარდ. 1845 წ.), ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ორბელიანის ამხანაგი გიმნაზიიდან (მდრ. IV, 7). თავისი ნიჭი უცდია მწერლობაშიც.

9. ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს უ მ მ ბ ა თ თ ვ ი (სუმბათაშვილი) — ორბელიანების მეგობარი. სამხედრო პირი.

10. წ უ ლ უ კ ი ძ ე — ეპისკოპოზი.

11. ს ა თ ა რ ა — სახალხო მომღერალი 50-იანი წლებისა. მის შესახებ ლექსი აქვს დაწერილი პოეტ ი. პოლინსკის (იხ. ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს „თხზულებანი“. 1939 წ. გამოც. გვ. 107); მდრ. აგრეთვე „Зак. Вестник“, 1845, № 10, стр. 92: ცნობა სათარას მიერ საადის ლექსების სიმღერით შესრულებაზე თბილისში).

12. მ ა მ უ კ ა (მაკარ) — თომას ძე ორბელიანი, ლეიბ-გვარდიის პოლკის პორუჩიკი და გვარდიის როტმისტრი. 1932 წ. შეთქმულების მონაწილე, შემდეგში ასრულებდა განჯის მარზის უფროსის თანამდებობას. ცნობილი ფეოდალი.

13. ე ლ ე ნ ე — ელენე ორბელიანი-ერისთავისა (ზაქ. ერისთავის მეუღლე).

14. მ ე ლ ა ნ ი ა — ელიზბარ ერისთავის და, მელნიკოვის მეუღლე (გ. ლეონიძის ცნობა).

15. ე ლ ი ზ ბ ა რ — ერისთავი (იხ. ზემოთ).



16. ე ს ტ ა ტ ე ე რ ი ს თ ა ვ ი — თრბელიანებისა და ბარათაშვილების ნაცნობი. მას იხსენიებს გრ. თრბელიანიც (იხ. „წერილები“, ტ. II).
17. ჩ ე რ ვ ლ ო ნ ი — სტანიცა ჩერვლენაია, მდებ. თერგის ნაპირას 1844 წელს ილია თრბელიანი მონაწილეობას იღებდა საჩაჩნოსა და დაღესტანში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებში.
18. მ თ ა ვ ა რ მ ა რ თ ე ბ ე ლ ი — ალ. ივ. ნეიდპარდტი.
19. ლ უ ა რ ს ა ბ-თრბელიანი.
20. ა ნ ა — ლუარსაბ თრბელიანის მეუღლე.
21. ი ვ ა ნ კ ა რ ლ ი ჩ ი — ექიმი დეპნერი (ნ. ბარათ. თხზ., 1922, გვ. 164).
22. ს ა ლ ო მ ე — დიმიტრი თარხნიშვილის ასული, მეუღლე დეპნერისა.
23. გ ი ო რ გ ი — ვ. სავინაშვილი (?).
24. ი ა კ ი ტ ე — იაკინთე დიმიტრის ძე მესხიშვილი, ზაქ. თრბელიანის მეუღლის ქეთევანის ძმა (შდრ. გრ. თ რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „წერილები“, ტ. I და II).

XIII

1. ტ ა ს ო — ანატასია თრბელიანი, მანანას ქალი (იხ. VII_ა).
2. ტაეპი რუსთაველს ეკუთვნის („ვეფხისტყაოსანი“, სტროფი 878).
3. ჯ ა ფ ა რ ა — ირანელი მომღერალი, პოპულარობით სარგებლობდა 40-იანი წლების თბილისში.
4. ს უ ლ ე ი მ ა ნ ხ ა ნ ი — პოდპოლკოვნიკი, შვეიცის სელიმ-ხანის ვაჟი, მას ჩაუყვანია მომღერალი ჯაფარა ნახჭევანში ლ. მელიქიშვილთან (იხ. „ლიტ. მატრიანე“, 1-2 გვ. 349; შდრ. ბარათის ტექსტი).
5. ნ ა ხ ე ჩ ე ვ ა ნ ი — მაზრის ქალაქი ყოფ. ერევნის გუბერნიისა. 1844 წელს ნ. ბარათაშვილი დაინიშნა ნახჭევანის უფროსის ლევან მელიქიშვილის თანაშემწედ. ნახჭევანს ნ. ბარათაშვილი გაემგზავრა ნოემბერში. თბილისში დაბრუნებულია 1845 წლის გაზაფხულზე.
6. ო რ ლ ო ვ ი (ივანე) — დონის ყაზახთა ატამანი კავკასიის ჯარების კორპუსში.
7. „ე ი, მ უ ს უ ლ მ ა ნ ნ ა მ ა რ ი ხ ა ნ ჯ ა ლ ზ ა ნ ი“ — ერთი ტაეპია სიმღერისა „ეი, მუსლიმანო, გულში ხანჯალი დამკარ“.
8. იგულისხმება მიხაკო ქაიხოსროს ძე თრბელიანი (იხ. XII_ა).
9. ი ვ ა ნ ე — ივანე დავითის ძე თრბელიანი (1825-1893), მანანას ვაჟი, 50-იან წლებში მსახურობდა დაღესტანში გრ. თრბელიანთან. შემდეგში — გენ.-მაიორი.
10. „ო რ ი ტ ლ უ ბ ი კ ი“ . ნ. ბარათაშვილი გულისხმობს თავის თავს და ლევან მელიქიშვილს.
11. „მ ე ვ ა რ და ჩ ე მ ი ნ ა ბ ა დ ი“ — ცნობილი ქართული ხალხური ლექსის მიბაძვა.
12. „ნ ა ჩ ა ლ ნ ი კ ი“ — ლ. მელიქიშვილი, იმეამად ნახჭევანის მაზრის უფროსი

XIV

1. ც ო ლ ქ მ ა რ ნ ი — ?
2. ლ ე ვ ა ნ ი — ლ. მელიქიშვილი.
3. ნ ე ი დ გ ა რ ტ ი — იხ. ზემოთ, VIII, 5.
4. ფ ო რ ს ტ ე ნ ი — ვასილ ფუსტაევის-ძე ფორსტენი, პოლკოვნიკი. მსახურობდა კავკასიის ჯარების მთავარ შტაბში. დროებით ჩასული ნახჭევანში (გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, ნ. ბარათაშვილის გარშემო, 524). წარმოშობით შვედი.

1. ივანე — ივანე ორბელიანი, მანანას ვაჟი (იხ. XIII₉).
2. „ორნი მოსაქმენი ბრძანდები“... — მეორე პირის ვინაობა უცნობია.
3. პაპუა ორჯონიკიძე — ღარიბი აზნაური, ყბაღაღებული პიროვნება (ცნობა გ. ლეონიძის).
4. სოფიო — ? (1922 წლის აკად. გამოცემაში ნ. ბარათაშვილის მიერ მოხსენებული ორი სოფიოს შესახებ შენიშნავენ: „ერთი სოფიო პოეტის და უნდა იყოს, მეორე შეიძლება ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალია, რომელიც შემდეგ ბარონ ნიკოლაის მისთხოვდა“ (გვ. 165). მაგრამ სოფიო ჭავჭავაძე დაიბადა 1834 წელს (ე. ი. 1845 წელს ის 11 წლის იყო და ნიკოლაის არ ჰყავდა შერთული), ხოლო ნ. ბარათაშვილის და სოფიო 1845 წელს 3 წლის იყო (დაიბადა 1842 წელს). ტექსტში იგულისხმებიან — ერთი ქმრიანი სოფიო, მეორე კი გასათხოვარი. პირველი სოფიო შეიძლება არის სოფიო ორბელიანი-ბეზუჯისა (იხ. VIII, 19).
5. სოფიოს ქმარი — ბეზუჯი? (შდრ. VIII₁₈).
6. „მეორე სოფიო“ — ?
7. ნიკოლაი ალაპიჩი — ივანოვი, რომელსაც ცოლად ჰყოლია იაკობ ორბელიანის ასული ეკატერინე (ნ. ბარ. თხზ., 1922 წ., გვ. 165).
8. კატო — ეკატერინე (იაკობის ასული) — ორბელიანი-ივანოვისა.
9. თამარ — იაკობ ორბელიანის ასული, პოლკოვნიკ ა. ს. სანკოვსკის მეუღლე.
10. დილიჯანი — დაბა, ყოფ. ელისავეტპოლის (განჯის) გუბერნიაში. ეს ბარათი დაწერილია მურუთში (აგარაკია ყოფილ ელისავეტპოლის გუბერნიაში). 1845 წლის 10 აგვისტოს. ნ. ბარათაშვილი განჯაში მსახურობდა 1845 წლის იელის-ოქტომბრის თვეებში, სადაც ის 9 ოქტ. (ძვ. სტ.) გარდაიცვალა.

XVI

1. ბაბალე — საგინაშვილი, კაპიტან ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილის მეუღლე (დაწვრ. იხ. გრ. ორბელიანი, „წერილები“, I და II ტტ.). ნ. ბარათაშვილის ბიძაშვილი და ახლო მეგობარი.
2. ბარბარე — დავით ივანეს ძე ჯორჯაძის ქალი (?).
3. თამარ — თამარ იაკობის ასული ორბელიანი (XV₉). მას ხშირად იხსენიებს გრ. ორბელიანიც („წერილები“, ტ. II). ცოტა ქვევით ნ. ბარათაშვილი დედამისს ნინოსაც ასახელებს.
4. პრინცი — იგულისხმება პრინცი ალექსანდრე ჰესენელი, „ცესარენა“ მარიამ ალექსანდრეს ასულის ძმა, კავკასიაში ჩამოსული 1845 წელს, ვორონცოვის მიერ შამილის რეზიდენციის დარღოს წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად (იხ. კ. კ. ბენკენდორფის მოგონებანი, Русская Старина, 1910, кн. IV, გვ. 187). ამ ექსპედიციის შემდეგ ის საქართველოში გამომგზავრა. აპირებდა ირანში წასვლას და გზად დილიჯანში უნდა გაეცლო. ნ. ბარათაშვილი აქ ჩავიდა მის დასახვედრად, მაგრამ პრინცს აქ არ გაუვლია („ლიტ. მატინე“, № 1-2, გვ. 362, 559-560).
5. ძალუანი — იაკობ ორბელიანის მეუღლე, დედა თამარ და კატო ორბელიანებისა (იხ. გრ. ორბელიანი, „წერილები“, ტ. II).
6. სენკოვსკი — ანდრია სტეფანეს ძე სანკოვსკი, პოლკოვნიკი, მსახურობდა სამხედრო-საინჟინერო უწყებაში. 1845 წ. იყო დილიჯანში (შდრ. „ლიტ. მატინე“ 1-2 360).

7. ძალუა ელისაბედ — თრბელიანი, ბარბარე საგინაშვილის დედა (გრ. თრბ. წერილები, ტტ. I და II).

8. ნინა ალექსანდროვნა — ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა.

9. „მატუხოვის ცოლი“. ვინაობა გამოურკვეველია; ვინმე წერილი მოხელის მეუღლე უნდა იყოს.

XVII

1. ალექსანდრე — ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილი, კაპიტანი. 1845—1850 წლებში მსახურობდა გენერალურ შტაბში, ტოპოგრაფების კორპუსში (Кавк. Календарь 1845, გვ. 197); შემდეგში გენერალი (შდრ. გრ. თრბელიანი; „წერილები“, ტ. I, გვ. 243). ბარათში აგრეთვე მოხსენებულია მისი მეუღლე ბაბაღ საგინაშვილისა.

XVIII

1. კნიაზ ბარათაევი — იხ. 27-ე ლექსის კომენტარში.



ლექსიკონი *

ალეგობა 131, 13 რელიგიური დღესასწაული, იმართებოდა ალევის ეკლესიასთან, რომელიც მდებარეობს მაღალ მთაზე. ამის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ალევი არის მთა მაღალი, თხემთა-უტყუო, კალთა-ტყიანი. ესე წარივლის სამხრით ოძისამდე და ჩრდილოთ ლომისამდე. ესე მთა ჰყოფს ქსნის-ხევსა და ბაზალეთსა. ამ ალევის მთის თხემსა არს ეკლესია უგუნბათო, მკვრეტი ქართლ-კახეთისა. ამას შინა არს სიმრავლე ხატთა და ჯვართა ოქროსა და ვერცხლისათა და სამსახურებელნი ეკლესიისანი მრავალნი. კარნი აქვს ოქროსი, რომელი უქმნეს სპარსთა, რაჟამს წარიდეს ხატი მისი; მუნ სასწაულის მხილველთა უქმნეს კარნი ოქროსანი და დასდგეს ურემსა ხარბმულსა და მოიდეს მუნ“ („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 1941, გვ. 64).

აღმევა: ყვაივლინი... შენდა აღკმევენ სუნნელებასა 24,7-8 ყვაივლები შენთვის აფრქვევენ სურნელებას.

ამარა ერთი რისამე მქონე: მოსდევს მოთვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მარტო მისა ამარას 25,30 მოთვარეს, მის ამარას, ვარსკვლავი მარტო მოსდევს მიჯნურივით (შდრ. 97,30).

აღმზნება ანთება: მოთვარემც შუქს მის ხალი აღუგზნობინა 99,45 მოთვარემაც შუქს მისი ხალი გამოანათებინა.

აღმგზნებელი-ი ანთებელი: აღმგზნებელი გულთა ქირისა 29,28 გულის დარდების ამშლელი.

ამილბარი-ი 23,36 ამირბარი (არაბ. „უფროსი ზღვაზე“), აღმირალი (ასე უწოდებდნენ ელიზბარ ერისთავს, ქეთევანის მეუღლეს).

აღმოსავალი-ი 41,1 აღმოსავლეთი.

აღტყველვა აზვირთება, აღელვება (ზღვისა): მტკვარი ზვირთთა აღატყვევლს 98,8 მტკვარი ტალღებს აზვირთებს (მტკვარი აზვირთდება).

ბასარი-ი: ვერ შემაშინოს მისმა ბასარმა (= მკრელმა ხმალმა) მოსისხლე მტერი 52,26. უწინ ქ. ბასარში ამზადებდნენ უმაღლესი ხარისხის ფოლადისგან მკრელ და გამძლე ხმლებს. ძველ ქართულ თხზულებებში ხშირად იხმარება გამოთქმები — „ბასრული ხმალი“, „ბასრი ხმალი“ ან „ბასრი“, რაც ნიშნავს მკრელ ხმალს.

* განმარტებულია მხოლოდ იშვიათი და არქაული სიტყვები და გამოთქმები. განმარტება ეხება მითითებულ კონტექსტში არსებულ სიტყვას. პირველი ციფრი აღნიშნავს წიგნის გვერდს, მეორე — სტრიქონის (ან ტაეპის) ნომერს (ლექსიკონი შეადგინა ი. ლოლაშვილმა).

ბინიანი: მე ბინიანად (=საფუძვ-
ლიანად, მტკიცედ, რივიანად) მინდა
შენთან ლაპარაკი 120,7.

ბორგენილი-ი 71,112 აღშფოთებული,
განრისხებული.

ბძარვა: ურთიერთს კბძარვენ
73,191 ერთმანეთს მტრობენ, ეჭიშ-
პებიან.

გარდმომწირალი-ი 72,157 მალლიდან მო-
ფვალთვალე.

გართობა: გა-ც-ა-არ-თ-ო-ბ-და 72,159
გართობდა აგრეთვე (კიდევ).

გარმოსარება გარ შემოვლება, ირგვლივ
შემორტყმა: ცეცხლი გარ მოსა-
რე 33,15 ცეცხლი ბაკმად შემოივ-
ლე გარშემო.

გაბრინავება: განსჯას გამიტრიზა-
ვებ 120,25 განსჯას არაფრად ჩააგ-
დებ.

გაფლიდული-ი 86,15 გაფუქებული; უნა-
ყოფოდ დარჩენილი.

გაფოთებული-ი 71,128 გაშმაგებული, და-
ფეთებული.

დავრიშება: თვალთა ჩემთა ადავრი-
შებენ 49,3 ჩემს თვალებს ათამა-
შებენ (ფიგ.).

დამრეცი-ი 88,2 ფერდობი.

დამცრობა 71,121 დამდაბლება, დაკ-
ნინება (სულით).

დამძინილი-ი 28,12; 98,14 დაბრძენებუ-
ლი; დადინჯებული.

დაწქმა ჩაძირვა, დაძირვა: დამინ-
თქე მათში საღმობანი 40,10.

დახევა: დასევა გული 95,12 დაიპყ-
რო გული.

დაშთენილი-ი 55,18 დარჩენილი.

დარტვინვა: დარტვინვენ 30,19 ჩი-
ვიან, ბუზღუნებენ, შფოთავენ.

ემუქმეობოდენ იხ, მუქმეობა.

ვალალება: მივალალებენ 51,22
დამიტირებენ.

ვლტოლა: უკეთუ ვივლტოდეთ
91,22 თუ გაიქცევით; ივლტიან
92,6 მირბიან, გარბიან; ევლტიან
38,14 გაურბიან.

ზე: ჩემი მეფობა, ზე (= დრო) დავს-
რულე 73,178.

ზრახვა ლაპარაკი: ვიზრახო 40,14
ეთქვა.

თარაქამა 139,14 მომთაბარე
მენი.

თხზვა: მითხზავს გვირგვინსა 34,10
გვირგვინს მიწნავს.

კაბარდინელი-ი 88,19; 89,42 ყაბარდო-
ელი; კაბარდინკა 88,21,24 ყაბარ-
დოელი ქალი.

კაენი-ი 26,14; 32,1 დარდი, ნაღველი.

კაცად-კაცად-ი 86,12 თვითეული.

კოდილი-ი 46,6 დაქრილი.

ლექს-ი სიტყვა: ერთი ლექსით
131,12 ერთი სიტყვით.

ლმობა: ლმობის ხმითა 21,14 მტკიე-
ნეული ხმით.

მარაქა 107,15 ქალთა კრებული.

მაშვრალი-ი 64,3 დაქანცული, დაღ-
ლილი.

მახვრალი-ი 55,19; 73,168 ვინც ოხრავს
(ვალალებს).

მეყვსეულად 28,22 უცაბედად, მყის,
უმალ.

მთენ-ი 33,10 მნათობი; მნათებელი.

მიმოობა მი-და-მო-ზმნისწინებიდან
წარმოებული ხელოვნური სიტყვა:
ფიქრნი... მიმოობითა (= მი-
ფანტულად, იქით-აქეთ) განიბნევიან
96,16.

მიმქრქალეებული-ი 22,5; 96,13 მიმქ-
რალი.

მლაღავ-ი 57,18 მოშუღლე, მღევნელი.

მოარე 25,32 მოარული.

მოლხინება: მოელხინარე 35,15
მოულხინე.

მორკმული-ი 72,161 უზრუნველყოფილი;
დაჯილდოებული (ნაქით).

მომღერალი-ი 37,16; 42,18 მოთამაშე;
მატლური.

მოსხმა: მოგასხნა (= მოფვინო)
შარავანდელი 34,11.

მოცდენა: უშენოდ მოსცდეს (=მო-
ისპოს) მხიარულება 35,9.

მსარჩლედი-ი 137,16 მისარჩლე, მეკო-
მაგე.

მსასოებელი-ი 74,215 მოიმედე.

მსკვალვა: გემსკვალვის 50,3
ვეთვისება.

მტკინავი 21,2 მტკივანი, მტკივნეული.

მუნათება: ამუნათებს 37,12 აყ-
ვედრებს, ამაღლებს.

მუქმება: თმანი ნაშალი, მკერდზედ
დაყრილი, ემუქმებოდენ
45,18 მკერდზე დაყრილი ნაშალი
თმები მუქჩრდილფენით ამკობდნენ.
სიტყვა „ემუქმებოდენ“ საერთოდ
ქართულ ენაში არ არსებობს. პოეტს
იგი უსესხებია ჩახრუხაძის „თამარი-
ანის“ გვიანდელი ხელნაწერებიდან.
„მუქნი კრთებიან. ემუქმებო-
ან“. (უნდა იყოს: „მუქნი კრთებიან,
ემუქფეებიან“). „ემუქმებიან“
=ზმნაწი გამაწერებს ფ წაუკითხავთ
მკლ, რის შედეგადაც წარმოშობილა
„ემუქმებიან“. ამ უზრო სიტყვას
ნ. ბარათაშვილმა ახალი შინაარსი
შესძინა და ამით მას ქართულ ლექს-
სიკაში არსებობის უფლება მოუ-
პოვა.

მქრქალი-ი 95,8; 95,8 მიმქრალი.

მღერალ-ი 100,5 მომღერალი (იხ.).

მღინავი-ი მღივანი-ი („ღივ“-ძირიდან),
რასაც ღივი გამოაქვს: ვარდო, მა-
ლირსე, თუ როგორ არს გაშლა შენი
მღინავი. ვ. ბერიძესა და ს. იორ-
დანიშვილის მოსაზრებით, იგი მი-
ღებულა „სიტყვისაგან «ღივავა» —
ღიმილის, სიხარულის მომგვრელი“
(ეს სიტყვა უკანასკნელი მნიშვნელო-
ბით გვხვდება ბესიკის ლექსში „შავ-
ნი შაშენი“—„არმოწყენით მომღე-
რალნი, მღინარანი“).

მემუნვარება 25,38 დარდი, ფიქრი.

ნამილი-ი 61,3 დანამული.

ნატამლობა 80,411 გავერანება; აოხრე-
ბის შედეგად რომ აღარაფერი დარ-
ჩება; ძირ-ფესვიანად მოსლობა (შდრ.
„ნატამალი აღარ დარჩაო“).

ნაუნჯი 57,17 უნჯად (განძად) შენახუ-
ლი, დაუნჯებული.

ნაფურცლი-ი გაშლილი: ვარდებრ ნა-
ფურცლნი 45,23 ვარდივით
გაშლილნი.

ნელ-ი: დილას მას ნელს 42,13 წყნარ
(სასიამოვნო) დილას; სუნი შენი;
ამო და ნელი (=სასიამოვნო)
47,3.

ოცნა 59,3 ოცნება.

პირად-პირადად 28,10; 98,12 მრავალ-
ფერად (შდრ. შავთელი: „პირად-
პირადად განშვენებულსა“, 76).
როინი-ი ნარნარით სიარული, „ხელით
ტარება“ (საბა): თვალთ არონი-
ნებ 35,4 თვალებს საამურად ახელ.
სადარ-ი: გულს ნეტარება არ ასადარ-
ებს (= ამხიარულებს) 44,15.

სალბუნ-ი მალამო; გადატ.: საამო, სა-
სიამოვნო (შდრ. ვახტანგ VI: „სალ-
ბუნად გულისა“): გულს დააწყლუ-
ლებდა ღიმილითა ესალბუნები
(= მალამოდ ეღებო) 35,6; ბევრჯერ
რჩევანი შენნი, ვითა წყლულს,
მსალბუნებიან მე შეწუხე-
ბულს 73,173.

სამღერალო 64,2 სათამაშო.

სანუკველი-ი სანუკვარი: სანუკვე-
ლითა (= სანატრელი, სასიხარუ-
ლო) შობით 37,11; გრძნობა, ესთ
სანუკველი 50,17.

საქენჯნავი 26,18 სინდისის შემაწუხე-
ბელი.

საყურე 36,5 საყურებელი: ასე საყურე,
უცხო საყურე.

საშფოთველო 26,18 რაც შფოთს იწვევს;
საშფოთი, საშფოთებელი.

საცმელ-ი ჩასაცმელი, სამოსელი: თვალ-
ნი ემოსა ცრემლით, გული — სე-
ლის საცლმითა (resp. საცმლი-
თა) 21,13. შდრ.: გიშრისა თმანი
ნაშალინ კშვენიან სპეტაკს საც-
მელსა (= თეთრ სამოსელს) 22,7.

საჭურე: საფარი: და მსწრაფლ ზღუდე-
ნი ნარიყალისა ექმნათ საჭურედ
კართა ქართლისა 71,105.

სახიობა: და გამოსცემენ სახიობასა
(= მუსიკალურ ხმას), ტკბილის ოც-
ნებით დამაძინარსა 59,6.

სირ-ი 21,15; 87,2 ჩიტი; ფრინველი.



სპეტაკი-ი 36,3; 49,2 თეთრი; წმინდა.
 სტანცი-ი 88,2 სტანცია.
 სურვა 34,5 სურვილი, წადილი.
 სხივფენარ-ი: გულ: ეს სხივ ფენარე 35,18 გულს სხივებდ მოფენენ, გული გაასხივოსნე (გამხიარულე).
 ტლავარ-ი 88,4; 88,18 ფანატური, სარდილობელი.
 უკაბარდლო იხ. კაბარდელი.
 უმაგალითობა 131,21 უებრობა, შეუღარებლობა. წინა გამოცემლებს ამ სიტყვის მნიშვნელობა სწორად ვერ აღუხსნიათ და ავტოგრაფული წაკითხვა „ქმების უმაგალითობა, თანხმობა“ შეუსწორებიათ ასე: „ქმების უმაგალითო თანხმობა“.

უცხო-უცხო უცნობ; სხვადასხვა: თუმც უცხო-უცხო თემად იარე 27,7 თუმცა უცნობ (სხვადასხვა) თემებში დაიარებოდი. შდრ. ვეფხ.: „კვლად უცხოფერთა ქურბელთა სდის უცხო-უცხო სიკები“ (1551,2), ან: ავთანდილი „უცხო უცხოთა (უნდა იყოს: „უცხო-უცხოთა“) აღგილთა საქებრად იარებოდა“ (180,3). ნ. ბარათაშვილი ამ ტაეპითაა შთაგონებული. ამიტომაც პოეტს პირველი ვარიანტი „თუმც უცხო და შორს თემად იარე“ შეუსწორებია წინამდებარე გამოცემაში მიღებული წაკითხვით.

უსატრფოე 97,32 უსატრფოესი, ძლიერ სატრფო (პოეტი აქ ხმარობს ძველ ფორმას).

ფანჯიერი-ი 88,20 ბალნიანი, ბეწვიანი.
 ფრანტი-ი 128,8; 139,12 კონტაობის მოყვარული, კოპწია.

ფურცვნილ-ი 21,12 ფურცლებდაცვნილი.

ქველი-ი 73,162 გმირი; ქველმოქმედი.
 ქიზგა 128,24 ქალი (ოსურად).
 ქოვში-ი 90,58 სპ. გოვში, ანგელოზი (?).
 ღართ-ი 83,20 ნაბადი, წამოსასხამი.
 ღაწვი-ი ღოყა: ღაწვითზე 29,37.

ღაწვითა ზედა (ღაწვებზე, ღოყებზე).
 ყარობ-ი უთვისო; მგზავრი.
 შეადვირება 100,11 აღვირის ამოდება; შეკავება.

შთენილი-ი 51,20 დარჩენილი.
 შემოვედრება: შემოვავედრება 68,14 ჩავებარებ.
 შემსკვალვა: არ შეემსკვალო 42,17 არ შეეთვისო.
 შეუორგულ-ი 78,328 ერთგული.
 შეფრფინვა 21,17; 25,17; 28,11. ტრფი-ალება, სიყვარულით ტრფობა.
 შუშურა: სულ შუშურები გვასვა 131,11 სულ შუშუნა ღვინო (?) გვასვა („ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ეს სიტყვა საბას მიხედვით ახსნილია როგორც „წყალნარევი ღვინო“, მაგრამ ასეთი განმარტება მოცემულ კონტექსტს არ ესატყვისება).

ჩიმი ქუნიმ 113,7 რას ვიზამთ, რა ვქნათ. ამ სიტყვის შესახებ ა. ბარამიძე წერს: „ნ. ბარათაშვილის დროს თბილისში ჯერ კიდევ ისწავლებოდა სპარსული ენა. კერძოდ, სპარსული ენა უნდა სცოდნოდა ნ. ბარათაშვილსაც. საგულისხმოა, რომ ნ. ბარათაშვილის მიერ გრ. ორბელიანისადმი გაგზავნილ ერთ წერილში გვხვდება შემდეგი ფრაზა: «მითამ როდის და რაში არა ვყოფილვართ კარგნი, მაგრამ ჩიმი ქუნიმ» ... დაყოფილი ჩიმიქუნიმ, რომლის გნმარტება ჯერ არავის უცდია, სრული და წესიერი ფორმის სპარსული გამოთქმაა, რაც ნიშნავს: რა ვქნათ («მაგრამ რა ვქნათ»). ფრაზა კონტექსტის მიხედვით აზრობლივად თავის ადგილასაა“ (ა. ბარამიძე, ნარკვევები, III, გვ. 379).

ჩუსუმ-ი: ჩუსუმები არიანო 127,10 უცოდინარები (უვიცები) არიანო.

ცვალეზულ-ი 80,391 შეცვლილი.
 ძლივა 91,19 გამარჯვება.
 წარტყვევა: წარტყვევს თვალთა 24,6 თვალებს დატყვევებს, თვალს წარსტაცებს.
 წარხოცა: წარხოცეთ (= მოიწმინდეთ) ცრემლიცა მწარნი 42,4.

წილი 37,4 კალთა. შტრ.: „განისვენა
წილსა შინა აბრაჰამისასა“ (= „почил в лоне Авраама“).

წილობა 26,24 ხვედრი, წილი.

წინდ-ი 41,20 საწინდარი.

კამად-ი 91,25 საკმელი, სურსათ-სანო-
ვაგე.

ხვაწიად-ი 39,4 საიდუმლო, გულისნა-
ღებში.

პერან-ი 71,129 ერანი (ირანი). A ავ-

ტოგრაფშია „თერანის“ (= თერა-
ნის). ამის მიხედვით შეიძლება „თე-
რანი“-ც თერანს ნიშნავდეს.

პუნარ-ი უნარი: რაც პუნარეში
ჰქონდა, სულ აქ დაასრულა 134,6 რა
უნარიც ჰქონდა, სულ აქ გამოაჩინა.

პურ-ი 83,24 შავთვალა (სპ.), „მუსლი-
მანური სამოთხის ბინადარი ლამაზი
ქალი“ (ქართ. ენის განმარტებითი
ლექსიკონი).



შინაარსი

აკაკი გაწერელია — ნიკოლოზ ბარათაშვილი 3—18

I. ლექსები.

ბუღბუღი ვარდზედ	21
ქეთევან	22
შემოღამება მთაწმიდაზედ	24
ხმა იღუმალი	26
ძია გ... სთან	27
ღამე ყაბახზედ	28
ფიქრნი მტკერას პირას	30
ხოხვურს	32
ჩემს ვარსკვლავს	33
ნაპოლეონ	34
თავადის ქ... ძის ასულს, ეკ... ნას	35
საყურე	36
ჩხვილი	37
სული ობოლი	38
* * [სატრფოვ, მახსოვს...]	39
ჩემი ლოცვა	40
* * [აღმოსდა მნათი...]	41
ჩემთ მეგობართ	42
* * [არ უციენო, სატრფო...]	43
* * [გპოვე ტაძარი...]	44
ნა... ფორტოპიანოზედ მომღერალი	45
* * [მიყვარს თვალები...]	46
სუმბული და მწირი	47
* * [შენნი დაღალნი...]	49
* * [რად პყვედრი კაცსა...]	50
* * [მირბის, მიმაფრენს...]	51
კნიაზ ბარათაევას აზარღუშაზედ	53
საფლავი მეფის ირაკლისა	54
* * [სულო ბოროტო...]	65
* * [შევიშრობ ცრემლსა...]	56
ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღისტნასა და ჩეჩ- ნელთა, წელსა 1844-სა მძღვანელობასა ქვეშე ღუბერნიის მარშლის, თავა- დის დიმიტრი თამაზის ძის ორბელიანისა	57
ჩინარი	59
* * [მადლი შენს გამჩენს...]	60
* * [დამქროლა ქარმან სასტიკმან...]	61
* * [როს ბედნიერ ვარ...]	62

• • [ცისა ფერს...]
 • • [ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის...]

II. ბილი ჰართლისა 65

III. VARIA

სახუმართო ეპიგრამა
 ელენეს და მარიამს 85

ყრობის დროინდელი ნაწერები
 ვარდა და ია 86
 ნარგიზი და ყაყაჩო 87
 კავკასიური მოთხრობა 88
 შესხმა აგრიკოლასი 91
 Плаг Шахро по Виси 93

რედაქციები 95

IV. წერილები

I. გრიგოლ ორბელიანისადმი 105
 II. მასვე 106
 III. მიხეილ თუმანიშვილისადმი 109
 IV. გრიგოლ ორბელიანისადმი 111
 V. მასვე 113
 VI. მასვე 115
 VII. მაიკო ორბელაანისადმი 118
 VIII. გრიგოლ ორბელიანისადმი 120
 IX. ზაქარია ორბელიანისადმი 123
 X. მასვე 126
 XI. გრიგოლ ორბელიანისადმი 128
 XII. ზაქარაა ორბელიანისადმი 130
 XIII. მაიკო ორბელიანისადმი 133
 XIV. მასვე 136
 XV. მასვე 137
 XVI. ბაბაღე საგინაშვილისადმი 139
 XVII. ალექსანდრე საგინაშვილისადმი 140
 XVIII. გრიგოლ ორბელიანისადმი 141

ტექსტისათვის

ივანე ლოლაშვილი — ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული
 მემკვიდრეობა (ფილოლოგიური ნარკვევი) 145
 ნ. ბარათაშვილის ნაწერების ქრონოლოგიური ნუსხა 204

კომენტარები 207

ა. მხატვრული ნაწერები 207
 ბ. წერილები 219

ლექსიკონი 232

გამომცემლობის რედაქტორი ლ. ნანიტაშვილი
მხატვარი ლ. ვრიგოლია
მხატვრული რედაქტორი ლ. დუნდუა
ტექნიკური რედაქტორი ვ. ჭიჭინაძე
კორექტორები ო. ცინცაძე, ნ. თავაძე
გამომშვები ნ. მაჭარაშვილი

ვადეცა წარმოებას 27/IV-70 წ. ხელმოწერილია და-
საბეჭდად 22/III-72 წ. ქაღალდის ზომა 60×90^{1/16},
ნაბეჭდი თაბახი 15. სააღრიცხვო-საგამომცემლო თა-
ბახი 11,47.

შე 01351. ტირაჟი 30,000. შეკვ. № 564.
ფასი 69 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის, 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი
სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფ-
მრეწველობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი.
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфпрома
Государственного комитета Совета Министров
Грузинской ССР по печати.

Н. М. БАРАТАШВИЛИ

Сочинения.

Под редакцией *А. Гацереца и И. Лолашвили*

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5.

1972

